

კვირის პალიტრა

გზა

N26 (264) 30/VI.-6/VII.2005. ფასი 60 თ.

1168
2005

შემზარავი ფაქტი ჩვენი სინამდვილიდან - კედოფილი მამა შვილს მოსვენებას არ აკლავს

თიკო რედაქციაში
გვეწვია - „გადახრილები“
ანუ რა ხდება ქუთაისში?!

„არც ჩემი ფოტოს
დაგაჭდვის სინაღობი
ვარ... მიწა წაიკითხოს
და საკუთარ თავს
განაჩენი გამოუბანოს...“

გზავნილები - ღარიბი და „განიოსი“ თუ მდიდარი და სულელი



თიკა ჯამბურია:
„ვე წუნარად უნდა ვიყო...
დათო ხუჯაკუსთან დუბის
კლარ ჩაეწერ...“



დაბრუნება...
76 წლის
შედეგ

99 წლის მიხეილ შავთარაძის
წარმოსახვითი სამოთხე ეპროვანში
და გასრუებული იმედაბი

ბავშვობის სახლი

საბავშვო სახლი

გამთავრებული და დასრულებული სახლი
და დასრულებული სახლის მშენებელი



ტელ: (995 32) 94 23 55 მობ: (899) 248 686



მინიატურები

არჩევითობა ყველგან და ყველაფერში ანუ სუფრულ-პოლიტიკური პარალელები 3

ერთი კითხვა 4

აპარია

ტრაგედიის თვითმხილველი, ცოცხალი ჩაჭვი ენბურში და სიცოცხლისთვის მებრძოლი, ბანდირული სვანები... 6

პრობლემა

„ჩარი ოჯახი გასაღვთ და როდესაც ამ ოჯახში ტრაგედია ხდება, დაგნაშავეა უფროსი...“ 7

თემა

ქართული ღვინო და მსოფლიო ბაზარი 10

კრიმინალი

- „ღინო-4“-ში ჩადენილი დანაშაულის ღებალბეს სანაპართლო კვლავ ბანისილავს 13

- ბონგლაკე პროკურატურის მიერ ლევან კალაძის მამისათვის ფულის გამოკალვის შაქტშია ეჭვიბანილი 14

- ავტოსაგზაო შემთხვევას 21 წლის ახალგაზრდა ემსხვერპლა 15

კლივიკიკარი

იღუპალებით მოცული კინოპროექტი, რომელშიც რეჟისორის საყვარელი მსახიობებიც კი არ მონაწილეობენ 16

გზანდინაუბი

„არჩევანი ერთი კვირის წინ ბავაქეთე და უმუშევარი ღავრბი...“ 18

ანოვალია

აელოფილი მამა ვვილს მოსვენებას არ აკლავს 22

ანტიღავკარსანტი

ინფორმაციულ-შემცნებითი კოლაქი ბორა ღვალის უბის წიგნაკილან 24

შემოქმედი

რევაზ ღალიბის ანღარკი, ახსენელი ოსნება და ჩამჭრელი კითხვა – ვინ არის ღარბოშიქსკი? 24

ღასვენება

ვანიკო თარსნიშვილი: „მინღორში ხეტილს, ასულტგვა სიარული მირჩევნია“ 27

გარემო

უსნაური აღამიანის უსნაური რეცეპტები – ღამნაშავეთა გამოსწორება ბუნების მოყვარული ქალის აღსარებით 29

კედოფილი მამა ვვილს მოსვენებას არ აკლავს



ამბავი, რომელსაც 19 წლის თიკო გვიყვება, ქუთაისში მოხდა. გოგონამ დაბირეკა და მთხოვა – თბილისში საგანგებოდ თქვენს სანახავად უნდა ჩამოვიდე, როდის მოიცილით, რომ ჩემი გასაჭირის შესახებ გიამბოთო? შეხვედრამ შეეთანხმდით და საკმაოდ მძიმე ამბავიც მოვისმინე.

22

„მე წყნარად უნდა ვიყო... ღათო სუჯამსთან ღუმბს აღარ ჩავენბრ“

„პოპულარობას, რა თქმა უნდა, დადებითი მხარეც აქვს. მაღაბიებში ძალით მიმათრევენ ხოლმე – გამყიდველები რომ დაგინახავენ, რაღაცებს გვაჩუქებენო... ასეც ხდება ხოლმე, მართლაც ხშირად მასაჩუქრებენ. ქუჩაშიც ხალხი მეფერება, მიცინის. ეს ყველაფერი ძალიან სასიამოვნოა“.



56

ტრაგედიის თვითმხილველი, ცოცხალი ჩაჭვი ენბურში და სიცოცხლისთვის მებრძოლი, ბანდირული სვანები...




„ენგური ნელ-ნელა სგაცებდა ცოცხალ წრეს თითო აღამიანს... იმასაც ამბობენ, რომ 18 წლის მაკას ბობოქარი მდინარე გადაუსურავს, ნაპირამდე მიულწევია და ხის გოტს ჩაჭიდებული ცდილობდა, წყლიდან ამოსვლას. მაგრამ გოტმა სიმძიმეს ვერ გაუძლო...“

6

ზალიკო გერგერი საბავალების დაეზადებითაა გატაცებული

„გრძელი საყურეები 3-4 წელია, მოღამია და თავისი აღგილი დაბიკვიდრა კიდევ. პირიქით, უფრო და უფრო იზრდება საყურეების ზომა. საერთოდ, გრძელი საყურეები ძალზე ეფექტურია, მით უმეტეს – ჩვენებისთვის“.



31

არჩევითის ყველგან და ყველათვის ანუ სუფრულ-პოლიციური პარტიები



სადო-მაზოხისტები ვართ ქართველები: სატკივარ-საჯავრებელი რომ არაფერი გვქონდეს, ჯავრი მოგვკლავს, სანამ თვითონ არ მოვიფიქრებთ ახალ საკამათოსა და სატკივარს და იმაზე არ ვიჯავრებთ. სწორედ ასე გამოვებნეთ მერის პირდაპირი წესით არჩევითობა და ისევ ორ ბანაკად გავიხლიჩეთ. არა-და, უამრავი ქვეყანაა, სადაც ქალაქის მერს საკრებულო ირჩევს და ისე კარგად გრძნობენ თავს, რომ ჩვენ არც დაგვესიზმრება; ისეთი ქვეყნებიც უხვად ყრია მსოფლიოს რუკაზე, სადაც მოსახლეობა ირჩევს მერს და ვერც იმათ შევედრებით. მოკლედ, თუ მერი მერად ვარგა, რა მნიშვნელობა აქვს, მე ავირჩევ თუ სხვა?!

ამიტომ, მერობა კი არა, ნებისმიერი უბრალო თანამდებობაც კი არჩევითი უნდა იყოს. მაგალითად, ჩემს კორპუსში კანალიზაცია რომ გაფუჭდა, გვერდითმა სადარბაზომ გამგეობის მიერ დანიშნულ სანტექნიკოსს გააკეთებინა; ჩვენ კი არ ვიკადრეთ სხვისი დანიშნული, თვითონ გამოვიძახეთ 200 სანტექნიკოსი და იმათგან ერთი ავირჩიეთ, ფარული კენჭისყრით... მართალია, ჩვენი არჩეული სანტექნიკოსი დიდი ბეყვირათი ვინმე აღმოჩნდა და დღესაც სუნი გვახრჩობს, მაგრამ დემოკრატია სადარბაზოდ გვიცნობს მთელი უბანი და მასხრად ვიგდებთ გვერდით სადარბაზოებს.

მოკლედ, ჩვენი ხალხის ამბავი რომ ვიცი, ახლა მერის არჩევნები რომ ჩავატაროთ, ისევ ჭიაბერაშვილს აირჩევენ და იტრაბახებენ კიდევ – ეს რა კარგი მერი ავირჩიეთო!.. ისე კი, გახსოვთ ალბათ, მერის წინააღმდეგ მემარჯვენე ოპოზიციის პირველმა ლიდერმა რომ გაილაშქრა და ქალაქი ააჭრელა პლაკატებით: „აღარ გვინდა ჭია-მერი, ავირჩიოთ ნაღდი მერი!“ ნეტავ, მაგას ხომ არ უნდა მერობა?! რატომაც არა?! ექიმიცაა, მზღვეველიც და წარმატებული მეწარმეც... ჰოდა, ავად გახდები თუ მანქანას მოგპარავენ, აღარ დაგჭირდება ცალკე „სასწრაფო“ და ცალკე პატრული – პირდაპირ მერს გამოიძახებ და კიდევ მოგარჩენს, კიდევ მანქანის დაზღვევას ავინაზღაურებს...

მეორე მხრივ კი, რა არჩევითობაზეა ლაპარაკი?! ჩვენ ხომ ქართველები ვართ – სუფრულ ტრადიციებზე აღზრდილები; სუფრაზე კი დემოკრატია არ არსებობს: რამდენიც არ უნდა ეხვეწოთ თამადას –

ერთი სადღევრძელო მათქმევინ-ეო, არაფრით დაგიტოვებს. ნახეთ, რა ღრმა პარალელია ქართულ სუფრასა და პოლიტიკას შორის:

სუფრის წევრები ირჩევენ თამადას, ჩვენც ვირჩევთ პრეზიდენტს. მოადგილეების არჩევას კი, ჩვენ არავინ გვეკითხება, თვითონ თამადა ნიშნავს მათ და პოლიტიკაშიც ასეა: რეალურად, ვინც „თამადას“ უნდა, ისაა გუბერნატორიც, გამგებელიც და მერიც. მერე მოდის ინაუგურაცია ანუ თამადის სამადლობელი: მუსიკაც იქნება თავის დროზე და ცეკვაც, ოღონდ – სადღევრძელოებზე უნდა მომისმინოთ!..



და საერთოდ, მთელი სამყარო ერთი დიდი რესტორანია, ჩვენს სუფრას ჩვენი პრეზიდენტი თამადაობს, სხვისას – სხვისი... მაგრამ ჩვენი თამადა ყველაზე მაგარია: ახალგაზრდა, ლამაზი, მჭევრმეტყველი; ის რომ მთელ დარბაზს გააჩუმებს და მანდილოსნების სადღევრძელოს იტყვის, ერთ რამედ ღირს.

ხომ ყველა დამეთანხმებით, რომ ასეა?! ჰოდა, თუ ასეა, იმასაც შეგახსენებთ, რომ რეალურად, თამადასაც არ ირჩევენ სუფრის წევრები; იმასაც მასპინძელი ანუ ვისი ფულითაცაა სუფრა გაშლილი, ის ნიშნავს. ჰოდა, თუ სუფრას დანიშნული თამადა ხელმძღვანელობს, რა მნიშვნელობა აქვს, მერიქიფე არჩევითი იქნება თუ არა?! მთავარია,

თამადამ ითამადოს ღირსეულად, თამადობის ვადა ბოლომდე მიიტანოს და შუა ქეიფში არ ჩალოს თავი საცივში...

P.S. საქართველოსა და აშშ-ის პრეზიდენტების დიალოგი რესტორანში:

ბუში – რამდენია გადასახდელი?

საკააშვილი – გადახდილია, ბატონო.

ბუში – რატომ იჩქარე, მინდოდა, ჩემი ფული გადაემეხადა.

საკააშვილი – თქვენი ფული გადავიხადე, ბატონო, აბა, მე საიდან მაქვს ფული?!

პროვოკატორი

„კორუპციულაში კვალი სხვით მოქადაგან“



— შს სამინისტრომ საგადასახადოში კორუმპირებულთა დიდ ჯგუფს მიაგნო. როგორც ჩანს, ფარული კამერის ეფექტი ჯერჯერობით ჩინოვნიკებზე სათანადოდ არ ქრის...

პანო მირაზიშვილი, შს მინისტრი:

— ფარული კამერით მხილებული არაერთი პირის შემდეგ, ჩინოვნიკები უფრო მეტად უნდა ცდილობდნენ, კორუფციული გარიგებებისგან თავის შორს დაჭერას. სამწუხაროდ, საქმიანობის მრავალწლიანი პრაქტიკა, რომელიც სწორედ არალეგალურ და დანაშაულებრივ ურთიერთობებზე იყო აგებული, ისე ღრმად გაუჯდა ზოგიერთებს ძვალ-რბილში, რომ ახალ გარემოსთან შეგუება უჭირთ. ისინი კვლავ მიმართავენ ძველ ხერხს, როცა საგადასახადოს წარმომადგენელი, საწარმოსთან გარიგებაზე მიდის, ოფიციალურ გადასახადთან დაკავშირებულ დოკუმენტებს აუქმებს და ქრთამის სახით აღებულ ფულს ვიბეში იღებს... სამშაბათს განხორციელებული სპეცოპერაციით, ბიუჯეტის 3 მილიონით შემცირებას ავარიდეთ თავი. წარმოიდგინეთ, რამხელა ზარალს მივიღებდით ერთი გარიგების შედეგად, მაშინ, როდესაც ზოგი რაიონის წლიური ბიუჯეტი 3 მილიონს არც აღემატება!... ჩვენ მსგავსი ფაქტების გამოვლინებასა და დამნაშავეთა ქსელის დადგენაზე ყოველდღიურად ვმუშაობთ. ვინც ვერ გაიგო, რომ საქართველოში კორუფციას ებრძვიან, მას დაკავებულთა ბედის გაზიარება მოუწევს.

ნარკომანთა რიცხვი 150 ათასით გაიზარდა

— საექსპერტო მონაცემებით, საქართველოში ნარკომანთა რიცხვი 200 ათასს შეადგენს, მათი რაოდენობა გეომეტრიული პროგრესიით იზრდება. საინტერესოა, მკურნალობის მიზნით თუ მოგმართავენ ხოლმე პაციენტები?

ნათუნა თოღაძე, ნარკოლოგიის სამედიცინო კვლევითი ინსტიტუტი:

— ოფიციალური მონაცემებით, დღეისთვის საქართველოში 24 ათასი მომხმარებელია რეგისტრირებული. თუმცა, 2004 წელს, საქართველოში ნარკოტიკების მომხმარებელთა რიცხვი, სუბოტექსის მომხმარებელთა ხარჯზე, 150 ათასით გაიზარდა. რაც შეეხება მკურნალობას, 2004 წელს, სტაციონარული მკურნალობა 300-მა ადამიანმა ჩაიტარა. პაციენტთა უმეტესობა (99%) მამაკაცია, ხოლო ასაკი 26-30 წლის ფარგლებში მერყეობს. საქართველო-

ში ნარკოლოგიური ტიპის 5 სამკურნალო დაწესებულება მოქმედებს, თუმცა, არც ერთი მათგანი თანამედროვე სტანდარტებს არ შეესაბამება. გარდა ამისა, ამ დაწესებულებებს წელიწადში მხოლოდ 400 პაციენტის მიღება შეუძლიათ. მთავარი პრობლემა კი, მკურნალობის საფასურია, რომლის გადახდაც ყველა პაციენტს არ შეუძლია. არადა, ნარკომანთა რიცხვი დღით დღე მატულობს და საგანგაშო მასშტაბებს იძენს.



ინფორმაციული დავისიტი, თუ სუნთქვიანობის რეპოლუსია

— განათლების მინისტრის განცხადებით, ის გაუფერობა, რომელსაც პროფესორ-მასწავლებლების საპროტესტო აქციები მოჰყვა, მხოლოდ ინფორმაციულმა დეფიციტმა წარმოშვა...

ჯუმბარ ჭუმბურიძე, პროფესორი:

— განათლების მინისტრი ცდილობს, შეცდომაში შეიყვანოს საზოგადოება. ის რეფორმა, რომელიც უნივერსიტეტში ხორციელდება, ფსევდო-

რეფორმაა, რომელიც მიმართულია უნივერსიტეტის ტრადიციებისა და პროფესორ-მასწავლებლების წინააღმდეგ. რექტორმა არ იცის, სად რა კეთდება, ის არ გვიცნობს ჩვენ და არც აინტერესებს, ვინ ვართ. როცა უნივერსიტეტის კედლებში ხმაურობენ და საპროტესტო აქციებს აწყობენ პროფესორ-მასწავლებლები, ეს უკვე ნიშნავს იმას, რომ ცოდნის ტამარი განსაცდელშია. 800 ადამიანი ქუჩაში გამოუშვეს და რაღაც სასაცილო სტიპენდიებზე გველაპარაკებინ და ეს მაშინ, როცა ბიუჯეტიც კი არ არის გაწერილი და არაფერ იცის, ამ თანხების განკარგვა რა მიმართულებით განხორციელდება. ავვისხნან, რა პრინციპით შეამცირეს 22 ფაკულტეტი ექვსამდე, რატომ დაიხურა გამსახურდას, ჯაქას, აკაკის კაბინეტები, რატომ გააუქმეს დიდი სამეცნიერო საბჭო და რატომ ცდილობს, პრეზიდენტის ხელდასმული რექტორი, ერთპიროვნული მმართველი გახდეს. ეს პროცესი ხუნვეიბინების რეპოლუსიას მაგონებს, შედეგიც სწორედ ისეთი იქნება, როგორც ჩინეთში მიიღეს.



„ღვან კლამის გატაცების საქმე პოლიციის სამმართველოს ქვედებარეს კი არ იყო...“

— კახა კალაძის ძმის ლევან კალაძის გატაცების ფაქტთან დაკავშირებით, გამოძიებელი, სოსო ალავეძის ძმადნაფიცს ახსენებს. რა შეგიძლიათ თქვათ ამ აშკარა მინიშნებაზე?



ტალღებსაც არ ვიცნობ. აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ მე ამ კრიმინალური დანაშაულის დაფიქსირებიდან ორი თვის შემდეგ გადავდექი. ბუნებრივია, თანამდებობიდან წასვლის შემდეგ, კალაძის საქმის მსვლელობაზეც არაფერი მსმენია. თუ შს სამინისტროს ყოფილ თანამშრომელს, პოლკოვნიკ ბათო სალინაძეს რაიმე ინფორმაცია მართლაც აქვს, კონკრეტული გვარები უნდა დაასახელოს. პრესით ზოგადი მოსაზრებების გავრცელება, შეურაცხყოფელია. მე ამ ინფორმაციის გავრცელებასთან დაკავშირებით, სასამართლოში ჩვილს არ ვაპირებ, თუმცა, ასეთი ბრალდებები სამართლებრივი რეაგირების გარეშე არ უნდა რჩებოდეს...

სოსო ალავეძე, თბილისის პოლიციის მთავარი სამმართველოს ყოფილი უფროსი:

— მე უამრავი მეგობარი მყავს, თუმცა ძმადნაფიცების ინსტიტუტი ჩვენს საუკუნეში აქტუალური აღარ არის. ვინ ან საიდან გამოძიებენ ძმადნაფიცი, ჩემთვის უცნობია. თავის დროზე, ლევან კალაძის გატაცების საქმე პოლიციის სამმართველოს ქვედებარეც კი არ იყო და ამ საქმის გამოძიების დე-

ფორმაცია მართლაც აქვს, კონკრეტული გვარები უნდა დაასახელოს. პრესით ზოგადი მოსაზრებების გავრცელება, შეურაცხყოფელია. მე ამ ინფორმაციის გავრცელებასთან დაკავშირებით, სასამართლოში ჩვილს არ ვაპირებ, თუმცა, ასეთი ბრალდებები სამართლებრივი რეაგირების გარეშე არ უნდა რჩებოდეს...

„ოპოზიციან არ გაიყოფება“



— მოარული ხმებით, ჯორჯ სოროსი პრეზიდენტ სააკაშვილის ხელისუფლების სანინაალმდეგოდ, დიდი ოპოზიციური პარტიის მხარდაჭერას აპირებს; თავის მხრივ, აქტიურობენ პრორუსული ძალებიც. **სოსო ცინცაძე,** პოლიტოლოგი:

— შეიძლება, სოროსის ფონდს აინტერესებს ოპოზიციის გაძლიერება, მაგრამ ეს თავისთავად, არც ხელისუ-

ფლების ინტერესებს ეწინააღმდეგება. საყოველთაოდ ცნობილია, რომ ძლიერი ოპოზიციან მეტი კონსტრუქციულობით გამოირჩევა, ვიდრე სუსტი და გაღიზიანებული. ოპოზიციის გაძლიერების მცდელობა სწორედ ამ მიზეზით უნდა აიხსნას, რაც ნამდვილად არ ნიშნავს იმას, რომ სოროსი სააკაშვილის და ამჟამინდელი ხელისუფლების წინააღმდეგ ძმართულ კამპანიას იწყებს. მისი ფონდი არ არის დაინტერესებული (ყოველ შემთხვევაში, ამ ეტაპზე), ოპოზიციური პარტიების დესტრუქციული საქმიანობის მხარდაჭერით. რაც შეეხება რუსეთის აქტიურობას — გარეშე ძალები ყოველთვის და ყველა საკამათო საკითხზე შევცდებიან სიტუაციის დაძაბვას და ვილატებთან გარიგებების მიღწევას. მაგრამ ოპოზიციან, მისი არსიდან და შეგნებიდან გამომდინარე, ამ თამაშში მონაწილეობას არ მიიღებს.

„ამ კანონის ავტორები არც ხალხს ეპითხებიან რამეს და არც ოპოზიციას“

— ხელისუფლება მერის არჩევითობასთან დაკავშირებით მოსახლეობის აზრის გათვალისწინებას არ აპირებს. რა შეიძლება მოჰყვეს მოსახლეობის სურვილის ასეთ იგნორირებას? **ზვიად ძიძიგური,** კონსერვატიული პარტია:



— მათ მხოლოდ ერთპიროვნული მმართველობა სურთ, ამიტომ მოსახლეობის მიერ არჩეული მერი ხელს არ აძლევს. ჩვენ ვამბობდით, რომ თბილისელთა უმეტესობა მერის არჩევითობას ეთანხმება. ეს დადასტურა ამერიკელი სოციოლოგების მიერ ჩატარებულმა გამოკითხვამაც, რომლის მიხედვითაც, მოსახლეობის 89% ხელისუფლების მიერ მერის დანიშვნის წინააღმდეგია. მაგრამ ამ კანონის ავტორები არც ხალხს ეკითხებიან რამეს და არც ოპოზიციას. ისინი დარწმუნებული არიან, რომ ჭეშმარიტების ერთადერთი დამდგენები არიან და რაც მოესურვებათ, ის უნდა აკეთონ. თუ ხელისუფლება ხალხის ნებას აღარ ასრულებს, დარჩეს „ნაციონალური მოძრაობა“ მარტო და მთელმა მსოფლიომ დაინახოს, რომ მხოლოდ ერთპარტიული მმართველობის, შეურაცხადობის ღონემდე მისული სურვილი ამოძრავებთ. ოპოზიციან ამგვარ არჩევნებში მონაწილეობას არ მიიღებს. რა უაზრობა იქნება, ამ ფორმით ჩატარებული სამარცხვინო ფარსი, რასაც არჩევნებს უწოდებენ, თავადვე დაინახვენ.



ზუსტად თვე გავიდა სვანეთში მომხდარი ტრაგედიიდან, თუმცა, იქ არც ახლობლების დაკარგვით გამოწვეული ტკივილი განელეზულა და არც მათი ცხედრების პოვნის იმედი, ვისი სიცოცხლეს აბოზოქრებულმა ენგურმა შთანთქა. 31 მაისს, მეზობელ სოფელში, დაკრძალვაზე მიკრავტობუსით მიმავალი 16 ადამიანიდან, მხოლოდ 5 გადაურჩა სიკვდილს სასწაულის წყალობით. 11 დაღუპულიდან კი, ჯერ მხოლოდ 4-ის ცხედარია ნაპოვნი. სოფელ ცხუმარის მკვიდრი, ნატო ივანიანი, თანასოფლელებთან ერთად სწორედ იმ მანქანით მგზავრობდა და მანამდე მოახერხა მანქანიდან გადასტომა, სანამ ის ენგურში გადავარდებოდა. ახალგაზრდა ქალბატონმა ბარძაყის ძელის დაზიანება მიიღო და რამდენიმე დღის წინ, თბილისის ერთ-ერთ კლინიკაში ურთულესი ოპერაცია ჩაუტარდა.

ება ტუნიაშვილი

ნატო, თავს როგორ გრძნობ?

— უკეთესად ვარ, ჩემს ჯანმრთელობასთან დაკავშირებით ექიმებიც საიმედო პროგნოზებს აკეთებენ... ბავშვები მენატრებიან ძალიან, 4 შვილი მყავს და ტრაგედიის დღიდან არ მინახავს.

— სწორედ ის დღე მინდა, რომ გაიხსენოთ.

— სოფელ ლატალში ახალგაზრდა ბიჭის დაკრძალვაზე მივიღოდი... სიმართლე გითხრათ, დიდიანვე უგუნებოდ ვიყავი. თითქოს გული მეუბნებოდა, რომ არ წავსულიყავი, მაგრამ გონება მასხენებდა, რომ ნათესავებისთვის უნდა მეცა პატივი. მძღოლის ჩათვლით, 16 ადამიანი ავტომობილში ჩავსხედით და ასე, დღის 11 საათი იქნებოდა, როდესაც ლატალში მიმავალ გზას დავადექით. მშვენიერი, მზიანი ამინდი იყო. როდესაც ჩვენი სოფლიდან გამოსასვლელ აღმართს შევუდექით, მანქანამ მხოლოდ ნახევარი გზის გავლა შეძლო, გაჩერდა და ნელი სვლით უკან დაეშვა. ორმა ახალგაზრდა გოგონამ მანქანიდან ჩასვლა აძულობინა. მძღოლმა გადაწყვიტა, კიდევ ერთხელ ეცადა აღმართზე ასვლა, მაგრამ უშედეგოდ. აღმართის შუაწელიდან მანქანა კვლავ დაგორდა. ვერ გეტყვით, რომ ამან მგზავრებს შორის პანიკა გამოიწვია. უეცრად დავინახე, რომ მანქანიდან ჩემ წინ მჯდომი მამაკაცი გადახტა და რაღაც ძალამ მეც იგივე გამაკეთებინა. ხუთივე გადარჩენილმა ადამიანმა კარიდან გადახტომით დავტოვეთ მანქანა. ამით მინდა გითხრათ, რომ კართან მჯდომ არც ერთ მგზავრს აზრადაც არ მოსვლია, ჩვენთვის მოებაა — არადა, მე სალონში ბოლო სავარძელზე ვიჯექი... მახსოვს, როგორ დავეცი მიწაზე და ვიგრძენი მწვავე ტკივილი მარჯვენა ბარძაყის არეში. მკაფიოდ არ მახსოვს, მაგრამ სავარაუდოდ, ამ დროს დავორე-

ბრაგელის თვითმხილველი

ცოცხარი ქაჭვი ენგურში და სიციხისთვის მებხიძორი, განწიხური სენები...

ბულმა მანქანამ ცალი ბორბლით ფეხზე გადაძიარა და ხეში გადაეშვა... გონება არ დამიკარგავს, მაგრამ მოტენილი ფეხი, განძრევის შესაძლებლობას არ მაძლევდა, ამიტომ მთელი ამ უბედურების მხოლოდ სმენით აღქმა შემიძლო.

— მართალია, რომ მანქანა, რომლითაც თქვენ მგზავრობდით, გაუმართავი იყო?

— დიას და ამის შესახებ ყველა მგზავრმა ვიცოდით. ამის გამო, ტრაგედიის წინაღულს, მძღოლმა წაყვანაზე უარიც კი გვითხრა, მაგრამ ხათრიანი კაცი იყო და გადაწყვეტილება შეცვალა.

— რა ასაკის ადამიანები იხსენით მანქანაში?

— ძირითადად, ახალგაზრდა ქალბატონები იყვნენ, მათ შორის ყველაზე უმცროსი, 18 წლის გოგონა იყო. საბედნიეროდ, თან არავის გვახსლდა მცირეწლოვანი ბავშვი. თუმცა ზოგიერთი ოჯახიდან 2-3 ადამიანი იყო...

— როგორც ჩემთვის ცნობილია, ამ ამბავს სხვა თვითმხილველებიც ჰყავდა. რას ამბობენ ისინი?

— ეს საბედისწერო აღმართი საკმაოდ რთულად გადასალახავია, ამიტომ ნებისმიერ ადამიანს, ვინც მანქანით მის გავლას გადაწყვეტს, სოფლიდან ე.წ. გამცილებელი მანქანა მიჰყვება. ჩვენს შემთხვევაშიც ასე იყო, მაგრამ იქ მყოფმა ადამიანებმა აბოზოქრებულ ენგურთან გამკლავება ვერ შეძლეს. თვითმხილველების ნაამბობით, მანქანა და მასში მჯდომი 11 ადამიანი ენგურში ჩაცვივდნენ. მდინარე ამ დროს ადიღე-

ბული იყო და გახშირებული წვიმებისა და ჩამოწოლილი მეწყერების გამო, ტალახიან ტალღებად მოდიოდა. ამბობენ, რომ მდინარეში ჩაცვნილი ადამიანები გამაღებით ებრძოდნენ სტიქიას, წყალში ერთმანეთისთვის ხელები ჩაუჭიდათ და წრე შეუკრავთ იმ იმედით, რომ სწრაფ დინებას ასე უფრო გაუმკლავდებოდნენ. თვითმხილველები ამბობენ, რომ ენგური ნელ-ნელა სტაცებდა ცოცხალ წრეს თითო ადამიანს... იმასაც ამბობენ, რომ 18 წლის მაკას ბობოქარი მდინარე გადაუცურავს, ნაპირამდე მიუღწევია და ხის ტოტს ჩაჭიდებული ცდილობდა, წყლიდან ამოსვლას. მაგრამ ტოტმა სიმძიმეს ვერ გაუძლო და გოგონაც დინებამ მოიტაცა... მერწმუნეთ, რომ თვითმხილველებს ასეთ შემთხვევაში არაფრის გაკეთება არ შეეძლოთ, წინააღმდეგ შემთხვევაში, თავადაც დადიუპებოდნენ.

— დაშავებულებს ვინ აღმოგჩინათ სასწრაფო სამედიცინო დახმარება?

— ალბათ მოგესხენებათ, რომ ამ ტრაგედიამდე ცოტა ხნით ადრე, საქართველოს პრეზიდენტის ინიციატივით, ჩვენი ქვეყნის ყველა რაიონულ ცენტრს „სასწრაფო დახმარების“ ახალი მანქანა გადაეცა. სწორედ ახალი „სასწრაფოებით“ გადავიყვანეს რაიონის სავადმყოფოში, სადაც დაშავებულებს პირველადი სამედიცინო დახმარება აღმოგვიჩინეს. მერე დაზარალებულების თბილისში ჩამოყვანა მოხერხდა.

— დაკარგული ცხედრების ძებნა კვლავ გრძელდება?

ჯიშვირ არღვლიანი, ნატოს მეუღლე:

— რა თქმა უნდა, ყველა ჭირისუფალს დაღუპული ნათესავების გვამის პოვნის იმედი მაინც არ დაუკარგავს. ალბათ მოგეხსენებათ, რომ ერთი თვის განმავლობაში, მხოლოდ 4 ცხედრის პოვნა მოხერხდა. ოთხივე გარდაცვლილი, ქალბატონია, მათ შორის, ორი ახალგაზრდა იყო და ორიც — შუახნის. მდინარემ მათი სხეულები შემთხვევის ადგილიდან საკმაოდ შორს — 15-20 კილომეტრის მანძილზე წაიღო... სვანეთში გარდაცვლილები ტრადიციისამებრ, სვანური ზარით დავიტირეთ, ოღონდ ამჯერად, მამაკაცები ზარს მუხლმოდრეკილი ვამბობდით. 31 მაისი ჩვენი სოფლისთვის გლოვის დღედ იქცა. ცხუმარში ვერ კიდევ დაღუპულებს დასტირიან. გლეხისთვის ერთადერთი სარჩო-საბადებელი მიწაზე მოწეული პროდუქტია, თუმცა, ჩვენს სოფელში მიწის ერთი გოჯიც კი არავის დაუმუშავებია.

— როგორც ნატოს ნაამბობიდან შევიტყვევ, გზის ის მონაკვეთი, საიდანაც მანქანა ენგურში გადავარდა, რთული რელიეფითაა გამორჩეული. მსგავსი ტრაგედია გზის ამ მონაკვეთზე წინათაც ხომ არ დატრიალებულა?

— სვანეთში ერთდროულად ამდენი ადამიანის დაღუპვის ფაქტს, თვით სოფლის უზუტუცეობაც ძნელად იხსენებენ. სოფელ ვაშურში 1987 წელს ჩამოწოლილმა ზვავამ 27 ადამიანის სიცოცხლე შეიწირა. რაც შეეხება კონკრეტულად გზის ამ მონაკვეთს, იყო შემთხვევა, როდესაც ამ გზაზე მიმავალი სამგზავრო ავტობუსი გადაბრუნდა, მაგრამ მძღოლმა შეძლო, თავიდან აეცილებინა მდინარეში მისი გადავარდნა და ყველა მგზავრი უვნებელი გადარჩა. დაახლოებით 4-5 წლის წინ კი, ამ გზიდან ენგურში „ნივა“ გადავარდა, რომლითაც 4 ადამიანი მგზავრობდა, მათ შორის, ერთი ქალბატონი. ეს ამბავიც ტრაგიკულად დასრულდა: დაიღუპა ორი ადამიანი, ახალგაზრდა ქალბატონის გვამი ენგურმა გარკვეული პერიოდის შემდეგ გამოიჩინა, დაღუპული მამაკაცის ცხედარი კი, დღემდე არ უპოვიათ...

— შესაძლებელია თუ არა გზის ამ მონაკვეთის იმგვარად მონყობა, რომ ტრაგიკული შემთხვევები მომავალში მაინც ავიცილოთ თავიდან?

— შეუძლებელი არაფერია, თუმცა, ასეთი ინიციატივა ვერჯერობით, არავის გამოუთქვამს...

ირაკლი სესიაშვილი უკვე წლებია, ჯარისკაცთა უფლებების დასაცავად იბრძვის და როგორც თავად ამბობს, ასოციაცია „სამართალი და თავისუფლება“, რომელსაც ის წარმოადგენს, წელიწადში 700-მდე სამხედრო მოსამსახურესა და მათ ახლობლებს უწევს კონსულტაცია. ჯარში არსებული ვითარების უკეთ აღსაქმელად ირაკლი სესიაშვილი თავდაცვის სამინისტროს გენერალური შტაბის წარმომადგენლებს, ერთი დღით, ასოციაციის შენობაში ეპატიჟება, სადაც ყოველდღე 10-მდე ჯარისკაცი ან მათი ახლობელი ქართულ ჯარში მომხდარი შემზარავი ფაქტების შესახებ ჰყვება.

„ჯარი მოჯანი მსხვერპლი და როდესაც ამ მოჯანი ტრაგედია ხდება, დახეწავენ უფროსი...“

იმა ტუხიაშვილი

— პირველ რიგში, მინდა, სამხმარი ვუთხრა ყველა დაღუპული ჯარისკაცის ოჯახს. მივუსამძირო მთელ ქართულ ჯარს, რადგან, ბოლო დროს საქართველოს ჯარში განვითარებული მოვლენები, მთელი ერის ტრაგედიაა. მიმჩნია, რომ ჩვენ არ ვცხოვრობთ ისეთ ქვეყანაში, რომელსაც აქვს უფლება, მშვიდობიან პერიოდში დაეუბოს ჯარისკაცი. ქვეყნის ხელისუფლება ვალდებულია, პასუხი აგოს ჯარში მომხდარი ყველა ტრაგიკული შემთხვევის გამო, თუმცა ამ მიმართულებით ერთი ნაბიჯიც არ გადადგმულა. შესაძლოა, მარმანდღლიან შედარებით, ქართულ არმიაში ჯარისკაცებს ახლა უკეთ აჭმევენ, უკეთესი სამოსიც აცვიათ, მაგრამ რეჟიმმა ხომ ჯარისკაცის უფლებების დაცვასაც ითვალისწინებს. ვიდრე სახელმწიფო თითოეული რიგითი ჯარისკაცის უფლებებს არ გაუწევს ანგარიშს, ჩვენი ჯარი არ აშენდება. თანამედროვე ქართულ ჯარში დღეს პრობლემების მთელი წყება გვხვდება, მათ შორის: ფსიქოლოგიური და ჯანმრთელობასთან დაკავშირებული სხვა სახის პრობლემები, დისციპლინასთან დაკავშირებული საკითხები, ადამიანის უფლებების დაცვის სფეროში არსებული ხარვეზები, სამართლებრივი მიდგომის დეფიციტი, მენტალიტეტი, მეთოდოლოგია და

ა.შ. მიმჩნია, სახელმწიფო ყველა ამ პრობლემას დამოუკიდებლად ვერ გაუძლეავდება, ამიტომ ჩვენმა ორგანიზაციამ ხელისუფალი დახმარების ხელი გაუწოდა და პრობლემათა გადაჭრის გზები შესთავაზა, მაგრამ მათ ჩვენი მოსაზრებები ზოგადი სასაბუთის წინადადებად შერაცხეს. მაგალითისთვის ვეტყვი, რომ ჩვენ ვითხოვდით ქართულ ჯარში ოფიცერთა ფსიქოლოგიური მდგომარეობის კვლევას. რათა უშინებელი დარღვევის შემთხვევაშიც კი, ექსპერტთა მითითების მსგავსი გამოკვლევა ქართულ ჯარში 15 წლის განმავლობაში არ ჩატარებულა. როდესაც მაგალითად მოგვყავს ნატოს ჯარები, არც იმის ცოდნა გვაწევნდა, რომ მსგავსი ფსიქოლოგიური და სამედიცინო გამოკვლევა იქ თითქმის ყოველ მესამე თვეს უტარდებოდა. გარდა ამისა, სპეციალური დანიშნულების ოფიცრები სამხედრო მოსამსახურეთა პირად პრობლემებსაც კი სწავლობენ, რადგან ხშირად, სწორედ ეს პრობლემები ხდება დაპირისპირებისა და შეხლა-შემოხლის საბაბი.

— როგორია ქართულ ჯარში მომხდარი ტრაგიკული შემთხვევების ბოლოდროინდელი სტატისტიკა?

— 2003-დან 2004 წლამდე დაფიქსირებულია 20 მკვლელობა და 20 თვითმკვლელობა. ამ მხრივ არც წლებიდანდელი მონაცემები გვაძლევს დამზიდების საფუძველს: უკანასკნელი თვეების განმავლობაში, ქართულ ჯარში 5 ტრაგიკული შემთხვევა მოხდა. აღნიშნულ ფაქტებთან დაკავშირებით გამოძიება ვერ კიდევ მიმდინარეობს, ამიტომ ამ ეტაპზე, მათი კომენტარებისგან თავს შევიკავებ, რადგან პატივს ვცემ კანონის უზენაესობას და ვინმეს მისამართით თითის გაშვება არ იქნება მართებული. მა-





ეჭვი მეპარება ზოგიერთი მეთაურის ფსიქიკურ ნორმალურობაში... (ნანა კაკაბაძესთან ერთად)

გრამ ფაქტია, რომ ვარი ოჯახი გახლავთ და როდესაც ამ ოჯახში ტრაგედია ხდება, დამნაშავე უფროსი, რომელმაც შესაბამისი პრევენციული ღონისძიება არ გაატარა.

— აბსოლუტურად გასაგებია, რომ გამოძიების დასრულებამდე, დაკონკრეტებისგან თავს იკავებთ, მაგრამ როდესაც ოფიცერი ვარისკაცის თვითმკვლელობის მიზეზად მის სიმთვრალეს ასახელებს, ის ფაქტობრივად ადასტურებს, რომ კანონდარღვევა და უდისციპლინობა ჩვეულებრივი ამბავია მისი საჯარისო ნაწილისთვის.

— დღევანდელი ხელისუფლება, თავდაცვის სამინისტრო და ქვეყნის პრეზიდენტი კლიპებითა და სხვადასხვა პიარ-აქციით ცდილობენ, ამაღლონ ქართული ვარის პრესტიჟი. მაგრამ ამ მიზანს მხოლოდ მაშინ მივაღწევთ, როდესაც ყველა ამ ილუსტრირებულ სიკეთეს, ვვარში მყოფი თითოეული რიგითი იგრძნობს. სამწუხაროდ, დღევანდელი ვარისის ამსახველი რეალური სურათი აბსოლუტურად სხვაგვარია. პირადი საუბრებისას, დაზარალებული ვარისკაცები და მათი ახლობლები იმდენად შემწარავ ფაქტებს ჰყვებიან, რომ ეჭვი მეპარება ზოგიერთი მეთაურის ფსიქიკურ ნორმალურობაში... სამწუხაროა, მაგრამ ვერ კიდევ ხშირია არაადამიანური მოპყრობის ფაქტი. მაგალითად, სერჟანტებმა მხოლოდ იმბტომ სცემეს უმოწყალოდ ვარისკაცს, რომ მამამ მას ახალი ფორმა მოუტანა... ვარისკაცს ყბის ორივე ძვლის მოტეხილობა ჰქონდა და რამდენიმე თვე სამხედრო ჰოსპიტალში გაატარა... ქართული ვარის ოფიცერი ვერ კიდევ „რუსული ჩექმისკენ“ იყურება, მიუხედავად იმისა, რომ ბევრ მათგანს განათლება დასავლეთში აქვს მიღებული. ისეთი შემთხვევებიც ვიცი, როდესაც ყაზარმაში მიმდინარე სარემონტო სამუშაოების გამო, ვარისკაცებს ყინვას და სიცივეში, ღია ცის ქვეშ ეძინათ.

— სამხედრო ნესდების საფუძველზე, რისი უფლება აქვს ვარისკ-

აცს, თუ ის მიიჩნევს, რომ სამხედრო ნაწილში მისი უფლებები დაირღვა?

— რაიმე პრობლემის წარმოქმნის შემთხვევაში, ვარისკაცს უფლება აქვს, მიმართოს თავის მეთაურს, რომელიც უმეტეს შემთხვევაში, მისი უფლებების დამრღვევია. გარდა ამისა, ქართულ ვარში ჩამოყალიბებული მენტალიტეტის თანახმად, ვარისკაცი, რომელიც ალაპარაკდება (ამას შესაბამისი სლენგით გამოხატავენ), გარიყული იქნება სოციალიზაციის და „მაგი“ იარაღის ტარება მოუწევს. მაგალითად, იმ დროს, როდესაც თავდაცვის სამინისტროს გიორგი ბარამიძე ხელმძღვანელობდა, ყველა სამხედრო ნაწილში გაჩნდა ნდობის ყუთი, სადაც ნებისმიერ სამხედრო მოსამსახურეს უფლება ჰქონდა, პრეტენზიებით პირდაპირ გენერალური ინსპექციის უფროსისთვის მიემართა. გაეგვირდებოდა, მაგრამ მთელი წლის განმავლობაში ამ ყუთებში მხოლოდ 3-4 წერილი მოხვდა. ეს კი პირდაპირ მიგვანიშნებს, რომ ქართულ ვარში ვერ კიდევ მძლავრობს საბჭოური მენტალიტეტი და აღმოსავლელია ე.წ. არასაწესდებო ურთიერთობები. ნუთუ, უმჯობესი არ იქნება, თვეში სულ რაღაც 80 ლარად დავიქირაოთ დამლაგებელი და ტუალეტების დალაგება არ ვაძიულოთ ვარისკაცებს, რასაც ხშირად მძიმე შედეგები მოსდევს?! ყოველივე ამის ფონზე კი, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში შემოღობის კანონპროექტი, რომლის მიხედვითაც დაგეგმილია დეზერტირობისთვის უკვე არსებული სასჯელის გამკაცრება, ხოლო პროფესიონალ ვარისკაცს კონტრაქტის დარღვევისთვის, სახელმწიფო 14.000-ლარიანი ვარისის გადასხმის დაკისრებს.

— ახლა დაფინანსებასაც შევხვით. სახელმწიფო ბიუჯეტიდან ყვე-



ლაზე დიდი თანხა ხომ თავდაცვის სამინისტრომ მიიღო, არა?


— ჩატარებული მონიტორინგის შედეგად დადგინდა, რომ წლეულს გასული თვეების განმავლობაში, სამხედრო მოსამსახურეთა ვანმართელობისთვის, სამხედრო ბიუჯეტის მხოლოდ 0,3% დაიხარჯა. მაშინ, როდესაც ფუფუნების საგნებსა და ძვირად ღირებული ავტომობილების შეძენას სამინისტროს ბიუჯეტიდან კოლოსალური თანხები ხმარდება. მაგალითად, ცოტახნის წინ შეიძინეს 3 ახალი „ნისან პატრული“, ერთი ასეთი ავტომობილი დაახლოებით 70.000 დოლარი ღირს. 2005 წელსვე, თავდაცვის სამინისტრომ ასევე შეიძინა 3 „მაცუბიში პაკერი“, რომლის ღირებულება დაახლოებით 31.000 დოლარია და ა.შ.

— თავის დროზე თქვენ სამხედრო ომბუდსმენის მანდატზე იმის გამო თქვით უარს, რომ უფლებამოსილება გქონდათ შევეცილი. ახლა თუ გაქვთ შესაძლებლობა, როგორც არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენელს, შეგვიდეთ ნებისმიერ სამხედრო ნაწილში და პირადად გავცნოთ იქ არსებულ მდგომარეობას?

— სახალხო დამცველის აპარატიდან ჩემს წამოსვლაზე გეტყვით, რომ ჩემი აზრით, სწორი ნაბიჯი გადავდგი და დღესაც ვფიქრობ, რომ ეს არის პოლიტიკური გადაწყვეტილებების მხარდაჭერი ორგანიზაცია. როგორც არასამთავრობო ორგანიზაციის წევრს, ვერაულოებით სამხედრო ნაწილში შესვლის უფლება არ მაქვს. თუმცა მიმდინარეობს მოლაპარაკებები მეორადღუმის გაფორმებაზე, რის შემდეგაც ეს ნებადართული გვექნება. შემძლია ვითხრაო, რომ გარკვეულ შედეგებს უკვე მივაღწიეთ, პოლიტიკოსებთან და პარლამენტის თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტის წევრებთან ერთად ვიხილავთ „სამხედრო დისციპლინის კოდექსს“. იმედი გვაქვს, რომ ამ კოდექსს სათანადო ადგილს მიუჩენენ და სწორედ მის საფუძველზე განხორციელდება ვარისკაცის უფლებების დაცვის უზრუნველყოფა.

— საინტერესოა, რა მდგომარეობა უფლებების დაცვის თვალსაზრისით, რეზერვისტთა ნაწილებში?

— გავრცელებული ინფორმაციით, რამდენიმე დღის წინ, სიცოცხლე თვითმკვლელობით დაასრულა კანთის რეზერვისტთა ბანაის წევრმა. უფრო ადრე კი, ვანმართელობის გაუარესების გამო რეზერვისტი ოსიაურის სამხედრო ნაწილში გარდაიცვალა. ჩვენი ინფორმაციით, გარდაცვლილმა რეზერვისტმა ვერ გაუძლო იმ ფიზიკურ დატვირთვას, რომელიც წვრთნების დროს უნდა დაეძლია. როგორც ჩვენთვის ცნობილია, ხელისუფლება ამ ფაქტის მიუმათებს ახლაც ცდილობს.



ქართული ღვინო და მსოფლიო ბაზარი

„მეღვინეობის ნარმატების საიდუმლო“ — ასეთი სათაურით „გზის“ №24-ში გამოქვეყნდა უცხოური პრესის მასალების მიხედვით მომზადებული წერილი, რომელშიც ღვინის მსოფლიო ბაზარზე არსებული მდგომარეობა გახლდათ მიმოხილული. ჩვენი ყურადღება მიიპყრო სამმა გარემოებამ: პირველი — ტრადიციული მეღვინეობის ქვეყნები (საფრანგეთი, იტალია, ესპანეთი) ათწლეულების მანძილზე მიზანმიმართულად იპყრობდნენ მსოფლიო ბაზრის „ტერიტორიებს“; მეორე — უახლეს ისტორიაში, „ძველებს“ ძალზე ქმედით კონკურენციას უწევენ ე.წ. ახალი მსოფლიო ღვინოები, რომლებსაც ავსტრალია, ახალი ზელანდია, ამერიკისა და აფრიკის ზოგიერთი ქვეყანა აწარმოებს; მესამე და ჩვენთვის ყველაზე ყურადსაღები — სამსუხაროდ, მსოფლიო ბაზარზე ახალდამკვიდრებულ ქვეყნებს შორის, ვერსად შეხვდებით საქართველოს...

რა უნდა იღონონ ქართული მეღვინეობის მესვეურებმა, ვაზისა და ღვინის უძველესმა ქვეყანამ, მისი საკადრისი ადგილი რომ დაიკვიდროს მსოფლიო ბაზარზე?..

ქვა ტუნიკვილი

ლევან კობერიძე, ღვინის მწარმოებელი ერთ-ერთი წამყვანი კომპანიის მარკეტინგის სამსახურის ხელმძღვანელი:

ჩვენს სასიხარულოდ უნდა აღინიშნოს, რომ მსოფლიო მეღვინეობის სფეროში სულ უფრო მკვიდრდება მოსაზრება იმის შესახებ, რომ საქართველო ჭეშმარიტად ღვინის სამშობლოა. ჩვენს ქვეყანაში წარმოებული არქეოლოგიური გათხრები გვაძლევს საფუძველს, ვივარაუდოთ, რომ აქ მეღვინეობა დაახლოებით 8000 წლის წინ არსებობდა. ამას ადასტურებს სამხრეთ საქართველოს ტერიტორიაზე აღმოჩენილი უძველესი ჯამი, რაშიც ყურძნის წიპწები ეყარა. ასევე არსებობს მოსაზრება, რომ თვით ამ პროდუქტის დასახელება, რომელიც სხვადასხვა ენაზე ჟღერს, როგორც „ვინო“, „ვინე“, „ვინო“ და ა.შ. — ქართული „ღვინისგან“ არის ნაწარმოები. ყოველივე ეს კი კარგ საფუძველს აძლევს ზოგადად ქართული ღვინის კატეგორიას იმისათვის, რომ განსაკუთრებული და სპეციფიკური ნიშა დაიკავოს მეღვინეობის მსოფლიო ბაზარზე. ამ გზით მომხმარებლის გულის მოგებას ღვინის მწარმოებელი ყველა ქვეყანა ცდილობს. მაგალითად, საფრანგეთი აღიარებულია, როგორც ტრადიციული მეღვინეობის ქვეყანა და ითვლება, რომ ღვინის ხელოვნების საიდუმლო სწორედ ფრანგების საკუთრებაა. ე.წ. ახალი მსოფლიო ღვინოები იმ ქვეყნებს ეკუთვნის, სადაც ისტორიულად არ არსებობდა ღვინის წარმოება და მხოლოდ ბოლო 20-30 წლის განმავლო-

ბაში აღმოცენდა. მათ შორის არიან: ავსტრალია, ჩილე, ახალი ზელანდია და ა.შ. ასეთი ქვეყნების ნიშა ფასი-ხარისხის შესაბამისობის საუკეთესო ღვინოები — ანუ ამ ქვეყნების კლიმატური პირობები და იქ არსებული თანამედროვე ტექნოლოგიები, ისტორიული ტრადიციების არქონის მიუხედავად, საკმაოდ კარგი ხარისხის პროდუქციას იძლევა და თან იაფია. დღეს მსოფლიო ბაზარზე საკმაოდ მწვავე კონკურენციაა გაჩაღებული ღვინის მწარმოებელ ქვეყნებს შორის. ამ კონკურენციის ყველაზე თვალსაჩინო მაგალითია ინგლისის ბაზარი, რომელიც ფინანსურად ძალზე ძლიერია. მართალია, ინგლისის საკუთარი მეღვინეობა არ გააჩნია, მაგრამ ჰყავს მატერიალურად ძლიერი მომხმარებელი. ინგლისის ბაზარი ერთგვარი პოლიუმი, სადაც მსოფლიო ღვინოები ერთმანეთს ეჯიბრებან. ერთი ქვეყნის თაროზე კი, შეიძლება, 2-3 ათასი ერთეული დასახელების ღვინოც კი იყოს წარმოდგენილი. თუმცა, მძაფრი კონკურენციაა გაჩაღებული არა ღვინოს ან ცალკეულ ბრენდებს შორის, არამედ თვით ქვეყნებს შორის პოზიციების დასაკავებლად.

რა პოზიციებს ფლობს ასეთ პირობებში ქვეყანა, რომელიც ღვინის

სამშობლოდ ითვლება?

— ქართული ღვინო საკმაოდ ცნობილია პოსტსაბჭოთა ქვეყნებში და აღმოსავლეთ ევროპის რამდენიმე ქვეყანაში. მომხმარებლის ლოიალურობის ხარჯზე, ისეთ ქვეყნებში, როგორებიცაა უკრაინა და რუსეთი, ქართული ღვინის გაყიდვების მოცულობა წლიდან წლამდე ჯერ კიდევ იზრდება. რადიკალურად განსხვავებული სურათი გვხვდება მსოფლიოს სხვა ქვეყნებში, სადაც ქართული ღვინის ცნობადობა ნულის ტოლია. შეიძლება ითქვას, რომ დღეს ქართულ ღვინოს მსოფლიოში ორი განსხვავებული ბაზარი აქვს და ორივეს ჩვენთვის დადებითი და უარყოფითი მხარეები აქვს. მაგალითად, ექსპერტთა შეფასებით, ქართული ღვინის მომხმარება რუსეთის ბაზარზე წელიწადში 20 მილიონ ლიტრს შეადგენს. ამას შეიძლება დაემატოთ ალურიცხავი და ფალსიფიცირებული ღვინის რაოდენობა. თუმცა, მოხმარების

პრეპარატი **ფინსი** გაძლევთ უნიკალურ შანსს

ფსორიაზი ენათ **საუკუნოვან** **ქვამამ** გამორღივებს!

ნიერძღვრები

სიზმრება იკითხეთ

იმეფრნაღმთ აფთიაქავი

საუკუნოვანი გამოცდილება მქონე, ყველაზე ეფექტური, არაპროგრესული მალამოს საშუალებით

საბიოფორმალი

სხელი ხაზი: 39 66 03

მკურნალობა 7 კვირის შემდეგ

მკურნალობის შემდეგ

ჯამური მაჩვენებელი 25 მილიონ ლიტრს მაინც ვერ გადააჭარბებს. ამავე ბაზარზე ყოველწლიურად, ე.წ. „ბუტილირებული“ ქართული ღვინის ზრდა 5-7%-ს შეადგენს. ამრიგად, ეს ალბათ პოზიტიურ ტენდენციად უნდა შეფასდეს. მაგრამ ამავე დროს, გასათვალისწინებელია სხვა მაჩვენებელიც. თუ ქართული ღვინის წილი წელიწადში 5-7%-ს აღწევს, მთლიანად რუსეთის ღვინის ბაზარი წელიწადში 15-17%-ით იზრდება – ე.ი. მთლიანი ბაზრის ზრდას ჩვენ მაინც მნიშვნელოვნად ჩამოვრჩებით. ეს კი ნიშნავს, რომ ნელ-ნელა, ამ ბაზარზეც კი ქართული ღვინო კარგავს ჩვეულ წილს და თუ წლებულს, გარკვეული ზომის „ტორტის“ მეოთხედი გვეკუთვნის, გაისად ამ „ტორტის“ მთლიანი მოცულობა გაიზრდება და ჩვენ მეხუთედზე მეტს ვეღარ მივიღებთ... საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, რუსეთის ბაზარი მრავალი უცხო ქვეყნისთვის გაიხსნა: შვედია ფრანგული, ავსტრალიური, იტალიური, ამერიკული ღვინოები, რამაც ქართულ ღვინოს პოზიციები დააკარგვინა. თავისთავად კონკურენცია არ შეიძლება იყოს ცუდი, მაგრამ ეს ყველაფერი ქართული ღვინის მასობრივი ფალსიფიცირების ფონზე მიმდინარეობს. დსთ-ის ბაზარზე მომხმარებელს ურჩევნია, შეიძინოს არა გაურკვეველი წარმოშობის ქართული ღვინო, არამედ ავსტრალიური ან იაფფასიანი ფრანგული. ღვინის მწარმოებლებმა, ექსპერტებთან ერთად, შევისწავლეთ, ფალსიფიცირებული ღვინის ბაზარი და საკმაოდ შთაბეჭდავი მაჩვენებლები მივიღეთ: იქ, სადაც 100 ბოთლი კარგი ქართული ღვინო იყიდება, 50 ბოთლი ფალსიფიცირებულის რეალიზაცია ხდება. ამასთანავე, ბოლო დროს, ღვინის ფალსიფიკატორებმა საკუთარი პროდუქციის ფასები, კარგი კატეგორიის ღვინის ფასებს გაუტოლეს. ამრიგად, იმ მომხმარებლისთვის, ვისთვისაც ხარისხის ორიენტირს მაღალი ფასი წარმოადგენდა, ეს ფაქტორიც მოიშალა... ფალსიფიკაციას ისიც უწყობს ხელს, რომ რუსეთის ბაზარზე ცნობილია ნახევრად ტკბილი ქართული ღვინოები, რომლებიც მომხმარებლისთვის ფალსიფიცირებულისგან ძნელად გამოსარჩევია. იმის თქმა მინდა, რომ იმ ბაზარზეც კი, სადაც ქართულ ღვინოს ვერ კიდევ კარგად იცნობენ, ნდობის

დაკარგვის გამო შესაძლოა, სერიოზული პრობლემები შეგვექმნას. რეალიზაციის მოცულობის შემცირება კი, ადეკვატურად აისახება ყურძნის ჩაბარების სფეროში არსებულ მდგომარეობაზე, გლეხის საქმიანობასა და ვენახების რაოდენობაზეც...

— როგორია ღვინის მოხმარების კულტურა ჩვენს ქვეყანაში დღეს?

— საქართველოში ღვინის მოხმარების მაჩვენებელი წელიწადში 130-150 მილიონ ლიტრს შეადგენს, რაც ერთ სულ მოსახლეზე დაახლოებით 30 ლიტრს შეადგენს. სხვათა შორის, ღვინის მოხმარების მაჩვენებლით, საფრანგეთის შემდეგ, მსოფლიოში მეორე ადგილი გვიკავია: საფრანგეთში, ღვინის მოხმარების მაჩვენებელი ერთ სულ მოსახლეზე წელიწადში 35 ლიტრს შეადგენს. თუმცა, იქ ჩვენგან განსხვავებით, ღვინის მოხმარების განსხვავებული კულტურაა დამკვიდრებული: ფრანგები თითო ჭიქა ღვინოს ყოველი სადილობისას მიირთმევენ... როდესაც

კონკურენციისთვის საჭირო გარემო შექმნას.

— კონკრეტულად რას გავალდებულებთ კანონი „ვაზისა და ღვინის“ შესახებ?

— მეღვინეობა ის დარგია, რომელშიც სახელმწიფოს სერიოზული ბერკეტები აქვს რეგულირებისთვის. „ვაზისა და ღვინის“ შესახებ კანონი მეწარმეებს პირდაპირ გვაგვალდებულებს, რომ ჩვენ მიერ წარმოებულ პროდუქციას დავაწეროთ, თუ რა ტიპის ღვინოს განეკუთვნება იგი. კანონმდებლობაში 3 ტიპის ღვინოა განსაზღვრული: სუფრის ღვინო, მხარის ღვინო და ადგილწარმოშობის დასახელების ღვინო. სუფრის ღვინო, რომელიც სპეციფიკურ ზონებში მოწეული ყურძნის გარეშე შეგიძლიათ დაამზადოთ. მეორე ტიპს განეკუთვნება მხარის ღვინო – ანუ თქვენ მიერ ჩამოსხმული ღვინო უნდა იყოს მოწეული ვთქვათ, კახეთის მხარეში ან იმერეთის მხარეში და ა.შ. ადგილწარმოშობის დასახელების ღვინოები კი გახლავთ: „ხვანჭკარა“, „მუკუზანი“, „ქინძმარაული“; თქვენ მიერ წარმოებულ ღვინოს ეს სახელები რომ უწოდოთ, ყურძენი უნდა გქონდეთ მოწეული კანონით განსაზღვრულ მიკროზონაში. სახელმწიფოს სწორედ ამ მარტივი გზით შეუძლია, გააკონტროლოს ღვინის მწარმოებლები. მით უმეტეს, რომ თითოეული მათგანი ვალდებულია, ღვინის ტიპი ეტიკეტზე მიუთითოს.

— თქვენ მიერ ნათქვამიდან და თქვენი პროგნოზების მიხედვით, მსოფლიო ბაზარზე დამკვიდრების რა პერსპექტივა აქვს ქართულ ღვინოს?

— თუ არ ჩავთვლით დსთ-ის ქვეყნებს, უცხოურ ბაზარზე შეღწევის ერთადერთი პრეცედენტი გახლდათ, როდესაც ჩვენი კომპანიის პროდუქციამ ინგლისის ბაზარზე შეაღწია. რა თქმა უნდა, ეს ფაქტი ძალიან გვახარებს. მაგრამ სხვა ქართული ღვინის კომპანიების გარეშე სასურველი შედეგის მიღწევა გავგიჭირდება. მაგალითისთვის გეტყვი: როდესაც დადგა საკითხი, ლონდონის სუპერმარკეტებში ჩვენი ღვინოების შეტანისა, ინგლისელები საონებელში ჩაცვივდნენ – თუ სად, რომელ თაროზე და ღვინის რა კატეგორიაში მოეთავსებინათ ქართული პროდუქცია.



საქართველოში არსებული კარგი მსხმოიარე ვენახების რაოდენობა დავითვალეთ, სულ 40000 ჰექტარი გამოვიდა. თუ ამას ღვინის მოხმარების მაჩვენებელს შევუფარდებთ, აღმოჩნდება, რომ ჩვენს ქვეყანაში ღვინო ყურძნისგან ფაქტობრივად, აღარ იწარმოება... საქართველოში არსებობს კანონი „ვაზისა და ღვინის“ შესახებ, რომელსაც თან ახლავს კანონქვემდებარე აქტები. სახელმწიფოს პირდაპირი მოვალეობაა, რომ კანონის შესაბამისად აწარმოოს აღმინისტრირება და ჯანსაღი

7 კითხვა, რომელსაც კანსუნი უნდა ვისოლდეთ



თავდაპირველად გადაწყვიტეს, რომ ქართული ღვინოები აღმოსავლეთ ევროპის ღვინოებთან ერთად მოეთავსებინათ, მაგრამ ამაზე უარი განვაცხადეთ: აღმოსავლეთევროპული ღვინოები დაბალფასიანია, ქართული ღვინო გაცილებით მაღალი ხარისხით გამოირჩევა და თუ ერთხელ მაინც მოხვდი ამ კატეგორიაში, დაბალ ფასს დაგადებენ და ძვირად ღირებულთა სეგმენტში ველარასოდეს გადაინაცვლებ... დღეს, ჩვენი ღვინოები ინგლისში 4-დან 8 გირვანქა სტერლინგამდე ღირს. ამ სეგმენტშია ავსტრალიის, ჩილეს, ახალი ზელანდიის ღვინოები – ანუ ე.წ. ახალი მსოფლიო ღვინოების საფასო სეგმენტში ვიძეოფებით. მაღალხარისხიანი ფრანგული ღვინოების საფასო სეგმენტი 12 გირვანქა სტერლინგიდან იწყება. ამდენად, ჩვენი ამჟამინდელი პოზიცია ურიგო ნამდვილად არ არის. ამის მისაღწევად კი, სულ ცოტა, 4 წელი მაინც დაგვჭირდება. თუმცა, კიდევ ერთხელ ვიმეორებ – ჯერჯერობით რაიმე სერიოზული გარღვევა ქართულ ღვინოს უცხოეთის ბაზრებზე არ მოუხდენია. ახლა მსოფლიოში მოღვრილი ვახდა მომხმარებლისათვის ყველა კატეგორიის პროდუქტთან ერთად რაღაც სიახლის შეთავაზება. ამ თვალსაზრისით, ქართული ღვინო, ისევე, როგორც თვით ჩვენი ქვეყანა, სულ უფრო მიზიდვული ხდება. დასავლეთში ცნობილი კაცია ე.წ. „ვინრაიტერი“ (ღვინის ექსპერტი, ღვინის საკითხების მიმომხილველი), ჰიუ ჯონსონი, რომელიც მეღვინეობის გურულ ითვლება და ღვინო, რომელსაც ის დადებით შეფასებას აძლევს, მომენტალურად ხუთჯერ უფრო ძვირად იყიდება ბაზარზე. რამდენიმე წლის წინ, მან შექმნა მსოფლიო ღვინის ატლასი, სადაც აღნიშნა, რომ სავარაუდოდ, ღვინო მთელ ევროპასა და მათ შორის საფრანგეთშიც, საქართველოდან გავრცელდა. ამან ძლიერი ბიძგი მისცა ქართული ღვინით დაინტერესებას და დღეს უკვე მოგვის საქმიანი წინადადებები ახალი ზელანდიიდან, ავსტრალიიდან, ჩილეიდან, ისლანდიიდან, გერმანიიდან, აშშ-დან, იტალიიდან და ა.შ. ვფიქრობ, რომ 2-3 წელიწადში, ჩვენი ღვინისადმი სერიოზულ ბიზნესინტერესს გამოიჩენენ, ამას კი ნორმალური, რეგულირებადი დარგი უნდა დავახვედროთ და ამაში დიდი როლი სახელმწიფომაც უნდა შეასრულოს.

— როდესაც უცხო ქვეყანაში ქართული ღვინის რეკლამირებას ახდენთ, ძირითადი აქცენტი რაზე კეთდება?

— კატეგორიაზე — „ქართული ღვინო“.

1 რა არის ვაგინალური კანდილოზი?
საშოს სოკოვანი ინფექცია ცნობილია ვაგინალური კანდილოზის სახელით, მას ზოგჯერ რძიანასაც უწოდებენ. ამ დაავადების გამომწვევია მიკროსკოპული სოკო – Candida albicans. სოკო-კანდიდა საშოს ლორწოვანში, საჭმლის მომნელებელ ტრაქტსა და პირის ღრუში ჩვეულებრივ ბინადრობს; მაგრამ ზოგჯერ კანდიდა გამრავლებას იწყებს და ვაგინალური კანდილოზის მიზეზი ხდება.

2 რა უწყობს ხელს ვაგინალური კანდილოზის განვითარებას?
ორგანიზმის ჰორმონალური დისბალანსი (მაგ.: ორალური კონტრაცეპტივების დიდი ხნის მანიღლზე გამოყენება), ორსულობა, შაქრიანი დიაბეტი, ხანგრძლივი ანტიბიოტიკოთერაპია ან ჰიგიენური პირობების დაუცველობა დაავადების მიზეზი შეიძლება გახდეს. განსაკუთრებით ხშირია ვაგინალური კანდილოზის გამწვავება გაზაფხულზე, სითბო, ტენი, გადახურება და ზამთარში დასუსტებული იმუნური სისტემა, „მიძინებული“ სოკოს გაღვივებასა და გააქტიურებას უწყობს ხელს.

3 რა სიმპტომებია ახასიათებს ვაგინალურ კანდილოზს?
ვაგინალური კანდილოზისთვის დამახასიათებელია ქავილი, სიწითლე საშოს არეში, ხაჭოსებრი თეთრი ფერის უსუნო გამონადენი. ზუსტი დიაგნოზის დადგენა ნაცხის ანალიზით ხდება.


4 რომორ უნდა მოვიქცეთ დაავადების დროს?
ვაგინალური კანდილოზის დროს მოერიდეთ სქესობრივ კონტაქტს, არომადიზირებელი საპნის, ქაფებისა და ინტიმური ზონის დეზოდორანტების გამოყენებას, აბაზანის მიღებას. იბანავით მხოლოდ შხაპის ქვეშ, ატარეთ ბამბის და არა სინთეტიკური ქვედა საცვალი, დიაბეტის დროს ყურადღება მიაქციეთ სისხლში შაქრის დონეს, და რაც მთავარია, გულდასმით შეასრულეთ ექიმის რჩევები.

5 არის თუ არა ვაგინალური კანდილოზი განემოკრებადი დაავადება და რომორ უნდა ვებრძოლოთ რეციდივს?
ხშირ შემთხვევაში ვაგინალურ კანდილოზს რეციდივი ახასიათებს. მისი ხელშემწყობი პირობა „ტროპიკული მიკროკლიმატია“, ამიტომ უნდა ერიდოთ ზედმეტ ტენიანობასა და გადახურებას (ნუ შეიშრობთ ტანზე სველ საცურაო კოსტიუმს), დაიცავით ჰიგიენური ნორმები.

6 რითი განსხვავდება ვაგინალური კანდილოზი ბაქტერიული ინფექციებისგან?
განსხვავება სიმპტომებშია. ბაქტერიული ინფექციის მაგ.: ბაქტერიული ვაგინიტი ან მეტად გავრცელებული ტრიქომონოზის დროს გამონადენი უფრო თხევადი და სუნიანია.

7 რომელი პრეპარატები გამოიყენება ვაგინალური კანდილოზის სამკურნალოდ?
ამ შემთხვევაში ყველაზე ეფექტური საშუალება სისტემური მოქმედების ანტიმიკოზური პრეპარატებია. ქართული ფარმაცევტული საწარმო „ჯი-ემ-პი“ გთავაზობთ შვეიცარიულ ნედლეულზე დამზადებულ სისტემური მოქმედების ანტიმიკოზურ საშუალებას — მიკოფლუ (ფლუკონაზოლი). მიკოფლუ ინიშნება კვირაში ერთხელ 1 კაფსულა (150 მგ) 3-4 კვირის მანიღლზე. ახასიათებს მაღალი აქტივობა სოკო-კანდიდას მიმართ, სწრაფად და ეფექტურად მოქმედებს სხვადასხვა ლოკალიზაციის სოკოვანი დაავადების კლინიკურ გამოვლინებებზე და უზრუნველყოფს სოკოვანი დაავადებისაგან განკურნებას.

ყურადღებით გაეცანით სამკურნალო საშუალების გამოყენების ინსტრუქციას



N#R-0002525

მიკოფლუ®

აბარიდებთ პრობლემებს!



რეგიონალური ოფისი
საქართველოს ბაზრის 148/III



საწარმო GMP ფლობს საერთაშორისო ხარისხის სერტიფიკატს "ISO-9001-2000"



ინო“ – ბევრი რამის თქმა შეგვიძლია. ვერ წარმოიდგენთ, რა ლეგენდების შეთხზვა უხდებოდა ზოლმე თავიანთ ღვინოებზე ახალი მსოფლიო ღვინოების მწარმოებლებს... რაც შეეხება ქართული ღვინის პრომოუშენს – ამ დროს, პირველ რიგში, აქცენტი კეთდება საქართველოს კლიმატური პირობებისა და მეღვინეობის ზონების სპეციფიკურობაზე, აგრეთვე – ქართული ვაზის ჯიშებზე.

ლალო უზუაშვილი, მეღვინეობის ექსპერტი:

– ჩვენს ქვეყანას ვაზის ჯიშების მდიდარი გენოფონდი აქვს. ეს არის 525 ენდემური ვაზის ჯიში, რომელიც საქართველოს ტერიტორიაზე განვითარებული. ამჟამად ქართული მეღვინეობის ძირითადი მიზანი, უცხოელი მომხმარებლის გონებაზე და გულამდე უნიკალური ქართული ღვინის გემოს მიტანა უნდა გახდეს. ამ დროს კი, სახელმწიფო ისეთი უნიკალური სახ-

ინეობა ამ ქვეყანაში?

– დღეს ავსტრალია ხარისხისა და ტექნოლოგიების დონით ერთ-ერთი პირველია მსოფლიოში და ქვეყანას, რომელსაც ჯერ კიდევ 1989 წელს, მხოლოდ 200 ათასი ტონა ყურძენი შეედლო მოეწია (შედარებისთვის: საქართველო 800-ათასიან მაჩვენებლებს აღწევდა), დღეს მილიონ 600 ათასი ტონა ყურძენი მოჰყავს. საქართველოში კი 100 ათას ტონასაც ვეღარ გვრეფთ... სხვათა შორის, ახალი მსოფლიო ღვინოების აღზევებაში მნიშვნელოვანი როლი ჩერნობილის კატასტროფამაც შეასრულა, რადგან ევროპაში კონტამინაციის კერები გაჩნდა. პირველადი ინგლისელები იყვნენ, ვინც ყოფილ კოლონიებში – სამხრეთ აფრიკაში, ავსტრალიასა და ახალ ზელანდიაში – მეღვინეობისთვის შესაფერისი მიწების მოძიება დაიწყო. ამ ტენდენციას მხარი აუბა ამერიკამ, არგენტინამ... შემდეგ, გარკვეული როლი „დაღლილი გემოს“ ფენომენმაც ითამაშა და ესპანური, იტალიური და ფრანგული ღვინოების ნაცნობი გემოს ალტერნატივად, მომხმარებელმა ახლის ძიება დაიწყო. ახლა კი, ძველის, კლასიკურის მიმართ ინტერესი კვლავ ღვივდება და საქართველომ ეს შანსი უნდა გამოიყენოს, მით უმეტეს, რომ ჩვენ ვართ ძველი ახალი მსოფ-



ლიო ღვინის ქვეყანა: ძველი – იმ გაგებით, რომ ღვინის წარმოების უძველესი კულტურა გვაქვს, ხოლო ახალი – იმიტომ, რომ ჩვენი საზღვრები ახლანდელ განიხსნა. მიმანია, რომ ქართული ღვინის პოპულარიზაციისთვის ორივე ზედსართავი სახელი უნდა იყოს გამოყენებული.

ლო ღვინის ქვეყანა: ძველი – იმ გაგებით, რომ ღვინის წარმოების უძველესი კულტურა გვაქვს, ხოლო ახალი – იმიტომ, რომ ჩვენი საზღვრები ახლანდელ განიხსნა. მიმანია, რომ ქართული ღვინის პოპულარიზაციისთვის ორივე ზედსართავი სახელი უნდა იყოს გამოყენებული.

თამაზ კონძოშვილი, ღვინის მწარმოებელი ქართული კომპანიის დირექტორი:

– წლების წინ, ქართული ღვინისთვის რუსული ბაზარი აბსოლუტურად დიაგნოზდა. მაგრამ მას შემდეგ, რაც დახურული საბჭოთა სივრცე გაიხსნა, უნდა ვადიაროთ, რომ ავსტრალიისა და ჩილეს მიერ წარმოებულმა ღვინოებმა პოზიციები დაგვათმობინა. ამავე დროს, საკმაო პოპულარობით სარგებლობს ქართული ღვინო ამერიკის შეერთებულ შტატებში. მა-

გალითად, მთელი წლის განმავლობაში, ჩვენი კორპორაცია, „ქინძმარაულის“ მარკის 1 მილიონ ბოთლს ასხამს. მთლიანი მოცულობის მხრივ 2% რჩება შიდაბაზარზე, 60% ამერიკაში გადის, დანარჩენი კი – იაპონიაში, რუსეთსა და ევროპის სხვა ქვეყნებში ნაწილდება. თუმცა, იმასაც გეტყვით, რომ უცხოეთში ქართული ღვინის მომხმარებელი ძირითადად, ქართული და რუსული დიასპორებია... რაც შეეხება ღირებულებას – ჩვენი ღვინოების საშუალო ფასი 14 ლარს შეადგენს, საზღვარგარეთ კი, 4 დოლარიდან იწყება. ქართული ღვინის პოპულარიზაციისთვის აუცილებელია სწორი, მიზანმიმართული პიარი. რეკლამირებისას ჩვენ ვცდილობთ, რომ აქცენტი ისტორიულ ღირებულებებზე, ტრადიციებზე, ღვინის დამზადების ტექნოლოგიებსა და იმ მიკროზონაზე გავაკეთოთ, სადაც ყურძენი იზრდება. უცხოელმა კი არა, ალბათ, ბევრმა ქართველმაც არ იცის, რომ „ქინძმარაული“, ყურძნის ჯიშის კი არა, კახეთის რაიონში არსებული მიკროზონის სახელწოდებაა. იგი მდებარეობს ყვარელში, კუდიგორის მთის ძირას, ნადურჯვალ ადგილზე. ნიადაგი ამ ტერიტორიაზე ქვიშიანი და ლურჯი ფერისაა; რაც მთავარია, ამ მიკროზონაში, ოქროს შემცველი ნიადაგია. ქინძმარაულის მიკროზონაში იზრდება, როგორც საფერავი, ასევე რქაწითელი და კაბერნეს ავინიონის ჯიშის ყურძენი. ზოგს მიაჩნია, რომ ღვინო სამარკო ნიშნით – „ქინძმარაული“ აუცილებლად წითელი ფერის უნდა იყოს. მაგალითისთვის, შემოიძლია, დავისახელოთ ვარდისფერი „ქინძმარაული“, რომლის შექმნის იდეაც ერთი გამოფენის დროს, რუსეთის სახალხო არტიტს ლიუდმილა ზიკინას მოუვიდა. ეს ღვინო მზადდება ე.წ. თვითნადენი წესით, დაღულების გარეშე და ქალბატონებისთვის არის განკუთვნილი. ისიც მინდა აღვნიშნო, რომ უკანასკნელი წლების განმავლობაში, საქართველოში ვენახების მნიშვნელოვანი ნაწილი გაიჩნა, ამან კი საფერავის ჯიშის ყურძნის დეფიციტი გამოიწვია. ქართული მეღვინეობის კიდევ ერთი დიდი პრობლემა, ფალსიფიკაცია გახლავთ. მაგალითად, „ქინძმარაულის“ სამარკო ნიშნით გამოდის რუმინული და ბულგარული ღვინოები, რომელთა საბაზრო ღირებულება გაცილებით ნაკლებია, ვიდრე ჩვენ მიერ წარმოებულის... ასე რომ, ქართული ღვინისთვის მსოფლიო ბაზარზე პოზიციების გამაგრება აუცილებელია, თორემ, არასასურველ ვითარებაში აღმოვჩნდებით.

– გარკვეული პერიოდის განმავლობაში, ავსტრალიაში გიმუშავიათ. როგორ ვითარდებოდა მეღვ-

„ჩვენი შვილი ჯგუფურად მოქალაქე“, — ამხედებს დაზარალებული

„შინო-4“-ში ჩადენილი დანაშაულის დეტალებს სასამართლო ეკლავ განიხილავს

6 წლის წინ, დაბა გუდაურში მდებარე სასტუმროში — „შინო-4“ — მომხდარი მკვლელობისა და ხულიგნობის დეტალები დღემდე განხილვის საგანს წარმოადგენს. ამჟამად ამ საქმეს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო პალატა სწავლობს. თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის ასპირანტის, 25 წლის გიორგი შავგულიძის (გამოჩენილი მსახიობის, გიორგი შავგულიძის შვილიშვილის) მკვლელობაში ბრალდებული, თბილისელი გიორგი გუდაძე უკვე გაასამართლეს. სასამართლომ ის მკვლელობის მცდელობაში ცნო დამნაშავედ და 10 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა. რაც შეეხება მეორე ბრალდებულს — ლევან ორახელაშვილს (საქმის მასალების თანახმად, სწორედ მისი იარაღიდან გასროლილი ტყვიით მიიღო სასიკვდილო ჭრილობა შავგულიძემ), ის ამა წლის ზამთარში დააკავებს სამართალდამცავებმა. სასამართლოს წინაშე ორახელაშვილი ჯერ არ წარმდგარა.

გიორგი გუდაძესთან ერთად, უზენაესი სასამართლოს კოლეგიამ კიდევ 5 განსასჯელი გაასამართლა: ძმები — 1975 წელს დაბადებული გიორგი და 1981 წელს დაბადებული დავით კიკნაძეები, 1981 წელს დაბადებული ალექსანდრე თაყაიშვილი, 1979 წელს დაბადებული შოთა მოლაშხია, 1981 წელს დაბადებული მიხეილ შუბლაძე — ყველანი თბილისელები არიან. დანაშაულის ჩადენის მომენტში ისინი 18-20 წლის ახალგაზრდები იყვნენ. როგორც საქმის მასალებით ირკვევა, ზემოთ ხსენებული პირები „შინო-4“-ში იმყოფებოდნენ იმ დროს, როცა გიორგი შავგულიძეს ესროლეს. პროკურატურამ მათ იმ ხულიგნურ ქმედებებში დასდო ბრალი, რომლებიც მკვლელობას უძღოდა წინ. ეს ბრალდება სასამართლომაც დაადასტურა.

1999 წლის 13 მარტს დილით, გიორგი შავგულიძე თავის მეგობარ გოგო-

ნასთან, თ. ჯოხაძესთან ერთად დაბა გუდაურში ჩავიდა, სამთო-სათხილამურო სპორტული ღონისძიებებისა და მოდების ჩვენებაზე დასწრების მიზნით. გუდაურში ახალჩასულებს, დღის პირველ ნახევარში, სათხილამურო ტრასაზე დავით ჩიქოვანი, ოდისეი დიმიტრიადი და გივი წულაძე შეხვდნენ. ისინი შავგულიძის ნაცნობები იყვნენ. გიორგის მათ თავიანთი მეგობარი, გიორგი კიკნაძეც გააცნეს. ცოტა ხანში, ერთმანეთს დაშორდნენ. დაახლოებით დღის 3-ის ნახევრისთვის, კვლავ შეხვდნენ ერთმანეთს მოდების ჩვენებაზე.

შავგულიძემ და ჯოხაძემ გუდაურში დარჩენა გადაწყვიტეს, მაგრამ ღამის გასათევი ადგილი არ ჰქონდათ. დიმიტრიადის, ჩიქოვანსა და კიკნაძეს „შინო-4“-ში ორთახიანი ლუქსი ჰქონდათ დაკავებული და შავგულიძეს დახმარება აღუთქვეს, უთხრეს — როგორმე თქვენთვისაც გამოვნახავთ ერთ ოთახსო. საღამოს 7-ის ნახევრისთვის, შავგულიძე, ჯოხაძე და დიმიტრიადი მივიდნენ სასტუმროში და ბარგი ნომერში შეიტანეს, მოგვიანებით მათთან კიკნაძე, წულაძე და ჩიქოვანიც მივიდნენ.

დაბინავების შემდეგ, ყველანი კოტეჯის პირველ სართულზე მდებარე ბარში ჩავიდნენ და ვახშობას შეუდგნენ. საღამოს 10 საათისთვის, ბარში დამსვენებელთა რაოდენობამ იმატა. ცოტა ხანში, მეგობრებთან ერთად იქ გიორგი კიკნაძის ძმა, დავით კიკნაძე, გიორგი გუდაძე, შოთა მოლაშხია, ალექსანდრე თაყაიშვილი და მიხეილ და გიორგი შუბლაძეებიც მივიდნენ. როგორც საქმის მასალებშია აღნიშნული, ზემოთ ხსენებული პირები კოტეჯამდე თავისი მამინაცვლის ავტომანქანით, თბილისის 22-ე გიმნაზიის მე-11 კლასის მოსწავლემ, ლევან ორახელაშვილმა მიიყვანა. თავად ორახელაშვილი მამინ ბარში არ შესულა, ის მოგვიანებით შეუერთდა მეგობრებს. ყველანი სვამდნენ ლუდს, არაყს და უსმენდნენ მუსიკას. საღამოს 11 საათისთვის, ბარის დახლოებულ მჯდომ შავგულიძესა და ჯოხაძესთან მთვრალი დავით კიკნაძე მივიდა. მან ჯოხაძის არყით სავსე ჭიქა აიღო და დალევდა დააპირა, მაგრამ შავგულიძემ მამ-

ინვე მისცა შენიშვნა და სთხოვა, მისი მეგობარი გოგონას ჭიქა დაუყოვნებლივ დაეღვა მაგიდაზე. კიკნაძემ მოთხოვნა შეასრულა, ყოველგვარი წინააღმდეგობისა და ზედმეტი შელაპარაკების გარეშე დალო ჭიქა და მეგობრებს დაუბრუნდა. შავგულიძემ გოგონა ოთახში აიყვანა, იქ თავდაცვით დაყო დაახლოებით 40 წუთი და შემდეგ, ისევ ბარში ჩავიდა. ამ დროს, იქ ალექსანდრე ბაგრატიონი, ირაკლი ორჯონიკიძე, ნიკოლოზ ბორჩხაძე და გიორგი კბილაშვილი შევიდნენ. კბილაშვილთან დაძაბული ურთიერთობა ჰქონდა გიორგი კიკნაძეს, რადგან 1998 წლის ზაფხულში, კბილაშვილის ახლობელმა მის თვალწინ მოკლა მისი უახლოესი მეგობარი — შოთაიკო კავსაძე. ამის გამო გაღიზიანებულმა და თანაც, ზომზე მეტად ნასვამმა გიორგი კიკნაძემ კბილაშვილის გამოწვევა სცადა — მის გასაგონად უმისამართოდ იგინებოდა და გამაღიზიანებლად ლაპარაკობდა. როდესაც სიტუაცია ძალიან დაიძაბა, კონფლიქტის თავიდან ასაცილებლად, კბილაშვილი და ორჯონიკიძე გარეთ გავიდნენ. ბორჩხაძე და ბაგრატიონი ბარში დარჩნენ. ისინი კიკნაძემ ბარის დახლოებულ მიიპატიჟა, ორივეს არაყი დაუსხა და შესთავაზა, გარდაცვლილი კავსაძის შესანდობარი შეეცვათ, თან ხმამაღლა განაგრძობდა ე.წ. „ზედმეტი პირების“ მისამართით ვინებას.

ბარში შექმნილმა დაძაბულობამ ბარმენი, იხოლდა ბურღული საგონებელში ჩააგდო. ხედავდა, რომ კონფლიქტური სიტუაცია სულ უფრო მწვავედებოდა და ამიტომაც ბარის თანამშრომლებს — კიკნაძის შვილს, გ. წულაძესა და მზარეულ ნ. ფერაძეს სთხოვა დახმარება, აცნობა მათ, რომ შესაძლებელი იყო, ბარში ჩხუბი ამტყდარყო. ამ დროს, ბაგრატიონი წესრიგისკენ მოუწოდებდა კიკნაძეს, რომელიც არ ცხრებოდა და ამბობდა — ბარში ყველა ჩემიანიაო, — „უცხოებს“ კი ავინებდა. სწორედ ამ დროს, მას შენიშვნა მისცა იქვე მყოფმა გიორგი შავგულიძემაც. ეს კიკნაძე იუკადრისა და შავგულიძეს ჩხუბი დაუწყო. ჩხუბში დავით კიკნაძე, მოლაშხია, მიხეილ შუბლაძე, ორახელაშვილი, გუდაძე, თაყაიშვილი და სხვებიც ჩაებნენ. როგორც

პროკურატურის მასალებში აღნიშნული, შავგულიძის მიმართ მათ მუქარას, შემდეგ კი – ფიზიკურ ძალადობასაც მიმართეს. ბარში არსებული ბოთლებისა და ჭურჭლის სროლის შედეგად, შავგულიძემ სხეულის მსუბუქი დაზიანება მიიღო. ჭრილობა აღნიშნებოდა თავის არემიც, თუმცა ექსპერტების მიერ ამ დაზიანების ხარისხი ზუსტად არ არის დადგენილი.

ბარში ჩხუბი დაახლოებით 4-5 წუთი გაგრძელდა. დაზიანდა ინვენტარიც. ჩხუბის დროს, როგორც პროკურატურა აღნიშნავს, მოძალადეების წინააღმდეგობის დაძლევისა და თავდაცვის მიზნით, შავგულიძემ თავისი გაზის პისტოლეტი ამოიღო. ამ მომენტში, მასთან მივარდა თაყიშვილი და პისტოლეტიანი ხელი დაუჭირა. შავგულიძემ მოახერხა მისგან თავის დაღწევა და ერთხელ გაისროლა კიდეც. ამის შემდეგ, გიორგი გულაძემ და ლევან ორახელაშვილმა თავიანთი იარაღებიდან პირდაპირი დამიზნებით, თითო-თითოჯერ ესროლეს შავგულიძეს ტყვიები. გულაძის მიერ „მაკაროვის“ სისტემის იარაღიდან გასროლილი ტყვია შავგულიძეს გულმკერდის მარცხენა მხარეს მოხვდა, ორახელაშვილის კუთვნილი „კსმ“ სისტემის ცეცხლსასროლი იარაღიდან ნახროლი ტყვია კი – გულმკერდის მარჯვენა მხარეს. შავგულიძე სამედიცინო პუნქტში მიყვანამდე გარდაიცვალა.

1999 წლიდან მოყოლებული, აღნიშნული სისხლის სამართლის საქმე არაერთხელ გახდა სასამართლო განხილვის საგანი, მაგრამ მოსამართლეები საბოლოო განაჩენამდე ვერ მიდიოდნენ და საქმეს ისევ პროკურატურას

უბრუნებდნენ. არც ერთი განსასჯელი არ ცნობდა თავს დამნაშავედ და საბოლოო სიტყვაში გამართლებას მოითხოვდნენ, მათ შორის – გულაძეც. მისი ჩვენების თანახმად, მას შავგულიძისთვის არ უსვრია და არც ის დაუნახავს, თუ ვინ ესროლა. გიორგი კიკნაძემ განაცხადა, რომ ბარის კართან შენიშნა უცნობი, რომელსაც ძირს დაშვებულ ხელში პისტოლეტი ეჭირა. ამ ჩვენების მიხედვით, შავგულიძისთვის სავარაუდოდ, სწორედ იმ უცნობს უნდა ესროლა. ყველა განსასჯელი აღნიშნავდა, რომ შავგულიძის მიერ გაზის პისტოლეტიდან გასროლის შემდეგ, ბარში კვალი დაღვა და მათ თვალები აეწვათ, ამის გამო ადამიანთა ფიგურებს ვერ არჩევდნენ. განსასჯელთა თქმით, თავდასხმა პირველად სწორედ შავგულიძემ განახორციელა, გაზის პისტოლეტიდან გაისროლა და თან დაიძახა – ყველას დაგზოცავთო!.. აღსანიშნავია ისიც, რომ წინასწარი გამოძიების პერიოდში, ბრალდებულებს საწინააღმდეგო ჩვენებები ჰქონდათ მიცემული. მაგალითად, გულაძე ამბობდა, რომ ჩხუბის დროს, ბარის კიბესთან დაგდებული „მაკაროვის“ პისტოლეტი იპოვა და იმ მომენტში, როცა წაიქცა, შემთხვევით გამოჰკრა სასხლეტს თითი. სასამართლო სხდომებზე განსასჯელთა ადვოკატები აცხადებდნენ, რომ გამოძიებისას მიცემული ყველა ჩვენება, განსასჯელთა მიმართ პროკურატურის მხრიდან განხორციელებული ძალადობისა და მუქარის შედეგად იყო მიღებული. ადვოკატები პროტესტს გამოთქვამდნენ, ისინი მათი დაცვის ქვეშ მყოფთა გამართლებას მოითხოვდნენ და აცხადებდნენ, რომ ისინი უკანონო პა-

ტიმრობაში იმყოფებოდნენ.

სასამართლომ განსასჯელთა ჩვენებები არ გაიზიარა, ისინი დამნაშავეებად ცნო, მაგრამ მათ მიმართ ლოიალურობა გამოიჩინა და გულაძის გარდა, ყველა სხვას პირობითი სასჯელი (2 წლის გამოსაცდელი ვადა) შეუფარდა. მიუხედავად ასეთი განაჩენისა, მსჯავრდებულების ადვოკატები მაინც უკმაყოფილოები დარჩნენ და საკასაციო პალატას მიმართეს საჩივრით. ისინი კოლეგის მიერ გამოტანილ განაჩენს უკანონოს უწოდებენ და მსჯავრდებულთა გამართლებას მოითხოვენ. რაც შეეხება დაზარალებულს, მოკლულის დედას, **მანანა შაქარაშვილს** – ის აღშფოთებას გამოთქვამს ამ ფაქტის გამო. „ვერ გამოგია, რას ასაჩივრებენ ადვოკატები. ყველა განსასჯელი დარბაზიდან გაუშვა მოსამართლემ და მხოლოდ პირობითი სასჯელი აკმარა მათ, მიუხედავად მათ მიერ ჩადენილი ჯგუფური დანაშაულისა, რასაც ჩემი შვილის სიცოცხლე შეეწირა. გიორგი ჯგუფურად მოკლეს, მაგრამ ამის აღიარება პროკურატურას არ უნდა. საქმე განგებ ჩახლართეს და რამდენიმე ნაწილად დაყვეს, ყველაფერი არიეს იმისათვის, რომ როგორმე ეს ხალხი პასუხისმგებლობისგან ეხსნათ. უბრალო ოჯახიდან არც ერთი განსასჯელი არ გახლავთ, ბევრ მთვანს საკმაოდ გავლენიან თანამდებობის პირებთან აქვს ახლო ურთიერთობა. გავლენიანი პირების კვალი ამ საქმეს აშკარად ეტყობა“, – აცხადებს დაზარალებული.

მარინა შაქარაშვილი სასამართლო დიებაში საქმის დაბრუნებას მოითხოვს. საკასაციო პალატა მხარეებს 11 ივლისს მოუსმენს.

„გიორგი გონგლაძე უდანაშაულოა“, — კახაბერს ადვოკატი

გონგლაძე პროკურატურის მიერ ლევან კალაძის მამისათვის ფულის გამოძალვის ფაქტშია ეჭვმიტანილი

29 მარტს, ქარელის რაიონში, პოლიციამ ორი პირი – იური ნოზაძე და გიორგი გონგლაძე დააკავა. დაკავების საფუძველი, როგორც სამართალდამცავები აცხადებენ, ორი დღით ადრე, კახი კალაძის ოჯახში განხორციელებული სატელეფონო ზარი გახდა. გატაცებული ლევან კალაძის მამას უცნობი პირი გარკვეული ინფორმაციის სანაცვლოდ ტელეფონით 20 ათას დოლარს სთხოვდა.

ანონიმური შეტყობინების თანახმად,

ლევან კალაძის მამას თანხა ქარელის რაიონის სოფელ მოხისში მდებარე რკინიგზის ბაქნის ტერიტორიაზე უნდა მიეტანა. სწორედ ამ ტერიტორიაზე დააკავა პოლიციამ ნოზაძე და გონგლაძე.

არასამთავრობო ორგანიზაცია „კონსტიტუციის 42-ე მუხლი“-ს ადვოკატი დიმიტრი ხაჩიძე აცხადებს, რომ პოლიციამ უდანაშაულო გონგლაძე დააკავა. „გამოძიების ვერსიით, ეჭვმიტანილებს არანაირი ინფორმაცია არ ჰქონდათ, მათ მხოლოდ ოჯახისთვის თანხის გამოძა-

ლვა სურდათ. მათ ბრალი არასწორი კვალიფიკაციით, თადღიითობის მუხლით წაუყენეს. გიორგი გონგლაძეს ბრალი არ უმტკიცდება, რადგან ის დაკავების დროს ნოზაძესთან ერთად სრულიად შემთხვევით იმყოფებოდა. ამას გარდა ნოზაძე ბრალს აღიარებს, გონგლაძე კი პატიმრობაში უკანონოდ და უსაფუძველოდ იმყოფება“, – აცხადებს ადვოკატი.

ის ეჭვმიტანილი გონგლაძის დაუფონებელივ გათავისუფლებას მოითხოვს.

ავტოსაგზაო შემთხვევას 21 წლის ახალგაზრდა ემსხვერპლა

ერთი წლის წინ, გაზაფხულზე, თბილისში, რუსთაველის გამზირზე მომხდარი ავტოსაგზაო შემთხვევის შედეგად, თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტი — 21 წლის ლევან ლაგაზიძე დაიღუპა. მომხდართან დაკავშირებით აღძრული სისხლის სამართლის საქმე რამდენიმე დღის წინ, თბილისის საქალაქო სასამართლოს კოლეგიამ განიხილა. ავტომანქანის მძღოლი — 32 წლის განსასჯელი წარდგენილ ბრალდებებში თავს დამნაშავედ არ ცნობდა, მაგრამ კოლეგიამ პროკურატურის ბრალდება დაადასტურა, მძღოლი დამნაშავედ ცნო და მას 4 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა.

შემთხვევა ღამის პირველ საათზე მოხდა. იმ საღამოს ლევან ლაგაზიძე ახალგაზრდა რეჟისორების დაჯილდოების ცერემონიაზე იმყოფებოდა. მიღებული ჯილდოთი გახარებულმა, ეს ფაქტი მეგობრებთან ერთად „მწვანე ბარში“ აღნიშნა. როგორც მეგობრები ამბობენ, ლევანმა ცოტა ალკოჰოლური სასმელი დალია და ოდნავ შეზარხოშებული იყო. ისინი ერთმანეთს რუსთაველის გამზირზე დაშორდნენ. ლევან ლაგაზიძემ ჩქარი ნაბიჯით გასწია შინისკენ და მაშინ, როცა ქუჩაზე გადადიოდა, მას დიდი სიჩქარით მიმავალი „ფოლკსვაგენი“ დაეჯახა.

მძღოლი 1973 წელს დაბადებული იოსებ სიმონიშვილი აღმოჩნდა. როგორც საქმის მასალებშია აღნიშნული, შეჯახების შემდეგ, მან მანქანა დაახლოებით 10-15 მეტრში გააჩერა და თავად, დაშვებულთან მივიდა. როცა ნახა, რომ ახალგაზრდა ბიჭი გონდაკარგული იწვა ქუჩის სავალ ნაწილზე, მაშინვე ახლოს მდებარე კაზინო „ფლამინგოსკენ“ გაიქცა და იქ მყოფ მის თანამშრომლებს სთხოვა, „სასწრაფო დახმარება“ გამოეძახებინათ. თავად სიმონიშვილი ამბობს, რომ ის „სასწრაფოს“ მისვლას დაელოდა (საქმის მასალების მიხედვით, „სასწრაფო დახმარება-03“ შემთხვევის ადგილზე გამოძახებიდან დაახლოებით 15 წუთში მივიდა), მაგრამ პროკურატურის განცხადებით, სიმონიშვილმა მანამდე დატოვა შემთხვევის ადგილი, თავისივე ავტომანქანით წავიდა და განსაცდელში მყოფი ლაგაზიძე მიატოვა.

მოგვიანებით, ის საკუთარი ნებით გამოცხადდა პოლიციაში და მომხდარის შესახებ განაცხადა. სამართალდამცველებმა მას პატიმრობა შეუფარდეს, წინასწარი გამოძიების დასასრულს კი, პროკურატურამ ორი მუხლით წაუყენა ბრალი: სიმონიშვილს ავტოსაგზაო წესების დარღვევაში (რასაც ადამიანის სიკვდილი მოჰყვა) და დაშვებულის განსაცდელში მიტოვებაში დასდეს ბრალი.

პროკურატურის ინფორმაციით, სიმონიშვილი „ფოლკსვაგენს“ მინდობილობის გარეშე მართავდა. 2004 წლის 27 აპრილს, ღამის პირველი საათისთვის, ის რუსთაველის პროსპექტზე, რესპუბლიკის მოედნის მხრიდან თავისუფლების მოედნის მიმართულებით მოძრაობდა. ავტომანქანას 127 კმ/სთ სიჩქარით მართავდა. ამ სიჩქარით ჯერ წინ მოძრავ „უიგულის“ გაუსწრო და შემდეგ, ქვეითად მოსიარულე ლაგაზიძეს დაეჯახა. პროკურატურის განცხადებით, მოძრაობისას სიმონიშვილს სვლა არ შეუწყობია, დასახლებულ ადგილებში, მათ შორის რუსთაველის გამზირზე, კანონის თანახმად, მძღოლმა ავტომანქანა უნდა მართოს არა უმეტეს 60 კმ/სთ სიჩქარით.

სასამართლო პროცესზე დაზარალებულმა — მოკლულის მამამ განსასჯელის მხარისგან მორალური და მატერიალური ზიანის ასანაზღაურებლად, 500 ათასი ლარი, პროკურატურამ კი სიმონიშვილისთვის 6 წლით თავისუფლების აღკვეთა მოითხოვა. მოწინააღმდეგე მხარე ამ მოთხოვნებს პროტესტით შეხვდა.

ავთანდილ ტყეშელაშვილი, სიმონიშვილის ადვოკატი:

„წინასწარი გამოძიება სერიოზული დარღვევებით წარიმართა. ახლა კი, პროკურატურის წარმომადგენელმა სრულიად უსაფუძვლოდ მოითხოვა განსასჯელისთვის 6 წლით თავისუფლების აღკვეთა. კოლეგიის თავმჯდომარემ — ფუხაშვილმა ისე დაასრულა სასამართლო დიება და კამათზე გადავიდა, რომ მტკიცებულებები არ გამოუქვეყნებია. ყოველივე აქედან გამომდინარე ვაცხადებ, რომ აშკარად ირღვევა პატიმრობის უფლებები. მაგალითად, საბრალდებო დასკვნაში პროკურატურა მიუთითებს: ბრალდებულს დამამძიმებელ გარემოებად უნდა შეერაცხოს ის, რომ ის ნაწილობრივ ცნობს თავს დამნაშავედ. ეს აბსურდია

და ამზე სასამართლომ არ უნდა დახუჭოს თვალი. ფაქტია, რომ გამოძიებული თავიდანვე მოექცა დაზარალებული მხარის გავლენის ქვეშ. ეს სასამართლო სხდომაზეც გამოიკვეთა, რადგან დაზარალებულის ადვოკატმა არაერთხელ ხაზგასმით აღნიშნა, რომ ლაგაზიძე, გიორგი ხაინდრავას მოსწავლე იყო. ბუნებრივია, ამ გვარის წამოტივტივება პროცესზე შემთხვევითი არ ყოფილა: ამით დაზარალებული სასამართლოზეც ცდილობს ერთგვარი გავლენის მოხდენას. საბრალდებო დასკვნაში მოყვანილი ფაქტები სიმართლეს არ შეესაბამება, პროცესზე დაკითხულ მოწმეთა ჩვენებებს კი პროკურორმა არასწორი ინტერპრეტაცია გაუკეთა. რატომღაც არაფერს ამბობენ იმაზე, რომ საგზაო წესები უხეშად დაარღვია თავად ლაგაზიძემ: მან სწრაფად, მოულოდნელად გადაურბინა წინ სიმონიშვილის მანქანას იმ ადგილზე, სადაც ქვეითად მოსიარულის გადასვლა საერთოდ აკრძალულია. იქ არც შეუქნიშანი იყო და ლაგაზიძეს მიწისქვეშა გადასასვლელით უნდა ესარგებლა. სიმონიშვილს არც შემთხვევის ადგილი მიუტოვებია. დაირღვა საპროცესო ნორმებიც. გამოძიებული სიმონიშვილს ძალით აწერიან ბედა ხელს განცხადებებზე, თითქოს ის თანახმა იყო, ადვოკატის გარეშე მიეცა ჩვენება. ამით, ფაქტობრივად, დაცვის გარეშე დატოვეს. გამოძიებულის კარნახით დაწერა პირველი ჩვენებაც. ერთგან იმასაც წერს — გავეცანი ავტოტექნიკური ექსპერტიზის დასკვნას და პრეტენზია არ გამაჩნიაო. ამ დასკვნაში მისი საწინააღმდეგო ფაქტებია დაფიქსირებული და თავისი ნებით ასეთ რამეს ხელს არ მოაწერდა.“

ადვოკატის არგუმენტები სასამართლო კოლეგიამ არ გაიზიარა. სიმონიშვილი ორივე მუხლით ცნეს დამნაშავედ. 276-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულისათვის მას — 3 წლით, ხოლო 127-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულისთვის — 1 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯეს, საერთო რეჟიმის სასჯელაღსრულების დაწესებულებაში მოხდით. განაჩენს, სავარაუდოდ, ორივე მხარე გაასაჩივრებს. მსჯავრდებულის მხარე მიიჩნევს, რომ სასჯელი ძალზე მკაცრია, დაზარალებული კი, პირიქით, მას ზედმეტად მსუბუქად მიიჩნევს.

უკვე გაცვეთილია ქართულ შოუბიზნესში არსებული სავალალო მდგომარეობის თემა. და არც იმის თქმა იქნება დიდად ორიგინალური, რომ კლიპმეიკერებიც პრაქტიკულად უშემოსავლოდ არიან დარჩენილი. თუმცა, ჩვენს დღევანდელ რესპონდენტს, სხვებისგან განსხვავებით გაუმართლა და სულ ახლახან, კიდევ ერთი ახალი — ანა ჯაკის კლიპის გადაღება დაასრულა. გარდა ამისა, იგი სხვა, გაცილებით დიდ პროექტებზეც მუშაობს, რომლის შესახებაც თავად პროფესიით კინორეჟისორი და ამავე დროს, მისივე სიტყვებით რომ ვთქვათ, არცთუ ისე ძვირად ღირებული კლიპმეიკერი, ბიზბ აბლაძე გვესაუბრება.

იღუმაფებით მოცული კინოტექსტი, რომელშიც ჩეისონის საყვარელი მსახიობებიც კი აწ მონაწილეობენ

ნათია ქვიციანი

— გიგა, ამ ეტაპზე რას საქმიანობ? როგორ ვითარდება შენი სარეჟისორო კარიერა?

— ამჟამად ვიღებ მხატვრულ ფილმს, რომელსაც ჰქვია „ერთი დღე“. გადაღებები თითქმის დასრულებულია, მხოლოდ ფილმის 20%-ი დარჩა გადასაღები. ვიმედოვნებ, რომ ამ ყველაფერს მალე დავასრულებ.

— რაიმე ფესტივალზე ხომ არ აპირებ ამ ფილმის წარდგენას?

— კი, ამ თემაზე საუბარი ხშირად მქონია პროდიუსერებთან. ამ ფილმს კენეციის კინოფესტივალზე წარვადგენ. სხვა ფესტივალებზეც მინდოდა მისი გატანა და ვქართობდი გადაღების დასრულებას, მაგრამ როგორც ყოველთვის, სიჩქარით კარგი არაფერი გამოდის, ამიტომ მიჩვენია, მშვიდად ვიმუშაო.

— ამ ფილმის მოკლე შინაარსს ხომ ვერ გვიამბობდით?

— ეს არის ფსიქო-კომედიური ჟანრის ფილმი, სადაც ასახულია ადამიანთა ისეთი პათოლოგიები, როგორებიც საკმაოდ ხშირად ხდება ჩვენი ცხოვრებაში, მაგრამ ამ შემთხვევაში ეს პათოლოგიები თუმორისტული ფორმითაა გადმოცემული. თუმცა უნდა აღვნიშნო, რომ საქართველოში ხალხი ასეთი ფილმის საყურებლად მზად

არ არის. ამიტომ, ჯერ არც ვიცი, ვაჩვენებ თუ არა ამ ფილმს საქართველოში. აგრეთვე ისიც უნდა აღვნიშნო, რომ ფილმის პროდიუსერი, ჩემი ახლო მეგობარი, მამუკა ხაზარაძე გახლავთ, რომელთან ერთადაც მოგვიანებით გადავწყვეტ, ვუჩვენოთ თუ არა იგი ქართველ მაყურებელს. მე თვითონაც მართლა ძალიან ველაპყრო...

— ეს ფილმი თქვენი პირველი კინონამუშევარია?

— მიმანია, რომ როგორც სერიოზული ნამუშევარი, პირველია. მანამდე გადაღებული მაქვს მოკლემეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „ორი რვაზე“. ახლა კი, ამ ფილმის გადაღებას დავასრულებ თუ არა, კიდევ ერთ ახალ პროექტზე დავიწყებ მუშაობას. ფრანგებისგან მაქვს შემოთავაზება, რომ გადავიღო ფრანგული ფილმი. ამ საკითხზე კომპანია „ავსტრიის ავიახაზებთან“ მიმდინარეობს მოლაპარაკებები, ისინი იქნებიან ჩვენი პარტნიორები. ენახოთ, რა იქნება. ამას წინასწარ საუბარი არ მინდა, რადგან მეშინია, არაფერი გაფუჭდეს... უნდა აღვნიშნო, რომ საქართველოში რეჟისორად მუშაობა ძალზე რთულია. ქართველებს რატომღაც ისეთი მენტალიტეტი გვაქვს, რომ ყველანაირ სიხალეს რთულად ვიგებთ. პრეცედენტი იმისა, რომ ქართული ფილმი დაფინანსებულიყო რომელიმე სერიოზული კომპანიის მიერ, ჯერ არ ყოფილა... ფილმის გადაღება საქართველოში, როგორც უკვე აღვნიშნე, ძალზე რთულია. რეჟისორმა, თავისი საქმის გარდა, მილიონი ადამიანის ფუნქცია უნდა შეითავსოს: მსახიობებზეც უნდა იფიქროს, განათებაზეც და ა.შ., რადგან არ გვაქვს საშუალება, რომ დიდი შტატი დავიქირავ-



ოთ. რეჟისორმა ყველას მაგივრად უნდა იფიქროს. არადა, საათნახევრიანი ფილმია და სამარცხვინოა, რომ ვთქვა, რა მიწიმაღური თანხაა მასში ჩადებული...

— იქნებ, მაინც გვითხრაოთ, რა გიჯდებათ ეს ფილმი?

— არა, ამას ამ ეტაპზე, ნამდვილად ვერ გეტყვით.

— მაშინ ის მაინც გვითხრაოთ, მთავარ როლებში ვინ გყავთ დაკავებული?

— ამ ფილმს აქვს ერთი ასეთი პრინციპი: მასში არც ერთ პროფესიონალ მსახიობს არ უნდა მიეღო მონაწილეობა, რადგან სპეციფიკურად და ჟანრობრივად ეს სურათი სხვანაირადაა გადასაღები... მიჭირს ამის მიზეზის ჩამოყალიბება... როდესაც როლების კასტინგი მქონდა, პროფესიონალებიც მივიღე და მომავალი მსახიობებიც, მაგრამ მათმა თამაშმა არ დამაკმაყოფილა. სხვათა შორის, საკმაოდ რთული იყო ამ როლებზე ტიპაჟების შერჩევა. შუა გადაღების დროს მივხვდი, რომ ერთ-ერთი გოგონა იმაზე მეტად ნიჭიერი ყოფილა, ვიდრე მე მჭირდებოდა და წარმომედგინა... მოკლედ რომ ვთქვა, არ მინდოდა, ჩემს ფილმში პოპულარული სახეები ყოფილიყვნენ, რადგან ძალიან ბანალური გამოვიდოდა. მე ვიტყვდი, რომ საქართველოში ისეთი დიდი მსახიობი არ გვყავს, როგორც ზურა ყიფშიძეა. მე მას ძალზე კარგად ვიცნობ და ვმეგობრობთ კიდევ. სხვა მსახიობებთანაც მაქვს კარგი ურთიერთობა, მაგრამ არც ერთი მათგანი ამ მოვიწვიე ფილმზე.

— ახლა თქვენს ძირითად საქმიანობაზე — კლიპმეიკერობაზეც ვისაუბროთ. რატომ იღებთ კლიპებს? მხოლოდ იმიტომ, რომ ეს თქვენთვის შემოსავლის წყაროა თუ დაუფინანსებლობის გამო ფილმს რომ ვერ იღებთ, კლიპით ინაზღაურებთ პროფესიონალურ შიმშილს?



ჯგუჯ „ვინდის“ გადაღებისას

— რა თქმა უნდა, კლიპის გადაღება ჩემი შემოსავლის წყაროსაც წარმოადგენს. საერთოდ, ძალზე რთულია, როცა რაღაცის გამო, სხვა რაღაცას აკეთებ. ამ ნათქვამში იმას ვგულისხმობ, რომ იყო დრო, როცა კლიპებიდან შემოსულ თანხას ფილმს ვახმარდი, ვიდრე მამუკა ხაზარაძე მომეკლინებოდა სპონსორად. ძალზე რთულია, როცა მთელი გონებით ფილმზე ხარ გადართული და ამ დროს იზულბული ხდები, სხვა რამეებზეც იფიქრო. საქართველოში არ არსებობს ბიზნესმენი, რომელიც ქართულ ფილმს დააფინანსებს. მქონია შემთხვევები, როდესაც ზოგიერთი მსხვილი ბიზნესმენისთვის შემითავაზებია, გარკვეული თანხა გაეღო, მაგრამ იცით, რა მითხრეს? რა ფილმი, რის ფილმი?! — აბა, ნახვამდისო...

— კლიპზე მუშაობა რამდენად ადვილია თქვენთვის?

— თუ კარგი და ჯანსაღი მუსიკაა, მაშინ კლიპზე მუშაობა მართლა ადვილია. მუსიკოსმა კარგი პროდუქცია უნდა მიუტანოს რეჟისორს და თავიც უნდა შეაყვაროს — ასეთ შემთხვევაში, კლიპიც კარგი გამოდის. თუ ეს ყველაფერი არ იქნება, მაშინ შესაძლებელია, რომ მომღერალს კლიპის გადაღებაზე უარი ეუთხრა.

— გქონიათ ასეთი შემთხვევა?

— რა თქმა უნდა, იყო ასეთი შემთხვევა, მაგრამ ეს ადრე იყო, როდესაც მართლა ბევრი შემოთავაზება მქონდა. ისე, არც კლიპზე მუშაობაა იოლი. ამ სუთუნითან რგოლსაც დიდი დატვირთვა აქვს. რაიმე ფორმა უნდა ავირჩიო და მაყურებელს სულ სხვადასხვა სიუჟეტი შევთავაზო. ახლა სადღა ასე — მომეწონება თუ არა სიმღერა, არჩევანი აღარ გვაქვს... იმდენ თანხას კლიპში არავინ იხდის, რამდენიც საჭიროა, ამიტომ საუკეთესო ხარისხზე საუბარიც არ შეიძლება. საქართველოში სერიოზული კლიპი ჯერ არ გადაღებულა, რადგან ძალზე ძვირი ჯდება. აქ არც გადახდა

უნდათ და თან, კარგ ხარისხსაც ითხოვენ.

— თქვენ ენ. ძვირად ღირებულები კლიპმეიკერი ხართ?

— ასე ამბობენ, მაგრამ ძვირად ღირებულები ნამდვილად არ ვარ. ჯერ არც ერთი კლიპი არ გამიკეთებია, რომელიც რაღაც კოლოსალური თანხა დამჯდარა და საქართველოში მგონი, ძვირად ღირებული კლიპი საერთოდ არავის გადაუღია.

— მახსოვს, მომღერალ ნინას ბოლო კლიპი, ცრემლების გამო გადაუღეთ...

— გივას ცრემლების არ სჯერა...

— როგორც ჩანს, ნინას საკმაოდ „დამაჯერებელი“ ცრემლები აქვს. როგორც მახსოვს, მას სხვისი გადაღებული კლიპი არ მოსწონდა და ამის გამო, იმავე სიმღერაზე ახალი კლიპი თქვენ გადაუღეთ...

— ეგ სპექტაკლია, რა... მაშინ არავის არ უტირია, უბრალოდ, ნინა იმ კლიპის გამო ძალზე მოწყენილი იყო და მე დავეხმარე.

— როგორ, უფასოდ გადაუღეთ კლიპი?

— ნინას ფულს ნამდვილად ვერ გამოვართმევდი.

— ეი. ამიტომაც, რომ ნინას მხოლოდ თქვენ მიერ გადაღებული კლიპები აქვს...

— არა. სხვათა შორის, პირველ ორ კლიპში ნინამ საკმაოდ დიდი თანხა გადაიხდა, მაგრამ იმ კლიპების გადაღების დროს დავმეგობრდით და ბოლო კლიპი ამიტომ ვაჩუქე.

— როგორც შევიტყვეთ, ახლა ანა ჯაკოს კლიპზე მუშაობ...

— ვმუშაობდი — უკვე დავამთავრე ანას კლიპი და როცა თვითონ მოისურვებს, მაშინ გამოვა ეკრანებზე.

— ამ კლიპშიც ანასთვის ჩვეულებრივ ინტიმური სცენებია?

— კარგი, რა, ერთი ის მითხარით, რა სჩვევია ანა ჯაკოს?.. რა მოხდა, თუ კლიპში ვთქვით, ვიღაცას მოეფერება ან ცოტა სიშიშვლეს გამოაჩენს?

— არაფერიც არ მოხდა. მე

უბრალოდ ვიკითხე — არის თუ არა ამ კლიპში მსგავსი სცენები?

— არა მგონია, ამ კლიპში რაიმე ინტიმური იყოს. ყოველ შემთხვევაში, მე ასე არ ვფიქრობ.

— ორიოდე სიტყვით თქვენს მუსიკალურ კარიერაზეც გვიამბეთ. ჯგუფ „ვინდის“ რაიმე სიახლე თუ აქვს?

— კი, ახლა თითქმის დავასრულეთ ალბომზე მუშაობა, რომელსაც ჩვენი მსმენელი ძალიან ძალიან იხილავს.

— ამ ჯგუფის კლიპებიც თქვენ გადაღებული იყო?

— რა თქმა უნდა.

— თქვენს ოჯახზეც გვითხარით რამე.


— მყავს მეუღლე, თუ ავლაძე, რომელიც დიზაინერია. მე თვითონ რამდენად კარგი მეუღლე ვარ, არ ვიცი. ძალზე რთული ხასიათი მაქვს. ალბათ აუტანელიც ვარ. ხანდახან განმარტობაც მიყვარს და იმ დროს, არავის დანახვა არ მინდა ზოლმე. მოკლედ, ძალზე ცვალებადი და უცნაური ხასიათი მაქვს. რაც შეეხება თეას — თავის კარიერაში დიდი წარმატებები ჯერ არა აქვს, მაგრამ ძალიან ბევრი ცნობილი ადამიანი ყოფილა მისი კლიენტი. საოცრად თავმდაბალია და არ ყვირის თავისი საქმიანობის შესახებ, მაგრამ ალბათ არც აქვს საყვირლად საქმე. მოკლედ, თავისი საქმის თვითონ იცის, მე მხოლოდ, რაშიც დაეჭვირები, დავეხმარები... მე და თეას ორი შვილი გვყავს. საკმაოდ ნიჭიერი და განათლებული შვილები მყავს. მაგალითად, ერთ დღეს ავდექი, სახლიდან გავედი და რომ დავბრუნდი, კლიპის აწყობა, რომელიც დაწყებული მქონდა, უფროსმა შვილმა, ვაკომ (რომელიც ჯერ მხოლოდ 13 წლისაა) დასრულებული დამხვედრა. მართალია, მერე მე ის კლიპი სულ სხვანაირად გადავაკეთე, მაგრამ გეფიცებით, ვაკოს გაკეთებული ჩემსას ბევრად სჯობდა... მას უნდა, რომ რეჟისორი გამოვიდეს. რაც შეეხება უმცროს ვაკს, ნიკუმას, რომელიც 5 წლისაა — ჯერ შტერია, მაგრამ იდეალური მუსიკალური სმენა აქვს. თუმცა, მე არც ერთ შვილს არ მიეცემ მითითებას იმის თაობაზე, თუ ვინ უნდა გამოვიდეს, მაგრამ ნამდვილად არ მინდა, რომ რომელიმე მათგანი მომღერალი იყოს. ეს ყველაზე ცუდი ვარიანტია, რასაც ისინი აირჩევენ. ოპერის მომღერალი თუ იქნება რომელიმე მათგანი, კი, ბატონო, მაგრამ ეწ. შოუბიზნესის წარმომადგენლები არ მინდა, რომ იყვნენ.

— რატომ?

— ახლა შოუბიზნესზე ლაპარაკი რომ დავიწყო, კიდევ ერთი კასეტა არ გეყოფათ ამის ჩასაწერად. თუმცა, არ მინდა ახლა, ვინმეს გაკრიტიკება დავიწყო. ყველამ თავის საქმეს მიხედოს...



შვილთან, ვაკოსთან ერთად, ფილმის გადასაღებ მოედანზე



მყავს მეუღლე, თუ ავლაძე, რომელიც დიზაინერია

როსა არჩევანის წინაშე დავდები



„არჩევანი ერთი კვირის წინ გავაკეთე და უმუშევარი დავრჩი...“

მართლაც ძალზე ძნელია არჩევანის გაკეთება მაშინაც კი, როცა საქმე ცხოვრებისეულ ნფრთხილმანს ეხება. ალბათ პაემანზე წასვლის წინ ხშირად მდგარხართ სარკესთან საათობით და მთელი თქვენი გარდერობი გადაგისინჯავთ: წითელი ჩაიცვა თუ შავი? მოკლე თუ გრძელი? კაბა თუ შარვალი? როგორც იქნა, გადაწყვიტეთ? მაღლობა ღმერთს!.. თმა? ჩამოშლილი სჯობს თუ „ცხენის კუდი“?.. ახლა უკვე პაემანზე გაგვიანდებათ და აღარ გრჩებათ დრო, გადანწყვიტოთ, მეტროთი წახვიდეთ თუ „მარშრუტით“. იქნებ, ტაქსით წასულიყავით?.. როცა ასეთი ნფრთხილმანების გამო ამდენს ფიქრობთ, მნიშვნელოვან საკითხზე ხომ უფრო მეტი დაკვირვება გმართებთ! ჰოდა, ჩვენს მკითხველებსაც სწორედ ეს პრობლემა ანუხებთ... ჩვენი პირველი რესპონდენტი, 18 წლის გოგონა გახლავთ. მას გოგოსა და ბიჭს შორის არჩევანის გაკეთებამ მოუწია და საბედნიეროდ, ლესბოსელის სახელს მაინც მამაკაცთან ურთიერთობა ამჯობინა.

მარი ჯაშარიძე

„მინდოდა, მამაკაცის ალერსის გემო გამეგო“...

„მე ნათია ვარ, 18 წლის. ვარ ფსიქოლოგიური ფაკულტეტის სტუდენტი, პროფესიონალი მოდელი, ძალზე მკაცრ და კარგ ოჯახში აღზრდილი, საკმაოდ ცნობილი ადამიანების დედის ერთა შვილი. მამაკაცების მიმართ ინტერესი ძალზე ადრე, 10 წლის ასაკში გამიჩნდა. ჩემს ასაკთან შედარებით გაცილებით უფროსად გამოვიყურებოდი, ამიტომ ჩემს თაყვანისმცემლებს შორის 20-22 წლის ბიჭებსაც შეხვდებოდი... 14 წლის ასაკში შემიყვარდა 18 წლის ბიჭი. ყველა თემაზე ვსაუბრობდით ხოლმე, მათ შორის სექსზეც. ამ ბიჭმა ჩათვალა, რომ ვინაიდან ამ თემაზე საკმაოდ გახსნილად ველაპარაკებოდი, მამაკაცთან ურთიერთობის გამოცდილებაც მქონდა და მონდომა ჩემთან ფიზიკური ურთიერთობა, მაგრამ მე სასტიკი უარი ვუთხარი. ხომ იცით, ქართველი მამების, ძმებისა და საერთოდ, მამაკაცების დამოკ-

იდებულება ქალწულობის ინსტიტუტთან? სწორედ ამიტომ ვერ გადავწყვიტე, მასთან დავწოლილიყავი, თუმცა ამის სურვილი ნამდვილად მქონდა. უზომოდ მინდოდა, გამეგო მამაკაცის ალერსის გემო, მაგრამ ვერ ვბედავდი. ერთ დღეს ჩემს დაქვლთან, მაკასთან სტუმრად გახლდით. მაშინ 15 წლის ვიყავი. ოთახში მარტო ვიყავით და სექსზე ვსაუბრობდით. უზომო სურვილი ვიგრძენი, რომ ვინმეს მოვფერებოდი. მაკას ჩავეხვიე და ტუჩებში ვაკოცე. წინააღმდეგობა არ გაუწევია. მოეწონა. მეც მომეწონა, მაგრამ საქმე ამის იქით აღარ წასულა... გავიდა 2 წელი. ერთ საღამოს, მეორე დაქვალს, ლიას ვესტუმრე, ცოტა სასმელი დავლიეთ... ლიამ მკითხა – ტუჩებში კოცნა იცო? – კი-მეთქი. – მოდი, მასწავლეო... მეც ავდეგი და ვასწავლე. მერე მითხრა – შენთან მინდა... ჩემი და ლიას ურთიერთობა კარგა ხანს გაგრძელდა. ჩვეულებრივი, სრულფასოვანი სექსი გვქონდა, ოღონდ მის ქალწულობას ვინახავდი... მერე მომხერდა ეს ყველაფერი. გადავწყვიტე, გაპერკვია, რა მინდოდა. ჩემს თავს ვკითხე

– ქალი გირჩენია თუ მამაკაცი? არჩევანი მამაკაცების სასარგებლოდ გავაკეთე. ლიას კაცებისკენ გული არ მიუწევს, ის ჩამოყალიბებული ლესბოსელია. სხვათა შორის, ჩემ გარშემო ბევრი გოგონაა ასეთი, მამაკაცთან ურთიერთობის სურვილი აქვს, ვერ ბედავს და იძულებულია, ქალთან დაამყაროს კონტაქტი. ახლანდელი ბიჭები ვითომ ევროპელობას „აწვებიან“, მაგრამ საქმე საქმეზე რომ მიდგება, მაინც ხელუხლებელ, ქალწულ გოგონაზე აკეთებენ არჩევანს. სწორედ ამის გამო იძულებული ვარ, მხოლოდ სატელეფონო სექსით დავკავდე 12 წლით უფროს მამაკაცთან, რომელიც ჩემზეა შეყვარებული“...

დამეთანხმებით, ნათიამ არცთუ ისე სასიამოვნო ამბავი გავგიზიარა. მაგრამ მომდევნო რესპონდენტის მონათხრობი ადასტურებს, რომ აღნიშნული პრობლემა ჩვენში კვლავ დგას და ბევრ ადამიანს ძნელი არჩევანის წინაშე აყენებს.

35 წლის ირაკლი გვიამბობს:

„ნამდვილი, მსხვილი ტრემლით ვტიროდი...“

„ნახალგოვანში გავიზარდე. უკვე უნივერსიტეტიც დამთავრებული მქონდა და ვმუშაობდი კიდევ, როდესაც ერთი გოგო შემიყვარდა. საღამოობით უბანში „ვაბირაჟავებდით“ ხოლმე. ეს გოგო ამაყად თავაწეული ავკვივლიდა და ჩავევილიდა. ბიჭები ხარბად ვაყოლებდით ხოლმე თვალს. ერთ დღეს, საშინ დაუნადგვედით: რომელიც ამ გოგოს გულს მოიგებდა, კარგ მალარიჩს უკისრებდნენ. დავიწყეთ ჩალიჩი. თავის ქებაში ნუ ჩამომართმევთ, თუ ვიტყვი, რომ გარეგნობით ყველას ვჯობდი, ვმუშაობდი და ფულსაც ვშოულობდი – ამიტომ არ გამიჭირდა მაიას გულის მოგება. თავიდან მხოლოდ აზარტი მამომრავებდა, მერე მივხვდი, რომ მის მიმართ გრძნობა გამიჩნდა. ერთ საღამოს, როცა შინ მარტო ვიყავი, მაია ჩემთან დავაბატიე. ვფიქრობდი, რომ საშუალოდ ჩემთან დავტოვებდი და როცა მშობლები დაბრუნდებოდნენ, შინ რძალს დავახვედრებდი. მაია მეგობარ გოგოსთან ერთად მოვიდა. ვისაუბრეთ, ცოტა დავლიეთ კიდევ. ასე, საღამოს 10 საათი იქნებოდა, როცა მაიას მეგობარი წასასვლელად გაემზადა. ვფიქრობდი, როგორ მივახვედრო, რომ მაია ცოტა ხნით მაინც დავიმართოხლო, მერე კი გულში ჩავიკრავ და აღარსად გაუშვებ-მეთქი, მაგრამ ყურებს არ დავუჯერე, როცა მაიამ იმ გოგოს უთხრა – წამოდი, გავაც-

ილებო... ცოტა ხანში უკან მობრუნდა. გაოგნებული ვიჯექი, მიკვირდა, რომ მაია თავისი სურვილით რჩებოდა ჩემთან. აღმოჩნდა, რომ ის ქალწული არ იყო... ის ღამე ერთად გავატარეთ და როდესაც დილით წასასვლელად მოეშადა, ხელი არ შემიშლია. ამის შემდეგ, თითქმის ყოველდღე ვხვდებოდით ერთმანეთს. მის გარეშე ვეღარ ვძლებდი. უზომოდ შემეყვარდა, მაგრამ მისი წარსული მოსვენებას არ მძლევდა და ამის გამო ცოლად ვერ მოჰყავდა... გავიდა წლები. მე უკვე 30 წლის ვავხდი. ჩემი და მაიას ურთიერთობა 7 წელს ითვლიდა. ისევ ძველებურად მიყვარდა. ოჯახი ცოლის მოყვანას მაძალბებდა. არჩევანის წინაშე დავდექი: ან მაია უნდა მომეყვანა ცოლად, ან უნდა დამეთმო და სხვაზე დავექორწინებულიყავი. არჩევანი სხვაზე გავაკეთე. მაიას ქორწილის წინაღულს შევხვდი საბოლოოდ. ცრემლიანი თვალებით ვემშვიდობებოდი. ნამდვილი, მსხვილი ცრემლით ვტიროდი. ის კი თავზე ხელს მისვამდა და მამშვიდებდა... ძალზე გამიჭირდა ცოლთან ურთიერთობა. მისი ნებისმიერი უესტი სიტყვა და ქცევა ნერვებს მიშლიდა. საწყალი, სულ თვალებში შემომყურებდა, მაგრამ ყოველთვის ვპოულობდი საბაბს იმისთვის, რომ მეყვირა და მაგიდაზე მუშტი მებრახუნებინა... 4 წელი ისე გავიდა, მაიასთვის თვალიც არ მიმიკრავს. შარშან კი, სრულიად შემთხვევით შევხვდი. ჩემი მანქანით მივდიოდი. ბნელოდა. უეცრად გაჩერებასთან, მანქანის ფარების შუქზე მაია ვიცანი. გავუჩერე. ძალზე გაუხარდა ჩემი დანახვა. ბევრი არ მიფიქრია, მანქანა მოფარებულ ადგილზე გავაჩერე და მაიას ვებდღევი... ახლა ისევ ყოველდღე ვნახულობ მას. თითქოს ოჯახშიც გამოსწორდა სიტუაცია. ჩემი ცოლის დანახვაც იმდენად აღარ მიშლის ნერვებს... ვფიქრობ, თავიდანვე არასწორი არჩევანი გავაკეთე. ჯობდა, ვინც მიყვარდა, მასზე დავექორწინებულიყავი და ყველაფერზე თვალი დამეხუჭა. ახლა აღბათ ვეღარაფერს შევცვლი. პატივისცემით. ირაკლი“.

ბევრჯერ გამიგონია მარტოხელა ადამიანის წუწუნის იმის გამო, რომ მეწყვილე არ ჰყავს. სულ ტყუილად უჩივიან ისინი ბედს. მარტოობა თავისთავად გულისხმობს შესაძლებლობების მთელ „ბუკეტს“. შეგიძლია, მთელი დღე წამოწვე დივანზე და უყურო ყველა სერიალს, რამდენიმე საათის განმავლობაში განუწყვეტლივ ექაქანო დაქალს ტელეფონით და ამის გამო არავინ ვისაყვედურებს, გადაიკითხო თავიანთსმცემელთა წერილები და არც არავინ იეჭვიანებს...

მომდევნო რესპონდენტი შესანიშნავ რჩევებს იძლევა მათთვის, ვისაც თავისუფალ და ოჯახურ ცხოვრებას შორის არჩევანის გაკეთება უჭირს.

„სად შემიძლია ამის ატანა?..“

„ბავშვობიდან შეჩვეული ვარ მარტო ყოფნას. დღისერთა ვარ. ჩემი მშობლები მთელი დღე სამსახურში იყვნენ. მე კი შინ მარტო ვიყავი და მათ მოსვლას ველოდი ხოლმე. ძალზე ლამაზი გოგო ვიყავი და ამის გამო ცოტა ამპარტავანიც. ჩემს ფანჯრებთან გამუდმებით თავიანთსმცემელთა არმია იდგა. ბიჭები ჩემ გამო თითქმის ყოველდღე ერთმანეთს უყაუუნებდნენ. მე კი ზედაც არავის ვუყურებდი. საუკეთესოს ძებნაში წლები ისე შემომადნა, რომ ვერც კი გავიგე... მშობლებთან მუდამ კამათი მომდიოდა. ყველაფერს მიშლიდნენ, მაკონტროლებდნენ და ძალზე მაგიწროებდნენ. ავდექი და საცხოვრებლად ცალკე გადავედი იმ სამოთახიან ბინაში, რომელიც ჩემს მშობლებს დაკეტილი ჰქონდათ. 25 წლიდან სრულიად დამოუკიდებლად ვცხოვრობ. კარგი სამსახური მქონდა, თავის ვატანა სულაც არ მიჭირდა. გათხოვებაზე კი

დადგა ზღვის სეზონი

დადგა ზაფხული თავისი თაკარა მზით და სიცხეებით. იქნება ბევრი სინათლე და კარგი განწყობილება, ზღვა და პლაჟი. ჩვენც ზაფხულის წესებით მოგვიწვევს ცხოვრება. აღარ გამოგვადგება მუქი ლაბადები და მოსასხამები, რომლებიც საგულდაგულოდ ფარავდნენ ჩვენი სხეულის ჭეშმარიტ კონტურებს. ზაფხულში ხომ სასურველია მაქსიმალურად ნათელი ფერები და ლამაზი სხეული...

ნებისმიერ ქალს და არამხოლოდ ქალს სურს, რომ დასვენებული და ლამაზი იყოს. ბევრი ჩვენთაგანი არაფერს იშურებს ამისათვის: ათასგვარი დიეტა, გარჯიში, მასაჟი. ყოველი ზედმეტი კილოგრამის მოშორება ხომ კმაყოფილებით გვაკვებს, სხეულს გვილამაზებს და ბედნიერს გვხდის.

ზედმეტ კილოგრამებთან ბრძოლაში სხვადასხვა პრეპარატებიც გვეხმარებიან, აქედან ზოგი ძლიერ მოქმედი ქიმიური პრეპარატია, ზოგიც მცენარეული.

ნატურალური, მცენარეული პრეპარატების მოყვარულებისთვის სასიამოვნო სიახლეა. აფთიაქებში გამოჩნდა ახალი პრეპარატი „ფიგურინი“, რომლის შემადგენლობაც მთლიანად ნატურალურია და ტრობიკული ზონის მცენარეებისაგან შედგება.

„ფიგურინი“ წარმოადგენს უნიკალურ მცენარეულ კომბინაციას, რომელსაც შეუძლია სწრაფად და ეფექტურად მოახდინოს სხეულის კორექცია. „ფიგურინი“ შლის ცხიმებს, აწესრიგებს კუჭ-ნაწლავის ტრაქტის პრობლემებს, არ გააჩნია გვერდითი მოვლენები, აქვეითებს მადას, არ საჭიროებს მკაცრ დიეტას.

იმეობრეთ ფიგურინთან და ზედმეტი კილოგრამები თითქოს არც ყოფილა.

ფიგურინი

სხაეოფიდი სხაეის ფოხბანა!

ღოზირება:

წონის გათვალისწინებით მიიღება 1 კაფსულა ორჯერ დღეში ან 2 კაფსულა ორჯერ დღეში (კური 1 თვიდან 6 თვის ჩათვლით). პრეპარატი არ გამოიყენება ორსულობის და ლაქტაციის პერიოდში. სიფრთხილით ინიშნება ნაღვალ-კენჭოვანი დაავადების დროს. თოსოვი მითითებულ დოზას ნუ გადაჭარბებთ.

ყოველი აქვს სულა შიშისას:


- პარკოსანი გუარას თესლები-30მგ.
- ლოზა ბასმა (ნატურალური რკინის წყარო)-50მგ.
- მრგვალოფოთიანი მრავალმარღვა-30მგ.
- მეფე ებელიას ნაყოფი-20მგ.
- დარფილეფილის ნაყოფის მშრალი ექსტრაქტი-20მგ.
- კოჭა-20მგ.
- სამყე-250მგ.
- ინდური ტყვიანბალახა-25მგ.
- აკაცია კატეხუს მშრალი ექსტრაქტი-15მგ.
- ტრიპალა (ემბელია, ტერმინალია ბელურიკა, ტერმინალია ჩეხულა)-100მგ.

გვარდითი მოვლენები:

მიმატებული მგრძობილობა პრეპარატში შემავალი რომელიმე კომპონენტის მიმართ.

საურვენება:

ორსულობა და ლაქტაცია. 18 წლამდე ასაკი.



ყურადღებით გააცანით სამკურნალო საშუალების გამოყენების ინსტრუქციას

PSP ჩემი ოჯახის აფთიაქი ალმაგენბლის 148/III აკანტა ფარმა ლიხიტბლი ინსოფთი

ნაკლებია, ვიდრე ქალი. ასე რომ, თუ შემთხვევით სიმპათიურ, შეძლებულ, უნაკლო მამრობითი სქესის წარმომადგენელს შეხვდით, იცოდეთ, რომ ის ან ცოლიანია, ან...

„მომიშორა და მითხრა – ქალები არ მაინტერესებსო...“

„ჩემ გარშემო ძალზე ბევრი კარგი ბიჭი ტრიალებს. თაყვანისმცემელიც ბლომად მყავს, მაგრამ მე ორი მათგანი მომწონდა. ერთ-ერთს ვუყვარდი, მეორე კი მხოლოდ მეგობრობდა ჩემთან. არადა, მე ის უფრო მიზიდავდა, ამიტომ მასთან უფრო მეტი დროს ვატარებდი. ალბათ, მისგან სიყვარულს რომ ვერ ვგრძნობდი, ეს უფრო მახელებდა. თითქოს ვცდილობდი, რაღაც არ უნდა დამეძღომოდა, თავი შემეყვარებინა. ზაზაც ძალზე კარგი ბიჭი იყო. კულში დამდეგდა. მასთან შეხვედრაზე უარს არასოდეს ვამბობდი. მაგრამ თუ ამ დროს ნიკა დამირეკავდა, მასთან ვაგრბობდი. ზაზა პაემანზეც კი მიმიტოვებია და ნიკასთან გაქცეულვარ. როგორც ჩანს, ზაზას მოჰპებურდა ჩემი ღვეწა – ადგა და ცოლი მოიყვანა. გული დამწყდა, მაგრამ მთელი ყურადღება ნიკაზე გადავიტანე. მაცოფებდა ის, რომ ნიკა არ ცდილობდა, ეკოცნა ჩემთვის ან თუნდაც მომხვევოდა. ერთ დღეს, როცა სკვერში ვისხვდით, ძალისხალად ვაკოცე. წინააღმდეგობას მიწვედა, მაგრამ არ ვეპუებოდი. ბოლოს, როგორც იქნა, მომიშორა და ენის ბორძიკით მითხრა – იცი, მე ქალები არ მაინტერესებსო... სახტად დავრჩი. ზაზაც დავკარგე და ის, ვისზეც არჩევანი შევარჩეე, გვი აღმოჩნდა. წარმოგიდგენიათ? ეჰ, მაგრად არ მიმართლებს“.

ღარიბი და „გენიოსი“ თუ მდიდარი და სულელი?

„მეგობარი ვოგონა მყავდა, რომელიც ყოველთვის ამბობდა – თუ არჩევანის გაკეთება მომიწევს, მდიდარ, გაუნათლებელ და ღარიბ, განათლებულ ადამიანს შორის, არჩევანს მეორის სასარგებლოდ გავაკეთებო. სულ ვუმტკიცებდი, რომ მართალი არ იყო, მაგრამ ის თავისას „უბერავდა“ ხოლმე. გადავწყვიტე, გამოცდა მომეწყო მისთვის. მე ჟურნალისტი ვარ. ჩემი კოლეგა, ლევანი დავითანსმე, ეთამაშა „ცხოვრების მბრძანებლის“ როლი, რადგან პირველ რიგში, იყო ახალგაზრდა, სიმპათიური და შეედლო, ისეთი სახე მიეღო, რომ ზედ ამოიკითხავდით: მდიდარი, უცოლო, უშვილო ვარ და ფული

უფრო მეტი მაქვს, ვიდრე სურვილი, დავიღალე ევროპაში მოგზაურობით და გთხოვთ, თავი დამანებოთო... სინამდვილეში, ის თბილისში ჩოხატაურის რაიონის „მივარდნილი“ სოფლიდან ჩამოვიდა, ქირით ცხოვრობდა და თბილისის დაპყრობის „თემურლენგისეულ“ გეგმას აწყობდა. ჩემს ექსპერიმენტში მონაწილეობაზე სიამოვნებით დამთანხმდა. ლევანი ნინოს გავაცანი. ის მაშინვე მოიხიბლა მისი გარეგნობითა და მატერიალური მდგომარეობით. ლევანმა სულელი მდიდრის როლიც მშვენიერად ითამაშა... მისი წასვლის შედეგ, ჩემმა დაქალმა თქვა – მდიდარია, მაგრამ თავში არაფერი უყრია, თავისი ქონებით მოაქვს თავიო... გავიდა რამდენიმე დღე და ნინოს მეორე ბიჭი გავაცანი. სპეციალური კოსტიუმიც კი შევუკრივე: თავზე – „ხინკალა“ ქუდი, სათვალე, წითელი მაისური, დახეული ჯინსის შარვალი... გიორგი წარვუდგინე, როგორც ნიჭიერი და პერსპექტიული მხატვარი. ის მართლაც „უგზო-უკვლოდ“ განათლებული ადამიანია და ნინო თავის ინტელექტით მოხიბლა. ლევანიც და გიორგიც ყოველდღე ეკონტაქტებოდნენ, შეხვედრას უნიშნავდნენ... საბოლოოდ, ნინომ არჩევანი ლევანის სასარგებლოდ გააკეთა და გიორგი ნელ-ნელა ჩამოიცილა... როდესაც გაიგო, რომ ეს ყველაფერი ჩემი გაჩაღებული იყო, მოსაკლავად დამდეგდა. მაგრამ ლევანს და მას ერთმანეთი შეუყვარდათ და ახლა ნინოს ღარიბი და სულელი ბიჭის სასარგებლოდ მოუწევს არჩევანის გაკეთება...“

„დადგება დრო, როცა შვილებს ამ ამბავს გავეუმხელ“

„მინდა, ჩემი არჩევანის შესახებ მოგიყვებო. ეს მაშინ მოხდა, როცა 16 წლის ვიყავი. პარალელურკლასელი შემეყვარდა. თავიდან დავუძმაკაცდი, მაგრამ რომ ვუთხარი – მიყვარხარ-მეთქი, გამებუტა. მისმა თანაკლასელმა, ანამ მითხრა – საქმეს მე გავიარხავ ხატიასთანო... მაშინ მობილური ტელეფონი არ არსებობდა. ანა თვითონ მდიდარი იყო ჩვენ შორის, მაგრამ ჩემთვის სასარგებლო არაფერი ხდებოდა. ერთ დღეს, შინ დამირეკა – უნდა შემხვდე, ორი კარგი ამბავი მაქვს შენთვისო. საღამოს შევხვდი. მაშინ „ვოლგა“ მყავდა, რომელიც მამაჩემმა მაჩუქა. ქალაქგარეთ, რესტორანში წავედი. ერთი სასიხარულო ამბავი ის მითხრა, რომ თურმე ხატიას ცვარეუბივარ, მაგრამ ვერ მიმხვლდა. მეორე ის, რომ... თურმე, ანასაც ცვარეუბივარ... 5-5 ჭიქა შავი ღვინო დავლიეთ და წამ-

ოვედით. გზაში მითხრა – ცუდად ვარ, მანქანა გააჩერეო. გაჩერდით თუ არა, მეცა და კოცნა დამიწყო. მეტი რა უნდოდა 16 წლის ბიჭს? 5 ჭიქა ღვინო და ლამაზი გოგო გვერდით! თავი ვეღარ შევიკავე და... გამიჩნდა ახალი საფიქრალი. ანა ქალწული იყო. სკოლის დამთავრებამდე ერთად ვიყავით, მაგრამ ხატიასთან შუამავლობა არ შეუწყვეტია. ერთ დღეს მითხრა – ხატია რომ არ გამოგვეყვს, მე მომიყვან ცოლალო? ვაი შენს ლამაზ-მეთქი! – ვიფიქრე და შევიბრდი, რომ პასუხს 3 დღეში ვეტყვოდი. ავდექი და ხატია მოვიტაცე... ანამ გაბედნიერება რომ მოგილოცა, ჩუმად ჩამჩურჩულა – ქირურგთან მინდა, მიმყვე, მეც ვთხოვდებიო. მეორე დღეს, ერთად წავედით ექიმთან გაიპარა და გათხოვდა 8 წლით უფროს კაცზე. ახლა ვცხოვრობთ ასე ტკბილად და ბედნიერად. მე უკვე 11 და 16 წლის ბიჭები მყავს ოჯახში, ანასთან კი – 5 წლის გოგო. ჩვენი ურთიერთობა გრძელდება. ქმარი ეხვეწება – ერთი ბიჭიც გამიჩინეო, – მაგრამ არც ანას აქვს სურვილი და არც მე ვაძლევ უფლებას. ალბათ დადგება ის დღე, როცა შვილებისთვის ამ ამბის გამხელა მომიწევს, რადგან ბიჭებმა აუცილებლად უნდა იცოდნენ დის არსებობის შესახებ... ერთხელ ანა და მისი ქმარ-შვილი ჩვენთან სტუმრად იყვნენ. ჩემმა მეუღლემ მითხრა – ანას ბავშვი შენ უფრო გავს, ვიდრე მამამისსო. იმ დღეს, ჩემმა გოგონამ მამა დამიძახა. ლამის ჭკუიდან შევიშალე. იმ საღამოს ვერაფრით მოვახერხე დათრობა – ღვინო არ მომეკიდა... ასე ვცხოვრობ ორ ცეცხლს შუა. ლამა. ქუთაისი“.

ახლა კი მოკლე შესიჯებს გავუცნოთ.

„ოჯახის შექმნა პრინციპულად არ უნდოდა...“

„იცი, როგორი არჩევანის წინაშე დავმდგარვარ? 17 წლისას ან შობილები უნდა ამერჩია, ან ოთო. მიუხედავად შობილების უსახლგრო სიყვარულისა, მანც ოთო ავირჩიე. ახლა შობილებიც მყავს, ოთოც და ჩემი სიყვარულის ნაყოფიც. 7 წელია, ბედნიერად ვცხოვრობ... სოფო“.

„როცა 15 წლის ვიყავი, ტელეფონით გავიცანი ბიჭი. სამთვიანი სატელეფონო ურთიერთობის შემდეგ გავიგე, რომ თურმე, ის 33 წლის ყოფილა. მიუხედავად ამისა, მაინც შევხვდი და რომანიც გავაბი. მეგონა, მის გარდა არავინ მომეწონებოდა. პირობაც კი მივეცი, მაგრამ სოფელში წავედი და ყველაფერი აირია. იქ გავიცანი ჩემი ტოლი ბიჭი.

ჩემი მეუღლე მეუბნება – გზაბნეულს ზურგი არ შეაკეთოო. მართალია, მაგრამ რა დააზავა ჩემმა დამ?... მე ის ძალიან მიყვარს და მას არავის დავაჩაგვრინებ. ნინა, ბათუმი“.

„ძველი შეყვარებული რომ მირეკავს და მესიჯებს მწერს, ჩემს ქმარს ამას ვუმაღავ, თორემ საწყალს ცემა არ ასცდება. თიკო“.

„ჩემს ქმარს არაფერსაც არ ვუმაღავ, უბრალო წვრილმანსაც კი. ამიტომაც გვაქვს შესანიშნავი ურთიერთობა. თუმცა, ბევრი მეუბნება, ქმარს ყველაფერი არ უნდა უთხრაო... ჩვენ ძალზე გვიყვარს ერთმანეთი. ღმერთო, ასე გვაძოვებ სიცოცხლის ბოლომდე და საიქიოშიც!.. თამო“.

„მე მეუღლე არ მყავს. ძალიან მიყვარს ერთი მამაკაცი, მაგრამ ცუდად ვქცევი. როცა ჩემს საშუალო ოთახში შემოდის, მიუხედავად იმისა, რომ საშინლად მენატრება ხოლმე, ოთახიდან გავდივარ. იცით, რატომ? მე მას ვუმაღავ, რომ ავად ვარ...“

„გზაინიღები“ რომ არ იყოს, არ ვიცი, რა მეშველებოდა. მე გიოს ვუმაღავ, რომ მოძწონს, გიო რომ დამინახავ, რატომ გარბიხარ? გეშინია? მარიკო“.

„ჩემს მეუღლეს იმას ვუმაღავ, რომ ჩვენს ამბებს სხვებს ვუყვები. „გზაინიღებში“ დამესიჯების მერე კი, სულიერად ვმშვიდდები ხოლმე. მინდა, ოთომ გაიგოს, რომ ძალიან მიყვარს. კარგად!“

„გამარჯობა, მარი. მე SMS-სოფიკო ვარ. გახსოვარ? მე ჩემს მეუღლეს არაფერს ვუმაღავ, ფიქრსაც კი. გარდა ერთისა – მან არ იცის, რომ შენთან ვემსიჯებ“.

„ყველაფერი ფული არ არის. ყოველდღიურმა ფარულმა პაუზებმა და მალულმა მესიჯებმა თუ ზარებმა ნეროზი დამმართა. გთხოვ, ეს მესიჯი დამიბეჭდო, დარდი შემომსუბუქდება. „გზის“ მკითხველს კი ვთხოვ, ჩემი და იკას სიყვარული ცუდად არ გაიგოს. ერთმანეთი მე-5 კლასიდან გვიყვარს. ჩვენ შორის მხოლოდ წმინდა, პლატონური სიყვარულია. კაცებს კი ერთ რჩევას მივცემ. რაც არ შეგეფერება – შეეშვი! მე 18 წლის ვიყავი. ის? ის – 43-ის. უკვე ყველაფერი გვიანია. იმდენად უფროსი ასაკის კაცს რატომ გავყვები ცოლად? მე ხომ იკა მიყვარდა... არ დავმალავ – ფულის გულისთვის, მაგრამ ახლა მიგხვდია, რომ სიმდიდრე, მთავარი არ ყოფილა. ახლა ჩემმა მეუღლემ მკითხა – ივლისის ბოლოს დასასვენებლად სად წავიდეთო? მე კი, ბათუმის გარდა, არსად წასვლა არ მინდა: ვიცი, იკა თავისი სახსრებით საზღვარგარეთ ვერ წამოვა... აი, ასე საგულდაგულოდ ვუმაღავ ჩემს ქმარს ჩემს სიყვარულს. რას ვფიქრობდი, როცა გამდიდრების მანიამ შემპყრო?... „ვიზმანები“, ვიპრანჭები და ჩემი ქმარი ვერ ხვდება, რატომ არ მყოფნის კვირაში ერთხ-

ელ თხუთმეტლარიანი დეპოზიტი მობილურ ტელეფონზე“...

„სწორედ ამ თემას ველოდი „გზაინიღებში“ და გამიმართლა. ჩემს მეუღლეს არაფერს ვუმაღავ, გარდა ერთისა – იცის, რომ არ მიყვარს, მაგრამ არ იცის, რომ ვეძებ ისეთ სიყვარულს, რომელიც ბედნიერებას მომიტანს. ერთი კარგი, სანდომიანი და შეძლებული ქალბატონი დამხატავდა“.

„თეატრალური ინსტიტუტის ერთი სტუდენტი გოგო მიყვარს, მაგრამ ვერ ვუძახებ. ის რომ ჩემი არ გახდეს, ალბათ გააფრენ. ნატა, ულამაზესი ხარ. ვვიყვები შენზე. მე კი ერთ გოგოს ვუყვარვარ და ვუმაღავ, რომ სხვა მიყვარს: ცოლია, გული ეტკინება. ნატა, შენ კი მომეცი იმის საშუალება, რომ ყველაფერი გითხრა და დამალული არაფერი მქონდეს. მარი, გემუდარები, დაბეჭდე ჩემი მესიჯი, რომ მივლმამ ქვეყანამ გაიგოს, როგორ მიყვარს“.

„ჩემს ქმარს ვუმაღავ, რომ როცა ვტირი, მართლა ნეროზი კი არ მაქვს – 8 წლის უნახავ სიყვარულს მივტირი“...

„მეუღლეს არა, მაგრამ ჩემს ერთ ნაცნობს ვუმაღავ, რომ ძალიან მიყვარს. მინდა, დავივიწყო, მაგრამ არ გამოძღის. ა-ი, მიყვარხარ. ნინო“.

„ქმარს ისეთ საშინელ რამეს ვუმაღავ, რასაც პირისპირ ვერასოდეს ვეტყვი. სიყვარულით შეეჭმინით ოჯახი 5 წლის წინ. შეილაკ გვაყავს, მაგრამ სრულიად წარმოუდგენელი რამ მოხდა. მე და ჩვენს მეზობელს ერთმანეთი შეგვიყვარდა. ყველასგან მალულად გვიყვარს ერთმანეთი. ჩემმა ქმარმა ეს რომ გაიგოს, წარმოიდგინეთ, რას იზამს. ღმერთს ვთხოვ, ვიდრე ამ ამბავს შეიტყობს, ვინმე გოგო შეუყვარდეს, რომ ცოტა იოლად გამიგოს ეს გასაჭირი. სიყვარულით, ანა“.

„ქმარს რას ვუმაღავ და სხვას რომ ვხვდები, იმას. რა ვქნა, ბევრი ფული აქვს და ჩემს ყველა კაპრიზს ასრულებს...“

„ჩემს ბავშვობის მეგობარს, რომელსაც ძმად ვოვლიდი, შევუყვარდი. ახლა შეყვარებულები ვართ და ვუმაღავ, რომ სიგარეტს ვეწევი. რომ გაიგოს, ძალიან ინერვიულებს. ლილე“.

„ქმარს რას ვუმაღავ, ამას ვერ გეტყვით, მაგრამ ვაღიარებ, რომ სისტემატურად მიწვევს ტყუილის თქმა. თანაც ყოველთვის ვახსენებ, ჩემს თავს გამართლება მოუძებნო და ყველაფერი მას გადავებრალო. არც კი ვიცი, რა ვქნა“.

„გზაინიღები“ მაგრად მახალისებს. რაც შეეხება მეუღლეს, ისინი ერთმანეთს ყველაზე ხშირად ალბათ საყვარლებს უმაღავენ. ბუჩი“.

„არაა არ გავაკეთე, რომ ერთად კარგად ვყოფილიყავით, მაგრამ არ დამიფასა და არც მადლიერი დარჩენილა. ახლა გადავწყვიტე, გავერთო და 1-2 კარგი ბიჭი

გავიცანი. სერიოზული არაფერია, მაგრამ კარგად ვხალისობ. ჩემს ქმარს კი ვუმაღავ. რომ გაიგოს, გაგიფლება. უარესის ღირსი ხარ პაპუნა“.

„მინდა, ხმა მივაწვდინო ჩემს სიცოცხლეს! დაკარგულ სიყვარულს, თაფლისფეროვანებას გიოს, რომელსაც იმედდაკარგული, თითქმის 4 წელია, ველი. ახლა გავიგე, რომ შეყვარებული ჰყოლია. გიო, იცი, ბავშვს რომ მეძახდი, თურმე ბავშვსაც შესძლებია იმის გაგება, რომ საშუალოდ დაგკარვა. ქეთი“.

„გწერთ საბერძნეთიდან. მინდა, გავიმხილოთ ჩემი დიდი სიყვარული და იმედი, რომელსაც ყოველ კვირადღეს მოუთმენლად ველი (საბერძნეთში ქართული პრესა კვირას ჩადის. – ავტ.). ძალიან მიყვარს ერთი და როცა საქართველოში ჩამოვალ, აუცილებლად გაგიცნობ, მარი. ვიამბობ ჩემი უცნაური, მაგრამ უდიდესი სიყვარულის ამბავს. აქ ერთი პაკისტანელი კაცი შემეყვარდა“.

„როცა ჩემს ქმარს სასწრაფო ოპერაციას უკეთებდნენ, გვერდიდან არ მიშორებდა. ჩემი იმედი ჰქონდა. მას რომ არ ენერვიულა, ერთი ცრემლიც არ გადმოვავდე. მაშინ, ნერვიულობის ნიადაგზე სანახევროდ დავყრუვდი და დაებრძვდი, მაგრამ დროთა განმავლობაში გამიარა. ახლა კი ზაზა იმხელა ტკივილს მაყენებს, რომ ვერანაირი დრო ვერ განკურნავს. 5 წელია, ცოლ-ქმარი ვართ და ახლა მიგხვდია, რომ ნარკომანია. ისე ვენდობოდი, რომ ეკვი არასოდეს გამჩენია. ახლა კი ამ საქმეს ცრემლი რას უშველის?! ზაზა ბი-შვილო, ან ოჯახი, ან – წამალი, არჩევანი შენზე! სოფო“.

„ჩემს ცოლს იმას ვუმაღავ, რომ ხელფასი მაქვს 600 ლარი. ეს რომ გაიგოს, მერე ბევრს მომთხოვს. ასე რომ, თვეში 300 ლარი ჩემს „მწოტზე“ ზის და ისე ვხარავავ, როგორც მინდა“.

„ჩემს ცოლს რომ გავაგებინო, მისი მანქანის „პაკრიშვა“ მე მოვიპარე და გავყიდე, იცით, რას მიზამს? აუკ, ღმერთმა ნუ წარმოგადგენით, მაგრამ აბა, რას გაიგებს?! მარი, არ ჩამიშვა, ხომ? ვიცი, „შმაკაცობა“ გეხერხება და ჩათვალე, ეს ჩვენი „მშური“ და „კაცური“ საიღუმლოა“.

„თამუნა ვ-ძეს გადაეცით, რომ ძალიან მიყვარს. რა მეშველება, სოფელში რომ წავა და 2 თვე ვეღარ ვნახავ?... თამო, იცოდე, რომ სულ მასსოვხარ და არ დავივიწყებ. შენი ქერა ბესო“.

ღღღ „გზაინიღებს“ ამით ვამთავრებთ. მომდევნო ნომრის თემატად გთავაზობთ – როცა არჩევანის წინაშე დავდევით... გამოგზავნეთ მესიჯები ტელეფონის ნომრზე: 8(77) 45.68.61. მოგეწერეთ, კმაყოფილი ხართ თუ არა თქვენი არჩევანით. გეშვილობებით მოძავალ ხუთშაბათამდე.

ვიდუოზილი მამა ფვიქს მუსვინიზას არ ამჯივს

ერთი კვირის წინ საზოგადოება შეძრა ქუთაისში მომხდარმა ფაქტმა, როდესაც 53 წლის ხატვის მასწავლებელი 10 წლის გოგონას გაუპატიურების მცდელობის ბრალდებით დააკავეს. ამ ფაქტმა საზოგადოების ყურადღების ცენტრში მოაქცია პრობლემა, რომელიც სამწუხაროდ, ჩვენშიც არსებობს, ოღონდ ხშირად, ინფორმაციის ნაკლებობის გამო, ჩვენი თვალთახედვის მიღმა რჩება. ანომალია, რომელსაც პედოფილია ჰქვია, ზოგჯერ, არა მარტო უცხო ბავშვის, არამედ საკუთარი შვილის მიმართაც იჩენს თავს.

ამბავი, რომელსაც 19 წლის თიკო გვიყვება, ქუთაისში მოხდა. გოგონამ დამირეკა და მოხოვა — თბილისში საგანგებოდ თქვენს სანახავად უნდა ჩამოვიდდე, როდის მოიცლით, რომ ჩემი გასაჭირის შესახებ ვიამბოთო? შეხვედრაზე შევთანხმდით და საკმაოდ მძიმე ამბავიც მოვისმინე.



"მინდა, მამაჩემმა წაიკითხოს და საკუთარ თავს განაჩენი გამოუტანოს..."

მარი ჯაფარიძე

— ერთი ჩვეულებრივი ოჯახის შვილი ვარ. თავდაპირველად, ყველაფერი კარგად მიდიოდა. ჩემი მშობლები საკმაოდ ახალგაზრდა ასაკში შეუღლდნენ. ახლა მამაჩემი 38 წლის გახლავთ, დედა — 37-ის. მყავს უფროსი და, რომელიც გათხოვილია და შვილებიც ჰყავს. მამაჩემი ძალზე მკაცრი ადამიანია. პატარაობიდანვე მისი შიში მქონდა. შეეძლო, სულ მცირე დანაშაულისთვის ძალზე სასტიკად დავესაჯე და ვეცემე კიდეც. ბაბუაჩემი (მამის მხრიდან) ექიმი გახლდათ, ბებია — მუსიკის მასწავლებელი. მამაჩემის ბაბუაც ექიმი ყოფილა. თურმე, მას ახალგაზრდობაში 17 წლის გოგონა გაუპატიურებია. შემდეგ ამ გოგონას თავი მდინარეში დაუხრჩვია. ვფიქრობ, ყველა უბედურება, რომელიც მე გადამხდა თავს, სწორედ ამ კაცის მიერ ჩადენილი ცოდვის ბრალია...

— რას გულისხმობ?

— 12 წლის ვიყავი. ერთ საღამოს, დედა შინ არ იყო. მამა ნასვამი დაბრუნდა სამსახურიდან. შინ მხოლოდ ორნი ვიყავით, დრო იხელთა და ჩემი გაუპატიურება მოინდომა. ვწიოდი, ვკიოდი და სასტიკ წინააღმდეგობას ვუწევდი. მაშინ ვერ მოახერხა ჩანაფიქრის სისრულეში მოყვანა. დამემუქრა — იცოდე, მოგკლავ, თუ ვინმესთან წამოგცდება, რაც მოხდაო. პატარა ვიყავი,

გამოუცდელი და შეშემინდა. ხმა ვერ ამოვიღე. რამდენიმე წნის შემდეგ მამამ სოფელში წამიყვანა და მაშინ კი შეძლო ჩემი გაუპატიურება. სიკვდილი მინდოდა, მაგრამ შეშემინდა. დედამ ჩემი ქვედა საცვალი რომ გარეცხა და მასზე სისხლის ლაქა შენიშნა, დანიტერესდა, რატომ იყო დასვრილი, მაგრამ ვერ გავხედე მისთვის სიმართლის თქმა და რაღაც მოვიტყუე. დაიჯერა. ამის შემდეგ, როგორც კი მამასთან მარტო დავრჩებოდი, მაშინვე იწყებდა ჩემს მოფერებას და ცდილობდა, დავემორჩილებინე. თუ წინააღმდეგობის გაწევას გავხედავდი, სასტიკად მისწორდებოდა, წიხლით მცემდა და ერთიანად დამალურჯებდა ხოლმე და საწაფელს მაინც აღწევდა... როცა წამოვიზარდე და ჭკუაში ჩავვარდი, მივხვდი, რომ საშველად ვინმესთვის უნდა მეხმო. დედას მაინც ვერ გავუბედე და ბებიას (დედის დედას) დაწვრილებით მოუყვები ყველაფერი, მაგრამ რატომღაც მან არ დაიჯერა.

— რატომ? იქნებ, რაღაც დაუმალე?

— არა, არაფერი დამიმალავს. ვინაიდან მამაჩემთან ურთიერთობის სურვილი არ მქონდა, ხშირად შინიდან გავრბოდი და ხან ერთ ნათესავთან ვათევდი ღამეს, ხან — მეორესთან. მამაჩემი რომ მცემდა და ეკითხებოდნენ — რატომ, რისთვის მოექცი ასე სასტიკადო? — პასუხობდა — ბოზობს, ხომ ხედავთ,

შინიდან გარბის და ღმერთმა იცის, რას აკეთებს, სწორედ ამის გამო ვსჯიო. ჰოდა, მისი სჯეროდან, ჩემი არ დაიჯერეს და ბებიამ მთელ სანათესავოს მოსდო — თიკომ თავის გასამართლებლად ასეთი საშინელი ამბავი მოიგონა... ამ ამბავმა დედაჩემის ყურამდეც მიადწია. ყველაფერი დაწვრილებით გამომკითხა, მაგრამ არც მან დაიჯერა. იძულებული გავხდი, დიქტოფონი მეშოვა და ჩამეწერა ჩემი და მამაჩემის ლაპარაკი, რომ მეუბნებოდა — მიყვარხარ, შენს მეტი ქალი არ მინდა, იცოდე, თუ მიღალატებ, მოგკლავ და თავსაც მოვიკლავო... ნუ გამირბიხარ, მოდი, მოგვეფრო... ეს ჩანაწერი დედას მოვასმენინე. რამდენიმე წნის შემდეგ კი, დიქტოფონიც და კასეტაც სადღაც გაქრა. დედამ თვითონ გაანადგურა სამხილი. ხშირად მიკითხავს მისთვის — ხომ დარწმუნდი, რომ მამაჩემი ასეთი ურჩხულია, რატომღა ცხოვრობ მასთან-მეთქი? პასუხს ვერ ვიღებდი. როგორც ჩანს, საქვეყნოდ თავის მოჭრას ერიდება. მის ადგილზე რომ ვყოფილიყავი და ჩემს შვილს ასეთი ამბავი გადახდებოდა თავს, ჯერ ქმარს მოგკლავდი და მერე თავსაც მოვიკლავდი. თუ ამას ვერ შეძლებდა, უნდა ჩავვლო ჩემთვის ხელი და ჩემთან ერთად გადაკარგულიყო... ვერ გეტყვით, რომ მათ კარგი ურთიერთობა აქვთ. მამაჩემი მასაც სასტიკად ექცევა, ხშირად სცემს

და დედაჩემის თვალბეჭედი სწორად ვხე-
დავ ზიზღს ქმრის მიმართ...

— შენი და მამაშენის ასეთი ურთიერთობა დღემდე გრძელდება?

— მერვე კლასიდან მოყოლებული, ღამე შინ თითქმის არ გამითევია. როცა სახლში მივდივარ, კარჩაკეტილ ოთახში ვიძინებ, რადგან ხშირად გამღვიძებია იმის გამო, რომ მამაჩემი ჩემს ოთახში შემოპარულა და მოფერება დაუწყია. რომ წამოვიზარდე, უკვე შემეძლო მისთვის წინააღმდეგობის გაწევა და ხან მეც წიხლით ვცემდი, ხან ხელიდან ვუსხლტებოდი და გავრბოდი. ამის გამო მწარედებოდა ხოლმე... მამას თავისი ბიზნესი აქვს, შესაბამისად — ფულიც. ხშირად უთქვამს ჩემთვის — ოღონდ ჩემთან იყავი და თავს შემოგვევლები, ფულსაც მოგცემ და რასაც ინატრებ, ყველაფერს შეგიხსრულებო. მისი არაფერი მინდა. არანაირ შრომას არ ვითაკილებ. კარგა ხნის მანძილზე ბაზარში ვიდექი და თევზს ვყიდდი. თავი ასე გამქონდა. სკოლას რომ ვამთავრებდი, გამოსაშვები ბანკეტისთვის ფული არ მქონდა. რკინის არმატურა ვიშოვე, გავეყიდე და ფული ისე მოვაგროვე. არ მინდოდა, ჩემს თანატოლებს გამოვკლებოდი. ხშირად დედისთვისაც მითქვამს — წამოდი, გაშორდი მამაჩემს, ვიბუშავებ, ყველაზე შავ საქმეს შევასრულებ და თავის გატანას შევძლებთ-მეთქი, — მაგრამ ამაოდ...

— თანატოლებს შორის, თავიანთსმცემლები არ გყავდა?

— მამაჩემი ძალზე მკაცრია. მისი შიშით ვერც ერთი ბიჭი ვერ მიბედავდა შემოხედვასაც კი. სახლიდან რომ გავრბოდი ხოლმე, იმ პერიოდში გავიცანი ჩემზე საკმაოდ უფროსი ასაკის კაცი. ვიფიქრე, თუ მას დავუწვებოდი, მამაჩემი თავს დამანებებდა. ჰოდა, მისი საყვარელი გავხდი. მასაც ძალზე ვუყვარდი და ვფიქრობ, რომ ცოლადაც მომიყვანდა. ალბათ, მის ყურამდეც მივიდა ჩემი და მამაჩემის ურთიერთობის ამბავი და სწორედ ამიტომ თქვა ჩემთან შეუღლებაზე უარი. მაგრამ მისგან შვილი მაინც გავაჩინე. მამაჩემმა რომ გაიგო, საყვარელი მყავდა, — მილაღატო? — მკითხა... მოსაკლავად დამდეგდა. ბავშვი რომ გავაჩინე, მითხრეს, დაილუპაო. მართალია, სულ 18 წლის ვიყავი, მაგრამ ცხოვრებისგან უკვე კარგი გაკეთილი მქონდა მიღებული, მოვიტხოვე — გარდაცვლილი შვილი მაჩვენეთ-მეთქი. არ მაჩვენეს. ამან დამაუკვია, რომ მატყუებდნენ. როცა საშობაობიდან გამოვეწერე, გამოვიკითხე ჩემი შვილს ამბავი და

შევიტყვე, რომ მამაჩემს გაუყიდა თუ გაუშვილებია... 2 თვე ვეძებე ჩემი გოგონა და ბოლოს, კახეთში მივაგენი. მართლაც წავედი ბავშვის წამოსაყვანად. მისი დედობილი და მამობილი არ მატანდნენ, ავტებზე ერთი ამბავი, დიდი ბრძოლა გადავიტანე და ბავშვი მაინც წამოვიყვანე. ძალზე მდიდარი ოჯახი იყო და თან გული მწყდებოდა, რომ ჩემი გოგონა ასეთი პირობებიდან უნდა წამომეყვანა, მაგრამ სილატაკეში რომ ამომხდეს სული, ჩემი შვილი ჩემთან უნდა იყოს.

— ახლა სად არის შენი შვილი?

— დედაჩემი ზრდის. მე კი მის სანახავად მაშინ მივდივარ, როცა მამა შინ არ არის. როგორც კი ბავშვი წამოიზრდება, მაშინვე წამოვიყვან, რადგან მამაჩემს ვერ ვანდობ. შესაძლოა, ჩემს გოგონასაც იგივე გაუკეთოს, რაც მე. ის კი არა, როცა ვხედავ, როგორ ეფერება ხოლმე მეზობლის ან ნათესავის ბავშვს, ზიზღის გრძობა მეუფლება, რადგან კარგად ვიცი, რაც ამოძრავებს...

— შენს უფროს დაზე რას მეტყვი — მამაშენს მასთანაც ხომ არ ჰქონია კავშირი?

— ერთხელ, სოფელში ყოფნის დროს, მამამ ჩემი და სარდაფში ჩაიყვანა. იქ ჩალას ვინახავდით. ცოტა ხნის შემდეგ, იქიდან წივილ-კივილი მომესმა. სარდაფში ჩავედი. მამამ ჩემს დას ხელი გაუშვა. მაშინ იმდენად პატარა ვიყავი, რომ ვერ მივხვდი, რა შეიძლებოდა იქ მომხდარიყო. ჩემი და მალევე გათხოვდა — 14 წლის ასაკში — და მამას თავი დააღწია... სწორედ ამის შემდეგ ვადმოერთო ჩემზე და ის, რაც უფროს შვილთან არ გაუვიდა, ჩემთან აისრულა...

— ასეთ საშინელ ამბებს მიყვები და ამ კაცს მაინც სულ მამად მოიხსენიებ...

— აბა, რა დავუძახო? სხვების დასანახავად ყოველთვის მამას ვეძახი, მაგრამ მართლაც რომ ვართ, მაშინ ათასგვარ საზიზღრობას ვუწოდებ ხოლმე... ახლა საზღვარგარეთ მინდა წასვლა. იქ, სადაც მამაჩემი არ იქნება. ალბათ, სახელსა და გვარსაც გამოვიცვლი, რომ ველარასოდეს მომაგნოს.

— მერე, შვილი არ მოგეწატრება?

— მე და ჩემს შვილს ახლა ყველაზე მეტად სახლი გვჭირდება, სადაც ერთად ვიცხოვრებთ. ამის საშუალება ახლა არ გვაქვს და ერთადერთ გამოსავალს სწორედ საზღვარგარეთ წასვლაში ვხედავ. ბავშვი ახლაც ხშირად მენატრება, რადგან შინ იშვიათად მივდივარ. არ გამოვირცხავ, რომ მამაჩემმა საჭმელში

რამე ჩამიყაროს, დამაძინოს და ისე გამაუპატიუროს. ამის გამო ვერიდები მასთან შეხვედრას. ერთხელ ხელში დანა მეჭირა და დავემუქრე — დაგარტყამ-მეთქი... — დამარტყი, მომკალი, საცოცხლებელი მაინც არ ვარო...

— ეი. თავის დანაშაულს ხვდება?

— რამდენჯერმე დედაჩემსაც უთხრა — ვიცი, რომ სისამაგლეს ჩავდივარ, მაგრამ ჩემი ბრალი არ არის, ვილაც ჩამძახის, მიდი, გააკეთე, მიდი, მოეფერეო... ვფიქრობ, ეშმაკი ჰყავს სულში ჩასახლებული. არასოდეს მინახავს, მამა ეკლესიაში წასულიყოს, ან სანთელი დაენთოს. მეც მიშლიდა ეკლესიაში სიარულს... ერთხელ, რომელიღაც ჟურნალში წავიკითხე, რომ გოგონას მამისგან შვილი გაუჩენია და ამბობდა — ბავშვი ჩემი დაც არის და შეილიცო... დავიზაფრე. ვფიქრობდი, თურმე, ჩემნაირი და ჩემზე უბედური ადამიანიც არსებობს-მეთქი... სისხლი მეყინება, როცა ჩემს ცხოვრებას თვალს გადავავლებ...

— ამ ინტერვიუთი რისი მიღწევა გინდა? რა მიზანს ისახავდი, როცა გადაწყვიტე, ჩემთვის დაგერეკა და შენი ამბავი მოგეცოლა?

— მინდა, რომ ყველამ გაიგოს სიმართლე. ჩემმა ნათესავებმა, ბოლოს და ბოლოს, დაიჯერონ ჩემი ნათქვამი. მიხვდნენ, რომ ძალზე უბედური ადამიანი ვარ, რომელსაც სიცოცხლე საკუთარმა მამამ მოუწამლა — კაცმა, რომელმაც სიცოცხლე მაჩუქა... ყურადღება მომაქციონ, მთლად რომ არ დავილუპო. ვინც მიცნობს, ყველა მიხვდება, რომ ჩემზე და ჩემს ოჯახზეა საუბარი. არც ჩემი ფოტოს დაბეჭდვის წინააღმდეგი ვარ, ოღონდ, თვალები დამიფარეთ, რომ უცნობმა ადამიანებმა გზაში არ მიცნონ და ჩემკენ თითი არ გამოიშვირონ... და კიდევ: მინდა, ეს ინტერვიუ მამაჩემმა წაიკითხოს და თუ ვაჟკაცობის ნატამალი მაინც შერჩენია, საკუთარ თავს განაჩენი თავადვე გამოუტანოს...


ნობის ტელეფონი ფსიქოლოგიური ხონსულაციები
☎ 822 009 005
 ზარი ფასიანია, 18 წლიდან
 დაბავშირება შესაძლებელია ტელეფონ-განათმეობით



ინფორმაციულ-მედიაციური კოლაჟი

ეონი დვალის უბის წიგნაკვანძო:

1. ზიგმუნდ ფროიდს 6 შილი ჰყავდა.
2. პეტრე ცისკარიშვილი წარმოშობით თუშია.
3. გიორგი დანელია ვერიკო ანჯაფარიძის დისშვილია.
4. ალექსანდრე ყაზბეგს ძალზე უყვარდა ყურძნის ჭამა.
5. ალექსანდრ ბლოკი და დიმიტრი მენდელეევი სიძე-სიმამრი იყვნენ.
6. ძველებური ევროპული მონეტა ტალერი, დოლარის წინამორბედად ითვლება.
7. ვახუშტი კოტეტიშვილი და სოლიკო ხაბეიშვილი სკოლის მეგობრები იყვნენ.
8. „ნა ნაშეი ფამილიი ვსია რასია დერჟიტსა“, – ამბობენ ივანოვის გვარის მქონე რუსები.
9. საქართველოში სტუმრობისას, რობერტ დე ნიროს ზურაბ წერეთელმა მინანქრული ხატი უსასხვორა.



10. მელ გობსონის ფილმში – „ქრისტეს ენება“ – მაცხოვრის სიციცხლის ბოლო 12 საათია აღწერილი.
11. მაღამ ტიუსოს მუზეუმში ცვილისგან დამზადებული ბრედ პიტის ფიგურა ყოველთვის პომადით არის დასვრილი.

12. „კრასატა ტრეპუტ ჟერტვ. ა გლიადა ნა ვას, ვიჟუ, შტო ნე მალიხს!“ – უთქვამს მიხაილ ზადორნოვს ვილაც ქალისთვის.

13. ვივაკანი ისეთი ცხიმიანი თევზია, რომ ინდიელები ფითილს უკეთებდნენ და საწითლის მაგივრად ხმარობდნენ.

14. რუსეთის პრეზიდენტის ინაუგურაცია კრემლის სასახლის ერთ-ერთ დარბაზში ტარდება, რომელიც ანდრეის სახელს ატარებს.

15. ბუშის ვიზიტთან დაკავშირებით გამართულ კონცერტზე ქართველ მოცემკვავ ვაჟთა მორთულობიდან ქამარ-ხანჯალი და ფარ-ხმალი იყო ამოღებული.

16. „იგი ევროპის საჯიმე ფერმამია დაბადებული“, – ამბობდა ოტო ბისმარკი რუსეთის იმპერატრიცა ეკატერინე მეორის შესახებ.

17. მაკედონის ერთ მოქალაქეს, რომელიც სისტემატურად სარგებლობდა მომსახურებით – „სექსი ტელეფონით“ – 14.000 დოლარის საგადასახადო ქვითარი მიუვიდა. მან ტელეფონზე 135 საათი ილაპარაკა.



რუსუდან (მაცაცო) სავისკვირადის სიმღერებს პირველსავე ბგეროდან იცნობ. მათ სიყვარულის, სიკეთისა და კაცთმოყვარეობის ატმოსფეროში გადაჰყავხარ. მართალია, ოფიციალური ტიტულებით განუზღვრებული არასოდეს ყოფილა, მაგრამ მისთვის მთავარი ჯილდო, ხალხის სიყვარული და XX საუკუნის ერთ-ერთ საუკეთესო ქართველ კომპოზიტორად აღიარებაა. „მინდვრად დაგიჭერ პეპელას“, „სიზმრად გნახე“, „მთელ ქვეყანაზე“, „მარტოხელა ქალბატონო“, „დედათბილისო“... 350-მდე სიმღერის ჩამოთვლა შეუძლებელია, მაგრამ მათი უმრავლესობა ჰიტად არის ქცეული, ხოლო საყვარელი მამულის — საქართველოსა და მშობლიური კუთხის — იმერეთის სიყვარული მთელ მის შემოქმედებას ლაიტმოტივად გასდევს.

ჩვენს ლალიკის ანდრეი, ახლანელი ოცნება და ჩამოშლილი პითხვა — ვინ არის ღარგომიქსკი?

ნუხა თოფჩიშვილი

— ქალბატონო რუსუდან, როგორ დაიწყო თქვენი შემოქმედებითი ცხოვრება?

— კონსერვატორია საფორტეპიანო განხრით დავამთავრე. დიდი ძალისხმევით (იმ დროს, ინსტიტუტში სამუშაოდ მოწყობა ძალზე ჭირდა) პუშკინის პედაგოგიური ინსტიტუტის მუსიკის კათედრაზე მოვხვდი, რომელსაც ბატონი რევაზ ლალიძე ხელმძღვანელობდა. იმ დროისთვის, ოცამდე სიმღერა უკვე დაწერილი მქონდა, ესტრადაზე გამოვდიოდი კიდევ. ჩემთვის ღვთის საჩუქარი იყო ამ ბუმბერაზი კომპოზიტორის გვერდით მოხვედრა... ერთხელ ბატონ რეზოს კვითხე — კონსერვატორიაში საკომპოზიციოზე ხომ არ ჩავაბროშეთიქი? — რად ვინდა, მაცაცო, მოყვარული ხომ არ ხარ?! პროფესიონალმა პანისტმა ნოტების წერა ხომ იცი; რა არის შენი სურვილი? — სიმღერების წერა-მეთიქი, — ვუპასუხე. — შენ ისეთ სიმღერებს

წერ, უკეთესს ვერავინ გასწავლის; გამორიცხულია, კომპოზიტორობა ვინმემ გასწავლოს.

— თქვენს შემოქმედებაზე ყველაზე დიდი გავლენა ვინ იქონია?

— სიმღერის სიყვარული ყოველთვის მქონდა, მაგრამ ის, რომ ჩემი პროფესია კომპოზიტორობა გამხდარიყო, რევაზ ლალიძისადმი სიყვარულმა და მისი ნიჭის თაყვანისცემამ განაპირობა. სხვა კომპოზიტორებთან ასეთი ახლო ურთიერთობა არ მქონია, მხოლოდ მას ვასმენინებდი ჩემს ახალდაწერილ სიმღერებს. ისე მყავდა გავუტომებული ბატონი რეზო, რომ მისი ერთი სიტყვა სხვის ასს მერჩივნა... ადამიანებთან ისეთი ურთიერთობის დამყარების უნარი ჰქონდა, ყოველგვარ კომპლექსს მოგისხნიდა. მის გვერდით, კომპოზიტორობის რა პრეტენზია უნდა მქონოდა, მაგრამ დამიძახებდა — მოდი, ერთი, მომასმენინე, რა „პესნა“ დაწერეო, — მეტყოდა და ეს „პესნა“ მაბღვინებდა, მისთვის დამეკრა... მაშინვე შემაქებდა, მეტყოდა — ნახე, რა კარგი გადა-

სვლა გაქვს! ასე წერე, იცოდე, „ფოკუსნიკურ“ რაღაცებს რომ წერენ, იმათ არ აჰყვო... „ვერე წერო“, – ჩემთვის ანდერძითაა და მას ვასრულებ. ზოგი რეზო ლაღობის შევილობილს მეძახის, ზოგი – მისი საქმის გამგრძელებელს... ეს ჩემთვის დიდი რამ არის, ეს მაწერინებს და ბევრ რამეს მაკეთებინებს. მასთან ურთიერთობამ კაცთმოყვარეობაც მასწავლა. ბატონ რეზოს არაჩვეულებრივი დამოკიდებულება ჰქონდა თავის კოლეგებთან. მისთვის შური და გაუტანლობა დაუშვებელი იყო. მეც ვცდილობ, მას მივბადო. ერთი ოჯახის შვილები ვართ. შეიძლება, დღეს მე დაწერო უკეთესი, ხვალ – სხვა დაწერს უკეთესს. ყველა თავის სამყოფ ტაშს მიიღებს და არც შეიძლება, ვინმესი გშურდეს...

— ბევრი კომპოზიტორი მამაკაცი ასე ვთქვათ, ბორონდურ ცხოვრებას მისდევს: ქეიფი, ნადირობა თუ თევზაობა უყვარს. კომპოზიტორ ქალბატონებსაც ხომ არ გაქვთ რაიმე ჰობი?

– სხვების არ ვიცი და ჩემი ყველაზე დიდი გატაცება, ავტომანქანა გახლდათ. 14 წლის ასაკიდან მანქანის ტარებაზე ვოცნებობდი და ძილშიც ხშირად მესიზმრებოდა... როგორც იქნა, 43 წლის ასაკში, ჩემს ოცნებას ფრთები შევასხი – საკუთარი მანქანა შევიძინე. ჩემს ქმარს თავისი მანქანა ემსახურებოდა, ბავშვები პატარები მყავდა. 10 წელი ვიჯექი საჭესთან. ეს სიმღერის დაწერის საამოვნების ტოლფასი საამოვნება იყო ჩემთვის.

— ალბათ, მუსიკაც ხშირად იყო თქვენი „თანამგზავნი“, არა?

– მძლოლეებს, მარტო როცა არიან მანქანაში, უყვართ რადიოს ან მგენიტოფონის ჩართვა. საჭესთან მუსიკას ვერ შევეუფე. საჭესთან თავისუფალი ვიყავი, მუსიკა კი მძოჭავდა: რიტმს აყვებოდი და მანქანის მართვაში მიშლიდა ხელს, ზოლო თუ ვერ აყვებოდი, დისკომფორტს განვიციდი... 10-წლიანი საამოვნება ჩემმა შვილმა შეწყვიტა (იკინის): მანქანა წამართვა. ახლა საამოვნებად, შინ ვვლომ და ოჯახური საქმე-

ბი დამრჩა...

— იუმორის გრძნობით უზვად ხართ დაჯილდოებული და თქვენი „იმერული ესკიზებიდან“ რაიმე ამბავს ხომ არ გაიხსენებთ?

– „იმერული ესკიზები“ ასხენეთ და ეთერ კაკულიასთან დაკავშირებით ერთი მხიარული ამბავი მინდა მოგიყვებო. 1984 წელს თბილისში მუსიკალური ფესტივალი ჩატარდა. ლენინგრადიდან ჩამოვიდა ორკესტრი ბადხენის ხელმძღვანელობით. ფესტივალის გახსნაზე და დასკვნით კონცერტზე ქართველი და რუსი მომღერლები გამოდიოდნენ. იმ დროს ეთერ კაკულია ჩემს სიმღერას – „მხარე ლამაზის“ („და მე არ მინდა სხვა ნეტარება“) მღეროდა. ეთერმა ბადხენს ეს სიმღერა შესთავაზა, მაგრამ პარტიტურის მიტანა დაგვიანდა. ბადხენმა მოგვიბოდიშა – ფესტივალის გახსნისთვის ამის სწავლას ვერ მოვასწრებთ და დასკვნით კონცერტზე აუცილებლად შევასრულებთო, – გვითხრა. გახსნის დღეს, ფილარმონიის დირექტორმა, დორიან კიტამ მე-8 რიგის ბილეთები მოგვცა. მაშინ ასეთი კონცერტები პომპეზურად ტარდებოდა და ქვეყანა ხალხი ესწრებოდა. მე და ეთერიც გამოვიპრანჭეთ და წავედით. ფილარმონიას რომ მივუახლოვდით, ეთერი მუხუბნება – დარბაზში ვერ შევალ: ყველა ცნობილი ქართველი მომღერალი გახსნაზე გამოიღის, რომ დამინახავენ, ხალხი იტყვის – ეს არ ამღერესო... – შენ გიყი ხომ არა ხარ, რას ამბობ? ქალი გამოვპრანჭულვარ, ჩამიკვამს, დამიხურავს, თვალები „დამიბუშა“ და სად წავიდე-მეთქი?! მაინც არ შემომცვა დარბაზში და ზემოთ, „გალიორკაზე“ ავიდიო. ბაღკონიც გადავვდილია, ადგილი არ არის. უცებ, ბოლო რიგის კუთხეში ერთი ბიჭი ზის, მის გვერდით კი, 3 ადგილი თავისუფალია. ბიჭის გვერდით ერთი ადგილი გამოვტოვეთ და დავსხედით... დაიწყო კონცერტი. მე და ეთერი ვზივართ კუთხეში მოხუხულები, ჩურჩულით ვლაპარაკობთ, დასკვნით კონცერტზე რა კაბა ჩაიცვას და სცენაზე სად დადგეს. ამ დროს, რუსები მღერიან და უცერად, ეს ბიჭი ცარიელ სკამს დაეყრდნო, გადმოიწია

ინფორმაციულ-შეხვედრითი კოლაჟი

ეორი დეალიზ უბის წიგნაკოდან:



18. „კონდორი“ – ასე ერქვა ფაშისტური გერმანიის საჰაერო ძალების შენაერთს, რომელმაც ესპანეთის ქალაქი გერნიკა დაბომბა. დაბომბვის დროს, არც ერთი სამხედრო ობიექტი არ განადგურებულა. გერმანელთა მიზანი, მოსახლეობის დატერორება იყო.



19. ძველ ბერძენებს ხომალდებზე ყოველთვის ჰყავდათ მტრელები. როდესაც მიწა არ ჩანდა, ზღვაოსნები ფრინველს ჰაერში უშვებდნენ და ისიც შუუცდომლად ხმელეთისკენ მიფრინავდა.

20. შრი-ლანკაში სპილოს ნაკვალს ადუღებენ, ამუშავებენ, რომატიზატორებს უმატებენ და მისგან ქალაქებს აშენებენ. ასეთი წესით დამზადებული ქალაქი საკმაოდ ძვირი ღირს. ვკორჯ ბუმი უკვე 3 წელიწადია, ასეთ ქალაქზე წერს და ძალზე კმაყოფილია.

21. რუსეთის ტელევიზიის გადაცემის – „პოლე წუღეს“ – წამყვანი ლეონიდ იაკუბოვიჩი მოთამაშების მიერ მართმულ საჩუქრებს ვეღარსად ტყვეს. ერთმა მოთამაშემ მას ბენზინით საცხე კანისტრაც კი აჩუქა.

22. მხატვრული ფილმი „ილბიანი ჯენტლმენები“ რუსეთის შინაგან საქმეთა სამინისტროს ხელმძღვანელმა შჩოლოკოვმა გადაარჩინა აკრძალვას. როცა ფილმს უყურებდა, მისი ხარხარი ეკრანიდან მომდინარე რუპლიკებსაც კი ფარავდა.

23. „არსენას ლექსი“ – ქართული ზეპირსიტყვიერების ძეგლი, მრავალ ვარიანტად ცნობილი, თექვსმეტმარცვლოვანი შაირით გამართული მესტიურიული პოემა და XIX საუკუნის ორმოციან წლებში შექმნილი უცნობი მესტიურის მიერ. პოემის ავტორად ზოგი მკვლევარი რაჭველ ანდრია ნადირაძეს მიიჩნევს, ზოგი – ქართულელ გიორგი ქებაძეს.

24. „ვახტანგ მეექვსეს ტაძრების გადაარჩენა უნდოდა, ადგილითი საუშაოები ჩაატარა, შეკეთებისას კი, გუმბათები ჩამოინგრა, რადგან აღარ იყო ძველი ცოდნა. საბჭოთა კავშირიც ასე დაენგრათ კომუნისტებს, რადგან აღარც აქ იყო ძველი ცოდნა“, – თქვა ლევან ბერძენიშვილმა ერთ-ერთ ინტერვიუში.

25. ლეონარდო და ვინჩის „ჯოკონდას“ რესტავრაციის რამდენიმე წარუმატებელი მცდელობის შედეგად, ნახატიდან გაქრა იმ აივნის ორი კოლონა, სადაც მონა ლიზა იჯდა, ზოლო თავად „ჯოკონდამ“ წარბები დაკარგა.



სიმღერის სიყვარული ყოველთვის მქონდა...

ჩემკენ, ხელი გამკრა და საოცარი იმერული აქცენტით მეუბნება – „ბოშო, ვანდე, ე, ისი ახლა, რუსეთიდან რომ ჩამიყვანეს ახლა, ე, ისაა მომღერალი?“ არ გავეცი ხმა და ჩემთვის ვფიქრობ – „გაქნებულები“ იმერელია, ნაღდად ზესტაფონელი ან ზესტაფონთან ახლო სოფლიდანა – ეი. სულ მოლად ჩემიანიამეთქი... გავადა 5 წუთი და ამ ბიჭმა ისევ გამკრა ხელი – ე, ბოშო, ესაა მომღერალი?! უკეთესი მომღერლები არ გვყავს ქართველებს?! ეს რა სიმღერაა, ბოშო?! მესამედ რომ გამკრა ხელი და იმერულად რეპლიკა წარმოთქვა, ვეღარ მოვითმინე, გადავიწიე და ჩემად ვეკითხები – „იმერელი ხარ?“ – „კი, რაჟა, მიხვითი?“ – რა გვარის ხარ-მეთქი? – საცერაძე ვარო. – დედა, – ვუთხარი, – საცერაძე ბებია მყავდა, სადაური საცერაძე ხარ-მეთქი? – დილიკოურელიო. დამვიწყდა, კონცერტზე რომ ვიყავით და ვუბნები – სახლო საცერაძე რომ იყო დილიკოურში, იმის და იყო ბებიაჩემი-მეთქი! „ენა, ბოშო, ბოშო!“ – ყვარის უკვე, წინ წამოწეული. – სახლო საცერაძე ჩემი მამა, ბოშო!.. წინა რიგში ლენინგრადის ორკესტრთან ერთად ჩამოსული გაბრანჭული ქალები ისხდნენ; მოგიბრუნდნენ უკმაყოფილონი – ЧТО за безобразие! ეს ბიჭი უყვირის – გაჩერდით, ნათესავი ვიპოვეო! – მერე მე მომიბრუნდა – შენე, ბოშო, მაცაცო ხარო?... რომ დაუედასტურე, დაიყვარა – ვაი, შენი ჭირიმეო! – თავისუფალ სკამზე გადმოიწია და ჩამეხუტა. მკოცნის, თან გაიძახის – რა გამეხარდა, რა კაი ფეხზე წამოვსულვარო!.. ვაჩერებ, მაგრამ არაფერი გამოიძის. მერე უეცრად მეკითხება – გვერდით რომ გიზის, ისი ეთერ კაკულია არააი? – კი-მეთქი, – ვუბასუნებ. – უნდა ვაკოცო! – „აჟაღლუსტა“-მეთქი, – და გავიწიე. ეს ბიჭი თავისი სკამიდან გადმომსწვია, „დაითრია“ ეთერი და კოცნა და კოცნა. მთელი „გალიორკა“ ჩვენ გვიყურებდა... ეთერი დარბაზში არ დაჯდა – არ მინდა, დამინახონო, – და „გალიორკა-

ზე“ არ „გაიშოფრა“?! აღარ დაგვევლომებოდა და სასწრაფოდ დავეტოვეთ იქაურობა (აცინის).

— ხელოვან მამაკაცებს ცოლები საქმიანობაში ხელშესაწყობად, შინ ცივ ნაფსაც არ აკარებენ. თქვენ ვინ გინცობთ ხელს ოჯახში და ორიოდ სიტყვა შვილებზეც გვითხარით.

— სახლში ყველაფერს მე ვაკეთებ – სადილი იქნება ეს, ბაზარი, ბინის დალაგება თუ სხვა რამ. იშვიათად ხდება, ვინმე რომ დავინხმარო. მიყვარს, სტუმარს ჩემი ხელით ვაკეთებულ კერძს რომ მივართმევ, ამაში ვხედავ სტუმრისადმი პატივისცემას. ჩემს ქმარს ბევრი კორეპონდენტი ეკითხება – მაცაცოს ხელს თუ უწყობთო? ჩემი ქმარი ასე პასუხობს ხოლმე: მაცაცოს ხელშეწყობა არ სჭირდება – მთავარია, მას ხელი არ შეუშალო (აცინის)... ჩემი შვილები კარგ და ღირებულ მუსიკაზე აღიზარდნენ. დათო (გერსამია) 10 წელი ხალხური სიმღერის ანსამბლ „მართევში“ მღეროდა, მისი ხელმძღვანელი ანზორ ერქომაიშვილი გახლდათ. ვაი ყანჩელის ოპერაში – „და არს მუსიკა“ – ზურიკო ანჯაფარაძის გვერდით მღეროდა! დიდი თეატრის სცენაზეც უმღერია; ახლა რეჟისორობით არის გატაცებული. ქალიშვილი მარიაკა უნივერსიტეტში ასწავლის სტუდენტებს; ორი შვილი ჰყავს.

— „ნაზი, როგორც მოგონება“ — ასე ჰქვია გიომ აპოლინერის ნიგნს... თქვენი ყველაზე „ნაზი მოგონება“ გაიხსენეთ.

— ჩემი ქმარი ჩემზე 10 წლით უფროსია. გათხოვების წინ, დედაჩემი ჭკუას მარტყებდა: სულ თუმორი და ანეკლოტი გაკერია პირზე და ქმართან ცოტა სერიოზულად მოიქცითო. პირველ დღეებში ვცდილობდი, სერიოზული ვყოფილიყავი. ქორწილი გადავიხადეთ და საქორწინო მოგზაურობაში მივდივართ... ჩემი ქმრის სპეციალობა ტექნიკური მეცნიერებაა, რომლის გაგებაში არა ვარ. იმ პერიოდში, თვითმფრინავი „ტუ-154“ ახალი გამოსულია. ყური მოეკარი ვილაციის ლაპარაკს – ამ თვითმფრინავით ვიმგზავრებთო. ჩავსხედით, მოვეწყვეთ, ქმარები გადავიჭირეთ. ჩემმა ქმარმა გაზეთი „ФУТРО“ გაშალა. ჩუმი რა გამაჩერებს? რაღაცის თქმა მინდა. მართალია, ასაკით უფროსია, მაგრამ ქმარია, ხომ უნდა გავმინაურდეთ! – და ვუბნები – რაღაც მინდა, გკითხო-მეთქი. მისმენს. – ეს თვითმფრინავები, „ტუ-104“ და „ტუ-134“ ხომ არსებობს, მაგრამ ეს „ტუ-154“ რაღა არის, რას ნიშნავს ეს რიცხვები და წინ „ტუ“ რომ აქვს-მეთქი? –



სახლში ყველაფერს მე ვაკეთებ – სადილი იქნება ეს, ბაზარი, ბინის დალაგება თუ სხვა რამ (შვილიშვილებთან ერთად)

„ტუ“, ტუპოლევის პატივსაცემად. – ეს ტუპოლევი ვინაა-მეთქი? ჩემი ქმარი მამინაც მელიოტი იყო, პოლა, გაშალა ხელი და ტლამ – იტკიცა თავზე – ეს ვინ მომიყვანია ცოლადო!.. ვიფიქრე – ეს რამ მათქმევინა და ვინ არის ეს ოხერი ტუპოლევი, ჩემს ქმარს ასეთი რეაქცია რომ აქვს, დედა, რატომ არ გაჩერდი-მეთქი?... მაგრამ უეცრად, მივუბრუნდი და ვეკითხები – დარგომიძესკი იცი, ვინ არის-მეთქი?... დარგომიძესკი არც ჩაიკოვსკია, არც რევაზ ლალიძე, არც ბეთპოენი და არც მოცარტი. ქმარი მეკითხება – ვინ არისო? – და „ფურტოლი“ რომ ჰქონდა გადაშლილი, დახედა და მეკითხება – ვისი „ტრენერიაო“? – იცი, რას გეტყვი? კომპოზიტორი ქალი რომ მოგაყვდა ცოლად, დარგომიძესკი კი უნდა გცოდნოდა; სხვათა შორის, რუსული კლასიკური რომანსის ფუქტმდელებია-მეთქი! – კარგი, აბა, ერთით ერთაო... ასე რომ, დარგომიძესკიმ გადამარჩინა (აცინის)...

— დაბოლოს – თუ გაქვთ შემოქმედებითი ოცნება, რომელიც ჯერჯერობით ვერ აიხდინეთ?

— ერთადერთი ჩემი ოცნებაა, რომელიც სვათა შორის, ბატონმა რეზო ლალიძემაც „მიანდრმა“, კინომუსიკის დაწერა ვახლავთ. მასსოვს, ბატონმა რეზოს მითხრა – მაცაცო, შენ ისეთ მელიოდორ სიმღერებს წერ, კინოსთვისაც კარგი მუსიკა გამოგივარო; მივაწვდენ ხმას რეჟისორებს, რომ ასეთი გოგო მყავსო. რეკომენდაციის გაწევა არ დასცალდა... ბატონი რეზოს კინომუსიკა ჩემთვის სათაყვანებელია. ეს ოცნება ჯერჯერობით ვერ ავისრულე, როცა ჩემს სიმღერებს წარმატება ხვდა წილად და გამოიჭნდი, როგორც კომპოზიტორი, ჩვენს ქვეყანაში ისეთი აშბები დატრიალდა, კინო ვილას ახსოვდა?!



როცა ჩემს სიმღერებს წარმატება ხვდა წილად და გამოიჭნდი, როგორც კომპოზიტორი, ჩვენს ქვეყანაში ისეთი აშბები დატრიალდა, კინო ვილას ახსოვდა?! (ნონა გაფრინდაშვილთან ერთად)

პრომოუტერ ვანიკო თარხნიშვილს ზღვასა და მთაში ყოფნას, რომელიმე უცხო ქვეყანაში დასვენება ურჩევნია. ვერ იტანს უკომფორტობას, ასფალტი ურჩევნია მინდორში ხეტიალს და აქედან გამომდინარე, ბუნებაში დიდხანს გაჩერებაც არ შეუძლია. წყნარ დასვენებას, აქტიურ დასვენებას ამჯობინებს.



ვანიკო თარხნიშვილი: მინდორში სეზონის, ასფალტზე სიარული მიიჩქვანია

კეა მიწაკაძე

— ვანიკო, ამ ზაფხულს სად აპირებ დასვენებას?

— 5 წელია, არსად არ ვყოფილვარ და ალბათ, ვერც წელს მოვახერხებ დასვენებას. ისე ძალიან ბევრს ვმოგზაურობ, მაგრამ მხოლოდ საქმიანი ვიზით მივდივარ ამერიკაში, უკრაინასა და მოსკოვში.

— გაიხსენებ, პირველად დასასვენებლად მშობლების გარეშე როდის წახვედი?

— პირველად, 16 წლის ასაკში მე და ჩემი მეგობრები პეტერბურგში გავეგზავრეთ. იქ ყოფნა იმდენად მომეწონა, რომ მას შემდეგ 5 წლის განმავლობაში არც ერთი წელი არ გამომიტოვებია, იქ რომ

არ ჩავსულიყავი. განსაკუთრებით ხშირად დავდიოდი ივნისში თეთრი ღამეების სანახავად.

— საკურორტო რომანი თუ გქონია?

— თითქმის ყველა დასვენების დროს, პატარა-პატარა გატაცება მქონდა, მაქსიმუმ — 2-3-დღიანი, მაგრამ ნამდვილი საკურორტო რომანი არასოდეს მქონია. არადა, ამგვარი რამ ნამდვილად არსებობს. ძალიან ბევრ ჩემს ახლობელს ჰქონია საკურორტო რომანი.

— სად უფრო გიყვარს დასვენება — მთაში თუ ზღვაზე?

— დასვენება არც ზღვაზე მიყვარს და არც მთაში. არ მიყვარს სიწყნარეში ყოფნა. ამით უფრო ვიღლები. მიყვარს აქტიური დასვენება. დიდი სიამოვნებით წავიდოდი

ისეთ ქალაქში, სადაც არ ვარ ნამყოფი.

— სოფელი თუ გაქვს?

— კი, როგორ არა. ჩემი სოფელია გარიყულა. იქვე თარხნიშვილების და თარხან-მოურავების საგვარეულო ეკლესიაც გვაქვს, რომელსაც ერთაწმინდა ჰქვია. მართლაც, შესანიშნავი სოფელი მაქვს. მის დასათვალიერებლად უამრავი ადამიანი ჩადის. ამ სოფელში ბავშვობაში ხშირად ჩავდიოდი. დღეს კი, სამწუხაროდ, ვეღარ ვახერხებ. ბოლოს, ერთი წლის წინ ვიყავი და ისიც — მხოლოდ ერთი დღით.

— თუ დაგისვენია საქართველოს ფარგლებს გარეთ?

— კი, როგორ არა. მე და ჩემი მეუღლე, ადრე ხშირად დავდიოდით საზღვარგარეთ დასასვენებლად. დღეს კი, მხოლოდ საქმიანი ვიზიტები მაქვს, მშვენიერი დრო გაატარებ აშტერდამში, ბულგარეთსა და ჩეხეთში. საერთოდ, არ მიყვარს სიტყვა „დასვენება“. მე ამ სიტყვას არდადეგებით შევცვლიდი. უცხო ქვეყანაში ჩასულმა კი არ უნდა დაისვენო, არამედ პირიქით — უნდა გააქტიურდეს, რაც შეიძლება მეტი რომ ნახო და ამ სანახაობით დატკბეს.

— მაინც რომელ ქვეყანაში ისურვებდი სამოგზაუროდ წასვლას?

— დიდი სიამოვნებით წავიდოდი ხელმეორედ ტაილანდში. ძალიან მინდა, ვნახო ინდონეზია, ფილიპინები და კუბა.

— სპორტის რომელი სახეობა გიყვარს?

— მიყვარს ჩოგბურთი, ადრე ჭკუა მეკეტებოდა ფეხბურთზე. ახლა აღარ ვუყურებ, მიმაჩნია, რომ ამით დროს ტყუილად ვფლანგავ.

— სავარჯიშოდ კუს ტბაზე ხომ არ დადიხარ?

— არა სავარჯიშოდ არასოდეს მივლია, მაგრამ სახლში ჩემთვის ყოველ დღეს 20-30 „ატჟიმანის“ ვაკეთებ. თუ



ამის თქმა და ჩემი დაყვირება ერთი იყო: მანძი არ არის, გუმინ 5 საათი სიმწვანეს ვუყურებდი და რაღა ბუნება მინდა-მეთქი?!

შევატყობ, რომ მეტი ვარჯიში მჭირდება, 100 „ატმოსფეროს“ ვაკეებუ. გარდა ამისა, 10 წელია, რაც რეჟიმით ვცხოვრობ — ანუ ზუსტად ერთსა და იმავე დროს ვსაუზნობ, ვსადილობ და ვვარჯიშობ.

— არც საცურაო აუზზე დადიხარ?

— არა. სხვათა შორის, აბონემენტი მაჩუქეს, მაგრამ უკანვე დავუბრუნე, იმიტომ, რომ ვიცოდი, არ ვივლიდი და ტყუილად რატომ უნდა გაუქმებულიყო?! ჩემი აზრით, ამაში დროის ხარჯვა დასანანი.

— ცურვა თუ იცი?

— არა და ალბათ, იმიტომაც არ მიყვარს აუზზე სიარულიც. ბავშვობაში 8 ადგილას მიმიყვანეს, მაგრამ მაინც ვერ ვისწავლე ცურვა. ეტყობა, თავიდანვე რაღაცით შევშინდი, მაგრამ ეს არ მახსოვს. სხვათა შორის, არაერთხელ ავსულვართ ბაზალეთზე იმისათვის, რომ ცურვა მესწავლა. ხან ჩემი მეუღლე მასწავლიდა, ხან მეგობრები, მაგრამ არაფერი გამომივიდა. არ ვიცი, მაგრამ ვერაფრით ვერ შეეძელი წყალში ღრმად შესვლა. როგორც კი ფსკერს მოვშორდები, მაშინვე პანიკაში ვვარდები. მახსოვს, ტაილანდში ბოლო დღეს, მე და ჩემი მეუღლე ზღვის სანაპიროზე გავვლით. მაშინვე გადავწყვიტე ზღვაში შესვლა. უეცრად აღმოვაჩინე, რომ შორს წამიღო წყალმა და ერთ ადგილზე გაჩერება შეეძელი. ჩემმა მეუღლემ ეს რომ დანახა, მაშინვე გადალება დამიწყო, რომ მერე მენახა ჩემი თავი პლაჟიდან შორს. იმ მომენტში, ცურვამ ისე გამიტაცა, სასტუმროში დაბრუნებული აუზში ჩავხტი, რათა ჩემს შესაძლებლობებში კიდევ ერთხელ დავრწმუნებულიყავი. აქაც მშვენივრად დავიჭირე მთელი ტანი წყლის ზედაპირზე. იმდენად გავერთე წყალში ყოფნით, თვითმფრინავმა კინაღამ გაგვასწრო. თბილისში რომ ჩამოვედი, მისაროდა — ცურვა ვისწავლე-მეთქი. ავედით ბაზალეთზე და ისევ პანიკაში ჩავვარდი. ვერ მივხვდი, რისი ბრალი იყო. ალბათ, დრო რომ მქონოდა და შემძლებოდა ტაილანდში რამდენიმე დღით დარჩენა, დღეს ცურვა უპვე კარგად მეცოდინებოდა.

— გიყვარს პიკნიკზე სიარული?

— არა, ალბათ გამოდინარე იქიდან, რომ ბუნებაში ყოფნა არ მიყვარს. მე მხოლოდ პიკნიკზე გასვლის იდეა მომწონს. აი, მანდ კვდება ჩემი ინტერესი. მე იქ არც მწვადი მინდა, არც ღვინო.

— რატომ? უკომფორტობას ვერ იტან?

— ალბათ. მინდორში ხეტიალს, ასფალტზე სიარული

მირჩევნია. სიმწვანეში ძალიან ვიღვლები. კი, გენიალურია ბუნება, მაგრამ 2-3 საათში ისე მბეზრდება, რომ ცუდად ვხვდები. ამიტომაც თბილისს გავცდები თუ არა, მაშინვე ვიძინებ გზაში, რადგანაც სუპერინტერესო ვარ (იცინის). პირადად მე, მანქანით არასოდეს არ წავსულვარ შორ გზაზე, სხვის მანქანაში კი, სულ მძინავს. მახსენდება შარშანდელი საქმიანი გასვლა, როცა მე და ჩემი მეგობრები საქმეზე ბათუმში მივდიოდით, იმ დღეს პირველად არ დამეძინა გზაში. იძულებული გავხდი, ფანჯრიდან დამეთვალიერებინა გზა. გზაში დროდადრო გავიძახდი: ვა, რა ლამაზი ყოფილა იმერეთი, მე კი ხრიოკი მეგონა... მოკლედ, ასეთი ქება-დიდება ჩავაღწიეთ ბათუმში. მეორე დღეს კი, ბიჭები მეუბნებიან: მოდი, ბუნებაში წავიდეთო; ამის თქმა და ჩემი დაყვირება ერთი იყო: მანსი არ არის, გუმინ 5 საათი სიმწვანეს ვუყურებდი და რაღა ბუნება მინდა-მეთქი?!

— ლაშქრობაში თუ ნასულხარ ოდესმე?

— არა. არ ვიცი, ლაშქრობაში ჩაითვლება თუ არა ის, რომ ტაილანდში, ჯუნგლებში საილოთი ვისეირნე.

— ყველაზე მეტად სად და როდის ისვენებ?

— ყველაზე კარგად უცხო ქალაქში მოგზაურობის დროს ვისვენებ, ოლინდ, აუცილებლად ზაფხული უნდა იყოს. ჩემთვის დასვენება არის სიახლე და მრავალფეროვნება. სიწყნარეს და სიმშვიდეს ვერ ვიტან. ამ დროს უფრო ვიღვლები. ამასთან დაკავშირებით მახსენდება ერთი ამბავი. მე და ჩემი მეგობრები ქალაქკარეთ წავვდიოთ ორი დღით. საღამომ სოფელში მშვენივრად ჩაიარა, უფრო მეტიც — მომეწონა კიდევ. დილით ძალიან ადრე გამეღვიძა. ცოტა ხანში მივხვდი, რომ ზედმეტმა სიწყნარემ იმოქმედა ჩემზე. ავდექი, ჩავიცვი და გავე-

დი ეზოში. ეზომიც სრული სიჩუმე იყო. ჭიშკარი გავაღე და ეზოდან გარეთ გავიხედე. იქაც არაფერი არ ხდებოდა. ბოლოს, რაღაც ნახევარ საათში გაიჩინა ტიპი, რომელიც კუს ნაბიჯებით მოდიოდა. ამან სულ გადამიყვანა ჭკუიდან. შემოვვარდი სახლში და დავიყვირე: ჩქარა ადექით, ვისაუზნოთ და წავიდეთ აქედან-მეთქი! აი, ასე, ფაქიფუცით ჩამოვიყვანე ყველანი თბილისში.

— გიყვარს სამზარეულოში ფუფუსი?

— კი. აი მაგალითად, დღეს საჭმელი თავად მოვამზადე. ყველაზე უფრო მსაძმონებს დილით საუზნის კეთება. ძალიან მიყვარს, როცა ჩემს მეუღლეს საუზმეს ლოგინში მივართმევ.

— დასასვენებლად ნასულს რაიმე კურორტი ხომ არ გადაგხდენია?

— რამდენიმე თვის წინ მე, აჩიკო გულუდანი და ვახო ბაბუნაშვილი კიევში გავემგზავრეთ ორი კვირით, „ევროპეისთან“ დაკავშირებით. ჩასვლისთანავე ვიქირავეთ ბინა და მაშინვე სუპერმარკეტში წავვდიოთ პროდუქტის შესაძენად. აჩიკომ ყველანაირი ხორცი შეიძინა, რადგან ის ძალიან „ხორციისტია“. ვახომ უფრო ჯანსაღი პროდუქტი იყიდა — „პერკულესი“, „გრენიხა“, თაფლი და სხვა. მე კი უფრო სალათებს „მივაწექი“. ამის გამო, აჩიკო დღემდე სულ ჩვენზე ღადაობს — გამოტენეს მაცივარი უცნაური ფერის სალათებითა და კომბოსტოებით... მართლაც, უცნაური ფერის კომბოსტოები შევიძინეთ — იყო წითელი კომბოსტოც, ყვითელიც და ლურჯიც. იმდენი რამე ვიყიდეთ, თბილისისკენ რომ წამოვედით, მაცივარი კვლავ სავსე იყო, განსაკუთრებით — ჩემი ნაყიდი სალათებითა და კომბოსტოებით. ამის გამო, დღემდე სასაცილოდ გვიგდება მე და ვახოს აჩიკო, — უაზროდ იყიდეს კომბოსტოს და სალათის ყველა სახეობა, მაგრამ ჭამით თავი არ მოუკლავთ; აი, ჩემი ნაყიდი ხორცი კი სულ შემეჭამესო.

— დაბოლოს, მომავალში კვლავაც თუ გვგზავნის რუსლანას ვიზიტს?

— პირადად მე არ ვაპირებ, თუმცა, ნამდვილად იყო ლაპარაკი ზაფხულში მისი ჩამოყვანის შესახებ. თუ სურვილი ექნება, სავსებით შესაძლებელია ამის განხორციელება. ეგ კარგი გამახსენე, ხომ იცი. მოდი, დაეძრავ ამ საკითხს. შემოთავაზება იყო, მაგრამ რაღაც არ ავითაცეთ და ახლა ავითაცებ.



რომ შემძლებოდა ტაილანდში რამდენიმე დღით დარჩენა, დღეს ცურვა მეცოდინებოდა...



ყენაყრი ადამიანის ყენაყრი რუსუბსუბი

დამნაშავეთა გამოსწორება ბუნების მოყვარული ქალის აღსარებით

ბუნების საოცრებისა, ასე თუ ისე, ყველას სჯერა, მაგრამ მისი საიდუმლოს ამოხსნა ცოტას თუ შეუძლია. 52 წლის ლუიზა მურდულია ადამიანთა სწორედ იმ რიგს მიეკუთვნება, რომელსაც ეს ნიჭი დაანათლა ღმერთმა. მის ბინაში შესული, ლანგრებზე დაყრილ, სხვადასხვა სახეობის ვარდის ფურცლებს, ხილის ქერქებს, ხის ნაფოტებსა თუ კუთხეში მიდგმულ კუნძებს იხილავთ. ბუნებასთან დაახლოებამ ის ღვთის რწმენამდე მიიყვანა. პარალელურად კი, კოსმეტიკურ საშუალებებში თუ სამკურნალო მედიკამენტებში, ქიმიური დანამატების არსებობამ (რომელსაც ქალბატონი ლუიზა კატეგორიულად უარყოფს) ბიძგი მისცა მას, ბუნებრივი საშუალებებით კბილის პასტა (რომლის შემადგენლობაში შედის ნაცარი და კვერცხის ნაჭურჭი), სუნამო (ვარდის ფურცლებისაგან და ნატურალური ღვინისაგან), მელანი და ა.შ. დაემზადებინა... რატომ გვტყვივა თავი, როგორ დავაღწიოთ თავი თმის ცვენას, რა უნდა ჩაიცვან ფეხმძიმე ქალებმა — ამ და სხვა პრობლემების შესახებ ინტერვიუდან შეიტყობთ. ამასთანავე, ქალბატონი ლუიზა გვთავაზობს, სილამაზისა და ჯანმრთელობის რამდენიმე რეცეპტს, რომელიც მისივე თქმით, აუცილებლად დადებით შედეგს მოგვცემს.

ლიკა ქაჩია

— პროფესიით ფილოლოგი გახლავართ. პარალელურად, მიღებული მაქვს მუსიკალური განათლება, შევისწავლე ქართული და ევროპული ცეკვები, მაგრამ ჩემი პროფესიით (საბავშვო ბაღში. — ავტ.), სულ რამდენიმე წლის განმავლობაში ვმუშაობდი.

— როდის და რატომ დაგებადათ იდეა, ბუნებაში გეპოვათ ის, რასაც სხვები ვერც კი ვამჩნევთ?

— როცა შევილიშვილი შემეძინა (იგი ბერლინში დაიბადა. — ავტ.), დიდხანს ვფიქრობდი — რა ვაჩუქო-მეთქი და ორიგინალური საჩუქარი — ვარდის ფურცლებისაგან შეკერილი ბალიში გავუგზავნე.

— რატომ მაინცდამაინც ვარდის ფურცლების ბალიში?

— არ ვიცი. როცა ეს იდეა მომივიდა, ინფორმაცია, ჩემს გარემოცვაში ელვის სისწრაფით გავრცელდა და ჩემს ახლობლებს, შეძლებისდაგვარად მოჰქონდათ

ვარდის ფურცლები... ძალიან ბევრი დამიგროვდა, ვცადე, მათზე ექსპერიმენტები ჩამეტარებინა. ყოველი ცდის მერე, რაღაც ახალს ვაწყდებოდი. შეგროვებული ფურცლები გადავასხარისხე და შევკერე ბალიში, რომელიც სხვათა შორის, გულის დაავადებებს კურნავს. დარჩენილი ფურცლებით კი მოვაშაღე კანის ლოსიონი, დეზოდორანტი, სხვადასხვა კოსმეტიკური და სამკურნალო საშუალება, ფესსაცმლის საცხი.

— ამ ყველაფერს მხოლოდ ვარდის ფურცლებისგან ამზადებთ?

— არა მარტო ვარდის ფურცლებისგან, არამედ სხვა ბუნებრივი კომპონენტებისგანაც. შემდეგ მოვაშაღე პოლიგრაფიული საღებავი (მცენარეებისგან), რომელიც იმდენად მღვრადია, რომ სპირტიც კი ვერაფერს დააკლებს.

— რაში დაგჭირდათ პოლიგრაფიული საღებავის მომზადება?

— ჩვეულებრივი მელანი, პირველ რიგში, თვალზე მოქმედებს ცუდად. განსაკუთრებ-

ბით, ის საწერ-კალამია საწამლავის ტოლფასი, რომელსაც სასიამოვნო სურნელი აქვს.

— ალბათ, იმ საქმეს, რომელსაც თქვენ ემსახურებით, გარკვეულ დონეზე მაინც სჭირდება ქიმიის, ბიოლოგიის, ფიზიკის ცოდნა?

— არა, პირიქით. მე ყოველგვარი ქიმიის წინააღმდეგი ვარ.

— მაგრამ განსაზღვრული ცოდნის გარეშე, ამ ყველაფერს როგორ ამზადებთ?

— ეს ცოდნა, საკუთარ გამოცდილებაზეა დაფუძნებული. ყოველთვის ძალზე სუსტი ვიყავი საბუნებისმეტყველო საგნებში — წითელი ხაზებით ვნიშნავდი იმ მთავარ სიტყვებს, რომლებიც უნდა დამეზებებინა. მამაჩემი უცხო ენის მასწავლებელი იყო და მხოლოდ მისი ხათრით მიწერდნენ ოთხიანს. ასევე არავითარი კავშირი არ მქონდა ხატვასთან, ქანდაკებასთან, მაგრამ ჩემდა გასაცრად, ცვილისგან გამოვძერწე კუ, რომელიც არასოდეს მენახა, მაგრამ ყველას, ვინც ნახულობდა, ნამდვილი ეგონა... საერთოდ, უეცრად დამებადება ხოლმე იდეა, რომლის განხორციელებას იმწუთიდანვე ვიწყებ ისე, თითქოს მთელი ცხოვრება ამ საქმეს შევალე. ასე, ნელ-ნელა მივაქციე ყურადღება ბუნების იმ მხარეებს, რომლებსაც ადრე ვერც კი ვამჩნევდი. მაგალითად, აღმოვაჩინე ხის ფესვი, რომელსაც მოცეკვავე ქალის ფორმა აქვს. თუმცა დეტალები სრულყოფისათვის მე მივაბატე. აღმომიჩენია ისეთი ნივთიც, რომელსაც სრულყოფილი სახე ჰქონდა — მაგალითად, ჩემი გაცემა გამოიწვია ჭადრის ხის ქერქზე გამოსახულმა ღვთის სალოცავმა, ამავე ხის ქერქზე გამოსახულმა უფლის კვართმა, პირამიდამ, სხვადასხვა საყოფაცხოვრებო ნივთმა, ცხოველებისა და ბუნების გამოსახულებებმა. ყოველი მათგანი ერთ დღეზე მაქვს მოთავსე-

ბული... ბუნების აღქმამ რწმენამდე მიმიყვანა.

— ეი. შემოქმედებითა მოღვაწეობამ მთელი თქვენი ცხოვრება შეცვალა?

— ასეა. მართალია, ადრეც არ მიყვარდა სხვისი განსჯა, ჭორობა, წყევლა, ვცდილობდი, არ გაებრაზებულიყავი, მაგრამ ახლა ჩემი ცხოვრება მაინც რადიკალურადაა შეცვლილი. თავიდან ხალხი ჩემს საქმიანობაზე იცინოდა, მაგრამ მე ეს ბუნებრივ მოვლენად ჩავთვალე. დღეს კი, ამ ყველაფრის შესახებ ვაღგენ წიგნს სახელწოდებით — „ერთად გადავარჩინოთ სამყარო“

ჩემს გამოფენაზე ყველაფერს ბუნებრივი ეფექტი ექნება...



და მე დარწმუნებული ვარ იმაში, რომ ნებისმიერი ბოროტმოქმედი, რომელიც ამ წიგნს წაიკითხავს, დანაშაულს აღარასდროს ჩაიდენს. ამიტომ, გადაწყვეტილი მაქვს, როცა წიგნი გამოვა, იგი ციხეებში უფასოდ დავარიგო. ეს იქნება ჩემი აღსარება. აღსარება, რადგან წარსულისკენ გახედვაც კი არ მინდა (სხვათა შორის, ეს წიგნი, ჩემ მიერ მომზადებული პოლიგრაფიული საღებავით დაიბეჭდება)... მეექვსე წელია, რაც ამ საქმიანობას მოვიკიდე ხელი. 2003 წლის 2 მაისს კი, მე და ჩემმა თანამოაზრეებმა ჩამოვაყალიბეთ მოძრაობა — „უკან, ღებბუნებისაკენ!“ — რომლის პრეზიდენტიც ვახლავთ იურისტი, გენერალური პროკურატურის ყოფილი თანამშრომელი კოკი ნარმანიძე...

— თქვენ სუნამოსაც ამზადებთ. როგორ ფიქრობთ — ძვირად ღირებულ სუნამოებზე უარს იტყვიან?

— ჩემს სუნამოს აქვს ნაზი, ბუნებრივი სურნელი, არა არის საჭირო, ერთი კილომეტრის მოშორებით იგრძნო სურნელი და თუ ეს ასეა, ეი. მასში ქიმიური დანამატები მოჭარბებული რაოდენობითაა. ჩემი სუნამოს დამზადებას დიდი თანხაც არ სჭირდება, მაგრამ ნელეული არა მაქვს. მჭირ-

ება ნატურალური, ჭურის ღვინო, რომელსაც ვერ ვშოულობ...

— როგან შედგება თქვენი კბილის სასმენდი ფხვნილი?

— ნაცარი, კვერცხის ნაჭკუჭი და 2 სახეობის სამკურნალო მცენარე, რომელსაც ჯერჯერობით ვერ დავასხელებ. სხვათა შორის, ის სურნელოვანია, მაგრამ ქაფი არა აქვს. ქაფი, მხოლოდ ქიმიური დანამატების შედეგია.

— დარწმუნებული ხართ, რომ თქვენ მიერ დამზადებული ფხვნილი სასარგებლოა და კბილებს მიკრობებისაგან დაცავს?

— ის სასარგებლოა პროფილაქტიკისათვის, ღრძილების დაავადების სამკურნალოდ, აჩრებს სისხლძენას. სხვათა შორის, ერთ უცნობ კაცს გავატანე ეს ფხვნილი. ის ერთ კვირაში აღფრთოვანებული მოვიდა ჩემთან და ნახევარი მანქანა შემამომიბრუნა, რადგან მისთვის ფული არ გამოიძრებოდა. რა უნდა გამოემართა, როცა 10 ადამიანისთვის სამყოფი ფხვნილი სულ 1 ლარი და 60 თეთრი დამიჯდა!.. ფხვნილის საცხიცი ძალიან იაფი ჯდება. ამასთანავე, მილიონი წელიც რომ გავიდეს, არ ფუჭდება და ისეთ ბზინვარებას სძენს ფენსაცმელს, როგორსაც ქიმიური საცხი.

— თუ შესაძლებელია, რომ ფაქტობრივად არაფროსგან ვიშოვოთ მილიონები, მაშინ რატომ არ გამოგიჩნდათ სპონსორი?

— სპონსორობის მსურველები გვყავდა, მაგრამ ამ საქმიდან ხეირის ნახვა მათ ერთ თვეში სურთ. მაგალითად, ჩვენთან მოვიდა ადამიანი, რომელმაც გარკვეული თანხა შემოგვთავაზა. მე ვუთხარი, რომ ამ ფულს 2-3 თვეში ვერ დაიბრუნებდა, მოგების მიღებას კი, ერთი წელი მაინც დასჭირდებოდა. მან მითხრა — ამდენ ხანს ვერ მოვიცდიო — და ფული სხვა საქმეში

ჩაღო. რამდენიმე ხნის შემდეგ მოვიდა და მითხრა: ის თანხა დავკარგე, ნეტავ, თქვენთვის მომეცა, ვალებში ჩავკარდი, სახლიც კი გაყვიდე — ალბათ, დღერთმა დამსაჯაო...

— როგორც ვიცო, გამოფენის მონაწილას გეგმავენ.

— დიახ. ჩემს გამოფენაზე ყველაფერს ბუნებრივი ეფექტი ექნება. კედელზე ყველა ექსპონატი ლურსმნის გარეშე იქნება დამაგრებული. გამოფენისათვის ვაპირებ, მცენარეებისა და ყვავილებისაგან შევქმნა სამოსი, რომელიც გამორჩეული იქნება თავისი შეფერილობით.

— სოლამაზის რაიმე რეცეპტს ხომ ვერ შემოგვთავაზებდით?

— ავიღოთ 9 ს/კ გამხმარი ჭინჭრის ფოთოლი, 2 ს/კ გამხმარი სვიის ფოთოლი, 3 ვაშლის (ანტონოვკის) ქერქი, 1/3 ს/კ ლიმონის წვენი, ეს ყველაფერი მოვათავსოთ ქილაში. გამოყენების წესი: თავის დაბანის შემდეგ, ეს სითხე შეიზილეთ ბამბით. 10-15 წუთის განმავლობაში გაიჩრეთ და თან, ნატურალური ქსოვილი შემოიხვიეთ თავზე. შემდეგ, თავი ჩამოიბანეთ, ნელთბილი წყლით. შედეგი — აჩრებს თმის ცვენას, აჯანსაღებს ძირებს, ბოლოებს... ფეხშიძე ქალებს ვურჩევ — ორსულობის დროს, არ გამოიყენოთ კოსმეტიკური (ქიმიური) საშუალებები, ნუ ილაპარაკებთ ნაყოფის სქესზე; ბავშვის მუცლად ყოფნის დროს, ჩაიცვით მხოლოდ ნატურალური ქსოვილისგან დამზადებული კაბები (და არა შარვლები), ვარდის ფურცლებისგან შეკერეთ პატარა ბალიშები და დაიწყეთ თავთან.

— როგორ დავამარცხოთ თავის ტკივილი ბუნებრივი საშუალებებით?

— უფალმა მოგვცა წამალი და ის ბუნებაშია. მე თავი არასდროს მტკენია. ადამიანის ჯანმრთელობასაც, რწმენამდე მივყავართ. III წლის ამერიკელმა ქალბატონმა — ლენა მაკლაკანმა სულ 5 სიტყვით ჩამოაყალიბა თავისი დღევანდელი რეცეპტი: „უნდა შეხაროდე ცხოვრებას და ადამიანებს“. როცა რწმენა გაქვს, ყველაფერი გინარია, არაფერი გტკივა...“

— და მაინც, რა ბუნებრივი საშუალებებია, რომლებიც ღმერთმა გვიბოძა და სათანადოდ არ ვიყენებთ?

— ერთ მაგალითს მოვიყვან. ადამიანები წყალს არ სვამენ. წყალი არის ადამიანისთვის ენერგია. 15 წლამდე ასაკის ადამიანმა ყოველდღე უნდა მიიღოს 1 ლიტრი ან ლიტრა-ნახევარი წყალი, 15 წლის შემდეგ — არანაკლებ 2-3 ლიტრისა, ყლოუ-ყლოუ-ჰად. კარგია აგრეთვე, წყლის დაღვევა უხმოზე. ხშირად მიირთვით ბოსტნეული, ხილი, მწვანილი და პირობას გაძლევთ, თავი არასდროს ატკივდებათ.

ზალიკო ბერგერი

სამკაულების დამზადებითაა ვატაცებული

ქალის მომზადებლობისა და მისი ნათლად წარმოჩენის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საშუალება, სწორად შერჩეული სამკაულია. სასურველი აქსესუარებისა და სამკაულების შერჩევა დღეს პრობლემას აღარ წარმოადგენს. საზღვარგარეთიდან შემოსულ, ბაზარზე უხვად გამოტანილ ნაირგვარ სამკაულს, ცხოვრილი ქართველი დიზაინერის, ზალიკო ბერგერის მიერ დამზადებული ორიგინალური სამკაულები შეემატა, რომელსაც ის გოგონებსა და ქალბატონებს მათი ასაკის და გემოვნების მიხედვით შეურჩევს.

სოფო ჭონიძევილი

— ზალიკო, რატომ დაინტერესდით მინცდამინც აქსესუარების დიზაინით?

— სამკაულები და აქსესუარები რატომღაც ყოველთვის მომწონდა. ყველა ჩვენების თუ გამოფენის დროს, აქცენტს სამკაულებზე ვაკეთებდი. სამკაულის გარეშე კაბა ვერ წამომდგინა. მოხდა ისე, რომ დავიწყე აქსესუარებისთვის საჭირო მასალების შეგროვება. გარკვეული დროის შემდეგ აღმოჩნდა, რომ საკმაოდ ბევრი მასალა დამიგროვდა. დავიწყე სამკაულების აწყობა და დავრწმუნდი, რომ კარგად გამომდიოდა. იქიდან მოყოლებული, დღემდე ვაკეთებ. სამკაულების ჩვენებას კი მოვაწყვე. „პირველად კავკასიაში“ — ასეთი გამოსმაურება მოჰყვა ჩემს პირველ ჩვენებას. სიმართლე გითხრათ, მაშინ არც მიფიქრია, რომ ამ სამკაულებს მართლ მე ვაკეთებდი. მას შემდეგ წარმატებულად ვაგრძელებ ამ საქმიანობას.

— აქსესუარების დასამზადებელ მასალას სად იძენთ ხოლმე?

— მასალას უფრო ხშირად, თურქეთში ვყიდულობ. მაგრამ ამ ბოლო დროს,



საქართველოშიც არის შესაძლებელი, რაღაც მასალა მინც შეიძინო. განსხვავებული კი, ძირითადად, თურქეთიდან ჩამოგვაქვს.

— თქვენ მიერ დამზადებული სამკაულები უმეტესად, ბიუჯეტურია თუ ძვირფას ქვებსა და ლითონებსაც იყენებთ?

— ძვირფას ქვებსა და ლითონებს ნაკლებად ვიყენებ. ნახევრად ძვირფასი ქვებით შექმნილი სამკაულები კი გვაქვს. ძვირფასი თვლებით იშვიათად ვაკეთებთ, მაგრამ ეს მხოლოდ ინდივიდუალური შეკვეთების დროს ხდება. ასე რომ, გამზადებულ კოლექციას ძვირფასი ქვებით არ ვაკეთებთ. ახლა ძირითადად, ბიუჯეტურია მოდაში.

— მასობრივად შემოიჭრა მოდაში გრძელი საყურეები. წელს რა ხდება? მათ პატარა და ნაზი აქსესუარები სომ არ შეცვლის?

— გრძელი საყურეები 3-4 წელია, მოდაშია და თავისი ადგილი დაიმკვიდრა კიდევ. პირიქით, უფრო და უფრო იზრდება საყურეების ზომა. საერთოდ, გრძელი საყურეები ძალზე ეფექტურია, მით უმეტეს — ჩვენებისთვის.

— თქვენ თვითონ თუ გიყვართ აქსესუარები და რა სამკაულს ატარებთ უფრო ხშირად?

— მე თვითონ სამკაულებს არ ვატარებ. ვატარებ მხოლოდ ჯვარსა და საათს.

— ყველაზე ძვირფასი სამკაული, რომელიც დაგიზადებიათ...

— ეს იყო ქალის გულსაკიდი, რომელიც ძვირფასი ქვებით, ბრილიანტებითა და აკვამარინით იყო გაწყობილი. შეკვეთით შევქმენი. რა თქმა უნდა, ძალიან ძვირად ღირებული გახლდათ.

— აქსესუარებს თქვენ თვითონ აწყობთ თუ მხოლოდ მის დიზაინს ქმნით?

— ბევრ რაღაცას მე თვითონ ვაკეთებ, მაგრამ დამხმარებებიც მყავს.

— სპეციალურად თუ შეგიქმნიათ საჩუქრად რაიმე, მეგობრისა ან საყვარელი ადამიანისთვის?


— კი, როგორ არა?! თავიდანვე ჩამიფიქრებია, რომ აი, სწორედ ასეთი რამ მოუხდება „იმ ადამიანს“... გამიკეთებია და მიჩუქებია კიდევ.

— ცნობილი და პოპულარული ადამიანებიდან ვინმემ თუ შეიძინა თქვენი სამკაული?

— ძალიან ბევრმა. მაგალითად, ლელა წურწუმის აქვს რამდენიმე საყურე, ყელსაბამი. ბევრ მომღერალ ქალბატონს აქვს ჩემი შექმნილი აქსესუარები.

— ფასები როგორია? რამდენად ხელმისაწვდომია?

— აბსოლუტურად ხელმისაწვდომი ფასებია, ყველა ადამიანს შეუძლია, შეიძინოს და ატაროს ზალიკო ბერგერის აქსესუარი. ჩვენ ისეთ საზოგადოებაში ვცხოვრობთ, რომ ხალხს,



უფრო და უფრო იზრდება საყურეების ზომა. გრძელი საყურეები ძალზე ეფექტურია

სამკაული და
აქსესუარი
უნდა
შეირჩეს
ტანსაცმლის
მიხედვით



მასას არა აქვს საშუალება, ძვირად ღირებული აქსესუარები შეიძინოს. რა ფასებიც ჩვენთანაა, შეიძლება, ომის მსგავსი ნივთი მოსკოვში 10-ჯერ უფრო მეტი ღირდეს.

— რას ურჩევდით ქალბატონებს — როგორ უნდა შეარჩიონ აქსესუარები?

— სამკაული და აქსესუარი უნდა შეირჩეს ტანსაცმლის მიხედვით. ჩვენ გვაქვს სამკაულები, რომელთა ნაწილიც სპორტული სტილისაა, ნაწილი კი — კლასიკური. მაგალითად, შავვერემან ქალს არ მოუხდება ისეთი აქსესუარი, როგორც ქერას და — პირიქით. თითოეულ ადამიანს ინდივიდუალური მიდგომა ესაჭიროება. ზოგი საერთოდ ვერ ხმარობს გრძელ საყურეებს. ყოფილა ისეთი შემთხვევა, რომ უთქვამთ — აი, ამ საყურის ხათრით ყური უნდა გავიხვიტო...

— დაბოლოს, თქვენი უახლოესი გეგმები გაგვანდვით.

— 5 ივლისს ვაპირებ საზაფხულო კოლექციის ჩვენებას, სადაც წარმოდგენილი იქნება სხვადასხვა სტილის კაბა, უფრო მეტად ტრიკოტაჟის, ჰაეროვანი მასალისგან შექმნილი, რა თქმა უნდა, შესაბამის აქსესუარებთან ერთად. იქნება ძალიან ლამაზი საზაფხულო ჩვენება, ფერადი შიფონებით შეკერილი საზაფხულო კაბები.

როგორ მოვიძიოთ მოწებრებული მამაკაცი?

ყველაფერი დამთავრდა — ეს სოციალური წარსულს ჩააბარდა. შეიძლება ახალმა თაყვანისმცემელმა გაგიტაცათ ან უბრალოდ, ძველი ურთიერთობა მოგებრდეთ. ეს შეფერვბული კი თავს არ განებებთ, ვეღარ შეიგნო, რომ აღარ გაინტერესებთ — ნამდუნუმ რეკავს ან თქვენი სადარბაზოს კართანაა ატუხული, იმ იმედით, რომ ადრე თუ გვიან, მასზე გული მოგიბრუნდებათ.

არსებობს რამდენიმე მარტივი მეთოდი, რომლითაც მოებრებული მამაკაცის თავიდან მოცილება იოლია:

არ უპასუხობთ მობილურ ტელეფონზე მის ზარებს. შინ კი, კარგი იქნება, თუ ყურმილს მამაკაცი აიღებს და მკაცრი ტონით აუწყებს აბეზარ ახალგაზრდას, რომ საქმეზე ხართ წასული და შინ დაბრუნებას სულაც არ ჩქარობთ. თუმცა შეგიძლიათ თავადაც მიხვიდეთ ტელეფონთან და ყო-

ვლ მორე დარეკვებზე ვულდამწვარ მიჯნურს სხვადასხვა სახელით მიმართოთ.

თუ ამ მეთოდმა არ გაჭრა, ყოფილ შეყვარებულს ამცნეთ, რომ მისი ნაჩუქარი ბეჭედი ორი კვირის წინ დაგეკარგათ; თანაც დასძინეთ, რომ სანერვიულო არაფერი გაქვთ, რადგან გუშინ ახალმა თაყვანისმცემელმა ულამაზესი, ძვირფასთვლიანი ბეჭედი მოგიძღვნათ.

თუ არც ამან ვიშველით, ნაცნობ მამაკაცებს (მეგობრებს, კოლეგებს...) სთხოვეთ, საღამოობით რიგრიგობით მიგაცვილონ შინ. ვფიქრობთ, თქვენი ექსტრემული ნაწახით კმაყოფილი ნამდვილად არ დარჩება და თუ მთლად შეუგნებელი არ არის და ცოტაოდენი თავმოყვარობა მაინც შერჩენია, გზიდან ჩამოგეცლებათ. თანაც, ვინ იცის, ვვებ საღამოს შეხვედრებმა სასიკეთო შედეგი გამოიღოს და თქვენ კვლავ ყურებაზე შეყვარებული აღმოჩნდეთ?!

კანის მოვლა თვალეზის გარშემო


თვალეზის გარშემო კანი განსაკუთრებით ნაზი, მგრძობიარეა და საგანგებო მოვლას საჭიროებს. ამასთან ერთად, ის ბუნებრივი ცხიმოვან ღარიბია. თვალეზებზე სშირად ჩნდება სოლურჯე შეშუპება. თვალეზის გარშემო კანის მოსავლელად რეკომენდებულია შემდეგი ბუნებრივი საშუალებები:

● თუ ქუთუთები შეგისივლათ ან დაეწიოილდათ, ცაცხვის 1-2 ჩ/კ გამხმარ ყვავილს დასხით 1 ჩ/კ მთლარე წყალი. ნაყენი 15 წუთის შემდეგ გადაწურეთ და თვალეზი ჩამოიბანეთ. ჩამობანის ნაცვლად, ხსენებული ნაყენით გაულებითი საფენის დადებაც შეგიძლიათ: თბილ ნაყენში დასველებული, ოდნავ გაწურული დოლბანდი ქუთუთებზე 5 წუთით უნდა გაიჩეროთ. ეს პროცედურა თვალეზის გადგლილობასაც ძალზე შევლის;

● 1 ჩ/კ არყის ნელ ნელ ფოთლებს დაასხით 1 ჩ/კ ცივი წყალი და გააჩერეთ 8 საათის მანძილზე. შემდეგ გადაწურეთ. ამ ნაყენით გაულებითი საფენი ძალზე ეფექტურია ქუთუთების შეშუპებისას;

● თუ თვალეზის გარშემო კანი ჩაგიმუქლათ, პიტნის ფოთლები დასრისეთ, დოლბანდზე მოათავსეთ და თვალეზზე დაიფენეთ;

● თვალეზებზე შეშუპებას ეფექტურად ჩააცხრობს უმი კარტოფილის ნიღაბი: წვრილ სახეზე გახეხილ 1 ჩ/კ კარტოფილს შეურიეთ 1 ჩ/კ პურის ფქვილი და 1 ჩ/კ ალუბებული რძე. მიღებული მასა თხლად წაისვით და ნიღაბი 10 წუთის შემდეგ ჩამოიბანეთ. ამ პროცედურის შემდეგ კარგა თვალეზებზე სპეციალური კრემის წასმა.



ტკბილ წვენი მოხარშული ხილი	რეპტილია	ქამანდი - იყენებს კოვბოი	ფეხბურთის "მეფე"	მდინარე თბილისში	თანხა - უხლიან სტუდენტებს	პოლიტიკური ნდ მოპოვება ცრულაპირებებს
მ	ე	ს	ა	ნ	ე	ს
წიადისეული ... ნახშირი	დ. კლდიაშვილი ".... ღორები"	ავტომობილი ".... ვექტრა"	ყველაზე მაღალი მწვერვალი დედამიწაზე	გაერ-თიანება: ...-კლუბი	თავსამკაული	ბიზნეს ... თი

მოკუფრთხილდეთ ნერვებს

რუბრიკას უძღვება ექიმი თამარ მამაცაშვილი

ჯანსაღი ნერვული სისტემა ჯანმრთელობისა და დღეგრძელობის საინდარია. ეს დღეს ყველამ მშვენივრად იცის. მაგრამ ცოტას თუ ესმის ჯანმრთელი ნერვების ნამდვილი ფასი: ექიმებმა, ფსიქოლოგებმა და ფილოსოფოსებმა ერთსულოვნად დაასკვნეს — ყველა დაავადება ნერვულობით იწყება.

ადამიანის ნერვული სისტემა ცენტრალური და პერიფერიული ნაწილები სგან შედგება, რომლებსაც თავის და ზურვის ტვინი და მათგან გამოძვალი ნერვები ქმნის. ნერვული სისტემა უმაღლესი მაკონტროლებელი ორგანოა. ჩვენი სხეულის თითოეულ უჯრედსაც კი თავისი „ზედამხედველი“ ნერვი აქვს, რომელიც არა მარტო აკონტროლებს მათ მუშაობას, არამედ აძულებს ქვეშევრდომ უჯრედებს, ქსოვილებსა თუ ორგანოებს, რომ თავიანთი ფუნქციები მთელი ორგანიზმის მოთხოვნათა შესაბამისად შეასრულონ. ცენტრალურ ნერვულ სისტემას მთელი სხეული საერთო, ურთიერთშეთანხმებული მუშაობის რეჟიმში გადაჭყვეს, რათა მან მთლიანი, ჰარმონიული სისტემასავით იმუშაოს.

საკმარისია, დასუსტდეს ნერვული სისტემის რომელიმე რგოლი, რომ მისდამი დაქვემდებარებული უბანი კარგავს კავშირს ორგანიზმის დანარჩენ ნაწილებთან და ერთიან სისტემას ეთიშება, დაკისრებული ფუნქციის განუხორციელებლობა კი, პათოლოგიურ პროცესებს იწყებს, რაც სხვადასხვა დაავადების განვითარებით სრულდება.

ნერვული სისტემის მუშაობას ისე არაფერი აფერხებს, როგორც სტრესი, მოულოდნელი უარყოფითი მოვლენები, ფსიქოემოციური ტრავმები. ამიტომ სტრესებითა და კატაკლიზმებით მდიდარ დღევანდელობაში, ნერვულ ნიადაგზე განვითარებული დაავადებების რიცხვმაც კატასტროფულად იმატა.

ნებისმიერი სომატური დაავადების მიზე-

ზებს შორის ერთ-ერთი პირველი ადგილი სტრესსა და ფსიქოემოციურ ფაქტორებს უკავია. ამიტომ ვთავაზობთ რამდენიმე საეულისხმოდ რჩევას, რომელიც საკუთარი თავის მართვას გაავადვილებს და ნერვული სისტემის დაზოგვაში დაეხმარება.

● შეინარჩუნეთ კარგი განწყობილება. კარგი გუნება მუცისმუტად ძვირფასია სამისოდ, რომ მასზე ხელალებით ვთქვით უარი. ემოციათა მართვა ის დიდი ძალაა, რომელსაც მიზნამდე მივყავართ, თანაც ისე, რომ გზადაგზა ჩვენს ჯანმრთელობას არაფერი აკლდება. ხოლო მათ, ვინც ამას ვერ ახერხებს, მხოლოდ დასახულის მიღწევა კი არ უჭირთ, არამედ ფიზიკურადაც უძლიურდებიან.


ამრიგად, როგორც კი შეატყობთ, რომ ამა თუ იმ სიტუაციაში გუნება გაგიფუჭდათ, ეცადეთ, გარემოთ, გაეცალოთ იტაურობას; აიღეთ საყვარელი წიგნი, ჩართეთ სასიამოვნო მუსიკა, შეასრულეთ მარტივი ვარჯიში ან უბრალოდ, სუფთა ჰაერზე გაიარეთ.

● ერიდეთ ჩხუბს. ნურავის გააღიზიანებთ და ნურც იმის ნებას მისცემთ ვინმეს, რომ თქვენ გააღიზიანოთ. გასსოვდეთ — ის, ვისაც სხვებისთვის ნერვების მოშლა შეეძებას ჰგვრის, არასრულფასოვნების კომპლექსითაა შეპყრობილი და ამ გზით ცდილობს თვითდამკვიდრებას.

ხშირად, ჩხუბი კამათით იწყება. ის გონებას აწრთობს და ამ თვალსაზრისით, სასარგებლოც კია, ოღონდ — მხოლოდ მაშინ, როცა მოკამათებს სიმშვედე არ ღალატობთ და აზრთა ჭიდილი ხელჩართულ ბრძოლად არ გადაიქცევა.

● ხშირად იცინეთ. სიცილი სტრესის მოხსნის საუკეთესო საშუალებაა. ის აუმჯობესებს სისხლის მიმოქცევას გულმკერდისა და მუცლის ღრუში, ხელს უწყობს საკვების მონელებას, არასასურველი ემოციებისგან ათავისუფლებს გონებას და გულსატკენი ამბების გადატანაში გვეხ-

მარება. ღიმილი იმედსა და სიხარულს გვისახავს. ამიტომ ეცადეთ, შეიძინოთ ისეთი წიგნები, უყუროთ ისეთ ფილმებს, რომლებიც გულიანად თუ არ გაგაცინებთ, გააღიზიებთ მაინც. დაუშვებრდით მხიარულ, იუმორის გრძნობით დაჯილდოებულ ადამიანებს, მუდამ ცუდ ხასიათზე მყოფებისგან კი, თავი შორს დაიჭირეთ. ბედნიერი და მხიარული ადამიანების გვერდით სხვებიც ხალისით ივსებიან. ასე რომ, გაიღიმეთ და გააღიმეთ სხვებიც, ნუ ჩაიკეტებ-



ბით საკუთარ თავში.

● ისწავლეთ საკუთარ პრობლემებზე მშვიდად საუბარი. ნუ დაავროვებთ წყენას თვეობითა და წლობით, ვიღაც, თავიდანვე გაარკვიოთ მდელვარების მიზეზი. ხანგრძლივი წყენა და უთქმელობა ადამიანს ძალას, ენერჯასაც აცლის და შრომის სურვილს უკარგავს.

● დაბოლოს, ნუ დაიტანჯავთ თავს ზედმეტი განსჯით; მოეშვით უმიზეზო ფორიაქს. ერთი სიტყვით, გაუფრთხილდით ნერვებს და ნერვებიც გაგიფრთხილდებიან. ■

ძილისპირული	სიგყვა, რომელიც მნიშვნელობით სხვა სიგყვას ემთხვევა	კერპი, თავისინათქვამა	მომდერალი ბაგრატიონი	გამი, იღებენ კალციუმის ციანებს	სერიალი „რვაფეხა“ მსახიობი ... კატანი	ბრიუს ...
ა	ნ	ნ	ა	ს	ი	ი
...	გროპიკული ხილი	პერსონა ... გრაგა	ცხოვრების განსხვავებული სტილი	ძველმანების, მაკულატურის გადამუშავება	თეთრი ნიშანი ხარის შუბლზე	დასარგყამი ინსტრუმენტი

ქლამიდიოზი

ქლამიდიოზი, სქესობრივი გზით გადამდები ერთ-ერთი ყველაზე მეტად გაფრცელებული ინფექციაა. საკმაოდ ხშირად (განსაკუთრებით ქალებში), იგი უსიმპტომოდ მიმდინარეობს, რის გამოც დიაგნოსტიკა ვერ ხერხდება. ამას პარტნიორის ინფიცირება და შორეული გართულებები მოჰყვება.

დიდი მნიშვნელობა აქვს ყველა სექსუალური კონტაქტის მოძიებას, რათა სიმპტომური ინფექციის მატარებელთა დიაგნოსტიკა და მკურნალობა მოხდეს.

კლინიკური სურათი

ქალებში ქლამიდიით გამოწვეული შარდ-სასქესო ორგანოთა ინფექცია, 100-დან 30 შემთხვევაში, შემდეგი სიმპტომებით მიმდინარეობს: საშვილოსნოს ყელის ლორწოვან-ჩირქოვანი ანთება, საშოდან ჩირქოვანი გამონადენი, მუცლის ქვედა მიდამოს ტკივილი, საშოდან სისხ-


ლდენა სქესობრივი აქტის შემდეგ ან მენსტრუალურ ციკლებს შორის პერიოდში, შარდვის გაძნელება, მენჯის მწვავე ანთებითი დაავადების ნიშნები, მენჯის ქრონიკული ტკივილი.

მამაკაცებში შემთხვევათა 75%-ში სიმპტომატიკა ასეთია: გამონადენი ურეთრიდან და დიზურია (შარდვის გაძნელება), რომელსაც სათესლე ჯირკვლის დანაშაულის ანთების ან პროსტატიტის ნიშნები სდევს თან.

ორივე სქესის პაციენტებისთვის დამახასიათებელია ასეთი საერთო ნიშნები: გამონადენი სწორი ნაწლავიდან, დისკომფორტი სწორი ნაწლავის არეში, კონიუნქტივიტი, სახსრების ტკივილი.

დიაგნოსტიკა

ბოლო წლებში, ქლამიდიის დიაგნოსტიკის რამდენიმე მეთოდი მოწოდებულია. მათ შორის, მაღალი მგრძობელობითა (90%-ზე მეტი) და სპეციფიკურობით (99%) გამოირჩევა



ნუკლეინის მჟავას ამპლიფიკაციის მეთოდი. კვლევისათვის მასალას იღებენ ინვაზიური გზით (ურეთრიდან, საშვილოსნოს ყელიდან) ან არაინვაზიური გზით (შარდი, საშოდან გამონადენი). ამ მეთოდის ნაკლი ის არის, რომ ძალზე ძვირია.

მკურნალობა

ქლამიდიოზის სამკურნალოდ საჭიროა სპეციფიკური ანტიბიოტიკოთერაპია 4-7 დღის განმავლობაში. გართულებულ შემთხვევებში, მკურნალობა უფრო ხანგრძლივია.

როსა პატარას კოპი აქვს...

იშვიათია ბავშვი, რომელსაც შუბლზე ოდესმე კოპი არ ჰქონია. ცელქ და იმპულსურ პატარებში კი ეს პრობლემა უფრო მწვავედ დგას — ერთ კოპს მეორე მოსდევს, მეორეს — მესამე...

ტრავმის პირველი ვარიანტი უსისხლოა. დაზიანებულია მხოლოდ რბილი ქსოვილები. პატარას ტკივილი აწუხებს, დარტყმის ადგილას კი მოლურჯო შეშუპება აღენიშნება. ასეთ დროს, დასველეთ ქსოვილი ცივ წყალში და კოპზე დააფინეთ. კომპრესი ხანგრძლივი უნდა იყოს — სასურველია, 2 საათის განმავლობაში. მაგრამ პრაქტიკულად საფენის დადება მანამდე შესაძლებელი, სადამდეც ბავშვს მოთმინება ეყოფა. ამის შემდეგ კი, კოპის სწრაფად გაწოვისთვის, მასზე ოოდის ბადე გააკეთეთ და ჰეპარინის საცხი წაუსვით.

მეორე ვარიანტი — სისხლმდენი ტრავმა. ამასთან მამინ გვაქვს საქმე, როცა ბავშვი მახვილ კუთხეს დაარტყამს თავს. პატარებს სისხლის, ტკივილზე მეტად ეშინიათ. ამ დროს, მთავარია, დედა არ დაიბნეს და პანიკის გარეშე შეძლოს ბავშვისთვის დახმარების გაწევა. ასეთ დროს, სტერილურ დოლბანდზე უნდა დააწვეთოთ მცირე რაოდენობით წყალბადის

ზეყანგი და მიაღოთ სისხლმდენ ადგილას. კარგი იქნება, თუ ასეთი შემთხვევისთვის, შინ გექნებათ სპეციალური ჰემოსტაზური (სისხლდენის შემაჩერებელი) ღრუბელი და დარტყმის ადგილას დასადებად სწორედ ის გამოიყენოთ. როდესაც სისხლდენა შეჩერდება, ბავშვს თავზე მჭიდრო ნახვევი უნდა დაადოთ: რადგან თავის კანის დაჭიმულობა მაღალია, ჭრილობის კიდეები, როგორც წესი, ერთმანეთს შორდება. ამიტომ გირჩევთ, ბავშვი ყოველი შემთხვევისთვის ექიმთან მიიყვანოთ: შესაძლოა, ნაკერების დადება გახდეს საჭირო.

თავის ტრავმისას მთავარია, სწორად შეფასდეს ბავშვის მდგომარეობა. თუ პატარამ ფერი დაკარგა, აქვს თავბრუსხვევა, თავის ტკივილი, ყურებში ხმაური, გულისრევა,



ღებინება; თუკი ტრავმის მიღებისას, თუნდაც წამიერად დაკარგა გონება და ამის შემდეგ, სიარული არამყარი გაუხდა, ეს ნიშნები თავის ტვინის შერყევას მოწმობს. ის გონის დაკარგვის გარეშე შეიძლება განვითარდეს, ამიტომ მეტ-ნაკლებად ძლიერი ტრავმის შემდეგ, სასურველია, ბავშვი ნევროლოგმა გასინჯოს.

ექიმთან ვიზიტი აუცილებელია იმ შემთხვევაშიც, თუ ტრავმიდან 2-3 საათის ან მთელი დღის შემდეგ, პატარა გრძობს თავის ტკივილს, აქვს გულისრევა, ღებინება, თავბრუსხვევა... დააკვირდით თვალის გუგებს: ჯანსაღ ბავშვს ისინი ერთნაირი უნდა ჰქონდეს; თუ ერთ-ერთი გუგა შეცვლილია, გამორიცხული არ არის, ტრავმით გამოწვეული ქალისშიდა სისხლჩაქცევა. ასეთ შემთხვევაში, აუცილებელია ჰოსპიტალიზაცია.

მსუბუქი ტვინის შერყევის შემდეგაც კი, ვითარდება ხოლმე თავის ტკივილი, თავბრუსხვევა, გულისრევა. მათთან ბრძოლაში დაგეხმარებათ შარდმდენი მცენარეები: შიშა, სიმინდის თმა, დათვის კენკრა, ნეგოს ყვავილი, არყის ფოთლები, სალიბი; მათი შექმნა აფთიაქებში შეგიძლიათ. რეცეპტი შესაფუთზეა მითითებული. ბავშვს ნაყენი 7-10 დღის განმავლობაში უნდა ასვათ.

რა იგულისხმება სიმშვიდეში?

ქრისტიანულ სათნოებათაგან, ერთ-ერთი უმთავრესი და უმნიშვნელოვანესი სათნოებაა სიმშვიდე, რომელიც ადამიანის სულს მარადიული, ნეტარი ცხოვრებისთვის — ცათა სასუფეველისთვის ამზადებს. სწორედ ამის შესახებ ბრძანებს მაცხოვარი ნეტარების მესამე მცნებაში: „ნეტარ იყვნენ მშვიდნი, რამეთუ მათ დაიძვიდრნენ ქვეყანა“. რაში მდგომარეობს სიმშვიდე და რა თვისებები ახასიათებს მშვიდ ადამიანს? რომელი სათნოებები აღმოაჩენებს სიმშვიდეს? რომელია ამ სათნოების საპირისპირო ცოდვა?..

წმინდა ეპისკოპოს ეგნატე ბრინჯანისთვის მოძღვრებით, სიმშვიდეში იგულისხმება: „მრისხანების გულისსიტყვებისა და მძინვარებისგან თავის დაცვა; მოთმინება; შედგომა ქრისტესი, რომელიც თავის მონაფეებს ჯვარცმისკენ მოუწოდებს; გულის მშვიდობა; ქრისტიანული სიმტკიცე და სიმწნევე; შეურაცხყოფის მიმართ უგრძობლობა; უწყინარობა“. მოსკოველი მიტროპოლიტი, წმინდა ფილარეტი ამ სათნოებას შემდეგნაირად განმარტავს: „სიმშვიდე, ესაა სულის მშვიდი და ნყნარი განწყობა, რომელიც შეერთებულია სიფრთხილესთან, რომ არავინ გაფანანყნოთ და არც ჩვენ ჩავვარდეთ მრისხანებაში“.

შორენა მერკვილაძე

რა თვისებები ახასიათებს მშვიდ ადამიანს?

მშვიდ ადამიანს უდრტვიწველად და მშვიდად გადააქვს ყოველგვარი განსაცდელი — შეურაცხყოფა, ცილისწამება, წყენა, გასაჭირი თუ სხვა; არასოდეს გამოთქვამს საყვედურს უფლის მიმართ, არამედ მადლობას სწირავს ყოველივესთვის, რაც მის ცხოვრებაში მოხდება. არასოდეს აყენებს ზიანს ადამიანებს, არავის შეურაცხყოფს, არავის განიკითხავს; კაცთაგან მიყენებულ შეურაცხყოფას მოთმინებით იტანს; არასოდეს ბოროტდება მაწყინართა მიმართ, რადგან შესწევს ძალა, ადვილად მიუტევოს სხვას შეცოდებები და ილოცოს მაწყინართათვის. მშვიდი ადამიანი ყოველთვის ცდილობს, სხვა ადამიანებს შორისაც მოსპოს შუღლი და მტრობა. მაგალითი სიმშვიდისა არის მაცხოვარი, რომელმაც მარადიული სიკვდილის ტყვეობაში მყოფ ადამიანთა მოდგმის გადასარჩენად, მშვიდად და უდრტვიწველად აიტანა ყოველგვარი შეურაცხყოფა და გვემა, არ გაბოროტებულა მაწყინართა მიმართ, არამედ ჯვარზე გაკრული, ლოცულობდა მათთვის: „მამაო, შეუნდვენ მათ, რამეთუ არა იციან რას იქმან“. ამ სათნოების მოძოვებელნი არა მხოლოდ ამასოფლიდან გასვლის შემდეგ იგემებენ საუკუნო სიხარულსა და ბედნიერებას, არამედ მიწიერ ცხოვრებაშიც დატკბებიან ღვთის კეთილმოქმედებათა სიმდიდრით.

ყველაზე მეტად რომელი სათნოებები გამოავლენენ სიმშვიდეს?

„როგორც მონადირე უიარაღოდ ვერ მოკლავს ცხოველს, ასევე შეუძლებელია უშფოთველობის მოპოვება თავმდაბლო-

ბის გარეშე“, — წერს წმინდა მამა იოანე კიბისაღმწერელი. ამასვე ბრძანებს წმინდა იოანე ოქროპირი: „ისე არაფერი ანიჭებს სულს სიმშვიდეს, როგორც სიმდაბლე“. ამდენად, სიმშვიდეს უპირველესად შობს თავმდაბლობა, ამასთანავე — ჭეშმარიტი რწმენა ღვთისა და გულწრფელი სიყვარული ღვთისა და მოყვასისა.

როგორ მივალწიოთ იმას, რომ ყველა უსიამოვნება, რაც ჩვენს ცხოვრებაში მოხდება, მივიღოთ მოთმინებით და შევინარჩუნოთ სიმშვიდე?

როდესაც სულიერი გასაჭირის წინაშე აღმოვჩნდებით, სხვათაგან მოყენებული შეურაცხყოფა იქნება ეს, ცილისწამება, წყენა, სიღუბლირე თუ სხვა ცხოვრებისეული პრობლემა და ვატყობთ, რომ თავშეკავება გვიჭირს, უპირველესად, ვაიძულოთ თავი, რომ გულმშურვალედ ვილოცოთ უფლის მიმართ (შეგვიძლია წარმოვთქვათ შემდეგი ლოცვა: „ღმერთო შეწვენასა ჩემსა მომხედენ; უფალო შეწვენად ჩედა ისწრაფვე“ — ან განუწყვეტლივ ვიმეოროთ გულში „იესოს ლოცვა“, მანამ, სანამ არ შევატყობთ, რომ დაეწყნარდით). ასეთ ვითარებაში ყოფნისას, ასევე კარგია, თუ ვიფიქრებთ სიკვდილსა და განკითხვის დღეზე და ჩავთვლით, რომ ესა თუ ის უსიამოვნება, ჩვენი ცოდვების გამო შეგვემთხვა. ადამიანთა უმეტესობას ყველაზე მეტად სხვათაგან მიყენებული წყენის დროს უჭირს სიმშვიდის შენარჩუნება. ასეთ დროს უნდა ვიხელმძღვანელოთ წმინდა მამათა სწავლებით: როდესაც ვინმე გვაწყენინებს და ვბრაზდებით, გაიხსენოთ ის სიკეთე, რომელიც მას ჩვენთვის გაუკეთებია, ვიფიქროთ საკუთარ სისუსტეებსა და ცოდვებზე და

ვეცადოთ, გულში ვილოცოთ მაწყინართათვის. თუკი მოვახერხებთ, ასეთნაირად ვიმოქმედოთ ყველა გულისწყრომისა და უსიამოვნების დროს, ადვილად შევინარჩუნებთ სიმშვიდეს. მაგრამ თუკი ყოველივე ამის შემდეგ, მაინც ვერ ვძლებთ თავს და ვატყობთ, რომ ჩვენს სულში შფოთი, მოყვასისადმი სიძულვილი ან განაწყენება მძლავრობს, აუცილებლად უნდა მივმართოთ სულიერ მოძღვარს და მისი რჩევა-დარიგების გათვალისწინებით ვიმოქმედოთ.


საინტერესოა, მოახერხებს თუ არა ადამიანი მხოლოდ საკუთარი ძალით ამ სათნოებაში — სიმშვიდეში მუდმივად განმტკიცებას?

მხოლოდ საკუთარი ძალით ადამიანი ვერც ერთ სათნოებაში, მათ შორის ვერც სიმშვიდეში განმტკიცდება მუდმივად, თუმცა შეიძლება, გარკვეული დროის მანძილზე მიიღოს რომელიმე ქრისტიანული სათნოება და აქციოს ცხოვრების წესად, მაგრამ შემდეგ, აუცილებლად დაუტყვევებს, რადგან სათნოებაში მუდმივად განსამტკიცებლად საჭიროა ღვთის მადლის მოქმედება. ამიტომ ნებისმიერი ქრისტიანული სათნოების შექმნისა და მუდმივად შენარჩუნების მიზნით, გულმშურვალედ უნდა ვვედროთ უფალს, რომ მოგვანიჭოს და გარდამოგვიღონოს მადლისმიერი ძალა: „წუთი, როდესაც გადმოვა ღვთიური მადლი და შეუერთდება ჩვენს ნებას, იქცევა ქრისტიანული ცხოვრების, ქრისტიანულ სათნოებათა დაბადების ძლიერი, მტკიცე და მრავალნაყოფიერ წუთად“, — გვმოდვრავს წმინდა ეკლესია.

რომელია სიმშვიდის საპირისპირო ცოდვა?

სიმშვიდის საპირისპირო ცოდვაა მრისხანება, რომელიც ადამიანს მომაკვდინებელ ცოდვად ეთვლება. იგი გულს გვიღრღნის არასასიამოვნო შეგრძნებებით და გვაშორებს უფლის სათნომყოფელობას — სიმშვიდეს. მრისხანების ცოდვად გვეთვლება: სიფიცხე; უჯერო ყვრილი; კამათი; ლანძღვა-გინება; წყევლა. მისგან ხშირად იბადება ისეთი ცოდვები, როგორებიცაა: ჯავრი; გაღიზიანება; ახირება; ჭიშობა; მტრობა; შურისძიების სურვილი და მკვლელობა, რადგან მრისხანებას ადამიანი ხშირად მიჰყავს მძინვარებად. ასეთ დროს, ადამიანს იძენად იპყრობს ეშმაკი, რომ მზადაა, ყველაფერი გაანადგუროს, ადამიანიც კი მოკლას.

წმინდა მამათა სწავლებით, მრისხანებით უნდა აღვიჭურვოთ მხოლოდ ღმერთის წინააღმდეგ, აგრეთვე — ჩვენი გულის ავხორცი ზრახვებისა და სხვა ცოდვისმიერი მიდრეკილებებისა თუ ცოდვების მიმართ.



მისი

99 წლის მიხეილ ქავთარაძე ორი წელია, რაც სამშობლოში იმყოფება, მაგრამ სამშობლოს ვერ ხედავს, რადგან 76-წლიანი ემიგრაციის შემდეგ, მონატრებულ ქვეყანას იგი უსინათლო დაუბრუნდა. ამის გამო ჯერ ვერ გაუთავისებია ის ფაქტი, რომ იგი საქართველოშია და სშირად ალგზნებული წამოიძახებს: სამშობლოში წამიყვანეთ, არ მინდა, საფრანგეთში დავიშარხო, ჩემი ძველები ჩემს ქვეყანას უნდა მიეზაროსო... და როცა შეასხენებენ, რომ ის უკვე საქართველოშია, დამშვიდებული, მაგრამ სევდიანი პასუხობს: რატომ ვერ ვხედავ? ამიტომაც ჩამოყალიბდა მის ცნობიერებაში სამი საქართველო: პირველი — რომელიც 1927 წელს დატოვა, მეორე — რომელზეც საფრანგეთში ცხოვრებისას ოცნებობდა და მესამე — სადაც დაბრუნდა, მაგრამ ვერ ხედავს.

მიხეილ ქავთარაძე სევდიანად საუბრობს თავის სატკივარზე ხან ქართულ, ხან მეგრულ, ხან კი ფრანგულ ენაზე. სშირად კარგავს იმის შეგრძნებას, რომ იგი თბილისში იმყოფება და თავი სენაკის იმ მშობლიურ ოდა-სახლში ეგულება, სადაც ბედნიერი ბავშვობა გაატარა.

10 წლის ანაკში „დაქვეყნავდი“ და 20 წლის ანაკში დამოუკიდებელი ქავთარაძის სამი საქართველო

საუყუნის გოლი ემიგრანტი, რომელიც საქართველოშია და მას ვერ ხედავს

მირმა ახალაია

საქართველოდან – ევროპაში... წარმოსახვითი სამოთხე და გაცნობიერებული იმედები

— არ მეგონა, უცხოეთში გამგზავრებით ჩემს მომავალს თუ ვკლავდი. ჩემი ემიგრირების მიზეზი ძირითადად მაინც სწავლის გაგრძელების სურვილი იყო, რასაც დაერთო იმ პერიოდში საქართველოში განვითარებული რთული პოლიტიკური მოვლენებიც. რას ვიფიქრებდი, ჩემს ახალგაზრდულ ოცნებას უფრო დიდი ოცნება თუ დაამარცხებდა, ოცნება — სამშობლოში დაბრუნებისა. ამ ოცნების ახდენა კი 97 წლის ასაკამდე არ შედიოდა, ახლა კი იმის სურვილი მკლავს, ერთხელ მაინც შევძლო ჩემი ქვეყნისთვის თვალის შევლება, მაგრამ... ალბათ აუხდენელი ოცნებებით ცხოვრება მეწერა ბედად. ევროპა ქართველ ახალგაზრდებს მაშინ ერთგვარ სამოთხედ წარმოგვედგინა, მაგრამ რა ვიცოდით, იქ ჩასულებს იმედგაცრუება თუ გველოდა? გამგზავრების წინ დედასთან ვიცრუე, კახეთში მეგობართან ვარ დაპატიჟებული-მეთქი და წასვლისას ოქროს ჯვარი, ძეწკვი და შეყვარებულის მიერ საჩუქრად მოცემული მედალიონი მოვთხოვე, რომელიც მისთვის მქონდა მიბარებული. ეტყობა, დედამ რაღაც იგუმანა, რადგან დიდი განცდით გამომეთხოვა.

ეს ნივთები, საქართველოდან როცა წავედი, გემზე მგზავრობის დროს დავკარგე — ისევე, როგორც საქართველო... როდესაც აჭარის მთებზე გადავდილით მე და ჩემი თანამგზავრი შალვა შენგელია, რომლის იქითაც თურქეთის ტერიტორია მდებარეობდა, უკან მოვიხედე და უკანასკნელად შევაკვლე თვალი ჩემს

სამშობლოს. ეს სურათი დღესაც თვალწინ მიდგას — მე ხომ მას შემდეგმ საქართველო არ მინახავს!

ემიგრანტის ხვედრი

— საფრანგეთში ჩასვლისას, მივხვდი, რომ სწავლის გაგრძელებას ვერ შევძლებდი, რადგან სწავლას და მუშაობას ერთმანეთს ვერ შევუთავსებდი. ამიტომაც ქალაქ გრენობლის ქარხანაში ვაგონშემკეთებლად დავიწყე მუშაობა. თავდაპირველად, ფულად დახმარებას საქართველოდან ჩემი ოჯახი მიწევდა, მაგრამ შემდეგ სასტიკი კონტროლი დააწესა იმდროინდელმა სისტემამ და წერილებიც კი მოწმდებოდა. მაშინ მივხვდი, რომ საქართველოში დაბრუნებაზე ოცნებაც კი წარმოუდგენელი იყო. როდესაც გერმანიაში მივიღე გადაწყვეტილება, ემიგრაციაში მყოფ ქართველებს იმედი გაგვიჩნდა, რომ გერმანიის გამარჯვებით საქართველო დამოუკიდებლობას მოიპოვებდა და საბჭოთა კავშირის კლანჭებიდან თავს დააღწევდა. ამიტომაც ემიგრანტები გერმანული ჯარის იმ დანაყოფში ჩავეწერეთ, რომელიც ტყვეთა ბანაკიდან გამოყვანილი, ყოფილი წითელარმიელებით იყო დაკომპლექტებული. ომის მსვლელობამ ყვე-



2003 წლის მაისში საქართველოში ჩამოვიყვანეთ...



იგუმანა, დედამ რაღაც იგუმანა, რაღვან დიდი განცდით გამომეთხოვა

ისეულის“ სახელით გამოდიოდა) გაგრცელება სასტიკად იკრძალებოდა. მართალია, ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის წევრი არასოდეს ვყოფილვარ, მაგრამ ჩემი საქმიანობით მთლიანად მათ ვემსახურებოდი. 1991 წლიდან ჟურნალი „როსტევეანისეული“ ანდერძით ჯანრი კაშიას გადავულოცე.

„მე ისეთივე ქართველი დავბრუნდი, როგორიც წავიდა“...

— მართალია, ჩემი ცხოვრების უმეტესი ნაწილი საზღვარგარეთ გავატარე, მაგრამ სხვა ქვეყნის მოქალაქე არასოდეს ვყოფილვარ. თავიდანვე კატეგორიული უარი განვაცხადე საფრანგეთის მოქალაქეობაზე და მთელი ეს წლები პირადობის მოწმობაში მინიშნებული მქონდა, რომ ვიყავი ლტოლვილი საქართველოდან. ვიცოდი, ოდესღაც მაინც დავბრუნდებოდი სამშობლოში. მე ისეთივე ქართველი დავუბრუნდი ჩემს ქვეყანას, როგორიც წავიდი. მთელი ის წლები, რომელიც ემიგრაციაში გავატარე, საქართველოზე ოცნებებში გავლიე. ახლაც, ჩემი სიბრძნის მიუხედავად, თვალნათლივ ვხედავ იმ ადგილებს, რომლებსაც ჩემი ზღაპრული ბავშვობა უკავშირდება. ჩემი თაობის ფანჯრიდან თითქოს დღესაც ვხედავ შხეფის ციხეს, რომელსაც ისე ვუწოდებდი, როგორც რაღაც საოცრებას, მესმის ტეხურის შხეფილი, რომლის ტალღები რიყის ქვებს ასკვებიან,

ლაფერი ცხადი გახდა. რუსეთმა მთელ ევროპაზე მოიპოვა გავლენა. ომის დამთავრების შემდეგ, 2 წლის განმავლობაში იტალიაში ვცხოვრობდი, შემდეგ კვლავ საფრანგეთს მივაშურე. ცხოვრების რიტმს ფეხი ავუწყვე. 10 წელი ტაქსიზე ვმუშაობდი, შემდეგ — ინდოეთის საელჩოში გადავედი მძღოლად. რაც შეეხება ჩემს ჟურნალისტურ მოღვაწეობას, იგი საკმაოდ გვიან — 65 წლის ასაკში დავიწყე.

ილიასეული ფურნალ „ივერიის“ რედაქტორი და „როსტევეანისეული“ ანდერი

— 1949 წლიდან საფრანგეთში ელისე პატარიდის რედაქტორობით გამოდიოდა ჟურნალი „ივერია“, რომელიც იყო 1877-1906 წლებში გამოცემული ილიასეული ჟურნალის განახლებული გამოცემა. 1973 წლიდან, სწორედ მე მომიწია ამ ჟურნალის ხელმძღვანელობამ. ჟურნალში იბეჭდებოდა საკმაოდ მკაცრი და მამხილებელი, პოლიტიკური შინაარსის წერილები. ჟურნალს ეროვნულ-დემოკრატიული მიმართულება მიეცეოდა. არ გვეხებოდა ცენზურა და ამიტომ, თამამად ვბეჭდავდით ანტიკომუნისტურ, ანტისაბჭოურ წერილებს. საქართველოში ჩვენი ჟურნალის (ის უკვე „როსტევეან-

მესმის ცხენების ფრუტუნის ხმა და... დედის ძახილი. ამით მე ჩემს წარსულს ვიგონებ, დღესაც იმ წარსულით ვცხოვრობ. ერთი რამ დანამდვილებით ვიცი, რომ ჩემი ძვლები ჩემს ქვეყანას უნდა მიებაროს...

ასე დაასრულა თხრობა ბატონმა მიხეილმა და საუბარი მის ძმისშვილთან განვაგრძე.

„ქართველი უცხო ქვეყანაში ბედნიერი ვერასოდეს იქნება“

საქართველოში მიხეილ ქვთარაძე მისი ძმისშვილის, ნანა ქვთარაძისა და ნანას ქალიშვილის, სოფიკოს ინიციატივით ჩამოიყვანეს.

ქ-ნი ნანა ქვთარაძე მოგვითხრობს:

— მე ბებიამ გამზარდა და მთელი ბავშვობა ვგრძნობდი, როგორ ტანჯავდა ბებიას ბიძია მიხეილის ხვედრი. მამა და ბებია ერთდროულად გარდამეცვალნენ, ამიტომაც მიზნად დავისახე, რაღაც არ უნდა დამჯდომოდა, მამისა და ბებიის ხსოვნის პატივსაცემად, ბიძია მიხეილისთვის ყურადღება არ მომეკლო. ხშირად ჩავდიოდი საფრანგეთში მის სანახავად. ერთხელ კასეტაზე ჩაწერილი, ბებიანების სიმღერები ჩავუტანე. ვერ წარმოიდგენთ, რა განცდით უსმენდა წლებით მონატრებული დედის ხმას... შემდგომ კატეგორიულად მოითხოვა: არ მინდა, საფრანგეთში დავიმარხო, დამწვან და ჩემი ფერფლი საქართველოში ჩაიტანონ... ამის გარდა, სხვა რამეზე ფიქრი არ შეეძლო. 2003 წლის მაისში საქარ-



პარიზში იოსებ ნონეშვილთან ერთად

თველოში ჩამოვიყვანეთ და მას შემდეგ ვცდილობთ, ის სითბო და სიყვარული ვაგრძნობინოთ, რომელიც უცხოეთში ყოფნის დროს აკლდა. ხანდახან აივანზე გავიყვან და მივანიშნებ, რომ იმ მიმართულებით მთაწმინდაა, იქ პანთეონია, სადაც დიდი ქართველი ადამიანები არიან დაკრძალულნი, იქით საბურთალოა, აქეთ ვაკე-მთეტი. თვალები აუცრემლიანდება და იტყვის – რომ ვერ ვხედავო?.. მაგრამ მაინც მგონია, რომ ისევ იქ ყოფნა ურჩევნია, სადაც თავისი ბავშვობა გაატარა, რადგან ხშირად წარმოსახვით ისევ სამეგრელოში, სენაკში იმყოფება... როდესაც საფრანგეთში ჩავდიოდი, მის სახლში ხშირად ვაწყდებოდი ჩანაწერებს, ლექსებს, დღიურებს. ყოველი ფრაზიდან საქართველოს მონატრება გამოსჭვიოდა. ჩუმად გადმოვიწერდი ხოლმე ჩემს დღიურში... მისი ლექსების კრებულის კი გამოვეცით სახელწოდებით – „ფიქრის ნატყეხები“. დანამდვილებით ვიცი, რომ მისი ფიქრის ყოველი „ნატყეხი“ საქართველოს ეხება. ბიძია მიხეილის მაგალითით ვხვდები, რომ ქართველი სხვა ქვეყანაში ბედნიერი არასოდეს იქნება.

10 წლის ყოფილა მიხეილ ქავთარაძე, როდესაც თანატოლ მეგობრებს, თანაკლასელი გოგონასადმი – თამარ დადიანისადმი სიყვარულში გამოუტყბავთ. ეს ბავშვური გრძნობა საბედისწერო შედეგით დასრულებულა, რადგან პატარა გოგონა მოულოდნელად გარდაცვლილა... წლების შემდგომ, ემიგრანტი მიხეილ ქავთარაძე სწორედ თამარს იხსენიებდა თავის დღიურებში და მის ტრაგიკულ ბედს შენატროდა.

ფრაგმენტები მიხეილ ქავთარაძის დღიურებიდან:

„რა იყავ ჩემთვის, რა ვიყავ მე შენთვის? მაშინ თითქმის არაფერი. შენ რომ გეცოცხლა, ჩვენი გზები მაინც უეჭველად გაიყრებოდნენ. მე მხოლოდ მეხსოვბოდა, რომ მყავდა პატარა თანაკლასელი, ოქროსნაწნავიანი გოგონა... აზრად არ მომივიდოდა, რომ საბედო დაგკარგე, მაგრამ ახლა რად მაგონდები, ვით დაკარგული საბედო? რატომ მგონია, რომ შენთან ერთად იმ პატარა ბიჭის ბედიც დაიმარხა, რომელმაც მაშინ ბავშვური ცრემლით დაგიტირა.“

მე არ დავუჯერე – „არ გავცვლი სალსა კლდეებსა, უკვდავებისა ხეზედას“; კლდეზე დალუპვას, გადარჩენა ვამჯობინე – და ალბათ გადავარჩინე კიდევაც ჩემი სხეული, მაგრამ ვაი, იმ უკვდავების ხის ნაყოფს, რომელიც ვიგემე...“

რატომ მგონია, ჩვენი ბედი რომ შეცვლილიყო და ჩემი ცხედარი შენ დავეტირა, ბედნიერი მე ვიქნებოდი, შენ კი უბედური, თუ ჩემი ბედი წილად გხვდებოდა. შენს შემთხვევაში, ხიდან ქარიშხლის მიერ უდროოდ მოწყვეტილი ნაყოფი იმავე მიწაზე დაეცა და იმავე ნიადაგს დაუბრუნდა, საიდანაც იშვა, შენი საფლავის მიწა შენივე მშობელი ქვეყნის ბალახსა ჰკვებავს. აქ მხოლოდ მარცხია, მაგრამ ბუნების წესი არ დარღვეულა.

მე კი ცოცხალი, უცხო მიწაზე დავატრე ჩემსავე ცხედარს. შენ არ ვინახავს შენი სიკვდილი, მე კი ჩემივე თავის მესაფლავედ ვგრძნობ თავს... აქ ჩემი ხორცილა ცოცხლობს გულგამოცლილი და სულამოხდილი, რადგან ესენი იქვე დამრჩენია. ამიტომაა, რომ შენთან დამარხულად მეგულვებიან ისინი, ჩემო პირველო საბედოვ, ჩემო უმანკო მეუღლე, ოქროსნაწნავიანი თამარ!

მე შენი ქვრივი ვარ, დაქვრივებული ათი წლის ასაკში და ოცისა კი სამშობლოთი დაღბლებული...“

ალბათ, ძნელი მისახვედრი არ არის, ამ სიტყვებით, უცხოეთში მყოფი მიხეილ ქავთარაძე უდროოდ დაღუპულ სატრფოს დასტეროდა თუ საკუთარ ბელსაც გლოვობდა...



მარიო მერონი: „არ გაეცელი მე ჩემს სამშობლოს!“

ფრაგმენტები ნიჩინიდან
ქართული „ჯუჯუნა“
ინოვაციური, სივრცითი
თელთრიქონი
საქონლის
სივრცითი ინოვაციური

ქართველი „აზულანტების“ თემამ ნინა პლანზე წამოიწია: ბოლო დროს, ხან ერთი, ხან მეორე ევროპული ქვეყნიდან ჩვენს თანამემამულეთა დაკავება-შევიწროების თაობაზე ინფორმაცია მოდის და ტელეკომპანიებიც ამ თემაზე მომზადებულ ვრცელ რეპორტაჟებს გვთავაზობენ. არალეგალი იმიგრანტების შესახებ ადრეც გვსმენია, მოარული ხმებით, ზოგიერთი მათგანის კრიმინალური საქმიანობის შესახებაც შეგვიტყვია. გოდერძი კაციტაძე კი, რომლის წიგნს ფრაგმენტების გამოქვეყნებას ამ ნომერში დავასრულებთ, ამ რამდენიმე ხნის წინ, თავადაც მოხვდა „აზულანტთა“ წრეში, სოლო იქ მცხოვრები ქართველი ნარკომანების ყოფა-ცხოვრების უკეთ გასაცნობად, გერმანიის ქალაქ ულმის ციხეშიც შეგნებულად ამოყო თავი...

(დასაწყისი იხ. №17-25)

ისე არავინ გაიგოს, თითქოს გერმანელები მამა აბრამის ბატკნები იყვნენ, ნურას უკაცრავად! თუ საშუალება მიეცათ, არც ისინი აკლებენ ხელს.

როიტლინგენში „ხაიმზე“ (ასე ეძახიან ლტოლვილების საცხოვრებელს), თითქმის ყოველდღე, დილის საათებში მოდიოდნენ პოლიციელები და ჩხრეკას აწარმოებდნენ. თუ რაიმეს ახალს, ჩაუცმელს ნახავდნენ, იღებდნენ და მიჰქონდათ, სად, ღმერთმა უწყის.



მიხეილ და ნანა ქავთარაძეები

ერთი ქერა, უღვაშიანი პოლიციელი იყო, რის გამოც ბიჭებმა „უღვაშა“ შეარქვეს. ეს პატივცემული „უღვაშა“ ძალიან თვითნებობდა, რაც კი მოეწონებოდა, ყველაფერი მიჰქონდა და არა პოლიციაში, არამედ სახლში. გამკითხავი არავინ იყო. შეშინებული ქართველები ვერაფერს ეუბნებოდნენ, მაშინვე გეტყოდა – ქვითარი მომეციო. არადა, სად ქართველი და სად მალაზიის ქვითარი...

ერთ საჩხერელს, ალექოს, საწოლის ქვეშ ახალი „ნაყიდი“, „ადიდისის“ მარკის ბოტასები ეწყო. დილით მოვიდა „ულვაშა“, ნახა ბოტასები, ზომას დახედა და დაიფიქრა – ვისა აქვს ამის ქვითარი? ყველანი გასუსულები ვუყურებდით, იმანაც აიღო და სახლში წაიღო. მეორე დღეს ეს „ულვაშა“ ეზოში ვნახეთ სპორტული ტანსაცმლით, ფეხზე ჩვენგან „მოპარული“ ბოტასები ეცვა. „ულვაშას“ მართო ბოტასები კი არა, სვიტრები, შარვლები, სუნამოები და წარმოიდგინეთ, ბოთლში ხანდახან დარჩენილი სასმელიც მიჰქონდა. ერთხელ ერთმა მოხერხებულმა ხონელმა, ბოდიში თქვენთან და ვისკის ბოთლში მოშარდა და „ულვაშამაც“ დილით, სხვა საქონელთან ერთად შინ წაიღო... ის დღე იყო და ის დღე, „ულვაშა“ ჩვენს იქ ყოფნაში თვალთ ადარავის უნახავს.

ევროპის სხვადასხვა ქვეყანაში სხვადასხვა კანონია. მაგალითად, საფრანგეთში ლტოლვილს თვეში სამას ევროს აძლევენ საკვებად და ჯიბის ფულად. შვეიცარიაში დაახლოებით ხუთას ფრანკს, რაც სამასი ევროს ტოლფასია, ხოლო გერმანიაში „აზულანტებს“ აძლევენ საჭმელს და ორმოც ევროს თვეში, ჯიბის ფულად. და ეს მაშინ, როცა ერთი კოლოფი სიგარეტი სამიდან ოთხ ევრომდე ღირს, არადა, იქ სიგარეტს ყველა ეწევა. ისმის კითხვა, რა ქნას კაცმა, თუ ის მწვევლია და დღეში საშუალოდ ერთ კოლოფ სიგარეტს ეწევა? ე.ი. თვეში მას დაახლოებით ასი ევროს სიგარეტი ესაჭიროება.

ჰოდა, შეიკრიბნენ ქართველები და იფიქრეს, – სიგარეტისთვის თავის დანებება ამ სიტუაციაში და ამ ფონზე შეუძლებელია, რჩება ერთადერთი გზა, რაიმის მოპარვა და გაყიდვა მეხუთედ ფასში. გამოდის, რომ ყოველთვე უნდა მოიპარო ხუთასი ევროს ღირებულების საქონელი და გაყიდოს ას ევროდ.

ნათქვამია – მიუხევედ ნუ მიაჩვევ და მიჩვეულს ნუ გადააჩვევო. საუბედუროდ, ამ კონკრეტულ შემთხვევაშიც ასე მოხდა, მიეჩვია კაცი ერთხელ ქურდობას, მერე კი – მადა ჭამაში მოდიოდა, – ამ პრინციპით გააგრძელა ცხოვრება.

ღრო გადიოდა. ერთი თვის თავზე, მოაყენეს ავტობუსი და ქართველები გერმანიის სხვადასხვა კუთხეში გადაგვისროლ-

ეს. მე ქ. რავენსბურგში აღმოვჩნდი ორ ახალგაზრდასთან ერთად. შენობა, სადაც ჩვენ ვცხოვრობდით, ერთსართულიანი იყო, ფაზარმას მოგაგონებდათ. ოთახში სამი ვიყავით. „ხაიმზე“ კიდევ დაგვხვდა ხუთი ქართველი, ერთ-ერთი, ოჯახით იყო ჩამოსული. საჭმელი (გასაკეთებელი) კვირაში სამჯერ მოჰქონდათ და ჩვენ თვითონ ვამზადებდით, როგორც შეგვეძლო. განსაკუთრებით ებროკვერცხის გაკეთება გვეხერხებოდა.

როგორც გაირკვა, არც ამ „ხაიმს“ აკლდა წამლის „დევიჟენიები“. და აი, რამ გამოაცა. „ხაიმზე“ ცხოვრობდა ერთი სიმპათიური ახალგაზრდა, ვასიკო, რომელიც უკვე ორი წლის წინ ჩამოსულა გერმანიაში და აქაურ რუს-გერმანელ გოგონაზე – ნატაშაზე აპირებდა დაქორწინებას. მთავარი, რაც ამ ახალგაზრდა კაცში დავინახე და დავაფასე, იყო ის, რომ ადრე ნარკოტიკებით გაუბედურებამდე მისული კაცი, დღეს საღად მოაზროვნე, ჩამოყალიბებულ პიროვნებად მოგვევლინა. აჯობა კაცმა „წამალს“. მინდა დავიჯერო, რომ ვასიკო არ არის ერთადერთი ქართველი და რომ კიდევ არიან ასეთები, მართლაც ვაუკაცები.

იქ, სადაც ვასიკო იყო, „წამლის“

„ბარიგას“ და დაახვიე სახლში, თანაც მანქანაც წაიყვანე.

ყველაზე მთავარი ცხოვრებაში ალბათ, მაინც ის არის, რომ „თავი არ მოიტყუო“ და საუბედუროდ, სწორედ ამას ვაკეთებთ ქართველები.

ასეთი საუბრებიც მომისმენია: „სიმონ, მაგრად ვარ, „არმანის“ კოსტიუმით, „სონის“ ათასევროიანი ტელეფონით და „რიჩის“ მზის „აჩკებით“ დავდივარ“. და საქართველოში მყოფი ახალგაზრდა, რომელსაც არც „არმანი“ და არც „რიჩი“ გაუგონია, ჭკუიდან გადადის და ეძებს ყველანაირ გზას, რათა დასავლეთში წამოვიდეს. ახალგაზრდების ნაწილი, ჯერ კიდევ არაფრის მნახველი, ლილოს ბაზრობაზე ნაყიდი ათლარიანი შარვლითა და სამღარიანი მზის სათვალით შემოსილი, ტყეტყე მიედინება ევროპისაკენ.

ვფიქრობდი, ეს ყველაფერი კარგი, ვინც გარეთაა, ვიცი, რითი და როგორ ცხოვრობენ, მაგრამ ძალიან მანტერესებდა, რა ხდებოდა გერმანიის თავისუფლების აღკვეთის ადგილებში. ყურმოკვრით კი ვიცოდი, რომ ბევრი ქართველი ახალგაზრდა იხდიდა სასჯელს სხვადასხვა დანაშაულის გამო. როგორც კინოფილმებშია, პოლიცია საქმის გასახსენლად რომელიმე

ის იყო, ძრავა ჩავრთე, რომ სარკეში დავინახე, უკან მოგვადგა სირენებჩართული, პოლიციის მიკროავტობუსი, საიდანაც ოთხი პოლიციელი იარაღით ხელში გადმოხტა

ხსენებას ვერ ბედავდნენ, რადგან იცოდნენ, რომ იგი მათ მასხრად აიგდებდა და იმ რაღაც „დევიჟენიებს“ არაკაცურ საქციელში ჩაუთვლიდა.

ერთხელ, ასეთ საუბარს შევესწარი – ერთი ახალგაზრდა ეკითხება მეორეს:

– სიმონ, ისე გერმანია სჯობს, ავსტრია თუ საფრანგეთი?

ვიფიქრე, რამე ღირსშესანიშნაობაზე თუ ეკითხება-მეთქი. თქვენც არ მომიკვდეთ, თურმე, საუბარი იმაზეა, სად უფრო ადვილია მალაზიიდან მოპარვა და სად უფრო „სროკავენ“.

– იქანე, საფრანგეთში სამას ევროს მაძლევენ თვეში, – საუბარში ჩაერთო მესამე ახალგაზრდა, – აქანე კი, მართო საჭმელს მაძლევენ.

– ძმაო, სამაგიეროდ, აქ „ცე“ კარტა კეთდება „შარკასეში“, – თავი წამოყო წალენჯიხელმა, – ჰოდა, შეხვალ მალაზიაში, გამოიტანე, რაც გინდა, მიეცი

ბანდაში თავის კაცს რომ „ჩანერგავს“ ხოლმე, მეც ისე მოვიქეცე, გერმანიაში ჩასვლისთანავე „ჩავენერგე“ ნარკომანებში.

ისინი მენდობოდნენ და უარსაც არ აფერხებდნენ. ჰოდა, რადგან ჩემი გერმანიაში ჩამოსვლის მიზანი, ნარკომანის შესწავლა იყო და დროც საშუალებას მაძლეოდა, გადავეწყვიტე, რამდენიმე თვე მათთან ერთად ციხეშიც გამეტარებინა.

მოკლედ, ვეტყობდი მომენტს, ისეთი დანაშაული ჩამედინა, რომლისთვისაც სამ თვეზე მეტხანს არ მომიწევდა ციხეში ყოფნა. გაგებული მქონდა, რომ ფაქტის გარეშე ქურდის გვერდით დგომაც კი საკმარისი იყო პიროვნების დასაკავებლად. ჰოდა, მეორე დღეს ბიჭებმა მოხოვეს, მანქანის საჭესთან დამეჯდარიყავი და ქალაქში გაგყოლოდი. დიდი სიამოვნებით დავთანხმდი. გაგებული მქონდა, არც ერთ ქართველ ახალგაზრდას მანქანის მართვის მოწობა გერმანიაში არ გააჩნდა, ყველა მის გარეშე დააქროლებდა სხვადასხვა

მარკის მანქანას გერმანიისა თუ ევროპის სხვა ქვეყნის ავტობანებზე.

მეც მივუჯექი „ფიატ-უნო“-ს საჭეს. დანამდვილებით ვიცოდი, რომ ჩემი „მგზავრები“ მაღაზიაში რაღაცას მოიპარავდნენ და იმედიც მქონდა, რომ მეც რაღას სროკს მომცემდნენ. ასეც მოხდა. მანქანა მაღაზიასთან გავაჩერე, ისინი კი

გამოგირთავენ. რადიოს ოთხ არხზე გამუდმებით მღერიან ესტრადის ვარსკვლავები. ჩვეულებრივად, ამას „დაჯექი და იგულავე“ ჰქვია.

ძალიანაც რომ მოინდომო, აქ ვერ მოკვდები, ამის საშუალებას ექიმები არ მოგცემენ. თუ რაიმე სერიოზული გაწუხებს, კი, ბატონო. ოღონდ, ბორკილებს

ახალმუქმნილი ოჯახი ჰყავდა, მეუღლე და ერთი წლის ვაჟიშვილი. მათი სურათი საწოლთან ჰქონდა გაკრული და ყოველ საღამოს ეფერებოდა.

22 წლის ლევანი უცოლშვილო იყო. ათასში ერთხელ ისიც ეპარებოდა ნარკოტიკს, მაგრამ დიდი თავშეკავების უნარი ჰქონდა, რასაც ძალიან ვაფასებდი. თუ იტყოდა „არას“ – მორჩა და დამთავრდა.

იქ, ხონში, ხანდახან ანაშას ვეწეოდიო, მითხრა მან. ჰოდა, მაინტერესებდა ამ ორი ახალგაზრდის ბედი: ციხეში რითი ცხოვრობდნენ, რა აზრები „აწუხებდათ“ ან როგორ გადაიტანეს „ლომკა“.

აბა, აქ ციხეში ყოფილა, რაც ყოფილა! მთავარია, რუსი „ბარიგები“ ცოტა შეაჯანჯლარო და წამალიც თავისით მოდის – ხან „მაფი“, ხან „თეთრი“ და ხანაც სუბოტექსის ტაბლეტი. გამძსნეულად იტალიური წარმოების სუფთა ლიმონის წვენი იყიდება, კოფი და სანებელა – უამრავია. მოკლე, წამლისა და მოსაწვევის ნაკლებობა ციხეზე არ იგრძნობოდა.

ჩვენს ბიჭებს შეძლებისდაგვარად ციხეში „პალაუნი“ ჰქონდათ დაყენებული, რამდენიმე „ბარიგა“ გაილახა კიდევ. ჩვენ განსხვავებით, გერმანიაში წამლით „ბარიგობა“ პრესტიჟულ, კაცურ და შემოსავლიან საქმედ ითვლებოდა.

აღმოსავლეთის კედელზე ჩვენი უფლის – იესო ქრისტეს მართლმადიდებლური ხატი გვეჩინა გაკრული და შვიდგზის ლოცვებს ვკითხულობდით.

ერთ დღეს, დილით „პრაგულკიდან“ მოგვესმა ვიდაცის ღრიალი, სრული ამ სიტყვის მნიშვნელობით. „სადა ხართ, ქართველებო?“ – გადავიხედეთ და დავინახეთ ვიდაც მელიოტი, მოკუზული, ჩუსტებით მოსეირნე. ირაკლის ნაცნობი აღმოჩნდა, ვინმე ზესტაფონელი მიშა, „მეტადონშიკი“, როგორც ირაკლიმ თქვა, სამი წელია ვენაში მეტადონს იკეთებო. საწყალი, ნარკოტიკის ისეთ დღეში ჩაველო, კაცის გარდა, ყველაფერს ჰვავდა, ბოლიში და ერთმა რუსმა მას „პაზორ ნაციი“ და „ჟერტვა აბორტა“ უწოდა, არადა, თავისი საქციელით ეს ზესტაფონელი უფრო მეტსაც კი იმსახურებდა...

ასეთი ამბავიც მახსოვს: ირაკლიმ „პრაგულკიდან“ სუბოტექსის ტაბლეტი ამოიტანა, შევისუნთქოთო, შესთავაზა ლევანს, იმან კი ვენაში გაკეთება მოინდომა. კიდევ კარგი, „გამოცდილმა“ ირაკლიმ არ დაანება, თორემ, ეს საქმე ნამდვილად ცუდად დამთავრდებოდა. ჰოდა, დაფშვნიც ტაბლეტი და შეისუნთქეს. არ გასულა ორი წუთი და ორივე, მოფარფატე გედებით მიეყარნენ საწოლზე, ლევანს ფეხების ისეთი ქნევა დაეწყო, თავწაჭრილმა ქათამმა რომ იცის. ირაკლის კი ცხვირი „ნიკულინივით“ გაუწითლდა.

ირაკლი ამოვიდა „პრაგულკიდან“ და მეუბნება – როგორც იქნა, მივხვდი, რომ თუ კაცი მოინდომებს, ყველაფერს შეძლებსო, – აილო „ბაიანი“ და გადააგდო

მაღაზიაში შევიდნენ. ათი წუთის შემდეგ, ჩემი ერთი „პაღლენიკი“ გამოვიდა, ჩაჯდა მანქანაში და ის იყო, ძრავა ჩავრთე, რომ სარკეში დავინახე, უკან მოგვადგა სირენებჩართული, პოლიციის მიკროავტობუსი, საიდანაც ოთხი პოლიციელი იარაღით ხელში გადმოხტა. გადმოგვიყვანეს მანქანიდან, კაბოტზე ხელები გაგვაშლევინეს, ისე, როგორც ამერიკულ ფილმებში ტერორისტების დაჭერის დროს ხდება და დაგვიწყეს ჩხრეკა. მე არაფერი მქონდა და რას მიპოვებდნენ, იმას კი ოთხი ცალი „ჟილეტის“ საპარსი და თაფლის ორი 100-გრამიანი ქილა უპოვეს.

შემდეგ ხელბორკილები დაგვადეს. ჩაგვსვეს პოლიციის მანქანაში, უსაფრთხოების ღვედები თვითონვე შეგვიკრეს და პოლიციის განყოფილებაში წაგვიყვანეს. მე, როგორც ხანდაზმული, ბანდის მეთაურად მომნათლეს, სასწრაფოდ სასამართლო ჩავვიტარეს და ქ. ულმის ციხეში ამოვყავი თავი. ეს არის ძველგერმანულ სტილში აშენებული სამსართულიანი შენობა ქალაქის ცენტრში, სწორედ იმ კათოლიკური ეკლესიის გვერდით, რომელიც თურმე, ყველაზე მაღალია მსოფლიოში – ას სამოცდარვა მეტრი.

მეფესავით ვიყავი ციხეში. იქაურობას კომუნისტების დროინდელი სანატორიუმად კი ვერ შეედრება – გათბობა, ცხელი და ცივი წყალი, სამჯურადი კვება, კუჭნაწლავით დაავადებულთათვის – დიეტური კერძები და თეთრი პური. კვირაში სამჯერ შხაპი და თეთრეულის გამოცვლა, ტელევიზორი (ვიდეოფილმები), სავარჯიშო ტრენაჟორები, ყოველდღე ერთსაათიანი სეირნობა. ერთი სიტყვით, აქაურობა ზედამოჭრილია უსაქური და უდარდელი კაცისათვის.

ყველაფერ სიკეთესთან ერთად, არც შუქის ჩართვა-გამორთვაზე იწუხებ თავს: დილის ექვს საათზე თვითონ ჩავირთავენ და ღამის თორმეტ საათზე თვითონვე

დაგადებენ და „მერსედისის“ მარკის მწვანე მიკროავტობუსით ჰოსპიტალში წაგიყვანენ.

გასართობიც ბევრია, ოღონდ თამაში მოინდომე – ჭადრაკი, ბილიარდი, კარტი და თქვენ წარმოიდგინეთ, ნარდიც კი. მე რომ მკითხვოთ, ადამიანი ოდესმე, მცირე ხნით მაინც უნდა დარჩეს თავის თავთან, რათა განვლილი ცხოვრება ხელმეორედ გაიაროს და გაიანჯროს ის შეცდომები, რომელთა გამოწვევითაა მართლა უკვე დაგვიანებულია, მაგრამ მონანიება კი – შესაძლებელია.

სწორედ აქ, ციხეში, ჩემს თავთან მართოდ დარჩენამ და შეცდომების მონანიების დიდმა სურვილმა შეუძლებელი შემაძლებინა და კაცს, რომელსაც სიცოცხლეში პატარა ბროშურაც კი არ დამიწერია, სამოცი წლის ასაკში ხელში კალამი ამაღებინა და ქართველი ლტოლვილების შესახებ წიგნი დამაწერინა...

2004 წლის 2 თებერვალია, შუა ზამთარი. იმედს არ ვკარგავდი, რომ ციხეში ვინმე ქართველს შეგვხვდებოდი და ჩემი საპატიმროში შეგნებული მოხვედრა ფუჭად არ ჩავივლიდა. გამიმართლა. მართალია, პირველი დამე ორადგილიან საკანში ცალკე გავატარე, მაგრამ მეორე დღეს ორმა ქართველმა ახალგაზრდამ თვითონ მომძებნა და თავიანთ ოთხადგილიან კამერაში გადამიყვანა. ერთი ახალგაზრდა – 25 წლის ირაკლი აქუბარდია თბილისიდან იყო, მეორე კი 22 წლის ლევან ლაცუხა – ხონიდან (სახელები და გვარები შეცვლილია). როგორც „გამომივებით“ დავადგინე, ირაკლის ნარკოტიკის კეთება 14 წლის ასაკიდან დაუწყია. იგი 2003 წელს უკვე იყო ნამყოფი ავსტრიაში და შვეიცარიაში. ახლა მეორე „წრეზე“ იყო წამოსული. სწორედ ის მოკვდა დაწვრილებით ქ. ბაზელის „სახარშზე“. არადა, ირაკლის

მოკლედ, მთელი ღამე მაგრად „ისი-ამოუნეს“, თან ცხვირი „დაასვენეს“ – საში დღე პირით სუნთქავდნენ...

უკვე ოთხი თვე გავიდა, რაც მე მათთან ვცხოვრობ, მათთან ერთად ვჭამ და ვსვამ და რაც უფრო მეტი დრო გადის, მით მეტად ვრწმუნდები, რომ მათი გამოსწორების საშუალებები მატულობს.

მასხოვს, 80-იან წლებში, ერთი ამბავი ატყდა მსოფლიოში შიდსის გამო, რომელმაც ბევრის სიცოცხლე შეიწირა, მაგრამ იმასთან, რასაც ნარკოტიკი უშვრება აღამაინს, შიდსი მონაგონია. ჩვენ სამივე ხშირად ვსაუბრობდით ცხოვრების საჭირობოლო საკითხებზე, მე ჩემსას ვუყვებოდი, ისინი კი – თავისას.

ამ ახალგაზრდებს ვატყობდი, რომ ძალიან ნაზობდნენ ევროპაში ჩამოსვლას და სერიოზულად აპირებდნენ ცხოვრების წესის შეცვლას, ოჯახში დაბრუნებას... განსაკუთრებით ირაკლი ნაზობდა – ჩემმა მეუღლემ რა დაამაჯა, ასე რომ მოვექციო?...
ერთ საღამოს, გვიანობამდე ვისაუბრეთ. ეს იყო 2004 წლის 20 აპრილი და იცით, რით დამთავრდა? მეორე დღით, ციხეში წამალი რომ შემოვიდა, ირაკლი ამოვიდა „პრაგულკიდან“ და მეუბნება – როგორც იქნა, მივხვდი, რომ თუ კაცი მოინდომებს, ყველაფერს შეძლებსო, – აიღო „ბაიანი“ და გადააგდო. მის ამ საქციელს ლევანმაც მიპბაძა. ამას ციხეში დიდი გამოხმაურება მოჰყვა. თავიდან არავის სჯეროდა, რომ ქართველმა ბიჭებმა საშუალოდ გადააგდეს ნარკოტიკი, მაგრამ რომ იტყვიან, ფაქტი ვფიქრობ.

იმ დღიდან, ორ თვეზე მეტი გავიდა. რაც მათ ეს სამკვდრო-სასიცოცხლო ნაბიჯი გადადგეს, კაცებს დაემსგავსნენ, უფალმაც გაუწოდა დახმარების ხელი და სასამართლოზე მოხდა საოცრება: საქმეზე, რომლის გამოც ირაკლი მინიმუმ სამწლიან სასჯელს ელოდებოდა, მოსამართლე ადვოკატი და თქვა: კი იმსახურებს ირაკლი აქუბარდია სამსაც და მეტსაც, მაგრამ ვიღებ რა მხედველობაში მის საქციელს, რაც გამოიხატება მის მიერ ნარკოტიკის საშუალოდ გადაგდებაში, გადავწყვიტე, ირაკლი აქუბარდიას მივცე ერთი წელი ციხე, რომელსაც მისი ოჯახის (მეუღლისა და შვი-

ლის) პატივსაცემად ვუნახევრებ, ოღონდ, ერთი დამატება მაინც ძალაში რჩება – მას ამ დარბაზიდან მიაქვს საშუალო პირობითი სასჯელი, რაც იმაში მდგომარეობს, რომ სასჯელი „ამუშავდება“ არა მხოლოდ ნარკოტიკის პირველსავე მიღებისას, არამედ მისი აზრად მოსვლის ანუ გაფიქრების შემთხვევაშიც კი.

გავიდა ხანი და წინიც დავასრულეთვალე, თვალის რომ გადავავლე, თითქოს მთელი ჩემი ცხოვრება ხელმეორედ გავიარე... ამასობაში პროკურატურიდან საბრალდებო დასკვნა მოვიდა.

ჩემს შეგნებულად ჩადენილ დანაშაულზე მართლმსაჯულებას დიდი პრეტენზიები არ გააჩნდა, სამხილიც არ ჰქონდა. სასამართლო პროცესი 22 ივლისს დაიწყო. ადვოკატი არ მომითხოვია, მაგრამ კანონის თანახმად, მაინც დამინიშნეს უფასო ადვოკატი, გვარად ფიშერი, ჩვენებურად – თევზაძე.

პირველსავე შეხვედრაზე მიხვდა ბატონი ფიშერი, რომ ჩემს ასაკში ისეთი რამის ჩადენა, რაზედაც სამართალდამცავებს ეჭვი ჰქონდათ, პრაქტიკულად შეუძლებელი იყო და ამიტომაც მთხოვა, რაღაცა მაინც შედიარებინა, რათა სასამართლო დარბაზიდან გავეთავისუფლებინე. ისე შელაპარაკებოდა, მეგონა, ჩემ წინ ადვოკატი კი არა, შუამავალი იჯდა, რომელიც მოსამართლისა და განსასჯელის მორიგებას ცდილობდა.

ვეითხე, თუ დანაშაულს ვერ დამიმტკიცებენ, ერთ დღეზე კომპენსაცია რამდენი ევრო მეკუთვინის-მეთქი? დაიბნა და მითხრა, დღეში ოცდაათი ევრო, მაგრამ გარანტიას ვერ მოგცემო. არადა, ექვს თვეში ხუთი ათასი ევრო გამოდიოდა. ეს ის თანხაა, რომელიც დიდად წაადგებოდა ჩემს ოჯახს, მაგრამ რჩებოდა ალბათობა იმისა, რომ მოსამართლეს დარბაზიდან არ გავეთავისუფლებინე. ამას კი ნამდვილად ვერ გადავიტანდი. ამიტომაც შევთანხმდით, კომპენსაციაზე კრინტს არ დავძრავდი, პროცესზე ჩემ მაგივრად ადვოკატი ილაპარაკებდა და მეც დარბაზიდან გამომვებდნენ...

დასასრული

ბესტიკი

1. „რუსთაველის შენობა, ჩვენ ასეთი ნიჭიერი პოეტი არ გვყოლია“, – ვინაა თქვა ილია ჭავჭავაძემ ეს სიტყვები?



- ა) ვაჟა-ფშაველაზე;
- ბ) აკაკი წერეთელზე;
- გ) დავით გურამიშვილზე.

2. როგორ ითარგმნება იანონსურიდან „ტოკიო“?



- ა) „აღმოსავლეთის ქალაქი“;
- ბ) „მზის ქალაქი“;
- გ) „იაპონელთა ქალაქი“.

3. რისი გადაცემა აპრელ-მა 1979 წელს ირანის სასულიერო და პოლიტიკურმა ლიდერმა, აიათოლა ჰომეინიმ რადიოთი და ტელევიზიით ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე?




- ა) მუსიკის;
- ბ) ლოცვების;
- გ) მხატვრული ფილმების.


4. რომელი ქვეყნის გირგზაა გამოსახული თამბაქოზე?



- ა) კუბის;
- ბ) ბრაზილიის;
- გ) მექსიკის.

პასუხები იხილეთ 61-ე გვერდზე





მიხეილ იაშვილი

(დასაწყისი „გზა“ №14-25)

იარაღის უკანონოდ ტარების ბრალდებით დაპატიმრებული ჟურნალისტი ზურა მჭედლიძე, მისი მეგობრის, იუსტიციის მინისტრის მოადგილის, ოთარ ცაგარეიშვილის წყალობით, წინასწარ პატიმრობას ციხის საავადმყოფოში, ხანდაზმულ კანონიერ ქურდთან, გოგი ჩხეიძესთან ერთ პალატაში ატარებს. ზურა და მისი ადვოკატი შალვა საყვარელიძე იმაზე იმტრევენ თავს, თუ ვის დასჭირდა და ჟურნალისტის იზოლირება... რამდენიმე თვის წინ, პანკისის თემაზე მუშაობისას, ზურა შეხვდა ჩეჩენ მუსას, რომელსაც საბჭოთა ჯარში სამსახურის დროს დაუმეგობრდა. მუსა, რომლის ოჯახმა პანკისის შეაფარა თავი, ჟურნალისტს გატაცებული ადამიანების შესახებ ინფორმაციის მიწოდებას ჰპირდებოდა, მაგრამ შემდეგ კარგა ხნით გადაიკარგა...

იუსტიციის მინისტრის, რომან გიორგაძის ავტოავარიაში მოხვედრის შემდეგ, მის გამოჯანმრთელებამდე, ყველა ტიპის საპატიმროში გამკაცრებულია რეჟიმი და კლიენტის სანახავად იქ შესვლა ზურას ადვოკატს, შალვასაც კი უჭირს...

ზურას საცოლვე, ეკა მუსას საპოვნელად პანკისის ხეობაში გაემგზავრება, იქ დადგენილი ინფორ-

მაციის საფუძველზე კი ის, ახლა უკვე ადვოკატის თანხლებით, დაღესტანში წავა. მუსა მათ გადასცემს ვიდეოკასეტას, რომელზეც ფარული კამერით გადაღებული არიან 3 ბოროტმოქმედი და მათ მიერ გატაცებული 3 ადამიანი. ჩანანერი სულ რაღაც 4-წუთიანი, თან შავ-თეთრი და ძალზე უხარისხოა. შალვა ფირს გაამრავლებს და ზურას თხოვნით, რამდენიმე კადრს, ფოტოსურათის სახითაც ამოხეჭდავს. სამეულიდან ერთ-ერთი, ჟურნალისტის თქმით, მის დაპატიმრებაში მონაწილეობდა, დანარჩენ ორს კი ზურა არ იცნობს. მათ ხელში ვიდეოკასეტის მოხვედრის შესახებ ოპერატიულად შეიტყობენ ბოროტმოქმედები და შალვას დაემუქრებიან. ადვოკატი გადაწყვეტს, უკვე გამოჯანმრთელებულ მინისტრს შეხვედეს, ზურა კი გამტაცებელთა სურათებს თავის თანამესაყვეს უჩვენებს. გოგი ჩხეიძე ერთ-ერთ ბოროტმოქმედში, რომან გიორგაძის ძმას ამოიცნობს... გოგი პატარა ბარათს უგზავნის მინისტრს და ამის პასუხად, მას გიორგაძის მიერ გამოგზავნილ მობილურ ტელეფონს მოუტანენ. ცოტა ხანში ზარზე გაისმება და კანონიერი ქურდი იუსტიციის მინისტრს მინუნიტებით აცნობებს, რომ თუ ზურას პატიმრობიდან გაათავისუფლებენ, ის კასეტას დააბრუნებს...

მეორე დღეს, ჟურნალისტს მართლაც, უშვებენ და ის თანამოაზრეებთან ერთად, ხმაურიანი პრესკონფერენციისთვის ემზადება.

გავითვალისწინეთ ის გარემოებაც, რომ 6 საათამდე საკითხის გახმაურების შემთხვევაში იარსებებდა გიორგაძის ხალხის მიერ პრესკონფერენციის ჩამლის მცდელობის საშოშრობა, ამიტომ შეძლებისდაგვარად კონსპირაციულად უნდა გვემოქმედა და ღონისძიების გამართვის რეალური მიზეზი მხოლოდ უცხოელებისთვის (მათ შორის, ფრანგი ლერუს ფაქტორიდან გამომდინარე, რა თქმა უნდა – საფრანგეთის საელჩოსთვის) გაგვეზიდა. ნაკლებსაგარაუდო იყო, ინფორმაციას მათგან საღამომდე გაეჟონა, დანარჩენებს კი ზოგადად ეცნობებოდათ, რომ რედაქციას მოპოვე-

ბული ჰქონდა მაღალი თანამდებობის პირების კორუფციულ გარიგებებში მონაწილეობის ამსახველი სენსაციური მასალები... ვთვლიდით, რომ ჩვენთვის სასურველ ადამიანებს ასეთი დეზინფორმაციითაც მოვიზიდავდით, მერე კი, რედაქციაში მოსულებს უკვე საქმის ნამდვილ სურათს წარმოვუდგენდით.

ხანგრძლივი სიჩუმე ეკამ დაარღვია:

– იცით, რას ვფიქრობ? ვთქვით და ყველაფერი ისე წარიმართა, როგორც ვგეგმავთ. ატყდა ვაი-უშველებელი, აჭრელდა გაზეთები, ტელევიზიებიც სულ ამ თემაზე საუბრობენ, გაღაირია ხალხი, უცხოელებიც აღშფოთდნენ... ჩვენ კი ამასობაში რა უნდა ვიღონოთ? გულარხეინად დავსხდეთ და ველოდოთ, როდის დააპატიმრებენ გიორგაძეებსა და მათ ამფსონებს? მგონი, ეჭვი არც ერთს არ გვეპარება, რომ პრესკონფერენცია ამ ნაძირალებს წყობილებიდან გამოიყვანს და რისხვას დაგვატყენ... ნორმალურ ქვეყანაში რომ ვცხოვრობდეთ, ხელისუფლება მაშინვე გამოგვიყოფდა დაცვას, იზრუნებდა ჩვენს უსაფრთხოებაზე, მაგრამ აქ ვისი იმედი უნდა გქონდეს?

– ჩემი აზრით, – ვთქვი და ყავის ცარიელი ჭიქა მაგიდაზე დავდგი, – პრესკონფერენციის შემდეგ რამდენიმე დღით გადამაღვა მოგვიწევს. თუ დასცალდა, გიორგაძე ჩვენზე ნადირობას დაიწყებს... თუმცა მაინც მგონია, რომ საქმე აქამდე არ მივა. ისეთ მასალას ვდებთ, რომ წესით, უნდა დაიჭირონ ის შობელმძაღლები...

– მასალა მართლაც სენსაციურია, – კვერი დამიკრა საყვარელიძემ, – ამიტომ ვფიქრობ, ჩვენ რომ გვსურს, სწორედ ისეთ ხმაურს გამოიწვევს და მთავრობას სხვა გზა აღარ ექნება, გარდა იმისა, რომ ბანდა დროულად აიყვანოს. რაც შეეხება ცოტა ხნით ჩვენს გაუჩინარებას, მგონია, რომ მართლაც უპრიანი იქნებოდა და ამისთვის ერთი საიმედო ადგილიც მეგულება. ჩემს ნათესავს დიდუბეში სამოთახიანი გამოკეტილი ბინა აქვს. თვითონ საზღვარგარეთაა წასული, გასაღები დამიტოვა, დროდადრო დახვედ ხოლმეო. მოვიმარაგოთ პროდუქტი, შევსახლდეთ სამიოთხი დღით და იქიდან ვაღვენოთ თვალყური მოვლენების განვითარებას. მეექვსევა, გიორგაძის გალავარებზემა იქ მოგვანონ... გარე სამყაროსთან კავშირს კი თქვენი რედაქციის საშუალებით დავამყარებთ. რას იტყვი?

– მშვენიერია, – წარმოვთქვი და ეკას შევხვედი. გამიღიმა და თანხმობის ნიშნად თავი დამიქნია. როგორ უხდებოდა ღიმილი! ისე მინდოდა ჩავსუტებოდი და თვალები დამეკონა, მაგრამ საყვარელიძის მომერიდა. მამის ტოლი კაცია



მანც...

– აი, კიდევ რა, – მომმართავს ადვოკატი, – ვფიქრობ და მგონი აჯობებს, თუ ხვალ საღამომდე აქედან არსად გახვალ. ყოველი შემთხვევისთვის... სადმე მათ რომ არ გადაეყარო... დილით შინიდან ვიდლოს წამოვიღებ, კასეტებსაც თვითონ ვიყიდი, ამოგიტან და მე და ეკა მერე წავალთ რედაქციაში. სადღაც ექვსის ნახევრისთვის კი მანქანი გამოგივლი, რომ ექვსზე უკვე გახეთში ვიყოთ.

– კი, ბატონო, – ვეთანხმები ვეჭილს. – მაინცდამაინც არც მე მინდა დროზე ადრე მისვლა... ჩემი ამბები ყველას სათითაოდ უნდა მოუყვე... არ მაქვს ამის თავი. ჯობს, პირდაპირ პრესკონფერენციის დაწყებისას გამოვცხადდე.

– ძალიან კარგი, შევთანხმდით, – ამბობს ადვოკატი და წასასვლელად ემზადება. – მგონი, ყველაფერი ავწონ-დავწონეთ და თუ ცოტათი იღბალმაც შეგვაშველა ხელი, ხვალ ამ დროს უკეთეს ხასიათზე უნდა ვიყოთ...

– ვიქნებით, ბატონო შალვა, აბა რა! – კვლავ ოპტიმისტურ ტონს ვინარჩუნებ.

– გაიხარე!... ისე, გაცილებით მშვიდად ვიქნებოდი, უშუალოდ რომან გიორგაძეზე რომ გავგაჩნდეს კომპრომატი... თორემ გამორიცხული არ არის, ამ ბედოვლათებმა, მთავრობა და სამართალდამცავები რომ ჰქვიათ, მხოლოდ მის ძმასა და ფირზე აღბეჭდილ იმ ორ ტიპზე გადატეხონ ჯოხი, მინისტრს კი თითიც არ დააკარონ... როგორ გინდა დაუმტკიცო, რომ სწორედ ის არის ატამანი... აბა, ძვირფასებო, დაგტოვებ აწი... კარგად უნდა დაისვენოთ, ხვალ დიდი ამბები გველის!

შალვა საყვარელიძე გავაცილებთ და ეკაც იმწამსვე გულში ჩავიკარი...

– უი, ზურა, სულ დამავიწყდა! – წამოიძახა უცებ, თავი გაითავისუფლა

და ტელევიზორისკენ გაიქცა. – მთელი დღეა, საინფორმაციო პროგრამები არ გვინახავს. ნეტავ, რას ამბობენ შენზე? დღის უკანასკნელი გადაცემა სწორედ ახლა იწყება.

ტელევიზორს მივუსხედით. ჩემი გათავისუფლების თაობაზე კრინტიც არ დაუძრავთ. ეტყობა, არ იციან. აი, დარდი!

– იცი რა, ეკუნა? აი, ხომ ასე ახლოს ხარ და მანც მენატრები...

– მეც... – რაღაც ნაღვლიანად მომიგო და კალთაში ჩამივჯდა...

34.

გათიშული ვარ და მთვრალივით ვბარბაცებ, ზედიზედ ორი ღამეა, არ მიძინია. წუხელ, ალბათ, ერთი ნახევარი საათით ჩამთვლიმა, ეგ იყო და ეგ. სარკეში ჩავიხედე და კინაღამ გული გამისკდა. სახეზე ავადმყოფური ნაცრისფერი დამკრავს, ისეთი, ორთაჭალის ციხის ბინადართა უმრავლესობას რომ ჰქონდა – ამოღამებული უპეები, ჩასისხლიანებული თვალეები... მოკლედ, ნაღდი სანქცია ვარ... პრესკონფერენციაზე მოწვეულები რომ მიხილავენ, წარმომიდგენია, რა შთაბეჭდილებაც შეექმნებათ... ზურგჩანთიდან „ბეზაპასნი ბრიტვას“ ვიღებ, სააბაზანოში პატარა მაკრატელს ვპოულობ და როგორც შემიძლია, თავს ვიწესრიგებ. მერე – კონტრასტული შხაპი და მგონი, ოღნავ ვემსგავსები ადამიანს.

რედაქციაში წასვლამდე ეკამ მამამისის ფუნსაციელი, შარვალი, პერანგი და ჰალსტუხი გამიშადა – გამოიპრანჭე და ისე მოდიო... ვიზომებ ტანსაცმელს.

შარვალი ოღნავ განიერი მაქვს, დანარჩენს არა უშავს. ჩემივე შარვალს ვაუთოებ, შავ „ინსპექტორებზე“, თეთრ პერანგსა და წითელ ჰალსტუხზე ესეც წავა... ფირები კარგა ხანია, გავამრავლე. ათი კასეტაა. ადგილზევე გადავწყვეტთ, ვის

უნდა მივცეთ.

ამდენმა ფათერაკმა, ეტყობა, გამომაწრთო და კვლავ მშვიდად ვარ. თან რატომღაც მეჩვენება, რომ ყველაფერი ეს ვიღაც სხვა ადამიანის თავს ხდება, მე კი გვერდიდან არხეინად ვაღვენებ თვალფურს...

ჯერ სამი საათიც არ არის. ქვეყნის დრო მაქვს პრესკონფერენციაზე. ხომ არ დამეძინა? დივანზე წამოვწეკი და თვალეები დავხუჭე, მაგრამ ძილი არ მომეკარა. მაგიდაზე შალვა საყვარელიძის სანთებელას მოვკარი თვალი, დარჩენია. მისი სიტყვები

გამახსენდა, წუხელ, წასვლისას რომ თქვა – უშუალოდ რომან გიორგაძეზეც რომ გვქონდეს მასალა... მართლაც მშრალად არ ამოძვრეს ამ საქმიდან ეგ დამბალი... თავში მოულოდნელმა აზრმა გამიელვა... ბევრი აღარ მიფიქრია, წამოვხტი, ტელეფონს ვეცი და ადვოკატს მობილურზე დავურეკე.

– ბატონო შალვა, ფირების ნაწილი მზად მაქვს და იქნებ, მანქანა გამომიგზავნოთ...

– ხომ მშვიდობაა?

– კი, კი.

– ძალიან ადრეა და მანც მოხვალ?

– არა, მხოლოდ ჩანაწერებს გამოვატან. შეიდი ეგ ზემპლარი გამოვიდა. ვიდეომ აურია და ჯერჯერობით მეტი ვერ ჩავწერე... მე ექვსისთვის ტაქსით წამოვალ. ასე მირჩენია...

– კი, ბატონო, ნება შენია... – გაკვირებული ჩანდა.

– დიდი მადლობა. მანდ როგორ მინდა საქმე?

– ჯერჯერობით კარგად, ჩვენივე გემის მიხედვით. რედაქტორმა და ნუცა ჯორბენაძემ თითქმის ყველას დაურეკეს... მე და ეკა დარბაზს ვამზადებთ... ხომ არ დაგალაპარაკო?

– არა, არ არის საჭირო... კარგი, აბა დროებით, ბატონო შალვა.

– დროებით... თუმცა მოიცა, მოიცა... თავად სურს შენთან საუბარი.

ეგ კი ნამდვილად არ მაწყობდა! გემის შეცვლას, შესაძლოა, დაეჭვებინა... ასეც მოხდა...

– ზურა, ხომ კარგად ხარ? – აღელვებულმა მკითხა. – რაშია საქმე?

იგივე ვუთხარი, რაც მანამდე – ვეჭილს.

– ძალიან გთხოვ, არაფერი მომატყო! – მითხრა ვედრებით, – გინდა, მოვიდე?

– არ გრცხვენია? რა უნდა მოვატ-

ყო? — ურცხვად მივუგე. რომ გავეგო, რასაც ვაპირებდი...

15 წუთში სადარბაზოს თეთრი „ნივა“ მოადგა. ფანჯარას მოვცილდი, შეიღი კასეტა პარკში ჩავდე და ქვევით ჩაველი. არტურა, რედაქციის მძღოლი, პირდაფენილი მიყურებდა. ჩანს, არ უთქვამთ, ჩემთან რომ გზავნიდნენ.

— ვა, ზურა?! გამოხვედი ტო?

— ხო, არტურვან, — გვერდით მივუჯექი, გადავკოცნე და პარკი გავუწოდე. — თუ ჩემი მძა ხარ, ეს პირადად რედაქტორს გადაეცი და მე რომ მნახე, არავის უთხრა. კარგი?

— კი, ტო. რაზეა ბაზარი... შეფმა პროსტა ეს მისამართი მომცა და აზრზეც არ ვიყავი, შენ თუ გაიჩითებოდი აქ. ისე, როგორ ხარ? ძან გახდი, ტო... ტენავს არა ზონაში სლიშკამ?

— მაგრა ტენავს, არტურ, მაგრა... იცი რა? საღამოს გაზეთში მოვალ და ყველაფერს გაიამბო, ახლა სასწრაფო საქმე მაქვს... მძურად, ამ ტავარს გაუფრთხილდი რა...

— კი, ზურა. რა პრობლემაა, ტო...

მანქანიდან გადმოვედი, იქაურობას, კაი შტირლიცივით, თვალი მოვაკვლე და ბინაში ავბრუნდი.

ეკას მინიატურული დიქტოფონი ტელევიზორის გვერდით, თაროზე იდო. ასანთის კოლოფისხელა კასეტა ჩავდე და ელემენტები შევუძოწმე. გამართულად მუშაობდა. თითი ჩანაწერის წითელ დილაკს დავაჭირე, დიქტოფონს რამდენიმე ნაბიჯით მოვცილდი და არცთუ ხმაძალდა ათამდე დავითვალე. მერე კასეტა უკან გადავანვიე და თავიდან ჩავრთე. ჩემი ხმა მკაფიოდ ისმოდა. ძალიან კარგი!...

ეკას დარიგებისამებრ გამოვეწვევი, დიქტოფონი ცხვირსახოცში ისე გავახვიე, რომ მიკროფონის თავაკი ღიად დარჩა, მერე ყველაფერი ეს პერანგის გულის ჯიბეში მოვათავსე და სარკესთან დავდექი... არა, ასე არ ივარგებდა, უთუოდ „დავიწვებოდი“. ხმის ჩამწერი მოწყობილობა სხვაგვარად უნდა შემენიღბა. შარვლის ჯიბეში ვცადე, მაგრამ ნამეტანი ამოიბურცა. პიჯაკი ჩავიცვა? მაგრამ ასეთ პაპანაქებაში ხომ საეჭვოს გამხდის... ეკას და მის მშობლებს გულში ათასი ბოდიში მოვუხადე და ტანსაცმლის კარადის კარი გამოვალე. აი, ის, რაც მჭირდება — ჟილეტი! ღილები მარჯვნივ აქვს ე.ი. მამამისისაა. ტომრის ნაჭრისაა, დიქტოფონსაც მშენიერად დამალავს და არც მაინცდამაინც დამცხება...

ვიდღოს სამი კასეტა, საახალწლო საჩუქარივით, ბრჭყვიალა ქაღალდში შევფუთე, კარი ეკას მიერ დატოვებული გასაღებებით გარედან საგულდაგულოდ

ჩაკვეტე, ქუჩაში გამოვედი და პირველივე შემხვედრი ტაქსი გავაჩერე.

— რესპუბლიკურ საავადმყოფოში მინდა...

35.

— გამარჯობა. თუ შეიძლება, რომან გიორგაძის პალატის ნომერი მითხარით, — ვთხოვ რეგისტრატურაში მყოფ თეთრხალათიან მანდილოსანს.

— პირველი სართულის ბოლოში რომ სპეცბლოკია, იქ წევს. — ჩემკენ არც კი იყურება, ისე მპასუხობს სხაპასუხპით. როგორც ჩანს, მინისტრთან დიდი მისვლა-მოსვლაა და ეს ფრაზა უკვე გაზვიანებული აქვს.

— გმადლობთ, ქალბატონო.

ნახევრად ბნელ, ვიწრო დერეფანში ხალხი ფუსფუსებს. ავადმყოფები, მათი მნახველები, ექიმები, დამლაგებლები... საავადმყოფოს საშინელი, გულის ამრევი სუნი ტრიალებს, ბავშვობიდან მძულს, თუმცა ციხის სიმერალესთან შედარებით, ფრანგული სუნამოა...

ორ ჯანიან სანიტარს საკაცეზე მოთავსებული ავადმყოფი ლიფტიდან მოულოდნელად გამოჰყავს. ვიმარჯვე, გვერდზე გადავხტი, თორემ ზედ გადამივლიდნენ...

დერეფნის ბოლოსაც მივაღწიე. აქ გაცილებით მეტი სინათლე, სისუფთავე და ნაკლები ხალხია. მარჯვენას უბისკენ ვაცურებ, ვითომ ჟილეტს ვისწორებ, სინამდვილეში კი დიქტოფონს ვრთავ. მერე ამას, ალბათ, შეუმჩნეველად ვედარ მოვახერხებ...

კასეტა სამოცწუთიანია, დასაწყისშია დაყენებული. ნახევარ საათში, ერთი გვერ-

დის ფირი რომ დასრულდება, დიქტოფონი თავისით გამოირთვება, თუმცა ამდენი დრო ნამდვილად არ დამჭირდება. მასთან სასაუბროდ ხუთი წუთიც მეყოფა. მთავარია, დროზე შევიდე...

თეთრად შეღებილ მასიურ კართან სამი მამაკაცი ატუზულა. ერთი, შედარებით ასაკოვანი და ელევანტურად გამოპრანჭული, ზედაც არ მიყურებს, მობილურზე ლაპარაკობს. სამაგიეროდ, დანარჩენებმა ლამის თვალებით შემჭამონ. ტლუ, დაბღვერილი, ოთხკუთხა სიფათები და განიერი მხრები. პირადი მცველები იქნებიან, — ვფიქრობ ჩემთვის და მორიდებულად ვეკითხები:

— უკაცრავად, ბატონი რომან გიორგაძე აქ წევს?

— ჰო, — მპასუხობს ერთ-ერთი. — ვინ ხარ და რა გინდა?

— თუ არ შეწუხდებით, იქნებ გადასცეთ, რომ მისი ნახვა მსურს. ზურაა მჭედლიძე-თქო.

რამდენიმე წამი კვლავ მოურიდებლად მათვალიერებენ. ასეთ ხეპრეებზე ჰალსტუხიანი ადამიანი შთაბეჭდილებას ახდენს. ქუჩაში ავტოინსპექტორები რომ მაჩერებდნენ, მხოლოდ მაშინ მომმართავდნენ თქვენობით, როცა ჰალსტუხი მეკეთა. ეს „ბოლიგარდები“ გაიშნიკებზე ოდნავ მაღალ კასტას მიეკუთვნებიან და ამიტომაც იმთავითვე შენობითზე გადმოვიდნენ, თუმცა ჩემს კისერზე ჩამოკონწიალებულმა ფერადმა ნაჭერმა მაინც თავისი ქნა... ის ბეხლეწი, პასუხის ღირსად რომ ჩამთვალა, უხმოდ ტრიალდება, კარს აღებს და პალატაში შედის... მალევე ბრუნდება. ამჯერად სახე მობრეცილი აქვს, ზიზღით



მიყურებს. რა უთხრა ასეთი ნაგავმა რომანამ?...
 – მიდი, გელოდება, მარა იცოდე, სუსტადაა და ნერვები არ აუშალო, თორემ კოჭებს დაგიხვრეტ!

ხელის გულები მიოფლიანდება, საფეთქლებზე სისხლი მაწვება, გულსაც ბაგაბუვი გაუდის, მაგრამ თავს ვიკალებ, არაფერს ვამბობ და კარში შევდივარ...

აქაურობა პალატას არ ჰგავს, რბილი ავეჯით გაწყობილი, ბზინვარე მოსაცდელი ოთახის მსგავსი რაღაცაა. საკარძლებზე კიდევ ერთი მუტრუკი და ვიღაც ხნიერი ქალბატონი სხედან.

– შედი, შვილო, რომამ თქვა, შემევიდესო, – იმერული აქცენტით მომმართავს ქალი. დედაა, ეტყობა, რომასი...

პალატაში ერთადერთი საწოლია. იუსტიციის მინისტრს მუქი ლურჯი სპორტული სამოსი აცვია, საწოლზე გვერდულად წევს და იქვე, ტუმბოზე მდგარ პატარა ტელევიზორს მისჩერება. მანამდე მხოლოდ ეკრანსა და გაზეთის ფურცლებზე მყავდა ნანახი და ძლივს ვიცანი.

ჩემი არ იყოს, ესეც ძალიან გამხდარა... ტელევიზორი პულტით გათიშა და ჭროლა თვალები მომაპყრო... უსიამოვნო შეგრძნება მეუფლება. თითქოს გველი მიმზერს...

– გამარჯობა, ბატონო რომან.

– გაგიმარჯოს. დავე. – მისუსტებული ხმით მეუბნება.

სკამი საწოლთან მივანჩე და დავვექი. სახეზე ირონიული ღიმილი დასთამაშებს.

– მოიტანე?

– დიახ, – შეკვრას საწოლზე ვუდებ. ხელით სინჯავს...

– რამდენი კასეტაა?

– სამი.

– შენთვის რამდენი დაიტოვე? – დაძაბულად მიღიძის.

– არც ერთი! – შევიცხადე. – რაში მჭირდება.

სახე უცებ მოექუფრა, ნესტოები ავისმომასწავებლად დაბერა და თვალები დამიბრიალა.

– თუკი არ გჭირდებოდა, რატომ ამრავლებდი?

დავიბენი. მხრები ავიჩეჩე. არ ველოდი ასეთ კითხვას. ამის ვირეშმაკა დედაც... ისე მელაპარაკება, თითქოს ეგ კი არა, მე ვიყო ყმალი და ავაზაკი... განრისხებული მიმზერს, მერე თითით ბრჭყვიალა შეკვრაზე მანიშნებს და მბრძანებლური ტონით ამბობს:

– ამოიღე ერთი ზაპისი და ვიდეოში ჩააგდე. ერთად ვუყუროთ.

უს, რა დიდი სიამოვნებით მივინაყავ-

დი მაგ კარტოშკა ცხვირს, შე, ახვარო, შენა!... მაგრამ ეგ მომავლისთვის იყოს, ახლა შენი ლაპარაკი მჭირდება...

შეკვრას მორჩილად ვხსნი და კასეტას ტელევიზორის ქვეშ დადგმული ვიდეომანტიოფონის ბუდეში ვათავსებ...

ეკრანს ყურადღებით შესცქერის. პირი ოდნავ ღია აქვს, თვალები – გადმოკარკულული.

ამჯერად სვავს უფრო მაგონებს... დროზე დასრულდეს ფირი და წინასწარ მოზადებული რამდენიმე კითხვა მაშინვე უნდა დავუსვა. რაც არ უნდა მიპასუხოს, მაშხილებელ საბუთად, ალბათ, მაინც ყველაფერი გამომადლება...

ჩანაწერი დამთავრდა. თავი მძიმედ მოაბრუნა ჩემკენ. თვალი თვალში გაუყვარე... ცალყბად გაელიმა. ამ ათიოდ წუთში, რაც აქ ვარ, ათჯერ მაინც შეიცვალა ნიღაბი...

ის იყო, თქმა დავაპირე, მაგრამ დამასწრო:

– სულ ეს იყო, ზურიკო, თუ ზაპისის მხოლოდ ნაწილი მიჩვენე?

გავოგნდი... ნუთუ მართლა არც კი იცოდა, რა იყო კასეტაზე ჩაწერილი? ტვინში ყველაფერი ამერ-დამერია... რა უნდა ვუპასუხო, სულ ეგ არის-მეთქი? ეგებ ჯობს, თავი ისე მოვაჩვენო, თითქოს მართლაც არასრული ჩანაწერი მოვუტანე?... გავიჭვლე... გულმა რეჩხი მიყო... აზროვნება მიჭირს... ამ გაიძერამ თავვზა ამიბნია და ანგარიშმოუცემლად ვაცხადებ:

– კი. სულ ესაა...

თავი წინ წამოსწია და კბილებში გამოცრა:

– იცოდე, თუ იტყუები, ენას ამოგადრობ და უკანაღში შეგტენი! მერე ჩემივე ხელით ნაწილ-ნაწილ აგკუწავ და შენი მძორით ძაღლებს დავაძღობ!

ბრაუო, საქართველოს იუსტიციის მინისტრო და საზოგადოების თვალში ფრიად პატივცემულო მოქალაქე! გხედავდეს ერთი ხალხი, რა გათახსირებულიც ხარ... ამდენი დამცირება არავისთვის მიპატიება. არც კი ვიცი, როგორ ვძლიე თავს და არ აყვევი... იმწამს თვალწინ რატომღაც ეკას სახე წარმომესახა. ბიჭურად შეკრეჭილი თმა, ნაღვლიანი გამოხედვა, ცრემლები... არ გაპატიებ, რომა ვირიშვილო, მოკვდები და არ გაპატიებ!... ხმამაღლა კი სხვა რამეს ვამბობ:

– სიმართლეს გეუბნებით... მე ჩემი სიტყვა შევასრულე. ახლა თქვენ უნდა მომცეთ გარანტია, რომ ამიერიდან თქვენს ბიჭებს აღარ მომიქსევთ და თავს დამანებებთ. მეყო, თქვენ გამო რაც ვიტანჯე...

– დაყენდი, ბიჭო! – უხეზად მაწყვტიხებს. – პირობებს აქ მე ვაყენებ...

რა, ბლატნიო გამობრძანდი ციხიდან? ვიცი, იმ წუპაკმა გოგია ჩხეიძემ გაგათამამა და ამისთვის პასუხსაც აგებს, კარცერში ამოვალაბო... ჩემზე და ჩემს ძმაზეც მაგან გითხრა, არა?

პალატის კარი გაიღო და ის პირუტყვი გამოჩნდა, მოსაცდელში რომ ვნახე.

– ბატონო რომან, ვიფიქრე, ხომ არ ვჭირდები-მეთქი...

– გაეთრიე! – დაუცაცხანა გიორგიამ და ისიც უძალვე გაუჩინარდა.

თავიდან რა მიკნავებული მეჩვენა და დახე, როგორ ბოლოქობს? ისე სწრაფად მიტევეს, პასუხის მოსაფიქრებლად დრო არ მყოფინს... მე სულელს კი მეგონა, საუბარი სულ სხვანაირად, ჩემს გემოზე წარიმართებოდა... მშვიდად უნდა ვიყო, მშვიდად! – ვაწყნარებ საკუთარ თავს...

– ბატონო რომან, თქვენი ძმა ადამიანების გამტაცებელთა შორისაა, მაგრამ სიტყვას გაძღვეთ, ამის თაობაზე პირში წყალს ჩავიგუებ და კრინტსაც არავისთან დავძრავ...

ვხვდები, რომ კვლავ იაღლიში მომდის, ვბოდავ რაღაცას, არ „დავიწვე“... ვერაფრით ვახერხებ წინადადების ისეთ-ნაირად დაწყობას, რომ ეს ნაგავი ანკესზე წამოვგაო...

ნეტავ, რამდენი დრო გავიდა, რაც აქ ვარ? პალატას ვათვალიერებ, მაგრამ საათი არსად ჩანს...

– რა დაქლიავებულივით აკვარკვალე მაგ თვალებს, რას ეტებ?

– არაფერს...

– მიპასუხე, ჩემს კვალზე გოგიათ დაგაყენა?

– არ მახსოვს... – ისევე ჩავიჭერი. ნერვების ბრალია ყველაფერი...

– იმ შენმა სუნიანმა ჩენენმა ძმაკაცმა რატომ მოგცა კასეტა?

– რა ვიცი, აბა...

თავი ბალიშზე ჩამოღო, სახე დაუცხრა და ყრუდ, დაღლილი კაცივით, ნაწყვეტ-ნაწყვეტ ლაპარაკს მოჰყვა:

– არ მაქვს ამდენი უაზრობის მოსმენის თავი, მაგრამ მაინც გათქმევიწებ ყველაფერს... ჩემს ძმას რომ ახსენებ, შენაბიჭვარო, პირში ჯერ წყალი უნდა გამოვივლო... რამე არ მიქარო... ჩაგაბეტონებო, იცოდე... შენც, ცაგარეიშვილსაც, იმ ტილიან ადლოკატსაც და შენს განაბ მამობილსაც... მერე იმ სამი აყროლებული ტიპის ტრუპებსაც ზედ დაგაყრით, ახლა რომ სარაიაში მყავს... შენ ჯერ კიდევ არ იცი, ბიჭო, ვისთან გაქვს საქმე... არ მომსვლოდა აგარია, აქამდეც გიტრებდით ყოფის დღეს... ჩამიმდნერეს სიტუაცია იდიოტმა „მილიციელებმა“...



გურამ მინაშვილი არმენაკ ალაჩაჩიანის (მარცხნივ) წინააღმდეგ

ქართველთა გამარჯვებამ ბრიტოლ რობაქიძე მხრებში გასულა

„ნიუ-იორკ ნიქსი“ მინაშვილს სამწლიან ჯონორაქბს სთავაზობდა

კალათბურთი საქართველოში ყოველთვის პოპულარული იყო, რაზეც თუნდაც ის ფაქტი მეტყველებს, რომ თბილისის გუნდებს სპორტის ამ სახეობაში საბჭოთა კავშირის ჩემპიონატი ექვსჯერ აქვთ მოგებული. არ უნდა დაგვაფინყდეს, რომ თბილისის „დინამოს“ კალათბურთელთა გუნდი ერთადერთია ჩვენს ქვეყანაში, რომელმაც სპორტის სათამაშო სახეობებში ევროპის ჩემპიონთა თასი დაისაკუთრა. ეს მოხდა 1962 წელს და ამ წარმატების ერთ-ერთი მთავარი შემოქმედი ბურამ მინაშვილი გახლდათ, რომელიც თავის დროზე, „დინამოსაც“ კაპიტნობდა და საბჭოთა კავშირის ნაკრებშიც წამყვანი ადგილი ეკავა.

ბიორგი ლანჩავა

ამჟამად ბატონი გურამი თბილისის ტექნიკური უნივერსიტეტის ფიზკულტურისა და სპორტის კათედრის გამგეა. გარდა წარმატებული სპორტული ბიოგრაფიისა, მინაშვილის ფიგურა იმთავაცა საინტერესოა, რომ იგი კონსტანტინე გამსახურდიას სიძე გახლდათ და კოლხურ კოშკში გამოჩენილ ქართველ მწერალთან ურთიერთობა წლების მანძილზე ჰქონდა.

ჯორჯიას შემცვლელი

– ნიკო კეცხოველის რექტორობისას თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში სპორტი ყვაოდა. კეცხოველი საოცარი ადამიანი იყო და თქვენ წარმოიდგინეთ, იმ პერიოდში ვოგონებს კალათბურთისა და ფრენბურთის თამაშს ტრუსებში აიძულებდა. უნივერსიტეტის ფიზკულტურის კათედრაზე კალათბურთში გამოჩენილი ქართველი მწვრთნელი შალვა დიასამიძე მოღვაწეობდა, რომელმაც ბავშვთა გუნდის ჩამოყალიბება გადაწყვიტა. კალათბურთის თამაშის სურვილი მქონდა და ბატონ შალვასთან ვარჯიშში დავიწყე. ერთი წლის შემდეგ მიხეილ კეკელიძესთან „ტონოში“ გადავედი, ხოლო 1953 წელს თბილისის „დინამოში“ ამიყვანეს. არადა, მაშინ ჯერ სკოლაში, მე-10 კლასში ვსწავლობდი. ჩემი დებოუტი „დინამოში“, ლენინგრადის გუნდის წინააღმდეგ შედგა, რომელთან გამარჯვება ფაქტობრივად, გარანტირებული გეჭონდა და მწვრთნელმა, გურამ აბაშიძესთან ერთად, განაცხადში შემიყვანა. იმ მატჩში ორი საჯარიმო ტყორცნა ვერ გამოვიყენე და მეორე დღეს სკოლაში მისულს, ფიზ-

იკის მასწავლებელმა, რომელიც თამაშს ესწრებოდა, ხელის მოძრაობით მაჩვენა, თუ როგორ ავაცილე ბურთი მიზანს... „დინამოში“ ადგილის დამკვიდრება არ გამჭირვებია, რადგან გუნდში ახალი მისული ვიყავი, როდესაც ნოდარ ჯორჯიკიამ კარიერის დასრულება გადაწყვიტა. მისი წასვლით „დინამოში“ მცველის ადგილი გათავისუფლდა და მწვრთნელმა არჩევანი ჩემზე გააკეთეს. სხვათა შორის, რადგან ნოდარის შემცვლელად მაშინ აღებდნენ, ვიდრე იგი გუნდს დატოვებდა, დიღმის საწვრთნელ ბაზაზე ერთად დაგვაბინავეს. გარდა იმისა, რომ ჯორჯიკია კალათბურთის ნიუანსებს მასწავლიდა, ის ძალიან ბევრს კითხულობდა და მხატვრული ლიტერატურისადმი სიყვარული სწორედ მაშინ გამიღვივდა.

400 მანეთი ევროპის თასისთვის და აბაშიძის ღეჰემა

– თბილისის „დინამო“ ევროპის ჩემპიონთა თასზე 1962 წელს მეორედ იასპარეზა. იმ გათამაშების მეორეხედიანობაში იტალიის ჩემპიონ „მილანს“ შევხვდით, რომელთანაც თბილისში 5 ქულის სხვაობით დავმარცხდით, ხოლო სტუმრად, იტალიელებს 6 ქულით მოვუგეთ. სხვათა შორის, თბილისური მატჩის დასრულებამდე რამდენიმე წამით ადრე, როდესაც 7 ქულით ვაგებდით, მოედნის ცენტრს ერთი მეტრით გადავცილდი და ბურთი კალათში ვისროლე. საბედნიეროდ, გამიმართლა და ტყორცნა ზუსტი გამოვიდა, რის გამოც ანგარიშში სხვაობა ორი ქულით შექცირდა. მილანში გამართულ განმეორებით შეხვედრა-

ში, ასევე ბოლო წამებზე 4 ქულით ვიგებდით და მთავარმა მწვრთნელმა ოთარ ქორქიამ წუთშესვენება აიღო. „დინამოში“ ზუსტი სროლებით ალექსანდრე კილაძე გამოირჩეოდა, რაც იტალიელებმაც იცოდნენ და თამაშის განახლებისას მთელი აქცენტი მის ნეიტრალიზებაზე გადაიტანეს. ამასობაში, მე ბურთიანად ფლანგზე აღმოჩნდი და ვინაიდან შეხვედრის დასრულებამდე თითქმის არაფერი რჩებოდა, იძულებული ვიყავი, მესროლა, რაც შედეგიანად გავაკეთე. საბოლოო ჯამში, ჩვენთვის სასურველი ანგარიშით მოვიგეთ და მომდევნო ეტაპზე გავვდით. მილანიდან საბჭოთა კავშირის ნაკრების შეკრებაზე გავემზავრე და რუსებმა როდესაც გაიგეს, იტალიელები დავამაცხეთ, ისე დაიბოღმნენ, ერთი კვირა ხმას არ მცემდნენ. აქვე გეტყვით, რომ მილანური შეხვედრის მეორე დღეს, იტალიელთა ერთ-ერთი წამყვანი კალათბურთელი – ვიანელო, მალაზიებში საყიდლებზე დამყვებოდა და როდესაც ეკითხებოდნენ – რატომ წააგეთო? – პასუხობდა: ფორტუნამ გვიმუხთლათო. თან ხელით ჩემზე აჩვენებდა: ჩვენი მარცხი ამ კაცის ბრალიც არისო. ნახევარფინალში მოსკოვის „ცუესკას“ შეხვედრით და პირველი მატჩი სტუმრად ჰოკეის მოედანზე ვგათამაშეს, რომელსაც ზის საფარი ჰქონდა გაკეთებული. ერთ ეპიზოდში მოსკოველი ალაჩაჩიანი ბურთის დასაუფლებლად გადახტა, მაგრამ მოედნის გარეთ აღმოჩნდა და ყინულზე ისე გაცურდა, რომ თავით ბორტს დაეჯახა... თამაშის მსვლელობისას, „არმიელს“ ბურთი აუტში გადაუვარდა. მსაჯმა მუხამედიანოვმა გვერდითი ხაზიდან თამაშის განახლების უფლება ჩვენ მოგვცა, თუმცა

იგი სამსაჯო მავიდასთან გამოიძახეს და უთხრეს: ბურთი „დინამოელმა“ დაკარგაო. მუხამედლიანოვი მათ კი შეეკამათა, მაგრამ ვერაფერი გააწყო. თუმცა, ჩვენც შემოტრიალდა და განგვიცხადა: არ შეგეშინდეთ, ითამაშეთო. ისე მოხდა, რომ „ცეკსკას“ მოსკოვშიც მოუგეთ და თბილისშიც და ფინალში ასპარეზობის უფლება მოვიპოვეთ. მაშინდელი წესების თანახმად, ფინალური შეხვედრები მადრიდის „რეალთან“ თბილისსა და მადრიდში უნდა გამართულიყო. მაგრამ საბჭოთა კავშირის სპანეთთან დიპლომატიური ურთიერთობები მაშინ არ ჰქონდა, რადგან ამ ქვეყანას ფრანკოს რეჟიმი განაგებდა და თავად ფრანკომ არ ისურვა მადრიდში ჩვენი ჩასვლა. ფიბას გადაწყვეტილებით, ფინალი ნეიტრალურ მოედანზე – ჟენევაში დაინიშნა და კალათბურთის საერთაშორისო ასოციაციამ ესპანელებს როგორც ჩვენი მფარველობის, ასევე შევიცარაშიც ცხოვრების სარჯის დაფარვა მოსთხოვა. ცრუმორწმუნე არა ვარ, მაგრამ ჟენევაში ასალი ჩასული ვიყავით, როდესაც ქუჩაში მიმავალთ, გამურული, ბუნრის მწმენდავი შეგვხვდა, რაც კარგად მქნებდა. ფინალში თავიდანვე დავწინაურდით და უპირატესობა მატჩის ბოლომდე არ გავკვივია ხელდას. საბოლოოდ, ანგარიშით – 90:83 გავიმარჯვეთ და თბილისში დაბრუნებულეხს, აეროპორტში უამრავი ხალხი დაგვხვდა. იქიდან პირდაპირ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მაშინდელ მდივანთან, ვასილ მუჟანაძესთან წავიყვანეს. მის კაბინეტში იმყოფებოდა მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე გივი ჯავახიშვილიც. მუჟანაძის კითხვაზე – თუ რით უნდა დავეჯილდოებინეთ, – ჯავახიშვილმა უპასუხა: ბიჭებს 1.500-1.500 მანეთი მივცეთო. მაგრამ აღნიშნული შეხვედრიდან ერთი თვე გავიდა და ჩვენთვის კაპი არავის მოუცია. საქართველოს სპორტკომიტეტის თავმჯდომარე გივი სინარულიძემ კი გვითხრა: 1.000-1.000 მანეთს უნდა დასჯერდეთო. ბოლოს და ბოლოს, თითოეულ კალათბურთელზე 500-500 მანეთი გამოწერეს, მაგრამ ის თანხაც დავეიქეთეს, რადგან იმ პერიოდში „დინამოს“ ფეხბურთელთა გუნდმა ზედიზედ 10 თამაში მოიგო და ასე გვითხრეს: ფული ფეხბურთელებსაც ხომ უნდათო!.. საბოლოოდ, ევროპის ჩემპიონთა თასისთვის 400-400 მანეთით დაგვაჯილდოეს. აღსანიშნავია, რომ ჟენევაში ჩატარებული ფინალის მერე, უამრავი მოლოცვის ბარათი მოგვივიდა, რომელთაგან ირაკლი აბაშიძის დეპუტატმა დამამხსოვრდა. ბატონი ირაკლი წერდა:

თქვენ კიდევ ერთხელ დაამტკიცეთ, რომ საქართველო ევროპის განუყოფელი ნაწილიაო...

ოთხი ქართველი გულშემატკივარი ჟენევაში

– ჟენევაში ჩატარებულ ფინალში, ტრიბუნები ესპანელი გულშემატკივრებით იყო გადაჭედილი, მაგრამ დარბაზში ოთხი ქართველიც იმყოფებოდა. ესენი იყვნენ: გრიგოლ რობაქიძე, ვალაკტიონ ტაბიძის შეყვარებული მერი შერვაშიძე, ბაბო ლაღიანი და სპირიდონ კედიას ქალიშვილი დიკა კედია. ეს უკანასკნელი თარჯიმნობას გვიწვედა. გრიგოლ რობაქიძე მაშინ 82 წლის იყო და მისი საქართველოდან წასვლიდან, 31 წელი გახლდათ გასული. მას დიდი სურვილი ჰქონდა, რომ ჩვენთან მოსულიყო და მოვენახულებინეთ, მაგრამ უფიქრია – ბიჭებს ჩემ გამო პრობლემები არ შეექმნათო... სხვათა შორის, დიკა კედიამ ბატონი გრიგოლის გაცნობა შემოთავაზა, მაგრამ რობაქიძის სანახავად წასვლა ვერ გაუბედურდა, რადგან შემუშინდა, რომ საბჭოთა კავშირის ხელისუფლებას



ცრუმორწმუნე არა ვარ, მაგრამ ჟენევაში ასალი ჩასული ვიყავით, როდესაც ქუჩაში მიმავალთ, გამურული, ბუნრის მწმენდავი შეგვხვდა

ჩემთვის „ქვეყნიდან გაუსვლელის“ სტატუსი არ მოეწონებინა. არადა, ბატონი გრიგოლი იმ ფინალიდან ოთხი თვის შემდეგ გარდაიცვალა. იგი მარტო ცხოვრობდა და სამი დღის გარდაცვლილი იყო, როდესაც თავის საცხოვრებელ ბინაში იპოვეს... ამ ფინალის მერე, ჩვენი თამაშით აღტაცებულმა გრიგოლ რობაქიძემ საკუთარ დას ორი ბარათი მისწერა. ერთ-ერთ მათგანში ის ოუწყებოდა: როგორც ქართველი, მხრებში გავიშალო. მასზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა ოთარ ქორქიამ, რომელზეც წერდა: „ყოველ მათგანს ისე ექცეოდა, როგორც ნამდვილი ძმა, უფროსი ძმა“.

პოლიტიკას შენირული ჩემპიონობა

– 1959 წელს, ჩილეში დაგვემლო მსოფლიო ჩემპიონატზე არ გვიშვებდნენ, რადგან იმ პერიოდში, საბჭოთა კავშირის დაძაბული ურთიერთობა ჰქონდა ტაივანთან, რომელიც ასევე მონაწილეობდა ამ ჩემპიონატში. მაშინ ნაკრებში გურამ აბაშიძესთან ერთად ვიყავი მიწვეული და როდესაც გამოცხადდა, რომ ჩილეში აღარ მივდიოდით, შეკრების დასრულებისას მე და აბაშიძე მოსკოვში დროს სატარებლად დავრჩით. ამასობაში, ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა ალექსანდრ გომელსკიმ იეშმაკა და დაარწმუნა პარტიული ჩინოვნიკები, რომ ჩემპიონატზე ტაივანთან შეხვედრა არ მოგვიწვედა... როდესაც ჩილეში წასვლა საბოლოოდ გადაწყდა, მე და გურამი მესამე დღეს სასტუმრო „ბუდაპეშტი“ მოგვკვებნეს, საიდანაც პირდაპირ აეროპორტში წავიყვანეს. ჩემპიონატზე მოვლენები ისე განვითარდა, რომ ტაივანელებმა არგენტინელებს ერთი ქულით მოუგეს და ფინალურ ჯგუფში გავიდნენ. ჩვენც, საბჭოთა ნაკრების ისტორიაში პირველად, ამერიკელები დავამარცხეთ და ტაივანთან შეხვედრა გარდაუვალი გახდა. კალათბურთის საერთაშორისო ფედერაციის მაშინდელმა პრეზიდენტმა ჯონსმა ეს მატჩი ტურნირის ბოლო დღისთვის დაინიშნა და თან ისეთი სიტუაცია შეიქმნა, რომ მოწინააღმდეგესთან 100 ქულით დამარცხების შემთხვევაშიც კი მსოფლიო ჩემპიონები ვხდებოდით. თუმცა, როგორც ზემოთ აღვნიშნე, მოსკოვიდან იმ პირობით გამოგვიშვეს, რომ ტაივანს არავითარ შემთხვევაში არ ვეთამაშებოდით. მართალია, გომელსკიმ ჩილეში საბჭოთა კავშირის საელჩოს არაერთხელ მიმართა თხოვნით, ჩვენთვის თამაშის ნება მოეცათ, მაგრამ მოსკოვმა არც ერთ ტელეგრამას არ უპასუხა. თუ მწვრთნელი, ზეწოლის მიუხედავად, ტაივანთან სათამაშოდ გავიყვანდა, მას დაპატიმრება არ ასცდებოდა. საბოლოო ჯამში, გარანტირებული მსოფლიო ჩემპიონობა დავკარგეთ, მაგრამ მოსკოვში დაბრუნებულეხს ზარ-ზეიმით დაგვხვდნენ. გარკვეული დროის შემდეგ, საბჭოთა კავშირში დამზადებული მედლები გადმოგვცეს, რომლებიც თითქოსდა დასტურებდა, რომ ნამდვილი ჩემპიონები ჩვენ ვიყავით...

ამერიკელთა კონტრაქტი

– საბჭოთა კავშირის ნაკრებს ამერიკის შეერთებულ შტატებში პირველი ტურნი 1959 წელს ჰქონდა. მაშინ ყველა თამაში მაღალ დონეზე ჩავატარეთ. კლივლენდში გამართულ მატჩში გუნდს 9 ქულა მოუტანა. აღნიშნული მატჩის შემდეგ, „ნიუ-იორკ ნიქსის“ სელექციონერები გომელსკის ჩემზე ესაუბრნენ და გამზადებული სამწლიანი კონტრაქტზე მომიტანეს. თან დასძინეს, რომ საკონტრაქტო თანხა, რამდენიც მსურდა, იმდენი ჩამეწერა. გომელსკიმ მათ განუცხადა, რომ თანხმა იყო, გავეშვი, ოღონდ, ჯერ მოსკოვში, სპორტკომიტეტის თავმჯდომარეს უნდა შეთანხმებოდით და ამის შემდეგ დაებრუნდებოდით ამერიკაში... (ცხადია, იმ პერიოდში ასეთი რამ უტოპია გახლდათ. ოკეანის გაღმა ყოფნისას, ნაკრებს ამერიკელთა მხრიდან ფედერალური საგამოძიებო ბიუროს თანამშრომელი ჰყავდა მიმგებელი, რომელსაც ფომას ვეხსდით, ხოლო პარალელურად, საბჭოთა უშიშროების წარმომადგენელი ვასილ ვისილიჩიკ დავგვევებოდა... შტატებში გამგზავრებამდე, მოსკოვში რუსულ-ინგლისური ლექსიკონი ვიყიდე, რომელიც ფომას მოეწონა და ჩვენი გუნდის წევრ ბოჩკარიოვის პირით შემომითვალა, რომ მისთვის ეს წიგნი მიმეყიდა. ბუნებრივია, ლექსიკონის გაყიდვა არც მიფიქრია და იგი ფომას ვაჩუქე, რის შემდეგაც, ამერიკელი დამძველბრდა. მან ისიც მითხრა, რომ „ნიუ-იორკ ნიქსის“ შემოთავაზების შესახებ ყველაფერი კარგად იცოდა და თან დაამატა: კარგად დაფიქრდი, რადგან, სპორტსმენს ასეთი შანსი ცხოვრებაში ერთხელ ეძლევა. გარდა ამისა, ფომას შემპირდა, რომ ამერიკაში დარჩენის შემთხვევაში, ისე დამხალავდა, არათუ რუსები, არამედ ადგილობრივი სპეცსამსახურებიც ვერ მიპოვიდნენ. მაგრამ ამ ნაბიჯის გადაღმამზე არც მიფიქრია, რადგან ვიცოდი – თუ ამას გადავტოვებდი, ოჯახის წევრებს დამიპატიმრებდნენ. მაშინ გულში ისიც კი გავიფიქრე: ფომას რუსების მოგზავნილი ხომ არ არის-მეთქი?..

ასლირიანი მონეტების „წვიმა“

– 1960 წელს, რომის ოლიმპიადაზე უკანასკნელი შეხვედრა იტალიის ნაკრებთან გვექონდა. იმ მატჩის მოგების შემთხვევაში, ოლიმპიურ თამაშებში მეორე ადგილს დავიკავებდით, ხოლო მასპინძლები – მეოთხეს; თუ დავმარცხდებოდით, ადგილები საპირისპიროდ განაწილდებოდა. მანამდე ყველა თამაში დარბაზ „პალატულოში“ ჩავატარეთ, სადაც 5000 მაყურებელი ეტეოდა, ხოლო იტალიელებთან მატჩი „პალატოში“ დანიშნეს, რომელიც 10000 გულშემამტკივარს იტევდა. მასპინძელთა რიგებში გამოდიოდა ძლიერი თავდამსხმელი – ალეზინი, რომელსაც მე ვმეურვეობდი და მოქმედების არეალი საკმაოდ შეეუზღუდე. 10 ქულით დავწინაურდით და იტალიელები პრესინგზე გადავიდ-

ნენ. მასპინძელთა ერთ-ერთი კალათბურთელი ჩემთან ძალიან ახლოს მოვიდა, თან სახეში მიფურებდა, თან ბურთის წართმევას ცდილობდა, როდესაც მან ასეთი რამ ერთი-ორჯერ კიდევ გააკეთა, ბურთი თანაგუნდელს გადავცეცი, ხოლო როცა ისევ გაიმეორა, განვებ ჩავარტყი დეაფეი სახეში. იტალიელს სისხლი წასკდა და მოედანზე დაეცა. ამის შემხედვარე ადგილობრივმა გულშემამტკივრებმა ასლირიანი მონეტები დავვიმინეს და მოედანი სურდა ფულთი მოიფინა. ვლადიმერ უგრეხელიძეს, რომელიც სათადარიგოთა სკამზე იჯდა, დავეუბნე: პტიცა, მოაგროვე ეგ ფული, დავგჭირდება-მეთქი. უგრეხელიძემ სათამაშო კოსტოუმში გაისადა და მოედანს ცოცხვით მოუსვა... სხვათა შორის, საკმაო თანხა შეგროვდა და მეორედ დღეს, საკრავი ფირფიტების ორი შეკვრა ვიყიდე. გუნდის მთავარმა მწვრთნელმა ჩემი საქციელი რომ დაინახა, ვითომ დამსაჯა და შემეცვალა. ალეზინის თავისუფლად თამაშის საშუალება მიეცა და ქულას ქულაზე აგროვებდა. იტალიელებმა ჯერ გაათანაბრეს ანგარიში, შემდეგ დაწინაურებაც შეძლეს. ამ დროს, სათადარიგოთა სკამზე მჯდომი რიგელი კალათბურთელები: ვალდმანისი, მუქნიეჟისი და კრუმინი ერთმანეთთან ლატვიურ ენაზე ლაპარაკობდნენ. ვალდმანისი, რომელიც გუნდის კაპიტანი იყო, ფეხზე წამოდგა და მწვრთნელ სპანდარიანს უთხრა: თუ თამაშის წაგება არ გინდა, მოედანზე მინამწვლი შეუშვით. გუნდის თავკაცი მინც ყოყმანობდა, მაგრამ როდესაც მუქნიეჟისმა და კრუმინიმ იგივე გაუშვირეს, თამაშში ისევ ჩამოვი. მართლაც, ის მატჩი მოვიგეთ და ვერცხლის მედლები დავისაკუთრეთ.

კონსტანტინე გამსახურდიას ეტილოსოცია

– კონსტანტინე გამსახურდიასთან ძალიან კარგი ურთიერთობა მაკავშირებდა. მას საღილი ყოველთვის საღამოს ექვს საათზე ჰქონდა დანიშნული და თუ ვინმე ამ დროს გადააცილებდა, არავის დაუცდიდა, თვით ზვიადსაც კი, რომელიც უზომოდ უყვარდა. ერთადერთი ადამიანი მე ვიყავი, რომელსაც, გარკვეულ მიზეზთა გამო, საღილზე ნახევარი საათიც დამგვიანებია, მაგრამ იგი დამლოდებია. ეს ფაქტი, ჩემ მიმართ გამოსატყუალ დიდ დათმობად მიმანჩნდა. გამსახურდია ფეხბურთის საყურებლად სტადიონზე არ დადიოდა. ამას იმით ხსნიდა, რომ ვერ დაესწრებოდა ასპარეზობას, სადაც II ქართველი II რუსთან დამარცხდებოდა. მას სისხლში ჰქონდა გამჯდარი აზრი, რომ ქართველები ყველაზე ძლიერები იყვნენ და მოედანზე თავისიანის უსუსურობას თუ დაინახავდა, გული სხვაზე მეთად დასწყდებოდა. მართალია, სიძე კალათბურთელი ჰყავდა, მაგრამ არც

სპორტის აღნიშნული სახეობის ყურების სურველი გამოითქვამს და მეც არ დამიძალბებია „დინამოს“ თამაშებზე სიარული. სპორტის სიყვარულით არც ზვიად გამსახურდია გამოირჩეოდა. მას უფრო ნადირობა იტაცებდა და სანადიროდ აზერბაიჯანში დადიოდა, სადაც ეგერებს იცნობდა. სპორტით ჩემი მეუღლე თამრიკო უფრო იყო გატაცებული, რომელიც ახალგაზრდობაში ჩოგბურთის თამაშობდა. კონსტანტინე გამსახურდია ევროპაში დიდხანს ნაცხოვრები კაცი გახლდათ და წესრიგი უყვარდა. მაგალითად, მის ჭიშკარზე აბრა ეკიდა, სადაც ეწერა, რომ ეზოში უკითხავად არავინ შესულიყო. იგი აქაურ ცხოვრებასთან მინცდამინც ადაპტირებული არ გახლდათ. შეეძლო, დალაქისთვის, ორი მანეთის ნაცვლად, ათი მიეცა, მაგრამ ტაქსის მძღოლს ზედმეტს არასოდეს გადაუხდიდა. ამ ფაქტთან დაკავშირებით ერთი ამბავი მასხენდება. თურმე ერთმა ტაქსის მძღოლმა, რომელსაც გამსახურდიამ ტაქსოფონზე აღრიცხული თანხა კაპი-კაპი ჩაუთვალა, მას უთხრა, რომ კოლხურ კოშთან ხანდახან, ახალგაზრდა ბიჭი ამოჰყავდა და იგი ფულს ყოველთვის ორმაგად უხდიდა, ზვიადს გულისხმობდა. ამასზე ბატონ კონსტანტინეს უპასუხია: იმ ახალგაზრდას მამა ცნობილი მწერალი ჰყავს, მე კი ობოლი ვარ...

კოლექციონერთა სასურველი მედალი

– ევროპის ჩემპიონატის დასრულების შემდეგ იტალიაში ამ ქვეყნის კალათბურთის ფედერაციის პრეზიდენტის, მაირანოს სახელობის ტურნირი იმართებოდა. აღნიშნულ გათამაშებაში მასპინძლებთან ერთად, ევროპის განვლილ პირველობაზე სამუელში მოხვედრილი გუნდები მონაწილეობდნენ. ტურნირი სულ სამჯერ ჩატარდა და 1958 წელს, მის საუკეთესო მოთამაშედ დამასახელეს. აღსანიშნავია, რომ მედალი, რომლითაც ასეთი მიღწევითვის დამაჯილდოეს, სულ სამა გამოშვებული და კოლექციონერებშიც საკმაოდ ფასობს. ჩემ გარდა, ასეთი ჯილდო ლატვიელ კრუმინიშა და მოსკოველ ტორბანს აქვთ მოპოვებული. საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის ყოფილ თავმჯდომარეს, ზუან ანტონიო სამარანს თბილისში სტუმრობისას, ვეტერანი იტალიელი კალათბურთელი ახლდა, რომელსაც კომიტეტში გარკვეული თანამდებობა ეკავა. იგი ნანა ალექსანდრიას მიერ ჩატარებულ სემინარზე გავიცანი. როგორც შემდგომ გაირკვა, ეს იტალიელი აწ გარდაცვლილი მაირანოს მეგობარი აღმოჩნდა, რომლის სახელობის ტურნირზე საუკეთესოდ მდიარეს. მას როდესაც ჩემი მედალი ვაჩვენე, ძალზე გაუკვირდა.

Mazda-ს ჰიბრიდული მოდელი



იაპონური კომპანია ახალი მოდელის ბაზარზე გამოსატანად ემზადება. ეს გახლავთ Mazda 5, რომელიც Premacy-ს შეცვლის. ის Mazda 3-ის ბაზაზე აწყობილი, მაგრამ წინამორბედზე უფრო ვრცელი სალონით გამოირჩევა. მისი სიგრძე 4,51 მ-ია და 7 მეზაერისთვისაა გათვალისწინებული. Mazda 5 ფაქტობრივად, უნივერსალისა და კომპაქტური ვენის თავისებურ ჰიბრიდს წარმოადგენს. მომხმარებლებს ორნაირი – 1,8 და 2 ლ მოცულობის ბენზინის ძრავით აღჭურვილ ვერსიებს შესთავაზებენ. შემოდგომაზე კიდევ ორი – 110 და 143 ცხ.ბ. სიმძლავრის დიზელის ძრავებს გამოუშვებენ. ბენზინისძრავიანი მოდიფიკაციების მაქსიმალური სიჩქარე, შესაბამისად, 180 და 200 კმ/სთ-ია; საწვავის ხარჯი – 8 ლ 100 კმ გარბენზე. დიზელისძრავიანი ახალი „მაზდა“ ნაკლებს დახარჯავს – 6,3 ლ-ს ყოველ 100 კმ-ზე. ევროპაში ამ მანქანის ფასი 19.600 ევრო იქნება.

Citroen, რომელმაც დროს გაუსწრო

Citroen DS 19, რომელიც პირველად, ნახევარი საუკუნის წინ გამოჩნდა ბაზარზე, იმთავითვე რევოლუციურ ავტომანქანად აღიარეს. მისი ხალვათი სალონი გასული საუკუნის 50-იან წლებში გამოშვებული ნებისმიერი მანქანის სალონზე მიმზიდველი გახლდათ, ხოლო ჰიდროპნევმატური საკიდარი ამ მანქანის მოძრაობას იმ დროისთვის ფენომენალურ სიზბილეს ანიჭებდა. პირველი Citroen DS 19 პარიზის საერთაშორისო ავტოსალონის ოფიციალურ გახსნაზე შეკრებილი საზოგადოების სამსჯავროზე 1955 წლის 6 ოქტომბერს წარდგა. იმ საღამოსვე, კომპანიის მენეჯერებმა პოტენციური მომხმარებლებისგან 12 ათასი შეკვეთა მიიღეს, 10 დღის შემდეგ კი, როცა სალონი იხურებოდა, შეკვეთების რაოდენობამ 80 ათასს გადააჭარბა. ასე დაიწყო აღნიშნული ავტომობილის ტრიუმფული სვლა მსოფლიოს გზებზე. Citroen DS 19 არა მარტო საფრანგეთში, არამედ ბევრ სხვა ქვეყანაშიც ნამდვილ ბესტსელერად იქცა. ამ მანქანის შექმნის იდეა „სიტროენის“ მაშინდელ გენერალურ დირექტორს, პიერ ბულანჟეს ეკუთვნოდა, რომელმაც თავის ინჟინრებს დაავალა, შეექმნათ დიდი, კომფორტული ავტომობილი. მთავარ დიზაინერად იტალიის მკვიდრი, განათლებით მოქანდაკე, ფლამინიო ბერტონი დაინიშნა. ბერტონიმ არასტანდარტულ გადაწყვეტილებებს მიაგნო, მათ შორის გახლდათ: ნახევრად გამჭვირვალე, პლასტიკატისგან დამზადებული სახურავი, ხელსაწყოთა ფუტურისტული პანელი, საჭე, რომელსაც მხოლოდ ერთი მანა ჰქონდა. ჰიდროპნევმატური საკიდარი ინჟინერმა პოლ მანჟემ შეიმუშავა. უნდა აღინიშნოს, რომ პირველ ხანებში, მომხმარებლები გარკვეულ ტექნიკურ პრობლემებს შეეგუებოდნენ: „სიტროენის“ სერვის-ცენტრების მექანიკოსები არ იყვნენ მომზადებულნი ჰიდროპნევმატური საკიდრის შეკეთება-პროფილაქტიკისთვის, თანაც ეს აგრეგატი საკმაოდ „ჭირვეული“ აღმოჩნდა, განსაკუთრებით – ზაფხულში, სიცხიან ამინდში. მიუხედავად ამისა, 1975 წლის აპრილამდე, როცა ამ მოდელის წარმოება შეწყდა, გაყიდული მანქანების საუცხოო მაჩვენებელი – მილიონ 456 ათას 115 დაფიქსირდა.



გერმანული ხარისხის ნიშანი

ელსონობმა მსხვილი თუ წვრილი შეკეთების მიზნით დაფიქსირებული სულ 2,4 მლნ გამოძახება აღნუსხეს. ჩატარებული გამოკვლევის თანახმად, ექსპერტებმა გამოიტანეს დასკვნა, რომ საიმედოობის თვალსაზრისით, გერმანული მანქანები შეიდიდნენ ხუთ კატეგორიაში ლიდერობენ და ამ მაჩვენებლის მიხედვით, წინა წლების ლიდერი – იაპონია დაჯანა. საუკეთესო შედეგებით „აუდი“ გამოირჩევა: მომცრო კლასის მანქანებს შორის საუკეთესო, მოდელი A2 აღმოჩნდა; პრიმიუმ-კლასში – A6, სპორტული მანქანების კატეგორიაში – A4 Cabrio. კომპაქტური ავტომობილების ლიდერად სპეციალისტებმა A კლასის „მერსედესი“

დაასახლეს; სპორტული ჯიპების კატეგორიაში – M კლასის „მერსედესი“. იაპონელ ავტომწარმოებლებს ერთდერთი გამარჯვება, მცირე ბიზნესკლასში პირველ ადგილზე გასულმა „მაზდამ“ მოუტანა. ვენების კატეგორიაში კი საუკეთესოდ, ფრანგული მანქანა – Citroen Xsara Picasso დაასახლეს. კარგი შედეგები აქვს აგრეთვე „ბენცს“ მარკის მანქანებს: მცირე კლასში მეორე ადგილი Mini-ს ერგო, სპორტული მანქანების კატეგორიაში კი – მე-3 სერიის კაბრიოლეტს. ლიდერებს შორის აღმოჩნდნენ: Ford Focus (კომპაქტური კლასი) და Opel Corsa (მცირე კლასი). რაც შეეხება აღნიშნული რეიტინგის აუტსაიდერებს – მათ შორის არიან: Fiat Punto (მცირე კლასი), Fiat Bravo/Brava (კომპაქტური კლასი) და Alfa Romeo 156.

გერმანიის საავტომობილო კლუბის (ADAC) ექსპერტთა დასკვნით, ამ ქვეყანაში წარმოებული მანქანები უფრო ხარისხიანი და საიმედო გახდა. 2004 წლის განმავლობაში, ADAC-ის სარემონტო სახ-



ჯესი ჰოლმსი

ცომ ჩოუხის ახალი სიყვარული

ჰოლივუდის ვარსკვლავები ულ-
მობელი სიბერისაკენ მიაბიჯებენ.
საბედისწერო ქალბატონებს (შე-
რონ სტოუნი, კიმ ბესინჯერი,
მიშელ პფაიფერი) უკვე 40 წელი
შეუსრულდათ, ჰოლივუდის „მა-
რადმა პატარაძალმა“ ჯულია რობ-
ერტსმაც კი 30-ს გადააბიჯა.
მოდაში კი კვლავ ახალგაზრდა,
ნორჩი სახეა, რომლის შექმნა
გენიალური გრიმიორის ჯადოს-
ნურ ხელსაც კი არ ძალუძს, თუ
ქალმა ბალზაკის ასაკს მიაღწია.
ჰოლივუდში ყოველწლიურად ჩნ-
დებიან პანია „ვარსკვლავები“,
რომელთაც იმედი აქვთ, რომ
დედების, ბებიებისა და მარტოხ-
ელა მოხუცების როლებზე გადა-
სულ კინოვარსკვლავებს შეცვლიან.
კეტი ჰოლმსი ერთ-ერთი მათგა-
ნია. იგი ორგანულად ჩაენერა
ახალგაზრდული კინოს ბუმში,
რომელმაც ჰოლივუდი წალეკა.

დღეს კეტი ჰოლმსი ახალ სიმაღ-
ლეებს იპყრობს, ის ტიპური ნორჩი „ვარ-
სკვლავია“. სასიამოვნო გარეგნობის, შავთ-
მიანი გოგონა მკვეთრად გამოხატული
სექსუალურობით არ გამოირჩევა. მოზარდ-
თათვის განკუთვნილი ამერიკული სე-
რიალები („ბევერლი-ჰილზი 90210“,
„მელროუზ პლეისი“ და სხვა) საკვია
ასეთი გოგონებით. ახალგაზრდა მსახ-
იობი სერიალის წყალობით ნამდვილი
ვარსკვლავი რომც გახდეს, მას დიდ
ეკრანზე გადასვლის გარანტიას მაინც
ვერაინ მისცემს. ამის თვალსაჩინო მა-
გალითად „ბევერლი-ჰილზის“ მსახიობები
გამოდგებიან; სერიალის აყვავების ხანა-
ში, ისინი ამერიკელთა კერპებად იქცნენ,
მათ კინემატოგრაფიულ მომავალში ეჭვი
არავის ეპარებოდა, მაგრამ ისინი მეორ-
ეხარისხოვან ფილმებსა და როლებს ვერ
გასცდნენ.

ახალგაზრდებს წარმატების მიღწევაში
ეხმარებოდა. 1995 წელს კეტი ჰოლმს-
მა ნიუ-იორკში კასტინგზე მიწვევა მი-
იღო, საიდანაც მენეჯერმა ლოს-ანჯე-
ლესში, რომელიც სატელევიზიო შოუში
გაგზავნა. რამდენიმე თვეში კეტიმ „ოს-
კაროსან“ ფილმში – „ყინულოვანი ქარ-
ბუქი“ ეპიზოდური როლი ითამაშა და
სუპერპოპულარულ სერიალში – „ბაფი
– ვამპირთა გამანადგურებელი“ მიწვე-
ვაც მიიღო. კეტიმ კეთილგონიერება გამ-
ოიჩინა და იმისათვის, რომ სკოლა

კეტრინ როელ ჰოლმსი 1978 წლის
18 ნოემბერს დაიბადა ოჰაიოს შტატის
ქალაქ ტოლედოში. კეტი დღისით კათო-
ლიკურ სკოლაში სწავლობდა, საღამო-
ბით კი ჰოლივუდის ცხოვრების ამსახ-
ველ გადაცემებს უყურებდა და ეს ყვე-
ლაფერი, ძალზე შორეული და მიუწე-
დომელი ჩვენებოდა. გოგონა სერიოზუ-
ლად ფიქრობდა, რომ სამსახიობო კარი-
ერა და ამერიკის შუა დასავლეთი ერთ-
მანეთთან ორი, სრულიად შეუფერებელი
რამ იყო, მაგრამ სამსახიობო სკოლაში
მაინც შევიდა. სხვა დამწყები მსახიობე-
ბის მსგავსად კეტიც ცდილობდა, Inter-
national Modeling and Talent Associ-
ation (IMTA)-ის ყურადღება მიექცია,
რომელიც შოუბიზნესისათვის გამოსადევ

დაემთავრებინა, რამდენიმე პროექტზე უარი
განაცხადა. ატესტატის მიღების შემდეგ,
1997 წელს ახალგაზრდა მსახიობი სე-
რიალში „დოუსონის უბე“ მიიწვიეს.
პროდიუსერმა გოგონას დანახვისთანავე
გადაწყვიტა, რომ ჯოუი პოტერის სახე
სწორედ მას უნდა განესახიერებინა და
არც შემცდარა. სერიალმა ამერიკელი
ახალგაზრდობის უდიდესი სიყვარული
მოიპოვა, რადგან ეს პროექტი სხვა სე-
რიალებსგან უჩვეულო სიწმინდითა და
სულიერებით გამოირჩევა.

უიმედო სიყვარულისა და უსაფრთხო
სექსის პრობლემები „დოუსონის უბის“
გმირებსაც აღეუვებთ, მაგრამ ამ სერი-
ალში ეს საჭირობოტო საკითხები გაც-
ილებით ადამიანურად და დე-





ლიკატურადაა გადმოცემული. კეტის გმირი – ჯოუი პოტერი გარემო სამყაროსაგან თავის დაცვას მახვილგონიერებითა და ცინიზმით ცდილობს. სერიალის მსვლელობის მანძილზე ის იზრდება და პიროვნებად ყალიბდება. თუ პირველ სერიებში კეტის გმირის ხასიათში ბავშვური შტრიხები ჭარბობს, მომდევნო სერიებში ის მომხიბვლელ, ზემოთაგონებულ ქალიშვილად ყალიბდება. „მეც ჯოუის მსგავსი გოგონა ვიყავი, მეც მეგონა, რომ ყველაფერი ვიცოდი, მეც უამრავი შეცდომა დავუშვი, მაგრამ საბედნიეროდ, ჯოუის მსგავსად ოჯახური ტრავმების გადატანა არ მომიხდა... ჩემმა გმირმა ბევრი ტკივილი გადაიტანა. ჯერ დედა დაკარგა, შემდეგ მამაც ციხეში აღმოჩნდა. სწორედ ამიტომ, დოუსონთან ურთიერთობა იყო ის ერთადერთი რამ, რასაც მის ცხოვრებაში სტაბილურობა შეჰქონდა“. სერიალმა კეტი ჰოლმსის მომავალი განსაზღვრა. მისი გმირი იმდენად პოპულარული გახდა, რომ მყურებელმა ახალგაზრდა მსახიობი მის პერსონაჟთან გააიგივა. ინტერნეტში კეტი ჰოლმსის საიტების გვერდით ჯოუი პოტერის საიტიც გაჩნდა, სადაც მას სიყვარულს ეფიცებოდნენ. კეტი კი იმის მტკიცებამ დალაღა, რომ ის ჯოუი პოტერი არ არის!

სერიალის პარალელურად კეტიმ რამდენიმე, საკმაოდ პოპულარულ ფილმშიც ითამაშა. მათ შორისაა: „ახირებულნი“ – მაიკლ დუგლასთან და რობერტ დაუნნი-უმცროსთან ერთად და რეჟისორ კევინ უილიამსონის სადებიუტო სურათი „მისის ტინგლის სწავლებისას“, სადაც მსახიობმა კარგი გოგონა განასახიერა, რომელიც ატესტატის გამო ბოროტ მასწავლებელს მძევლად აიყვანს. ეს სურათი პირველი აღმოჩნდა იმ ტრილერებს შორის, რომლებშიც შემდგომ კეტი ჰოლმსმა ითამაშა. „მისის ტინგლის“, სურათი –

„შეუფერებელი საქციელი“ მოჰყვა. ამ ფილმში ნათამაშები როლისათვის MTV-მ კეტი ჰოლმსი 1999 წლის აღმოჩენად დაასახელა.


მომდევნო სურათში, ნარკოტიკების თემაზე შექმნილ შავ კომედიაში Go Ketი ჰოლმსმა იმ დადებითი სახის შეცვლა სცადა, რომელიც მას ჯოუი პოტერმა დაუმკვიდრა. მსახიობს უკვე აღარ სურდა მუდმივად არასექსუალური „კარგი გოგონები“ ეთამაშა, რადგან თუ ჰოლივუდის ვარსკვლავი ერთხელ მაინც არ მოხვდა სექსსიმბოლოთა სიაში, ეს იმას ნიშნავს, რომ იგი მაყურებელს ნაკლებად უყვარს. თავისი „მოულოდნელი“ და „ურთიერთსაწინააღმდეგო“ გმირების წყალობით, კეტი ჰოლმსი ყველაზე სექსუალურ ვარსკვლავთა ათეულში მოხვდა და ამ სიაში თავად ბრიტნი სპირსიც კი უკან მოიტოვა.

2002 წელს კეტი ჰოლმსმა კოლინ ფარელთან ერთად ითამაშა სურათში – „სატელეფონო ჯიხური“. 2003 წელს მაყურებელმა მისი მონაწილეობით იხილა სურათები „მომდევნო დეტექტივი“ და Pieces of April 2004 წელს ეკრანებზე გამოვიდა ფილმი „პირველი ქალიშვილი“, სადაც კეტიმ ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტის ქალიშვილი განასახიერა.

ცხოვრებაში კეტი თავის გმირს, ჯოუის ნაკლებად წააგავს, მაგრამ უნდა ითქვას, რომ მისი წარსული ბოობქარი ვნებებითა და მიტოვებულ თავყვანისმცემელთა განსაკუთრებული რაოდენობით არ გამოირჩევა. მიუხედავად ამისა, ჟურნალისტებმა მაინც შეიტყვეს, რომ კეტის „დოუსონის უბის“ გადაღებების დროს, ერთ-ერთი მთავარი როლის შემსრულებელთან, ჯოშუა ჯექსონთან ჰქონია რომანი. ეს ინფორმაცია პრესისათვის შესანიშნავი საჩუქარი აღმოჩნდა. კეტი კითხვებით აავსეს, მაგრამ ის მსახიობ ჯო-

შუასთან ურთიერთობის პიკანტურ დეტალებს არ ახმაურებს და მოკლედ პასუხობს: ეს კარგი დრო იყო. 5 წლის მანძილზე კეტი ჰოლმსი მსახიობ კრის კლეინსაც („ამერიკული ღვეზელი“) ხვდებოდა, სულ ცოტა ხნის წინ კი, სუპერვარსკვლავმა ტომ კრუზმა სენსაციური განცხადება გააკეთა იმის შესახებ, რომ ის და კეტი დანიშნულები არიან. მათი რომანის შესახებ პირველი ჭორები პრესაში აპრილის თვეში გამოჩნდა. მისში კი კრუზმა განაცხადა, რომ მზადაა კეტი ჰოლმსზე დაქორწინდეს.

ამ ცოტა ხნის წინ, პარიზში ფილმ „სამყართა ომების“ პრემიერაზე ჩასულმა კრუზმა პრესკონფერენცია მოიწვია და ჟურნალისტებს განუცხადა, რომ ის და კეტი დაინიშნენ. ეს რომანტიკული მოვლენა ეიფელის კოშკის წვერზე მოხდა. პრესკონფერენციაზე კეტი ტომს წუთითაც არ მოშორებია. ბელნიერი სპატარძლოს ხელს ბრილიანტებით მოოჭვილი მასიური ბეჭედი აშვენებდა.



მეტილინ მენსონი „ღამის შემთვლამი“ ითამაშემს

მერილინ მენსონი 21 ივნისიდან 20 ივლისამდე სანქტ-პეტერბურგში კონცერტებს გამართავს. ცნობილი როკერი ამ მოგზაურობას იმისათვისაც გამოიყენებს, რომ რუსეთში ყველაზე განმაურებულ კინოპროექტში მიიღოს მონაწილეობა. ლაპარაკია, სერგეი ლუკიანენკოს ტრილოგიის ეკრანიზაციაზე, რომელშიც რომანები „ღამის შემთვლა“, „ღლის შემთვლა“ და „შემთვლა შებინდებისას“ შედის. რეჟისორ თემურ ბეკმაბეტოვს ერთ-ერთ „შემთვლაში“ ამერიკელი მუსიკოსის მიწვევა კარგა ხანია სურს. „მუსიკოსის ჩვენი ქვეყანაში ჩამოსვლით შესანიშნავი შანსი მოგვეცა, რათა ჩვენი იდეა რეალობად გვექცია. მერილინ მენსონის ნებისმიერ პირობას მივიღებთ. კონტრაქტის პირობებსა და დეტალებს რეჟისორ ბეკმაბეტოვთან ერთად განვიხილავთ“, – ნათქვამია წერილში, რომელიც მენსონის მენეჯერმა მიიღო. საკითხი იმის შესახებ, მუსიკოსი ეკრანზე მხოლოდ quest star-ის რანგში გაივლევებს, თუ „სრულფასოვან“ როლს განასახიერებს, ჯერჯერობით გადაწყვეტილი არ არის, ყველაფერი თავად მენსონზეა დამოკიდებული.



დენიელ ბრეჯლითი – ცხატყმა პატყრის შემდგომ

„ჰარი პოტერის“ უკანასკნელ ფილმზე მუშაობის დასრულების შემდგომ, დენიელ რედკლიფის ცხოვრებასა და კარიერაში გარდამტეხი მომენტი დადგება. ახალი პროექტი გამოავლენს, შეძლებს თუ არა ახალგაზრდა მსახიობი პატარა ჯადოქრის როლიდან გამოსვლას და ახალი გმირის სახის შექმნას. ერთი რამ კი ცხადია: ამ დროისათვის მსახიობს უკვე იმდენი ფული ექნება, რომ შეეძლება, ღრმა სიბერემდე რანჩოზე უზრუნველად იცხოვროს. მეორე მხრივ – როგორ როლსაც არ უნდა შეეჭიდოს, მისი სახე მაინც სათვალესთან შარფსა და ჯადოსნურ ჯოხთან კიდევ დიდხანს გაიგივდება. საპირისპიროს დამტკიცების შანსი დენიელს მალე მიეცემა, რადგან მან უკვე მოაწერა ხელი კონტრაქტს, რომლის მიხედვითაც, რედკლიფი ღრამში December Boys მთავარ როლს ითამაშებს. მისი გმირი ერთ-ერთია იმ ოთხ ობოლ ბიჭთან, რომლებიც ახალი ოჯახის პოვნას ცდილობენ. ფილმის გადაღებები ავსტრალიაში, ნოემბრიდან დაიწყება.



მინტ ახალ „ილანდიუტ“ სუტათგე მუშათმს



U2-ის ვოკალისტი ბონო ახალი ფილმის სცენარზე მუშაობს. სურათი A Version of Las Vegas ირლანდიელი მუსიკოსის თავგადასავალზე მოგვითხრობს, რომელმაც სამშობლო დატოვა და საკუთარი ჯგუფის შესაქმნელად ლას-ვეგასს მიაშურა. მისი ირლანდიაში დარჩენილი შვილი მამის საქმენლად გასწევს და ამ მოგზაურობის დროს მრავალ სასაცილო და არცთუ მთლად სასაცილო სიტუაციაში აღმოჩნდება. ფილმი კომედიური დრამის ჟანრს მიეკუთვნება. მის შექმნაში ბონოს ძველი მეგობარი, ჯგუფ Horslips-ის ყოფილი წევრი ბარი დევილინი დაეხმარება, რომელიც U2-თან ერთად სატელევიზიო ფილმის – The Making of the Movie Rattle and Hum (1998) გადაღებაში მონაწილეობდა. კინობიზნესში არც ბონოა ახალბედა. ის ფილმის – Million Dollar Hotel სცენარის ავტორია, სადაც მთავარ როლს მილა იოვოვიჩი ასრულებდა და რომლის პროდიუსერი მელ გიბსონი იყო.

ლინდსეი ლოხანი იმინემს მთელის

როგორც აღმოჩნდა, ლინდსეი ლოხანი შაკკანიან ვარსკვლავებს შორის განსაკუთრებული პოპულარობით სარგებლობს. დეიმონ დეში, პი დიდი და 50 Cent მისი თავყანისმცემლები ყოფილან, თავად ლინდსეი კი ემინემზე ოცნებობს! გოგონამ განაცხადა, რომ 50 Cent-მა ახლახან მის აგენტს დაურეკა და ფილმ „ცუდი გოგონების“ ქებას მოჰყვა, შემდეგ კი ლოხანის ტელეფონის ნომერი ითხოვა. როდესაც ლინდსეიმ რეპერის სატელეფონო ზარის შესახებ შეიტყო, გაიფიქრა: „ჯანდაბა! ემინემი სადღა? მასზე ვგეჟდები!“ სხვათა შორის, დეიმონ დეშმაც აღიარა, რომ ლინდსეის გაცნობამდე წარმოდგენაც არ ჰქონდა, რომ ის ასეთი ჭკვიანი იყო, და რომ თავისი ასაკისათვის მან ძალზე ბევრ რამეს მიადწია. ასე რომ, იმედია, ერთ მშვენიერ დღეს, ემინემიც ლინდსეი ლოხანის თავყანისმცემლთა რიგს შეუერთდეს.



ფორვარდები ცხოველავს ჰგვანან



საინტერესო დასკვნამდე მივიდა გერმანელი პროფესორი მედიცინის დარგში, ოლივერ ჰენერი. მისი თეორიის თანახმად, გენიალური ფეხბურთელები რაღაცით ცხოველებს ჰგვანან. საქმე ის გახლავთ, რომ პროფესორის აზრით, საფეხბურთო მატჩების მსვლელობისას ისინი ფაქტობრივად არ ფიქრობენ და მხოლოდ ინსტინქტებით მოქმედებენ. ასეთ დასკვნამდე მეცნიერი ასობით ვიდეოჩანაწერის ხილვისა და არაერთი ცნობილი მოთამაშის გამოკითხვის შემდეგ მივიდა. „თანამედროვე ფეხბურთი ისე-

თი სწრაფი და დინამიკურია, რომ გადაწყვეტილების მისაღებად წამიც კი არ გრჩება, – ხსნის თავის ჰიპოთეზას დოქტორი ჰენერი, – ჩვეულებრივი ადამიანისთვის ასეთი რიტმი წარმოუდგენელია. სხვა საქმეა, როდესაც ფეხბურთის ვარსკლავებზე ვლაპარაკობთ. ისინი ყველაფერს ელვისებური სისწრაფით იმიტომ აკეთებენ, რომ ფიქრი არ სჭირდებათ იმაზე, თუ როგორ უნდა დაარტყან ბურთი ან გააკეთონ ზუსტი პასი“. გერმანელმა პროფესორმა ისიც დაადგინა, რომ ინსტინქტურად, ძირითადად, ფორვარდები მოქმედებენ. ამის ტიპურ მაგალითად „მანჩესტერის“ ვარსკლავი უეინ რუნი გამოდგება. „როგორც წესი, ფორვარდი ფიქრისთვის ყველაზე ნაკლებ დროს იყენებს. წინააღმდეგ შემთხვევაში, ის დიდ წარმატებას ვერასოდეს მიაღწევს. სულ სხვა მდგომარეობაში არიან ნახევარმცველები, რომლებიც გაცილებით მეტს ფიქრობენ“, – აღნიშნავს ჰენერი.

სიმენის დეილაშვილმა ბიჭი აცლუნა

არასრულწლოვანთან ინტიმური კავშირისთვის ერთწლიანი პატიმრობის შემდეგ, „არსენალის“ ყოფილი გოლკიპერის დევიდ სიმენის ნათესავი გოგონა ვადაზე ადრე გაათავისუფლეს. აღსანიშნავია, რომ მას ციხიდან გამოსვლაში თავად დაზარალებულის მშობლები დაეხმარნენ. ნიკოლა პრენტინისი სკოლაში მასწავლებლად მუშაობდა, როდესაც მასთან ფლირტი 15 წლის ბიჭმა, დინ დეინტიმ წამოიწყო. მასწავლებელსაც ბევრი აღარ უფიქრია და თავიანთი ცემელ მოსწავლეს გაკვეთილების შემდეგ საკლასო ოთახში დარჩენა შესთავაზა, რათა „უფრო კარგად გაეცნო მისთვის ბრეიკ-დანსი“. მომზადების „დამატებითმა კურსმა“ „წარმატებულად“ ჩააბარა, რის შემდეგაც მოსწავლედ და მასწავლებელი დასასვენებლად ცნობილ კურორტ იბიცაში ერთად გაემგზავრნენ. საინტერესოა, რომ 2001 წლის სექტემბრიდან 2004 წლის აპრილამდე, როდესაც პრენტინისა და დეინტის რომანი გრძელდებოდა, „მაცდუნებელ“ მასწავლებელს ურთიერთობა არ გაუწყვეტია თავის მუდმივ ბოიფრენდ, ვინმე ლი უესტთან. ეს უკანასკნელი კი, პრენტინისს სასამართლოზე თავგამოდებით იცავდა. მიუხედავად ამისა, უესტმა საყვარელი მაინც ვერ შეინარჩუნა. არასრულწლოვანი პარტნიორის მოთხოვნით, ნიკოლამ იგი მიატოვა, თუმცა შემდგომში, დეინტსაც დაშორდა. „ის თავს მარტოსულად გრძნობს. ნიკოლას ბავშვებთან მუშაობა საერთოდ

აეკრძალა და სკოლიდან დათხოვნაზე ოფიციალური ცნობის მოლოდინშია“, – აცხადებს ბრალდებულის ადვოკატი, ედი ლეინარდი. ისიც უნდა ითქვას, რომ სკანდალური პრენტინისი ბავშვებთან მუშაობას არც აპირებდა – ცოტა ხნის წინ, მან გახსნა ცეკვის სკოლა მოზრდილთათვის. ამ დაწესებულების რეკლამირებაში კი მას დახმარებას თავად დევიდ სიმენი უწევს, რომლის დედაც პრენტინისის დედის ღვიძლი დაა. ინგლისის ნაკრების ყოფილი მეკარე დეილაშვილს საკუთარი ავტოგრაფით დამშვენებულ მაისურებს უგზავნის, რომლებიც ცეკვის შემსწავლელთა შორის, ლატარით თამაშდება.



მარადონა „ბოკა ხუნიორსში“ ბრუნდება

დიეგო მარადონა „ბოკა ხუნიორსის“ ვიცე-პრეზიდენტის პოსტს დაიკავებს. არგენტინელი კლუბის პრეზიდენტი მაურისიო მაკრი იუწყება, რომ ღონ დიეგო, რომელსაც თავდაპირველად, ახალგაზრდული გუნდის მწვრთნელის პოსტი შესთავაზეს, ვიცე-პრეზიდენტის მოვალეობის შესრულებას პირველი აგვისტოდან შეუდგება. „მარადონას აზრით, ამ თანამდებობაზე მუშაობით ის პროფესიონალურ გუნდს დიდ სარგებლობას მოუტანს, – ამბობს მაკრი, – მონაწილეობას მიიღებს ახალი მთავარი მწვრთნელის არჩევაშიც“. არგენტინელი ვარსკლავის მოვალეობაში შევა: სატრანსფერო ოპერაციების ხელმძღვანელობა, საზღვარგარეთ ახალგაზრდა ფეხბურთელების მოძებნა, აგრეთვე ახალი მთავარი მწვრთნელის ყოველმხრივი მხარდაჭერა, რომელთანაც „ბოკა ხუნიორსს“ კონტრაქტი ჯერ არ გაუფორმებია. როგორც ცნობილია, 44 წლის მარადონას, რომელიც ზედმეტი წონისაგან იტანჯება, ცოტა ხნის წინ, კუჭის დასაპატარავებლად, სპეციალური ოპერაცია გაუკეთდა, რის შედეგადაც მან 33 კგ დაიკლო. 1986 წლის მუნდიალის ტრიუმფატორი ჯერ კიდევ ბავშვობაში ქომაგობდა „ბოკა ხუნიორსს“, ხოლო 1981 წელს გუნდთან ერთად არგენტინის ჩემპიონიც გახდა.



გარდაიცვალა პლაჟის ფრენბურთის ნათელია

ამერიკელ ჩარლი სეიკლის მთელ მსოფლიოში პლაჟის ფრენბურთის ნათელიად მიიჩნევენ. იგი სპორტის ამ სახეობის პირველი პოპულარიზატორი იყო. პროფესიონალი მასწავლებელი, რომელიც 40 წლის განმავლობაში მანჰეტენ-ბიჩზე სხვადასხვა გამაჯანსაღებელ პროგრამას ხელმძღვანელობდა, გასული საუკუნის 60-იან წლებში პლაჟის ფრენბურთის სამოყვარულო ტურნირის დამაარსებელი გახდა. გარდა ამისა, მას

ძალისხმევა არ დაუშურებია იმისათვის, რომ 80-იან წლებში ამ ტურნირს პროფესიონალური სტატუსი შეეძინა. საბოლოოდ, სეიკლის მცდელობამ ის შედეგი გამოიღო, რომ 1996 წელს, პლაჟის ფრენბურთი საზაფხულო ოლიმპიური თამაშების პროგრამაში შეეტანათ. სამწუხაროდ, ორიოდე დღის წინ, ჩარლი სეიკლი 69 წლის ასაკში სიმსივნისგან გარდაიცვალა.

შარაპოვა მარაბზე

მარია შარაპოვა დიდი პოპულარობით სარგებლობს არა მარტო ევროპასა და ამერიკაში, არამედ აზიის ქვეყნებშიც. ამის მაგალითად, თუნდაც ის გამოდგება, რომ მალე, იაპონიაში რუსი ჩოგბურთელისგამოსახულებიანი მარკები დაიბეჭდება. ასეთ გადაწყვეტილებაზე, ამომავალი მზის ქვეყნის საფოსტო მოხელეები მას შემდეგ მივიდნენ, რაც შარაპოვამ Japan Open-ისა და Pan Pacific Open-ის ტურნირებზე

გაიმარჯვა. აღსანიშნავია ისიც, რომ პირველი პროფესიონალური ტურნირი მარიამ სწორედ ტოკიოში, 2003 წელს მოიგო. „ფრანს პრესი“ იუწყება, რომ 10 მარკისაგან შემდგარი კრებული, რომელსაც ჩოგბურთელის პოსტერიც დაერთვის თან, 3.150 იენი (დაახლოებით 29 დოლარი) ელირება. მარკების კრებულზე შეკვეთების მიღება უკვე დაწყებულია.



ქალბით მოვაჯრე ოლიმპიელი

ვოლფგანგ შვარცი წარსულში ცნობილი ავსტრიელი მოციგურავეა, რომელიც 1988 წელს, ოლიმპიური ჩემპიონი გახდა. თუმცა, იგი მხოლოდ სპორტით როდი იყო დაინტერესებული. მოციგურავე გაცილებით მეტ ფულს ქალებით ვაჭრობით შოულობდა. ავსტრიული ყოველდღიური გაზეთი Der Standard იუწყება, რომ შვარცის სასამართლო საქმე უკვე რამდენიმე წელია, რაც გრძელდე-

ბა. 2002 წლის 6 დეკემბერს მოციგურავეს ვენის სასამართლომ წლინახევრით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა, თუმცა, შვარცმა ციხეში მხოლოდ 6 კვირა დაყო. შემდეგ, სიმსივნით დაავადებული ოლიმპიელი გაათავისუფლეს. მიუხედავად ამისა, 2005 წლის იანვარში შვარცი კვლავ წინასწარ პატიმრობაში აღმოჩნდა. იგი იმაში დაადანაშაულეს, რომ თავისუფლებით ისარგებ-

ლა და კვლავ ძველ საქმიანობას – ქალებით ვაჭრობას მიჰყო ხელი: 2004 წლის მარტში, ყოფილ მოციგურავეს ლიტვიდან ავსტრიაში პროსტიტუციისთვის 23 გოგონა ჩაუყვანია. ამჟამად შვარცს 10 წლით თავისუფლების აღკვეთა ემუქრება. სწორედ ასეთი განცხადება გააკეთა ვენის პროკურატურის თავმჯდომარემ, ერნსტ კლოიბერმა.



ტრანსსექსუალი ფეხბურთელი

ტრანსსექსუალმა მარტინა დელეინმა ავსტრალიის ფეხბურთის ფედერაციისგან ტასმანიის შტატის დედაქალაქ პობარტის ერთ-ერთ გუნდში თამაშის უფლება მიიღო. 47 წლის დელეინი ქალთა კლუბის ღირსებას დაიცავს. აღსანიშნავია, რომ ავსტრალიის ფეხბურთის ფედერაციამ ეს გადაწყვეტილება ხანგრძლივი სჯა-ბაასის შემდეგ მიიღო. ბოლოს გადაწყდა, რომ რადგან საბუთების მიხედვით დელეინი

ქალად ითვლება, მან გოგონათა გუნდში უნდა იასპარეზოს. დელეინის კარიერა უკვე 25 წელია, რაც გრძელდება. ადრე მარტინა ტასმანიის მამაკაცთა ლიგაში გამოდიოდა, თუმცა მან პოპულარობა არა თამაშით, არამედ გარეგნობის წყალობით მოიპოვა. სქესის შეცვლის ოპერაცია კი, დელეინმა 2 წლის წინ გაიკეთა და საფეხბურთო მოედანზე უკვე ქალად დაბრუნდა.

პირველ პაემანზე სასაუბროდ ამჯერად, ყველასთვის კარგად ცნობილ პოეტ ქალბატონს, იზა ორჟონიძის ვესტუმრე. ქალბატონი იზა ჟურნალისტებთან პირადი ცხოვრების შესახებ არასდროს საუბრობს. სიყმაწვილის დროინდელი ლექსებიც (რომლებშიც მისი გრძნობები გამხელილი) მას დღემდე არ გამოუქვეყნებია...

ბიჭთან პაემანზე მარტო, პირველად 21 წლის ასაკში ნაკვდი...

მერი კობიაშვილი

— ქალბატონო იზა, საბავშვო ბაღის დროინდელ თაყვანისმცემლებს როგორ იხსენებთ ხოლმე?

— სიმართლე გითხრათ, საბავშვო ბაღში თაყვანისმცემლები არ მყოლია. ყოველ შემთხვევაში, მე არც ერთი მათგანი არ მახსოვს. ძალიან გულჩათხრობილი ბავშვი ვიყავი. ძნელად დასაჯერებელია, მაგრამ დაახლოებით 20 წლამდე, სიტყვაშეუწყობით გამოვიჩინე. მერჩია, სხვებისთვის მესმინა, ვიდრე — მელაპარაკა.

— დარწმუნებული ვარ, ვინმეს ბავშვურად მოეწონებოდათ. პატარა ბიჭები კი, გოგონასადმი ინტერესს თმის მოქაჩვით ან სხვა მსგავსი უხეშობით გამოხატავენ ხოლმე... ასეთ ბიჭებს როგორ უშეკლავდებოდით?

— ბავშვობაშიც და მერც, მე თმას ვერავინ მომწიწკნიდა. ძალიან ავტონომიური და მიუკარებელი გახლდით და ადვილად ვერავინ გამითამამდებოდა. სოფელში დიდუდასთან და პაპასთან ვიზრდებოდი. ჩვენს ოჯახში ბიჭი არ ჰყავდათ. ალბათ ამის გამო იყო, რომ მე ბიჭვით მზრდიდნენ. შარვალს მაცმევდნენ, თმა ბიჭურად მქონდა შეკრებილი და 12 წლამდე, მაგრამაც ვივინებოდი... წამოვიზარდე თუ არა, ვინება მოვიშალე. რა თქმა უნდა, დღემდე აყვიაობას ვერ ვიტან. ჰოდა, თქვენ როგორ გგონიათ — ვინმე სიყვარულის გამხელას გამიბედავდა?! ბავშვობაში არც მე გამჩენია ვინმეს მიმართ ინტერესი. მიყვარდა ვარსკვლავების ჭერებზე, ყანაში ჯდომა და ჩიტების ჭიკჭიკის მოსმენა, ყვავილების კრეფა. სხვა დანარჩენი ნაკლებად მინტერესებდა.

— რომანტიკული ადამიანი ყოფილხართ.

ასეთები კი, როგორც წესი, თეთრ ცხენზე ამხედრებულ პრინცზე ოცნებობენ ხოლმე. თქვენც მათ რიგს ხომ არ მიეკუთვნებოდით?

— არა. ბავშვობაში, ჩემს ოცნებებში ერთადერთ მამაკაცზე — მამაჩემზე ვფიქრობდი. ის ომში დაკარგულად ითვლებოდა. სულ მის დაბრუნებაზე ვოცნებობდი...

— პრანჭია გოგო იყავით?

— კეკლუცი არასდროს ვყოფილვარ. ეს ალბათ, ჩემი ნაკლიც არის. ჩემი მეგობარი კრიტიკოსი, ნოდარ ჩხეიძე მეხუმრებოდა ხოლმე — შენ ინტელექტუალური კეკლუცი ხარ, ეს კი ყველაზე საშიში კეკლუცობაა... მის ამ ნათქვამზე ყოველთვის მეცინებოდა. ქალი სოკრატესაც რომ არ უღებდეს ტოლს ჭკუით, კაცს მაინც ვერ დაინტერესებს: მამაკაცებს თვალებით უყვართ ანუ მამაკაცისთვის მთავარი, ქალის გარეგნობაა. მე მართალია, სიკეკლუციით არ გამოვიჩინე, მაგრამ ყოველთვის სადად და მოხდენილად მეცვა... სკოლის დამთავრებამდე, ორი გრძელი ნაწნავი მქონდა. მახსოვს, დედაჩემი ჭრელ აბანოში ჩემი თმის ბანასა და ვარცხნას ლამის ერთ დღეს ანდომებდა. კარგად ვიცოდი, ჩემი გაპრანჭვა უშედეგოდ დამთავრდებოდა. ულამაზესი კლასელი გოგონები მყავდა. ჩემთვის არც ერთ ბიჭს არ



ეცალა. თუმცა, მე ამას ნაკლებად განვიცდიდი. დღემდე ძმებივით მიყვარს თანაკლასელი ბიჭები. მათთვის მუშტრის თვალთ არასდროს შემიხედავს.

— პირველად, ბიჭის დანახვაზე როდის განითვლიდა?

— დაახლოებით, მერვე კლასში ვიქნებოდი. მაგრამ ჩემი გრძნობების შესახებ არავის არაფერი გაუგია. ჩემი მესაიდუმლე, ფურცელი და კალამი იყო. სწორედ მაშინ დავიწყე ლექსების წერა.

— გახსოვთ ის ლექსები ზეპირად?

— რა თქმა უნდა! მაგრამ ის ლექსები არასოდეს გამომიქვეყნებია, არც არავის წაუკითხავს, გარდა ჩემი სკოლის მეგობრებისა. უფრო მეტსაც გეტყვით — ვაპირებ, ანდერძში ჩავწერო, რომ ჩემი სიკვდილის შემდეგაც არ გამოაქვეყნონ.

— მერვეკლასელმა გოგონამ სიყვარულის დამალვა როგორ მოახერხეთ?

— ამ ასაკში, თუ ნაღად გიყვარს, ყველაფერი სახეზე გაწერია. ზოგი, შეყვარებულის დანახვაზე წითლდება, ზოგიც — ყვითლდება, ზოგი შეიძლება, გალურჯდეს კიდევ... სახლში ჩემი გრძნობების შესახებ, რასაკვირველია, არაფერი მოთქვამს. მეგობრები კი, ყველაფერს ხვდებოდნენ. მოგვიანებით გავიგე, რომ ის ბიჭიც ლექსებს წერდა. მაგრამ ჩვენ შორის არაფერი თქმულა. დღეს კი, როცა ერთმანეთს ვხვდებით, ღიმილით ვიხსენებთ ხოლმე



ის ბიჭი ჩემი ქალიშვილის მამა გახლავთ (ქალიშვილთან ერთად)



იმა ორჯონიკიძე (მარცხნივ) დასთან და დელასთან ერთად

იმ ბავშვური გატაცების ამბავს. შემდგომ წლებში, როცა ბიჭებისგან სიყვარულს ვგრძნობდი და მიზეზთა და მიზეზთა გამო მათ გრძნობას არ ვიზიარებდი, მათი გრძნობებით არასოდეს მისარგებლია და არასდროს მიფიქრია, რომ მე ვარ კარგი. ყოველთვის სხვათა ღირსების დამფასებელი ვიყავი და ასეთი ვარ დღესაც. ჩემს თავზე ყოველთვის გაუზვიადებული წარმოდგენა მქონდა. ჩემი გარეგნობით ყოველთვის უკმაყოფილო გახლდით. სიმართლე გითხრაო, საკუთარი პერსონით აღფრთოვანებული არც არასოდეს ვყოფილვარ.

— პირველი პაემანი როგორ გახსენდებათ?

— ჩემს ახალგაზრდობაში, პაემანზე მეგობრებთან ერთად დავდიოდით ხოლმე. ძველად ბიჭი ვერ გაგიბედავდა თქმას — აქვე ვცხოვრობ, მოდი, ჩემთან ავიდეთ და უკეთ გავიცნოთ ერთმანეთიო. გინდ დაიჯერეთ, გინდ არა, მაგრამ ბიჭთან პაემანზე მარტო, პირველად 21 წლის ასაკში წავედი. ის ბიჭი, ჩემი ქალიშვილის მამა გახლავთ. პირად ცხოვრება-

ზე საუბარი არ მიყვარს და რაც მოგახსენეთ, ის ვიქმართ.

— მამაკაცის იდეალი თუ გყავდათ?

— იდეალურ მამაკაცზე, გნებავთ, ქალზეც, ოცნება და ფიქრი, ჩემი შეხედულებით, უაზრობაა. თუ მამაკაცს მეორე ადამიანის მიმართ პასუხისმგებლობის გრძნობა აქვს, მასთან დალაპარაკება შეიძლება. არ მიყვარს ტყუილი, ქალური ჭირვეულობანი და სპექტაკლების დადგმა. უპასუხისმგებლო მამაკაცებსაც მხოლოდ თანავუგრძნობ და ვიზიარებ მათ მწუხარებას. მე არა ვარ იოლი პიროვნება და უფრო, მძიმე მეთქმის. ჩემი პრინციპები მაქვს, რომლებსაც ვერასოდეს ვუღალატებ. მამაკაცთან ურთიერთობისას, სკანდალი არასდროს მომიწევია. სიტყვის უთქმელად მოვტრიალებულვარ და ჩემი გზით წავსულვარ. მამაკაცები საკუთარ გრძნობებში გარკვევას არ ცდილობენ, მერე კი გვიან არის და ცრემლსაც ბევრს ღვრიან ხოლმე. ჩემს ცხოვრებაშიც მომხდარა ასე, მაგრამ მოგეხსენებათ, მკვდარს ვერ გააცოცხლებ... ხანდახან იმასაც ვფიქრობ, ახალგაზრდობაში მეტი რომ მომეთმინა, შეიძლება, სალაპარაკოც არ მიმეცა აყვია ხალხისთვის.

— საუბრის ბოლოს, იმ ტენიჯერებსაც ურჩიეთ რამე, რომლებიც პირველ პაემანზე წასვლას აპირებენ.

— რჩევების მიცემას ვერიდები ხოლმე. შენი რჩევა შეიძლება, ერთს გამოადგეს, მეორეს კი — არა. თანაც, ისიც ვიცი, შეყვარებული ადამიანი იშვიათად იზიარებს სხვის რჩევებს. მაგრამ ერთ რამეს კი მეგობრულად ვურჩევდი ახალგაზრდებს: პაემანზე ძალიან გაშიშვლებულები ნუ მივლენ — ამით ბიჭს ინტერესს დაუკარგავენ და რაც მთავარია — ახალგაზრდებო, ნუ იჩქარებთ ოჯახის შექმნას, სიყვარულის გამოცდა დროს მიანდეთ.



ხანდახან იმასაც ვფიქრობ, ახალგაზრდობაში მეტი რომ მომეთმინა, შეიძლება, სალაპარაკოც არ მიმეცა აყვია ხალხისთვის



მე წყნარად უნდა ვიყო...
დათო ხუჭაძესთან
დუეტს ზღარ ჩავწერ

ახალგაზრდა მომღერლის თიკა ჯანაშვილს შემოქმედებაში სიახლეებია. იგი სულ ახლახან დაბრუნდა მეგრული სიმღერების ფესტივალიდან და აქტიურად შეუდგა ახალ სიმღერებზე მუშაობას. რა გეგმები აქვს მომავალში, რატომ აღარ ჩანერს დუეტს დათო ხუჭაძესთან და რატომ აღარ მეგობრობს იგი ნინო ქარსელაძესთან, — ამ ყველაფერზე თავად თიკა გვესაუბრება.

ნათია ქივიძე

— თიკა, რა არის შენს შემოქმედებაში ახალი?

— იმის გამო, რომ ჩემი ხმის დატვირთვა არ შეიძლებოდა, ამდენ ხანს პაუზა მქონდა. ახლა უკვე დავიწყე სერიოზული მუშაობა. უკვე ჩავწერე ჯგუფ „სეიმონთან“ დუეტი. ეს სიმღერა ამავე ჯგუფის წევრის, ლამა აბზიანის დაწერილია, თუმცა სიმღერისთვის სახელწოდება ჯერ არ შეგვირჩევია. სულ მალე გაიმართება კომპოზიტორ ლილიკო ნემსაძის შემოქმედებითი საღამო, სადაც მომღერლები მსახიობებთან ერთად ვმღერით. ამის გამო, ახლა ვმუშაობ ახალ დუეტზე, რომელსაც დუეტა სხირტლაძესთან ჩავწერ. კლიპზე ვერჯერობით არ ვფიქრობ. ახლახან გადავიღე ახალი კლიპი, პატარა ნინო შუმანაშვილთან.

— რატომ გადაწყვიტე, რომ ნინოსთან ჩავწერა დუეტი?

— ნინი, მიუხედავად იმისა, რომ საკმაოდ პატარაა, ნიჭიერია. მას დიდი ხანია, ვიცნობ და ყოველთვის უნდოდა ჩემთან დუეტის ჩაწერა, ამიტომაც ვიმღერეთ ერთად.

— როგორც ვიცი, ახლახან დაბრუნდი ხობიდან.

— დიას, მართალია. 2 წელიწადში ერთხელ, ხობში მეგრული სიმღერების ფესტივალი იმართება. ეს ფესტივალი სამდღიანია: პირველი ორი დღე მხოლოდ მეგრული სიმღერები უნდა შესრულდეს, ხოლო მესამე დღეს, გალა კონცერტი იმართება. თითოეულ მომღერალს „ოქოს ვერძს“ გადასცემენ საჩუქრად. მაგრამ ამჯერად, ალბათ მისი დამზადება ვერ მოასწრეს და ეს საჩუქარი ჩემთვის ვერ არ გადმოუციათ. ალბათ ძალიან მომიტანენ. ამ ფესტივალში უკვე მეორედ ვმონაწილეობდი და ორჯერვე მეგრული „ნანა“ ვიმღერე. სამწუხაროდ, გალა კონცერტზე ვეღარ დავრჩი, რადგან ზუსტად იმ დღეს, ბათუმში ბოლო ზარის კონცერტზე უნდა მიმელო მანაწილეობა. ხობის ფესტივალში ბევრი ცნობილი მომღერალი მონაწილეობდა: ზურაბ სოტკილავა, ირაკლი ფირცხალავა, ეკა კვალაშვილი, ჩემი ძველი მეგობარი დათო ზუჯაძე და ა.შ. ბოლო დღეს იქ ჩავიდა საქართველოს პრეზიდენტიც და სამწუხაროდ, მე მისი ნახვა ვეღარ მოვახერხე.

— პირადად შეხვედრიხარ ბატონ მიხეილს?

— ადრე, როცა ბატონი მიმა ვერ კიდევ თბილისის საკრებულოს თავმჯდომარე იყო, ფილარმონიის დიდ საკონცერტო დარბაზში გაიმართა დაჯილდოების ცერემონია — „ვევა“, სადაც მე, სალომე გასვიანი, ზუკა ზუციშვილი, ნინო ქარსელაძე და მარიამ როინიშვილი დაგვაჯილდოეს. მაშინ ბატონმა მიმამ გადმოგვცა დიპლომები, მე ხელში ამიყვანა და დამაბზრიალა... მას შემდეგ, პირადად აღარ შეხვედრივარ, მაგრამ იმედი მაქვს, რომ პრეზიდენტი ჩემს შემოქმედებას იცნობს.

— ნელან თქვი, რომ დათო ზუჯაძე შენი ძველი მეგობარია. ხომ არ აპირებ მასთან კიდევ ჩანერო დუეტს?

— არა. დათოსთან დუეტს აღარ ჩავწერ. ის უკვე ძალიან დიდი მომღერალია. მან დასახულ მიზანს მიაღწია და მოსკოვში საკმაოდ დიდი პოპულარობითაც სარგებლობს. მე კიდევ, ჩემს გეგმებს რომ განვახორციელებ და მოსკოვში წავალ, მერე უკვე ჩემს თავს უნდა მივხედო.

— ეი. მოსკოვში წასვლას შენც აპირებ? რატომ?

— ჩემს პროდიუსერს, ნატო ლუმბაძეს ჩემთან დაკავშირებით დიდი გვეგები აქვს. ჩვენ უკვე ვიყავით მოსკოვში წასული მოლაპარაკებებზე. იქაურ პროდიუსერებს ძალიან მოვეწონე, მაგრამ ასაკი არ მიწყობს ხელს. 16 წლის რომ გავხდები, ალბათ მერე განვახორციელებთ იმ გეგმას, რომლის შესახებაც წინასწარ არ ვილაპარაკებ.

— ქეთა თოფურიას ბედი ხომ არ გელოდება?

— ვგუფთან ერთად სიმღერას გულისხმობ?.. არა. მე იქ სოლო კარიერა მექნება. რაც შეეხება იმას, თუ რატომ მინდა, მაინცდამაინც მოსკოვში წასვლა — ვიცი, რომ იქ შოუბიზნესი ნამდვილად არსებობს. აქ რამდენი ხანია, კონცერტი არ ყოფილა და საერთოდაც, შოუბიზნესი არავის აინტერესებს. 2 თვეში ერთხელ შეიძლება, რაიმე კონცერტი გაიმართოს, სადაც სიხარულით მივდივარ, მაგრამ იქაც შესაძლოა, ან ფონოგრამა „გაიჭვლოს“, ან რაიმე მსგავსი მოხდეს... მოსკოვში მომღერლობა უფრო საინტერესოა. შესაძლებელია, რომ იქ უფრო პოპულარული ვიყო.

— აქ არ ხარ პოპულარული?

— რა თქმა უნდა, ვარ, მაგრამ მე მინდა, რომ ჩემს კარიერაში რაიმე შევცვალო.

— რაში გამოიხატება შენი პოპულარობა?

— ძალზე დაძაბული ვარ. ჩემი მეგობრები რომ გიჟობენ, მე წყნარად უნდა ვიარო, რომ ვინმე რამე არ თქვას ჩემზე... ეს ჩემს მეგობრებს არ მოსწონთ. პოპულარობას, რა თქმა უნდა, დადებითი მხარეც აქვს. მაღაზიებში ძალიან მიმათრევენ ხოლმე — გამყიდველები რომ დაგინახავენ, რაღაცებს გვაჩუქებენო... ასეც ხდება ხოლმე, მართლაც ხშირად მასაჩუქრებენ. ქუჩაშიც ხალხი მეფერება, მიცინის. ეს ყველაფერი ძალიან სასიამოვნოა.

— მეგობრები ახსენე და მაინტერესებს, შენს ადრინდელ მეგობართან, ნინო ქარსელაძესთან თუ ახლობლობ ისევ?


— არა. ნინისთან ისევ ახლოს აღარ ვარ. რაღაც პრობლემები აქვს და ალბათ, ახალი მეგობრებიც ჰყავს. შოუბიზნესში თითქმის ყველასთან კარგი ურთიერთობა მაქვს.

სალომე წვერაძე ჩემი ძალიან ახლო მეგობარია, ასევე — „სეიშენის“ ყველა წევრი; ბუკა, ჯაბა და ა.შ.

— შენი აზრით, ჩვენს შოუბიზნესში სიახლეები რატომ არ ხდება?

— იმიტომ, რომ ახალი მთავრობა ქართულ ესტრადას ყურადღებას არ აქცევს. ძველი ხელისუფლება ამას აკეთებდა. მარმან, პირველ ივნისს 12 კონცერტში ვმონაწილეობდი, წელს კი — მხოლოდ ერთში.

— რაიმე ფესტივალში მონაწილეობის მიღებას არ აპირებ?



ლეობის მიღებას არ აპირებ?

— ფესტივალზე აუცილებლად უნდა წავიდე, რადგან ეს მომღერლისთვის აუცილებელია. მინდა ოურმალის ფესტივალზე გამოსვლა. მიწვევა მაქვს „აზიური ხმებიდან“ და მანხაის ფესტივალიდან. როდის გავეშვებ ვაგრები, ვერ არ ვიცი.

— როგორც შევიტყვევ ამ ბოლო დროს, ჟურნალისტური საქმიანობითაც დაინტერესებულხარ.

— მართალია. გადავწყვიტეთ, რომ სკოლის გაზეთი გავაკეთოთ. ახლა ჩემი მეგობრები მოვლენ და უნდა მოვიფიქროთ, როგორი გაზეთი გამოვუშვათ, სადაც გავაშუქებთ ჩვენი ექსკურსიისა თუ „მატალოს“ ამბებს... ისე, თუ მომავალში აზრი არ შემიცვლება, მინდა, რომ ტელეჟურნალისტი გამოვიდე. მომწონს ეს პროფესია. მომღერლობასთან ერთად ხომ უნდა მქონდეს რაიმე პროფესია?!



აიჩქელაქ სეჰატიველინი!
ანა გულგარეთიდან

ხელის შეხებით, ჯადოსნური ენერჯის ძალით, ხდება ადამიანის იმუნური სისტემის აღდგენა. ანა ხსნის ყველანაირ ჯადოსნ, უიღბლობას, გამოყვას სტრესიდან და დეპრესიიდან.

მის: **ვახიშვილის ქ. №45**
(საბურთალო)

☎ 38-86-89 (9-18სთ), 893-94-85-49; 899-93-68-03


ნობელის პრემიის ალტერნატივა

ნორვეგიული წარმოშობის ამერიკელი მილიონერი, ფრედ კავლი აპირებს, ნობელის პრემიის ალტერნატივა შესთავაზოს მსოფლიოს: მან გამოაცხადა, რომ ნიჭიერ მეცნიერთა დაჯილდოებას აპირებს. პრემია 1 მილიონ დოლარს შეადგენს და 2 წელიწადში ერთხელ გაიცემა – ასტროფიზიკაში, ნანოტექნოლოგიებსა და ადამიანის ნერვული სისტემის შესწავლის სფეროებში მიღწეული შედეგებისთვის. კანდიდატთა შერჩევა, სხვადასხვა ქვეყნის ექსპერტებით დაკომპლექტებულ კომისიას დაეკისრება.

პირველი დაჯილდოება 2008 წლის სექტემბერში – ნობელის პრემიით დაჯილდოებამდე ერთი თვით ადრე, ასევე სტოკჰოლმში შედგება. ფრედ კავლი დაუფარავად ამბობს, რომ ამით ნობელის პრემიის „შევიწროებას“ და მის-

თვის სერიოზული კონკურენციის გაწევას აპირებს. „ვფიქრობ, ჩვენ მეტი სითამამის გამოჩენა გვმართებს, ვიდრე ამას ნობელის კომიტეტი იჩენს“, – აღნიშნა კავლიმ ეურნალისტებთან საუბრისას. მას მიაჩნია, რომ „ნობელელები“ მეტისმეტად კონსერვატორული მიდგომით გამოირჩევიან. ეს განსაკუთრებულად მკაფიოდ იმაში ვლინდება, რომ ზოგიერთ მეცნიერს, მხოლოდ მის მიერ გაკეთებული აღმოჩენიდან ათწლეულების შემდეგ აჯილდოებენ ხოლმე. ფრედ კავლის თქმით, მისი კომისია გაცილებით ოპერატიულად იმოქმედებს.

საინტერესოა, რომ კავლი სულაც არ განეკუთვნება მსოფლიოს უმდიდრეს ადამიანთა რიგს. 2000 წელს, მან 340 მილიონ დოლარად გაყიდა საკუთარი ფირმა, რომელიც სენსორულ ხელსაწყოებს აწარმოებდა; თანხის ნაწილი



უძრავი ქონების შესაძენად გამოიყენა, ხოლო 100 მილიონი მეცნიერების განვითარების დასაფინანსებლად შემოინახა. ამჟამად ფონდი – Kavli Foundation – 9 სამეცნიერო დაწესებულებას აფინანსებს, რომელთა შორისაა ამერიკული უნივერსიტეტები (მაგალითად, იელისა და ჰარვარდის) და ერთ-ერთი ევროპული ინსტიტუტიც.



ვიოლინთ „შავი ფრინველი“

ოსტატის ხელი ქვისგანაც „გამოწურავს“ ნებისმიერ ნივთს, თუნდაც – ვიოლინოს, რომელიც ხისგან დამზადებულ „თანამოსმეებსაც“ გაეჯიბება... მსოფლიოში ერთადერთი, ქვის ვიოლინოს ავტორი, რომელმაც თავის ქმნილებას რომანტიკული სახელი – Blackbird („შავი ფრინველი“) შეურჩია – შვედი მოქანდაკე, ლარს უიდენფალკი გახლავთ. ეს შედეგია მან 1991 წელს, თავისი ბაბუის საფლავის ქვისგან შექმნა. ამ ტიტანურ სამუშაოს ლარსმა 2 წელი მოანდომა. შავი ქვის გარდა, მან სხვა მასალებიც გამოიყენა: შავი ხე, მამონტის ეშვი, ოქრო და ვერცხლი. აი, ღიზანის კი, ლარს უიდენფალკი სახელგანთქმულ სტრადივაროუსს დაესესხა...

როგორც სკულპტორმა გადაცხადა, ის უკვე მზადაა, დაემშვიდობოს თავის ნახელავს, იღონდ – უნიკალური ვიოლინოს შექმნის მსურველს მილიონი გირვანქა სტერლინგის გადახდა მოუწევს. შვედი შემოქმედი თავისი შედეგის, აუქციონის წესით გაყიდვას აპირებს.

სუპერმუშია

ეგვიპტის მიწა ღრმად ინახავს უამრავ საიდუმლოს. ცოტა ხნის წინ, არქეოლოგებმა დედაქალაქ კაიროს მახლობლად, ნეკროპოლ საკარაში აღ-

მოაჩინეს მუშია, რომლის ასაკი სავარაუდოდ, 2300 წელს აღწევს. ის ნ-მეტრინი შახტის ფსკერზე, ქვიშის სქელი ფენის ქვეშ იპოვეს.

ამ აღმოჩენამ მეცნიერთა აღფრთოვანება გამოიწვია. საქმე ის გახლავთ, რომ მუშია, სოლიდური ასაკის მიუხედავად, საუცხოოდაა შენახული. ხისგან დამზადებული სარკოფაგის მოხატულობას თითქმის არ დაუკარგავს ფერი. მუშია სხვადასხვა სურათით მოხატულ, ჭრულ ქსოვილშია გახვეული. საინტერესოა, რომ ქსოვილზე გაკეთებული ერთ-ერთი ნახატი ბალზამირების პროცესს ასახავს.



ის, თუ ვინ განისვენებდა მდიდრულ სარკოფაგში, ჯერჯერობით უცნობია. მეცნიერები მხოლოდ იმას აღნიშნავენ, რომ ის ნამდვილად დიდგვაროვანი გახლდათ, რასაც მდიდრული მორთულობა და სახეზე აფარებული ოქროს ნიღაბი მოწმობს.

ინტიმური ტელეფონი

822-009-008
822-009-088
822-009-108

18 წლიდან
მომსახურება ფასიანია



ასწროლოცია და ხასიყვანოელო ურთიეროთობეი

ჩვენს ცხოვრებაში ყველა მოვლენას და მათ შორის, სასიყვარულო ურთიერთობებსაც საწყისი წერტილი აქვს. ამ საწყის წერტილს ასტროლოგიაში ერთ-ერთი უმთავრესი როლი აკისრია, რადგან ის საკმაოდ საინტერესო და გამოსადეგი ინფორმაციის მიღების საშუალებას იძლევა. თუ გავისხენებთ იმ დღეს, როდესაც პირველად შევხვდით ჩვენს გულის სწორს და გავარკვევთ, თუ ამ დროს მზე რომელ ზოდიაქოს ნიშანს გადიოდა, ჩვენსა და ჩვენი საყვარელი ადამიანის მომავალზე უფრო მეტს შევიტყობთ. ეს საკმაოდ მარტივი გასაკეთებელია. მაშასწინ, თუ თქვენს პარტნიორს შეხვდით:

მარტის ზოდიაქოში (21 მარტიდან - 20 აპრილამდე)

სასიკეთო ურთიერთობის დასაწყისი. გირჩევთ, სრულად გამოავლინოთ საკუთარი ინდივიდუალობა და ამის საშუალება პარტნიორსაც მისცეთ. ბევრს მიაღწევთ, თუ ერთი მიზანი გექნებათ. ნებისმიერი პარტნიორის მხრიდან მკვეთრ და იმპულსურ მოქმედებებს ნეგატიური შედეგი მოჰყვება. ნუ გამოიჩინებთ ეგოიზმს, იზრუნეთ პარტნიორზეც.

პურო (21 აპრილიდან - 20 მაისამდე)

ემოციური და გრძნობისმიერი ურთიერთობის დასაწყისი. თქვენი ამოცანაა, ისწავლოთ ერთმანეთისადმი სითბოს გამოვლენა. არ დაიზაროთ კომპლიმენტების თქმა - ეს ხელს შეუწყობს თქვენი ურთიერთობის განმტკიცებას. ერთდროს ნეგატიური ტენდენცია, რომელიც ამ პერიოდში დაწყებულ ურთიერთობებს ხელს შეუშლის - ეს სიჯიუტეა.

მარცხივი (21 მაისიდან - 20 ივნისამდე)

ამ პერიოდში, იმატებს სეირნობისას, გზავრობისას (ტრანსპორტში) ან ტელეფონით გაცნობის ალბათობა. ნებისმიერ შემთხვევაში, ეს ურთიერთობა ნტელექტუალურ დონეზე წარიმართება, თუმცა, ხშირ შემთხვევაში, მაინც ზედაირული ხასიათისაა. თუ საყვარელი ადამიანის დაკარგვა არ გსურთ, მაქსიმალურად მოერიდეთ ამავე პერიოდში ხალი ფლირტის დაწყებას.

პირჩხივი (21 ივნისიდან - 22 ივლისამდე)

ამ დროს დაწყებული ურთიერთობების აბსოლუტური უმრავლესობა ოჯახების შექმნით მთავრდება. ნებისმიერი პირადი ნაცნობობა შესაძლოა, ურთიერთსიმაპათიაში და შემდგომ, სიყვარულში გადაიზარდოს. იმ ადამიანებს კი, ვისაც ფლირტი მხოლოდ გასართობად აინტერესებთ, თავშეკავებას ვურჩევთ, რადგან ეს მათ ემოციურ ცხოვრებაზე უარყოფითად იმოქმედებს.

ლომი (23 ივლისიდან - 23 აგვისტომდე)

შემოქმედი ადამიანებისთვის ეს იდეალური დროა სასიყვარულო ურთიერთობის დასაწყებად. თეატრი, კინო, კონცერტი, პოდიუმი - აი, ის ადგილები, სადაც შესაძლოა, თქვენი მომავალი მეორე ნახევარი გაიცნოთ. თუმცა, თუ ამ ყველაფერზე სერიოზულად ფიქრობთ, მაშინ თქვენი გულის სწორი საჩუქრებით გაანებივრეთ: ეს თქვენს მომავალ ურთიერთობას რომანტიკულობას შემატებს.

ძალწული (24 აგვისტოდან - 23 სექტემბრამდე)

ზედმეტი თავმდაბლობა, კრიტიკულობა და ეჭვიანობა - აი, ის, რაც ამ პერიოდში წამოწყებული ურთიერთობისთვის ხელის შემშლელი იქნება. იყავით ყურადღებიანი პარტნიორის მიმართ, გააანალიზებთ ყველა წვრილმანი, წინააღმდეგ შემთხვევაში, ეს მომავალში პრობლემებს შეგიქმნით. ვიქნები მოწესრიგებული ყველგან და ყველაფერში - ეს დევიზი ძალზე გამოგადგებათ.

სასწროი (24 სექტემბრიდან - 23 ოქტომბრამდე)

ამ პერიოდში დაწყებული ურთიერთობისთვის დაუშვებელია უხეშობა და ორივე პარტნიორის მხრიდან დელიკატურ ქცევას მოითხოვს. ამ დროს, ნებისმიერი წამოწყება და ინიციატივა პარტნიორს უნდა მიანდოთ. ეცადეთ, საკუთარი „ეგო“ ნაკლებად გამოავლინოთ. თუ ხელოვნების რომელიმე დარგში მოღვაწეობთ, მაშინ პარტნიორს საკუთარი ნამუშევრები გააცანით - ეს თქვენს დაახლოებას შეუწყობს ხელს.

ღრინაქალი (24 ოქტომბრიდან - 21 ნოემბრამდე)

ეს პერიოდი ძირითადად, ვენებიანი და სექსუალური ადამიანებისთვის იქნება გამოსადეგი. ამ დროს ნებისმიერი დამინტრიგებელი საშუალება გამართლ-

ბულია. შენიღბეთ საკუთარი პიროვნება, მოირგეთ იდუმალი ადამიანის სახე - ეს უფრო ალაგზნებს თქვენს პარტნიორს. თუმცა, ამავე დროს, მზად იყავით, მხურვალე რომანისთვისაც და... სულიერი ტკივილისთვისაც.

მვილდოსანი (22 ნოემბრიდან - 21 დეკემბრამდე)

ისევე, როგორც მარცხივის ზოდიაქოში, ამ პერიოდში დაწყებული ურთიერთობაც რამდენადმე ზედაპირული იქნება. უმჯობესია, თუ რომელიმე პარტნიორი ინტელექტუალია და საკუთარ თავზე „მასწავლებლის“ როლს იკისრებს. თქვენი ურთიერთობისთვის დადებით როლს ითამაშებს აგრეთვე მოგზაურობა, განსაკუთრებით - შორეულ და ეგზოტიკურ ქვეყანაში.

თხის რძა (22 დეკემბრიდან - 19 იანვრამდე)

ამ დროს დაწყებული სასიყვარულო ურთიერთობა სერიოზული იქნება. ამიტომ ნებისმიერმა დაუფიქრებელმა და გაუაზრებელმა მოქმედებამ შესაძლოა, გამოუსწორებელ შედეგამდე მიგიყვანოთ. თუ სერიოზული მიზნები გამოძრავებთ, მაშინ ძნელი და დაბრკოლებებით სავსე გზაზე სასიარულოდ უნდა მოემზადოთ. ნუ შეგაშინებთ წინააღმდეგობები და სასურველ შედეგსაც მიაღწევთ.

მარცხული (20 იანვრიდან - 18 თებერვლამდე)

ამ პერიოდში დაწყებული ურთიერთობები უცნაური და ორიგინალური იქნება. შესაძლოა, მოვლენები ისე სწრაფად განვითარდეს, რომ პარტნიორებმა ერთმანეთის საფუძვლიანად გაცნობაც კი ვერ მოასწორონ და უკვე საქორწინო მოგზაურობაში ამოყონ თავი. ჰუმანიზმი, ზედმეტი იდეალიზმი და ექსტრავაგანტურობა - ამ დროს განვითარებული ფლირტისა თუ რომანის თანამდევი იქნება.

თივზავი (19 თებერვლიდან - 20 მარტამდე)

ყველა ნიუანსის თუ დეტალის გასაიდუმლოება - აი, ყველაზე მეტად რა გამოადგებათ ამ პერიოდში სასიყვარულო პარტნიორებს. მაქსიმალურად შეეცადეთ, ერთმანეთს სიმართლე უთხრათ, ნებისმიერ ტყუილს თქვენთვის გამოუსწორებელი ზიანის მოყენება შეუძლია. შეაადლოა, ერთ-ერთ თქვენგანს მნიშვნელოვანი მსხვერპლიც გაღებაც მოუხდეს პარტნიორისთვის.

კვირის (30 ივნისი - 6 ივლისი)

გვიგონი - 21/III-20/IV

თქვენთვის ეს პერიოდი წინააღმდეგობრივი და დაძაბული იქნება, განსაკუთრებულ ყურადღებას პარტნიორებთან ურთიერთობა მოითხოვს. შესაძლოა, თქვენი სურვილი - სხვა ადამიანებს დაუმტკიცოთ საკუთარი იდეების მართებულობა, კამათის ან კონფლიქტის დაწყების მიზეზიც კი გახდეს. ამიტომ გამოიჩინეთ დიპლომატიურობა და ტაქტი. ურთიერთობები პოზიტიურია ლომსა და მერწყულთან, ნეგატიური - კუროსა და ღრიანკალთან. **პოზიტიური დღეები:** 30, 2, 3. **ნეგატიური დღეები:** 1, 5.

გვიგონი - 21/IV-21/V

გირჩევთ, არ მოდუნდეთ, თორემ დასახულ გეგმებს ვერ განახორციელებთ. ნუ მიეცემით ილუზიებს და ნუ იფიქრებთ, რომ ყველაფერი კარგად მიდის. ახლა აქტიურობა გმართებთ და ნაბიჯ-ნაბიჯ ვაიწყებთ წინ. საუბრისას ეცადეთ, რაღაც ზედმეტი არ წამოგვადეთ, რომ თქვენზე სიტყვები წინ არ დაგხვდეთ. ურთიერთობები პოზიტიურია კირჩხიბსა და ქალწულთან, ნეგატიური - სასწორსა და მშვილდოსანთან. **პოზიტიური დღეები:** 2, 4, 6. **ნეგატიური დღეები:** 1, 3.

გვიგონი - 22/V-21/VI

ყველაზე დადებითი თქვენთვის, კვირის შუა ნაწილი იქნება. პარასკევს კი, პოზიტიური ცვლილებებია მოსალოდნელი. საერთოდ კი, შეეცადეთ, მშვიდად და ორგანიზებულად გააგრძელოთ ადრე დაწყებული პროექტების განხორციელება, ახალწამოჭრილი პრობლემების გადაწყვეტისას კი, კარგად აწონ-დაწონეთ ყველა ნიუანსი. ურთიერთობები პოზიტიურია ვერძსა და სასწორთან, ნეგატიური - მშვილდოსანსა და თევზებთან. **პოზიტიური დღეები:** 4, 5, 6. **ნეგატიური დღეები:** 30, 3.

გვიგონი - 22/VI-22/VII

თქვენთვის სასიკეთო პერიოდია, ამიტომ თუ რაიმე სერიოზულ პროექტს მოჰკიდებთ ხელს, გირჩევთ, არ გადადოთ. თამამად დაგეგმეთ შეხვედრა თუ მოლაპარაკება. ნუ ილაპარაკებთ ბევრს (ეს ბევრს არაფერს შეგმატებთ) და მშვიდად გამოამყვანეთ საკუთარი ღირსებები. იზრუნეთ საკუთარ გარეგნობაზე. ურთიერთობები პოზიტიურია კირჩხიბსა და ღრიანკალთან, ნეგატიური - მარჩბივსა და თხის რქასთან. **პოზიტიური დღეები:** 1, 2, 5. **ნეგატიური დღეები:** 3, 4.

ასპროლოგიური პროგნოზი

ღვიგონი - 23/VII-23/VIII

დაგეგვიტდებთ ენერგეტიკა და სასიცოცხლო ტონუსი, მოსალოდნელია ფინანსური პრობლემებიც გაგიჩნდეთ, რაც ბუნებრივია, სანერვიულოს მოვითხოვს. ეცადეთ, შეინარჩუნოთ არსებული მდგომარეობა და ახალი სიკეთის ძებნისას, ძველიც არ დაკარგოთ. ამჯერად ნაკლებად იაქტიურეთ და ახალი საქმეების წამოწყებაც სხვა დროისთვის გადადეთ. ურთიერთობები პოზიტიურია ვერძსა და მშვილდოსანთან, ნეგატიური - კუროსა და კირჩხიბთან. **პოზიტიური დღეები:** 3, 5, 6. **ნეგატიური დღეები:** 30, 2.

ქალწული - 24/VIII-23/IX

ძალზე მნიშვნელოვანი საკითხების გადაჭრა მოგიწევთ (უმეტესობა, უძრავი ქონების ყიდვა-გაყიდვასა და დაგირავება-გაგირავებასთან იქნება დაკავშირებული). ხელმძღვანელობისა და ორგანიზატორული ნიჭი, თანამოაზრეთა შემოკრებაში დაგეხმარებათ, რაც შემდგომში თქვენი ახალი გამარჯვებების საწინდარი გახდება. ურთიერთობები პოზიტიურია კირჩხიბსა და ქალწულთან, ნეგატიური - ლომსა და თევზებთან. **პოზიტიური დღეები:** 30, 2, 4. **ნეგატიური დღეები:** 1, 5.

სასწორი - 24/IX-23/X

ნუ მონინდომებთ გლობალური საკითხების გადაჭრას, ნურც რაიმე „გმირობის“ ჩადენას. ასეთ შემთხვევაში, მაქსიმალური ძალისხმევით მინიმალურ შედეგს მიიღებთ. შემოიფარგლეთ ყოველდღიური საქმიანობით და ეცადეთ, არ გაიძინოთ სიხისტე. სულიერი სიმტკიცის წყალობით, ადვილად გაუმკლავდებით მოძალბებულ პრობლემებს. ურთიერთობები პოზიტიურია მარჩბივსა და მშვილდოსანთან, ნეგატიური - კუროსა და თხის რქასთან. **პოზიტიური დღეები:** 1, 3, 5. **ნეგატიური დღეები:** 2, 6.

ღრიანკალი - 24/X-22/XI

გრძელდება პოზიტიური და ნაყოფიერი პერიოდი. დროა, მოკლევადიანი პროექტების დასრულებაზე იზრუნოთ. რაც შეხება თქვენს ყოველდღიურ საქმიანობას - ეცადეთ, ზედმეტად არ გადაიტვიტოთ, რადგან დაძაბულმა სამუშაო რეჟიმმა შესაძლოა, ჯანმრთელობა შეგიჩივოთ. ურთიერთობები პოზიტიურია კირჩხიბსა და თხის რქასთან, ნეგატიური - ლომსა და მერწყულთან. **პოზიტიური დღეები:** 2, 4, 5. **ნეგატიური დღეები:** 3, 6.

გვიგონი - 23/XI-21/XII

ეს კვირა საკმაოდ პოზიტიური უნდა იყოს, თუ რასაკვირველია, შინ არ ჩაიკეტებით და, საკუთარი ბოლოქარი ხასიათის გამო, ოჯახის წევრებს მოთმინებიდან არ გამოიყვანთ. გახსოვდეთ, მშვილდოსნებს, რბილად რომ ვთქვათ, საკმაოდ კრიტიკული აზროვნება გაქვთ, ამიტომ ადამიანებს იმაზე მეტი არ უნდა მოსთხოვოთ, ვიდრე მათ შეუძლიათ. ურთიერთობები პოზიტიურია ლომსა და სასწორთან, ნეგატიური - კირჩხიბსა და თევზებთან. **პოზიტიური დღეები:** 30, 1, 6. **ნეგატიური დღეები:** 4, 5.

თხის რქა - 22/XII-20/I

მიწის სტიქიის ნიშნებიდან ყველაზე უარესი კვირა, თხის რქის ნიშნით დაბადებულ ადამიანებს ელით. შესაძლოა, გარკვეული პრობლემები შეგექმნათ, თუმცა, ოჯახის წევრებისა და მეგობრების დახმარებით, ყველა უსიამოვნებას იოლად აარიდებთ თავს. მუდამ უნდა გახსოვდეთ თქვენი ხასიათის უმთავრესი თვისება - წინააღმდეგობათა გვეგმომიერად გადალახვის უნარი. ურთიერთობები პოზიტიურია ქალწულსა და ღრიანკალთან, ნეგატიური - ვერძსა და მარჩბივთან. **პოზიტიური დღეები:** 2, 3, 4. **ნეგატიური დღეები:** 30, 1.

გვიგონი - 21/I-19/II

მოსალოდნელია სასიკეთო ძვრები საქმიანობაში. შესაძლოა, სწორედ ამ პერიოდში ჩაეყაროს საფუძველი თქვენს მომავალ სამსახურებრივ მდგომარეობას. რაც შეეხება მატერიალურ მდგომარეობას - ამ სფეროში ცოტა ხნით, არასტაბილურობის ატანა მოგიწევთ. ეცადეთ, იყოთ ორგანიზებული და არ იზრამცოთ. ურთიერთობები პოზიტიურია ვერძსა და სასწორთან, ნეგატიური - კუროსა და ქალწულთან. **პოზიტიური დღეები:** 30, 1, 5. **ნეგატიური დღეები:** 2, 3.

თევზები - 20/II-20/III

რომანტიკული ბუნების გამო, შესაძლოა, ვინმეს დახმარების სურვილი გაგიჩნდეთ. გირჩევთ, ახლობლებს „დღვა ტერეზად“ ნუ მოველინებით და გახსოვდეთ: გულისხმიერება კარგი თვისებაა, მაგრამ სიფრთხილაც არ უნდა დაგავიწყდეთ იმისთვის, რათა გაუგებრობაში არ გაეხვეთ... ურთიერთობები პოზიტიურია კირჩხიბსა და ღრიანკალთან, ნეგატიური - სასწორსა და მერწყულთან. **პოზიტიური დღეები:** 2, 3, 4. **ნეგატიური დღეები:** 5, 6.



ხუმორი

სვანებმა თქვეს:
- რად გვინდა ბურთი? ისე ვითამაშოთ!..

დიდი ხნის უნახავი დაქალები ხვდებიან ერთმანეთს:
- ვაიმე, ვაიმე, შენ მთლად დაორსულე-ბულხარ!..

თუ ღირსება დაკარგეთ, ისეთი სახე მიიღეთ, თითქოს იგი თქვენი არ იყო.

ერთი აჭარელი ხვდება ნაცნობს, რომელსაც რამდენიმე ხნის წინ ტყუპისცალი მოუკვდა და ეკითხება:
- ჭოვ, შარშან რო მოკვდა, შენ იყავ თუ შენი ძმა?
- ჩემი ძმა.
- კაი, კაი და გამიხარდა, შენ რომ გადარჩი!

მონადირეების დიალოგიდან:
- დიდი უცნაური ძაღლი მყავს. ნადირს რომ ვესვრი და ავაცდენ, ზურგზე წვება და იცინის.
- როცა ახვედრებ, მაშინ რას აკეთებს?
- არ ვიცი, ეს ძაღლი ჯერ მხოლოდ 3 წელია, რაც მყავს.

სვანი სარეკლამო სააგენტოში მივიდა.
- რეკლამაში მინდა, გადამიღოთ! სააგენტოს თანამშრომელი:
- კი, ბატონო, მაგრამ რა შეგიძლიათ ან რაიმე განსაკუთრებული თუ გაქვთ?
სვანი:
- ქერტლი!

გურულს კახეთში შემოჰადამდებ. ერთ-ერთი სახლის ჭიშკართან მივა და მასპინძელს ეძახის. გამოიხედა მასპინძელმა და ეკითხება:
- რა გინდა, ჯო? გურული:
- ერთი, წყალი დამალეგინე, ძამა, თვარა, ძან შშია და ლამე სად გავათოი, არც იგი ვიცი.



- კოლომ უკბინა.
- კოლოს ნაკებნით რომ არ კვლებიან?
- მაგ დროს 30 მეტრ სიმაღლეზე თავდაყირა ეკიდა...

მონადირეების დიალოგიდან:
- მომიყვი ერთი, დათვი როგორ მონადირე?
- ჩვეულებრივად: ალერსი, შამპანური, წყნარი მუსიკა და... ხომ იცი მერე.

დილით ქმარმა გაიპარსა წვერი, მიიღო შხაბი და გარეთ კმაცოფილი გამოვიდა.

- ძალიან კარგი, თითქმის ათი წლით გავახალგაზრდავდი.
- შე დალოცვილო, საღამოთი ძილის წინ გაიპარსე, თუკი ვგშველის... - ეუბნება ცოლი.

სვანს ჰკითხეს:
- რა გქვია?
- ეშხარი, მაგრამ რომ ვაცემინებ, „სიცოცხლეს“ მეძახიან.

ნარკომანი, მეხანძრე და სადისტი ერთ საკანში სხედან. ნარკომანი ამბობს:
- ერთი მომაწვეინა! მეხანძრე:
- ჩამაქრობინა. სადისტი:
- ...შენს მოტველებილ თავზე!

- მაიზერ, ცურვა იცი?
- კი!
- სად ისწავლე?
- წყალში!

სვანებს ფეხბურთის თამაშს ასწავლიან:
- მოწინააღმდეგეს გაეკიდებით და ბურთს წაართმევთ.



- ალო, სექსი ტელეფონით არის?
- დიან (საზინზლარი, ჩახრინწული, ბოხი ხმით).
- ასეთი ხმით რატომ?
- დღეს დასვენების დღეა.

ქუთაისელების საუბრიდან:
- ბუჯო, ანზორა, არჩევანის წინაშე რო დადგე - ცოლი ან სუპერმოდელი, რომელ სუპერმოდელს ეირჩევდი?

ფსიქიატრიულში მეზობელი ეკითხება მეზობელს:
- რატომ ჯნავის განწირული შენი კატა დლა-სლამოს?
- ვბან ხოლმე.
- ვერე ჩემსასაც ვბან, მაგრამ არ ჯნავის.
- დაბანის შემდეგ წურავ?..



ღამით მიხოს ცოლთან ურთიერთობა მოუნდება, მაგრამ მარო კაპრიზობს - ბავშვს ღვიძავსო. გაბრაზებული მიხო შვილს გასძახებს:
- დიბო, ჯოო... წყალი მამიტანე! სიჩუმეა, არაფერი ისმის. ცოლ-ქმარი სიყვარულს მიეცემა.
10 წუთის შემდეგ ბავშვის ხმა ისმის:
- მამო... დიდხან ვიდეგ ჭიჭითა?

- ერთი გაფუჭებული მაგნიტოფონი მეგლო მანქანაში და ისიც მოუპარავთ.
- იქნებ, გასაკეთებლად წაიღეს?..

განცხადება დამკრძალავ ბიუროში:
- თუ თქვენ დაასაფლავეთ თქვენს 9 ნათესავს ჩვენთან, მეათეს დასაფლავება უფასო იქნება.

ცირკის აკრობატი გარდაიცვალა. პანაშვიდზე:
- რით მოკვდა საწყალი?

ოჯახის მამა და მისი აღზრდელი პოზიცია

ჩვეულებრივ, ბავშვის აღზრდას ქალის საქმედ მიიჩნევენ, მაგრამ ფსიქოლოგები გვაფრთხილებენ: მამის როლის არასათანადოდ შეფასებას, შესაძლოა, ბავშვის ფსიქიკის დამახინჯება მოჰყვეს — რაც მის არასწორ პიროვნულ განვითარებას გამოიწვევს. მამის ზეგავლენას შეილება, თავისთავად, ძალზე დიდი მნიშვნელობა აქვს. მაგრამ რამდენად ეფექტურია ეს ზეგავლენა, ხელს უწყობს თუ არა ის ბავშვის სრულყოფილ განვითარებას და ოჯახში ჰარმონიული ურთიერთობის დამკვიდრებას — ყოველივე ეს, ძირითადად, დამოკიდებულია იმ აღზრდელი პოზიციაზე, რომელიც ოჯახის უფროსს უჭირავს. გთავაზობთ, მამებისათვის განკუთვნილ ტესტს, რომელიც შედგება მოსაზრებებისგან, რომლის მიმართაც თქვენ საკუთარი დამოკიდებულება უნდა გამოხატოთ: ვეთანხმები (2 ქულა); მხოლოდ ნაწილობრივ ვეთანხმები (1 ქულა); არ ვეთანხმები (0 ქულა).



1. მამა უკეთ უმკლავდება წამოზრდილ შვილებს, ვიდრე პატარებს.
2. მშობლების გაყრის შემთხვევაში, შვილები დედასთან უნდა დარჩნენ.
3. კარგი მეუღლე, ჩვეულებრივ, კარგი მამაცაა.
4. მამაკაცს არ შეჰყვრის თავისი გრძნობების გულახდილად გამოქვავება.
5. აღზრდელი საკითხებში მამის აზრი — გადამწყვეტია.
6. ჩვეულებრივ, ბავშვის დაბადების შემდეგ, ცოლი შედარებით ნაკლებ ყურადღებას უთმობს ქმარს.
7. უმჯობესია, ბავშვები უმამოდ იზრდებოდნენ, ვიდრე ცუდი მამის ატანა უხდებოდეთ.
8. ვინაიდან მიჩნეულია, რომ ქალი — უკეთესი აღზრდელია, ვიდრე მამაკაცი, უმჯობესია იქნება, თუ შვილების აღზრდას სწორედ დედა მოჰკიდებს ხელს.
9. თუკი ბავშვი რაღაცის გაკეთებას ვერ ასწავლებს, მან დასახმარებლად ყოველთვის დედას უნდა მიმართოს.
10. რაც უფრო ძლიერია მშობლის

- შვილისადმი სიყვარული, მით უფრო იოლია მისი აღზრდა.
11. მამა მხოლოდ მაშინ უნდა ჩაერიოს შვილის აღზრდაში, როცა ამის თაობაზე მას ცოლი მიმართავს.
12. მშობლების გაყრის შედეგად დედასთან დარჩენილი ბავშვი არ განიცდის უმამობას.
13. ჩვეულებისამებრ, დედები ძალზე ანებიერებენ შვილებს.
14. სასურველია, რომ ოჯახის უფროსმა შვილებმა საკუთარ ოჯახთან ერთად გაატაროს.
15. ბიჭს პატარაობიდანვე სხვანაირი აღზრდა სჭირდება, ვიდრე გოგონას.
16. ზოგიერთ ბავშვს ურჩევნია, დრო მამასთან გაატაროს, ვიდრე დედასთან.
17. ხშირად გუეფლებათ ისეთი შეგრძნება, თითქოსდა, ცოლისთვის შვილი უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე თქვენ.
18. აღზრდასთან დაკავშირებულ ნებისმიერ სფეროში თქვენ სულ თავისუფლად შეგიძლიათ ცოლის შეცვლა.
19. შვილი უფრო დიდ პატივს უნდა სცემდეს მამას, ვიდრე დედას.

20. თქვენი და თქვენი შვილების ურთიერთობაში ცოლი ყოველთვის ერევა.
21. თუკი ამის სურვილი გაუჩნდება, ქმარს შეუძლია ისევე კარგად მოუაროს ჩვილ ბავშვს, როგორც ცოლს.
22. მამის ზეგავლენა უფრო მნიშვნელოვანია ვაჟიშვილისათვის, ვიდრე ქალიშვილისათვის.
23. თქვენ სერიოზულ აღზრდელად სრულიად ვერ აღგიქვამთ ცოლი.
24. ბევრად უფრო იოლია ბავშვის აღზრდა, როცა ოჯახში ბებიაც ცხოვრობს.

დაავაშით ქულაში:

ტესტში გამოყოფილია პასუხების 3 ჯგუფი. I ჯგუფში შედის პასუხები: 1, 4, 5, 12, 13, 15, 19, 22; II ჯგუფში — 2, 6, 8, 9, 11, 17, 20, 23; III ჯგუფში — 3, 7, 10, 14, 16, 18, 21, 24. ყოველი ჯგუფი შეესაბამება თითოეულ ტიპს. რომელ ჯგუფშიც თქვენ ყველაზე მეტი ქულა დააგროვეთ, სწორედ იმ ტიპს განეკუთვნებით.

ტანტის შედეგები

I — ტრადიციული ტიპი

მამა — ოჯახის თავია, რომელსაც გადამწყვეტი სიტყვა ეკუთვნის ნებისმიერ საკითხში — მათ შორის, აღზრდელი საკითხშიც. ის საკმაოდ მკაცრია, დიდ მნიშვნელობას ანიჭებს დისციპლინას და შვილებისგანაც მთელი რიგი მოვალეობების შესრულებას მოითხოვს. მაგრამ პრინციპში, ამ შემთხვევაში, შეიძლება ითქვას, რომ მამასა და შვილებს შორის არ სუფევს გულითადი, გულწრფელი ურთიერთობები. შვილები თავშეკავებით იქცევიან მამასთან, რადგან გრძობენ, რომ მათი სურვილებისა და ინტერესების მას არ ესმის.

II — თანამედროვე ტიპი

მისთვის შვილებთან ურთიერთობა და მათზე ზრუნვა, სრულიად ნორმალური და ბუნებრივი რამაა. მიუხედავად იმისა, რომ მას არა აქვს ბევრი თავისუფალი დრო, ის შვილებს მაინც საკმარის დროს უთმობს. ასეთი მამა შვილებთან საკუთარი გრძნობების გამოქვავებას არ ერიდება. სხვათა

შორის, ურთიერთგაგება არა მარტო ნამოზრდილ შვილებსა და მას შორის მყარდება, არამედ ის პატარებზედაც სათანადოდ ასწავლებს ზრუნვას. შვილები აღმერთებენ მას.

III — ოჯახის კეთილდღეობის უზრუნველყოფითი შავაკახი ტიპი

ამ ტიპის მამაკაცს, მთელი აქცენტი ოჯახის კეთილდღეობის უზრუნველყოფაზე გადააქვს და შვილების აღზრდის საკითხში სრულ თავისუფლებას აძლევს ცოლს. ვინაიდან მიიჩნევს, რომ ის ამ ასპარეზზე ცოლის შეცვლას მაინც ვერ მოახერხებს. მით უმეტეს, რომ ის, გამუდმებით ძალზე დაკავებულია საქმეებით. ამიტომ სულაც არ არის გასაკვირი, რომ გარკვეული ხნის შემდეგ, შვილებს მამისადმი უცხოობის გრძნობა ეუფლება. ასეთ შემთხვევაში, ბევრი რამ დამოკიდებულია ცოლზე, რომელიც უფრო ჰარმონიული ოჯახური ურთიერთობების დამყარებას შეძლებს, თუკი ქმარს აღზრდელი საკითხებში ნდობას გამოუცხადებს.



პიკანტურად დააჯილდოეს ბელგრადელი ტაქსის მძღოლი: მან თავისი საყვარელი მომღერლისგან ვილდოდ რამდენიმე ცალი აბრეშუმის ტრუსი მიიღო.

ცნობილ სერბ მომღერალს, 29 წლის ტინა ივანოვიჩს, რომელიც სილამაზის სალონიდან ბრუნდებოდა, ტაქსიში ხელჩანთა დარჩა. მისდა საბედნიეროდ, ტაქ-

უცნაური საჩუქარი – ხათილსინდისიარების სანაცვლოდ

სის მძღოლი – ტომა მაისტროვიკი არა მხოლოდ კეთილსინდისიერი ადამიანი, არამედ მომღერლის მწურვალე თავყანისმცემელიც აღმოჩნდა. მაისტროვიკმა ქალს ჩანთა დაუბრუნა და მიუხედავად იმისა, რომ მისი ყოველთვიური შემოსავალი 350 დოლარს არ აღემატება, შეთავაზებულ ფულად ვილდოზე უარი განაცხადა.

მაშინ, გაოცებულმა მომღერალმა პირდაპირ ჰკითხა, – რით გადაეხადა მისი

სიკეთისთვის სამაგიერო. პასუხად, მაისტროვიკი უხერხულად შეიშმუნა და ქალს მიუგო: ჩემთვის ყველაზე დიდი საჩუქარი თქვენი ქვედა საცვალი იქნებაო. ამ მოულოდნელმა პასუხმა, ტინა, ცოტა არ იყოს, დააბნია, მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ ის სულაც არ გაბრაზებულა – პირიქით, ტაქსის მძღოლის „მოკრძალებულმა“ სათხოვარმა გულიც კი აუჩუყა და თავისი ფანი აბრეშუმის, მაქმანებიანი ტრუსებით დაასაჩუქრა.

100 წლის იუბილარი ავიახატასტროფაში მოყვა

რამდენიმე დღის წინ, სტოკჰოლმში, აფრენისთანავე ჩამოვარდა ვერტმფრენი, რომელშიც 100 წლის თუბილარი, ოჯახის წევრებთან ერთად, საიუბილეო თარიღის აღნიშვნას აპირებდა. საბედნიეროდ, ბორტზე მყოფთაგან სერიოზულად არავინ დაშავებულა.

შვედ კარლ ზეტერლუნდს იმ დღეს 100 წელი შეუსრულდა. მისმა ოჯახის წევრებმა და ახლობლებმა, გადაწყვიტეს, თუბილარისთვის საჩუქრის სახით, ვერტმფრენით გასეირნება შეეთავაზებინათ. კარლ ზეტერლუნდს და მისი ოჯახის წევრებს, სტოკჰოლმის არქიპელაგის მახლობლად მდებარე კუნძულების მონახულება ჰქონდათ დაგეგმილი. თუმცა, მათ ჩანაფიქრს განხორციელება არ ეწერა – ვერტმფრენის პილოტმა, აფრენისას (ისე, რომ ჯერ 2000 მ-ის კი არ ჰქონდა გავლილი), მართვა დაკარგა. ვერტმფრენი განათების ბოძს შეასკდა, ჰაერშივე ამოყარავდა ძირს დაენარცხა.

ვერტმფრენში გაჩენილი ხანძრის ჩაქრობა და მგზავრების გამოყვანა მალევე მოხერხდა. თუბილარი სასწრაფოდ გადააფრინეს უახლოეს კლინიკაში. მოხუცის მდგომარეობა სტაბილურია და არც მისი ოჯახის წევრების სიცოცხლეს ეუბურება საფრთხე.



სამხედრო ვარცხნილობა ადამიანის უფლებებს არღვევს

გერმანელ ჯარისკაცებს ამერიიდან გრძელი თმის ტარების უფლება ექნებათ. ეს გადაწყვეტილება მიუნხენის სამხედრო სასამართლომ მიიღო.

აღნიშნული პრობლემა მას შემდეგ დადგა დღის წესრიგში, რაც ერთ-ერთ ჯარისკაცს უსიამოვნო ინციდენტი შეემთხვა: 18 წლის ახალწვეულმა უარი განაცხადა თმის შეკრევაზე. მისმა ხელმძღვანელობამ გადაწყვიტა, ჭკუა ესწავლებინა ურჩი ახალგაზრდისათვის და იგი ცალკე საკანში გამოამწყვდია, თანაც დაუმორჩილებლობისთვის 100 ევროს ოდენობის ჯარიმის გადახდაც დააკისრა.

სამკვირიანი პატიმრობის შემდეგ, ახალწვეულმა ფარ-ხმალი დაყარა და პარიკმახერთან წასვლაზე დათანხმდა.



თუმცა პარიკმახერთან ვიზიტის შემდეგ, პირდაპირ სასამართლოსკენ გაემართა და ხელმძღვანელობის წინააღმდეგ სარჩელი შეიტანა.

ყველასდა გასაცნობად, მიუნხენის სამხედრო სასამართლომ ახალწვეულის სარჩელი დააკმაყოფილა და განკარგულება გასცა ახალი სისტემის შემოღების შესახებ – რომლის მიხედვითაც ყველა ახალწვეულს (ეს ეხება როგორც მამაკაცებს, ასევე ქალებს) უფლება ექნება, სასურველი ვარცხნილობა ატაროს. ძველ ნორმებს სასამართლომ არაკონსტიტუციური უწოდა და აღნიშნა, რომ ჯარისკაცებისთვის იძულებით თმის შეკრევა, ადამიანის უფლებების დარღვევაა.

უყურთ სერიალსა მობილური ტელეფონით

სინგაპურის ერთ-ერთი ტელეკარნი, ფიჭური კომპანიის – „მესამე თაობის“ აბონენტებისათვის, ტელეკომპანიის ტრანსლაციას მობილური ტელეფონების მეშვეობით აპირებს.

30-სერიიანი სასიყვარულო მელოდრამას, სახელწოდებით – „პოსტსკრიპტუმი: მე შენ მიყვარხარ“ – რომელშიც ცნობილი ტაივანელი მსახიობები მონაწილეობენ, აბონენტები ტელეფონების მეშვეობით, ერთი თვის მანძილზე იხილავენ. თითოეული სერიის ხანგრძლივობა სამი წუთი იქნება. მომავალი წლის დასაწყისში, „მობილური“ სერიალის სატელევიზიო ვარიანტი – 90-წუთიანი ფილმი გამოვა.

მობილური ტელეფონებით ფილმის ტრანსლაციას სინგაპურის, ჰონკონგის, ტაივანის, მალაიზიისა და ჩინეთის ფიჭური ოპერატორები აპირებენ. სერიალი შექმნილია სინგაპურის სახელმწიფო მედიაკომპანიის – Mediacorp-ის მიერ, რომელიც ასეთივე ტექნოლოგიით მომავალშიც გვემავს ფილმების ჩვენებას. სიახლე ეკონომისტებმა დადებითად შეაფასეს და მას საკმაოდ პერსპექტიულიც უწოდეს. მარტში მსგავსი ექსპერიმენტები ამერიკულმა Fox Entertainment Group-მაც დაიწყო. პირველი ამგვარი ექსპერიმენტი კი, 2001 წელს იაპონურმა ფიჭურმა ქსელმა – DoCoMo-მ ჩაატარა, მაგრამ იმ დროისთვის არსებული მულტიმედია აპარატების სიმცირის გამო, პროექტმა პოპულარობა ვერ მოიპოვა.

ფოტოკუჩიონები



გუგუშვილი, მუსხაშვილი და მასწავლებლის სასწავლებელი

ყველაზე აროვნული პედია-პროექტი



მიიღეთ მონაწილეობა! ორშაბათობით იკითხეთ ჟურნალი **ბელონი** შეავსეთ „ცოდნის კუპონი“ და მოიპოვეთ სტიპენდია

თქვენ 1-წლიანი ყოველთვიური სტიპენდია გეკუთვნით!

პროექტი სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უწმინდესისა და უნეტარესის ილია II-ის ლოცვა-კურთხევით ხორციელდება

პროექტის პარტნიორია თბილისის მერია და საკრებულო;

„ბელონი“

ყოველ

შაბათს

18 სთ-ზე

„ივერის“

შესველრამდე



არსზე